


# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

2 ნოემბერი 2012 №22(178)



მარკ ტვენის გამოცანა  
რეზო ჭეიშვილის მოთხრობა  
ლორდ ბაირონის „დონ უუანი“  
სილამაზე, როგორც ბედისწერა  
რევაზ სირაძე მშვენიერების ძიებაში  
ყოველდღე ვბრუნდებოდით საქართველოში  
შოთა ბოსტანაშვილის პოეტური დისკურსი  
მარინე ტურავა ლია მოლარიშვილზე  
ინტერვიუ ზურაბ ნიჟარაძესთან  
ნანა კუცია ლიანა ელიავაზე  
ვაჟა მიროტაძის ლექსები

## შინაარსი

<b>დაუპიწყარი სახელაბი</b>	<b>2</b>	<b>როსტომ ჩხეიძე ჩამავალი მუბ მყინვარწვერა</b> (რევაზ სირაძისადმი მიძღვნილი კრებული „მშვენიერების ძიებაში“)
<b>წუთაბი და წლაბი</b>	<b>6</b>	<b>ნინო ვახანია სილაბაზა, როგორც ბადისწარა</b>
<b>მსარას-ჩნბარვი</b>	<b>8</b>	<b>ზურაბ ნიყარაძე „მა ნაკლ-ეპისბან შევიღბაბი“</b> (მოამზადა იოსებ ჭუმბურიძემ)
<b>პროზა</b>	<b>10</b>	<b>რეზო ჭეიშვილი ჭალნა ბლოკი</b>
	<b>21</b>	<b>ირაკლი სამსონაძე ღრუბელი, სახელად დარინდა</b>
<b>პირველი შთაბეჭდილვა</b>	<b>34</b>	<b>იოსებ ჭუმბურიძე „მინდორ-მინდორ დავდევი ქარაბს“</b>
<b>პოეზია</b>	<b>34</b>	<b>ვაჟა მიროტაძე წუხელ დამისიზმრა იმერეთი... და სხვა ლექსაბი</b>
<b>პოეზის ერთი ლექსი</b>	<b>37</b>	<b>შოთა ბოსტანაშვილი მუნჯი დისკუსი</b>
<b>უსწოთის სწორაბიდან</b>	<b>38</b>	<b>მალკოლმ ჯოუნსი ჩვენი იღუმალი უცნობი</b> (მარკ ტვენმა თავის მემუარებს 100 წელი გვალოდინა. იგი ჯერაც თეთრ საბურველში გახვეულ გამოცანად რჩება)
<b>სად წაიყვან სადაურსა</b>	<b>41</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი „ჩვენი ყოველღღე ვბრუნდებოდით საქართველოში“</b> (ლელა ხორნაული)
<b>კრიტიკა</b>	<b>44</b>	<b>სალომე კაპანაძე სიცოცხლის დრო ანუ ჭამი და ფიქრებისა</b>
<b>შორეული თავისიანაბი</b>	<b>49</b>	<b>ქეთევან ტომარაძე სო მიურაქ, ჩამი ინგირი</b> (ელენე დორისი და „კოლხეთის ვარდი“)
<b>ბამონაბაურვა</b>	<b>51</b>	<b>მარინე ტურავა ოქროს საწმისის აღმონწენა</b> (ლია მოლარიშვილის ორი ნოველა)
<b>ახალი თარგმანაბი</b>	<b>52</b>	<b>ლორდ ბაირონი მიკობრა ნადიმუბა</b> („დონ ჟუანის“ მესამე თავი)
<b>ახალი წიგნაბი</b>	<b>61</b>	<b>ნანა კუცია ფერადი ბურთი და შავ-თეთრი ყოფა</b> (ლიანა ელიავას „კინო უეკრანოდ“)
<b>მოზიკა</b>	<b>63</b>	<b>სმა ეული</b>

**ორკვირული ჟურნალი**

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96\_20\_62

რეკლამა – (995 93) 65\_93\_68

გავრცელება – (995 77) 11\_24\_30

ფაქსი: (995 322) 96\_20\_62

E-mail: info@mtserloba.ge



ქაბაჩიძის საბეაბი „ომეგა ტეკი“ PRINTED BY "OMEGA TEQ" PRINT HOUSE  
საქათვალ, თბილისი, საბაჩიშვილის 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
აბაქურის 00 995 322 55 03 62 TELEPHONE: 00 995 322 55 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: გორიჯვარი, ბაბუა ალუდაურის ფოტოგტიუდი

სალომე კაპანაძე

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 16 ნოემბერს

ეს გამომხაურება რევაზ სირაძის სიცოცხლეშივე დაინერა: რეცენზია მისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულზე, უფრო მეტად კი ლიტერატურული პორტრეტი იმ კოლორიტული, გამორჩეული მკვლევარისა, ვინც უაღრესად სასიკეთო ზეგავლენას ახდენდა ჩვენს სულიერად ასერიგად გადაბუგულ სინამდვილეზე და ახერხებდა შეენარჩუნებინა არამარტო ქართული კულტურისა და მეცნიერული აზრის, არამედ ღირსებისა და კეთილშობილების უწყვეტობაც.

რჩებოდა ჩვენს იმედად და ორიენტირად.

იმედი და ორიენტირი ამიერიდან მისი ხსოვნა იქნება, და ის სამეცნიერო მემკვიდრეობა, ჩვენი დროის მონაპოვართა შორის მასაც რომ თამამად გადავცემთ შთამომავლობას... და მის ღირსეულად გამოვლილ გზასაც სანიმუშოდ დაეუსახავთ, სამწუხაროდ, ტრაგიკული ეპიზოდით დაგვირგვინებულს — მეცნიერული ძიებებით ანთებულს გაზის ავარჯარებულ ნათებაში რომ უნდა დაეღია სული. ის საბედისწერო ნამი...

ის უეცარი შეგებება სიკვდილის აჩრდილთან, მშვიდად, სტოიკურად რომ აიტანდა მწვავე ტკივილებს.

მოგეხსენებათ, მეცნიერები ასე არ ილუპებინან, მაგრამ რევაზ სირაძე სიკვდილშიც გამორჩეული შეიქნებოდა.

როსტომ ჩხეიძე

# ჩამავალი მზე მყინვარწვერზე

## (რევაზ სირაძისადმი მიძღვნილი კრებული „მშვენიერების ძიებაში“)

საზაფხულო ექსპედიცია ყაზბეგში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორებისა და სტუდენტების. საღამოხანს სუფრა გაშლილა და არის ის მოლხენა და მხიარულება, ნადიმს რომ შვენის.

უეცრად რევაზ სირაძის შეძახილმა თამადაც უნდა გააჩუმოს და არიფიონიც:

— შეხედეთ, აი, ეს არის მშვენიერება!

ჩამავალ მზეს მყინვარწვერი მენამულისფრად შეედება, რომლის დანახვასაც არაფერი სჯობდა და, თუმცა ყველა სიმპოსიონელი ამ სანახაობას მანამდეც შეჰყურებდა, მაგრამ განცდით შესაფერისად ვერ განიცდიდა. და მხოლოდ ახლა უნდა შეეგრძნოთ, ნამოძახილის კვალობაზე, როგორც მშვენიერის, ამაღლებულის, ესთეტიკურის ხელშესახები დადასტურება.

ივანე ამირხანაშვილს ეს სურათი ძალდაუტანებლად ნამოგონდებოდა, როდესაც რევაზ სირაძის შემოქმედებითი პორტრეტისათვის ზოგიერთ შტრიხს მოხაზავდა („აზროვნება და სიცოცხლის მთლიანობა“) და მის ნათელში განჭვრეტდა და განაზოგადებდა იმ ვითომდა წვრილმანებს, რაც ბელეტრისტული კალმის შეხებისას სულ სხვაგვარად ამეტყველდება ხოლმე.

მის მახვილ მზერას გონებრივი მუშაობის კვალად აღიქვამდა.

მეტყველების იმპულსურ სტილს — ფეთქებადი ენერგიის გამოვლინებად.

სიარულის აჩქარებულ, რალაცნაირად პათეტიკურ მანერას — ვიტალური პოტენციის გარე ფორმად.

აზრის გადმოცემის ნახევარტონებს — აზროვნების ინტენსივობის დასტურად.

მსჯელობის სიმწყობრეს, ლოგიკურობას, სიმკვეთრეს — მამაკაცური ხასიათის ნიშნად.

და ლიტერატურული ფორმულებივით დაწურული ეს მახვილგონივრული დაკვირვებების ნაკადი ბუნებრივად

უნდა დაბოლოებულიყო ამგვარი შეფასებით:

— რევაზ სირაძე. თანამედროვე ქართული ფილოლოგიის ემბლემა. სწავლული, რომელმაც თავისი თაობის კოლეგებთან ერთად შექმნა ლიტერატურის კვლევის ესთეტიკური სკოლა.

ამ სკოლის შექმნას დაადასტურებდნენ ლაურა გრიგოლაშვილი („მუდამ ახლის ძიებაში“), გრივერ ფარულავა („სულიერებისათვის მოუღლეად გარჯილი“) და ელიზბარ ჯაველიძე, რომელთა სტატიებიც — განსაკუთრებით მაინც ელიზბარ ჯაველიძის (მიუხედავად საიუბილეო სათაურისა „რევაზ სირაძე 75 წლისა“) — სცდება საიუბილეო მილოცვათა ზოგად დითირამულ სტილისტიკას და წარმოგვიდგება ღვანდომოსილი მკვლევარის მიუკერძოებელ, კოლორიტულ პორტრეტად, თვალნათლივ ნიმუშად იმისა, თუ როგორ უნდა ფასდებოდეს ნაშრომ-ნაამაგარი, რომელიც თავისთავად ისევე საჭიროებს შესწავლასა და უფრო მიზანდასახულად ჩართვას სამეცნიერო და სამწერლო მიმოქცევაში, როგორც თვითონ რევაზ სირაძემ დაგვანახვა ახლებურად ანდა მთელი თავისი სრულქმნილებით ბევრი ისეთი რამ, რაც უცნობი რჩებოდა თუ უსამართლოდ მიყრუებულიყო, მთელს მის ძიებებს კი თავისებურ შარავანდად ადგას ძველი ქართული ტერმინის — „სახისმეტყველება“ — აღორძინება და ისე დამკვიდრება, რომ უიმიოდ სამეცნიერო და ლიტერატურული თხზულებანი ლამის ვეღარც წარმოგვიდგენია.

სცდება საიუბილეო მილოცვათა ზოგადდითირამულ სტილისტიკასო...

და ასეთივე მთელი ის სამეცნიერო კრებული, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში რომ მომზადდა („უნივერსალი“, 2012) და შემდგენელია გიორგი ალიბეგაშვილი, სახელწოდებად კი ამშვენებს ასე მარჯვედ მიგნებული შესიტყვება, კრებულის მთავარი გმირის მოღვაწეობისათვის ნიშანდობლივი: „მშვენიერების ძიებაში“ — ამ ნიგნის საერთო შინაარსსა და სულისკვეთებასაც ყველაზე უკეთ რომ წარმოაჩენს.

წლების წინათ რევაზ სირაძის „ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები“ რომ გამოქვეყნდებოდა წიგნად, ელიზბარ ჯაველიძე ერთხანს მოუთმენლადაც დაელოდებოდა, ამ რანგის ნაშრომი, ახალ ეტაპად რომ წარმოდგება ქართული ლიტერატურისმცოდნეობაში, აუცილებლად გამოიწვევს ძველი მწერლობის მკვლევართა ღრმა ინტერესსა და მსჯელობასო, მაგრამ არაფერ რომ არ გამოეხმაურებოდა, თვითონ იდებდა თავს მის დაწვრილებით ანალიზსა და შეფასებას,

მითუმეტეს, ნაშრომში თვალსაჩინო გახლდათ ზოგადი პრობლემატიკაც.

ამჯერად კი მეცნიერის ზოგადი პროფილის მოხაზვისას საგანგებოდ უკვირდება ერთ საგულისხმო თვალსაზრისს, რომ: ქართული სახისმეტყველების საფუძველთა საფუძველი მზისა და ნათლის ესთეტიკაა, — რათა ყურადღება მიგვაქცევინოს განსახოვნების სამ ტიპზე, რომელთა წარმართველიცაა: პირველისა — მხატვრული სახეები, მეორისა — მუსიკურ-ანსამბლური იერარქიზმი, და მესამისა — სიტყვის უნივერსალიზმი, საყრდენი ელემენტები კი: ჩუქურთმა, ვაზი, ქალის თმა და მზე, — და ანალიტიკური განსჯა შეაჯამოს რევაზ სირაძის მიერ ქართული ესთეტიკის გასაღების მიგნებით მოგვრილი სიხარულით: იგი ეროვნული სულიერების საიდუმლოს გვაზიარებს და მზიური ღამის ხილვისაკენ მიყვავართო.

გრივერ ფარულავა საგანგებოდ გამოაცალკეებდა ნარკვევს **ჩინგიზ აიტმატოვის რომანზე „საქონდაქრე“**: რევაზ სირაძისეულ ანალიზში გაერთიანებული ლიტერატურათმცოდნეობითი, კულტუროლოგიური, საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ერუდიცია და ნიჭი წარმატებით კაფავს მისასვლელს ყირგიზი მწერლის ჩანაფიქრის შუაგულისკენო.

ლაურა გრიგოლაშვილი ძველი ქართული მწერლობისადმი ახლებურ მიდგომას დაუფასებდა მკვლევარს: ახალი სუნთქვა მიანიჭაო:

— აგიოგრაფიულ თხზულებათა შესწავლა როგორც მხოლოდ საისტორიო ძეგლებისა, ან როგორც მხოლოდ ქართული ენის ძეგლებისა, ან თუნდაც თეოლოგიურ-ლიტერატურული საგანძურისა, ერთგვარ არტახებში აქცევდა მას. საჭირო იყო ამ ლიტერატურის ესთეტიკურ შინაარსამდე მისვლა, რათა ამ ძეგლებს ახალი სიცოცხლე დაეწყოთ.

**ლადო მინაშვილი** ილიას „აჩრდილის“ რევაზ სირაძისეული ანალიზის მნიშვნელობას წარმოაჩენს (**„ილია ჭავჭავაძის მხატვრული აზროვნების კვლევის ახალი პორიზონტი“**): თუ როგორ უპირისპირდება ადამიანის ცნობიერება თვით ადამიანს, საყოველთაო სიკეთესა და სიცოცხლეს, ილიას აჩრდილის ცნობიერებაში კი ხდება ამის დაძლევა. აჩრდილი გამომხატველია ცნობიერების გამთლიანებისა, მთელი პოემა სწრაფვით აჩრდილისებური ცნობიერებისაკენ. ამით ილია წინ უსწრებს რუსულ ყოვლისმცოდნეობის იდეას (ვლადიმირ სოლოვიოვი და სხვანი), ოღონდ არა რელიგიათა ყოვლისმცოდნეობით, არამედ დაშლილი ცნობიერების გამთლიანებითა და მისი სულიერი ამაღლებით.

საგანგებოდ მიგვაქცევინებს ყურადღებას, რომ ეს ნარკვევი ერთობ მნიშვნელოვანია არამარტო კვლევა-ძიე-

ბის შედეგებით, არამედ მეცნიერული აზროვნების სიახლით, ახალი კვლევა-ძიებისათვის რომ იძლევა იმპულსს და საფიქრალად განგვანყოფს, ეს კი იშვიათ მეცნიერთა ხვედრია.

**იუზა ევგენიძე** სწორედ ამ მხრივ — სიახლეებისაკენ დაუმცხრალი ლტოლვიით — წარმოგვიდგენს რევაზ სირაძის მეცნიერულ პროფილს, ოღონდ იგი ვაჟას მაგალითზე (**„მითიურის საკითხი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში და პრობლემის რევაზ სირაძისეული ინტერპრეტაცია“**): მისი კვლევა-ძიების ამოსავალია, თვალის მიადგენოს ქართული ლიტერატურულ-თეორიული და ესთეტიკური აზრის დინამიკას, რის გამოც მისთვის არ არსებობს ტრადიციები და განსახლდრული ჩარჩოები. ამიტომაცაა, რომ მოაზროვნე-მკვლევარი აქტიურად ეხმარება ქართულ კულტურულ სივრცეში მოვლენილ ყოველგვარ სიახლეს, იქნება ეს ძველი, ახალი თუ უახლესი ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების სფეროებში.

ხოლო მითიურობის შესახებ ეს ნარკვევი, რომელსაც გარკვეული წინაპირობები შეუქმნეს **გრიგოლ რობაქიძემ**, **გრიგოლ კიკნაძემ** თუ **თამაზ ჩხენკელმა**, ერთგვარი იმპულსთაგანი აღმოჩნდებოდა, რათა ქართული ესთეტიკური მსოფლმხედველობის გამოჩენილ მკვლევარს მომავალში ამ მიმართულებით კვლავ საინტერესო სიახლეებისათვის ეზიარებინა ჩვენი საზოგადოება.

რევაზ სირაძე



**უჩა შერაზადიშვილის „ნიგნი ქართულ ესთეტიკაზე“**, რომელშიც შეფასებულია რევაზ სირაძის მონოგრაფია **„სახისმეტყველება“**, საგანგებოდ ახალგაზრდებისათვის დაწერილი ნიგნი და ამიტომაც გამოცემული **„სერაფიტას“** სერიით, პირველად ამ ოცდაათი წლის წინათ დაიბეჭდა გაზეთ **„ლიტერატურული საქართველოს“** ფურცლებზე და გახლდათ ახალგაზრდა ლიტერატორის დებიუტი სამწერლო ასპარეზზე. რეცენზიაში მონოგრაფიის საერთო წარმატების ერთ-ერთ განმსაზღვრელად მიიჩნეოდა კომპოზიციური სრულყოფილება და თავისუფალი, დახვეწილი სტილი, ნაშრომის სასიამოვნო აღქმას კი განაპირობებდა ენობრივი ქსოვილის სილალე და მხატვრულობა.

**ლია კარიჭაშვილის „დუმილიდან იდუმალებამდე“** (მარჯვედ მიგნებული სათაურია, მთელს ნიგნსაც დაამშვენებს), კი, გამომხაურება ორიგინალური აგებულების ნიგნისა **„ესსეები და თარგმნები“**, ჟურნალ **„ჩვენი მწერლობის“** ფურცლებიდან გადმოიბეჭდა. ასეთი მრავალფეროვანი კრებულის განსჯა-შეფასებას ყოველთვის თავისი განსაკუთრებული სირთულე ახლავს, რაც ამჯერად წარმატებითაა დაძლეული, მითუმეტეს, ანალიზს ემოციით მსჭვალავს ლია კარიჭაშვილის სტილისათვის ნიშანდობლივი ფაქიზი ლირიზმი:

— „ესსეები და თარგმანები“ კიდეე ერთხელ ცხადყოფს, რომ ბატონი რეზო კვლავაც მაძიებელია. მისი აზრი ერთდროულად არის ფრთხილიც და თამამიც, ზომიერიც და ზუსტიც; ყოველთვის აგნებს არსებითს და ემიჯნება კატეგორიულობას, ამიტომაც:

- ფიქრი სჯობია დასკვნას;
- მრავალწერტილი — წერტილს.

— კითხვა უფრო სიცოცხლისუნარიანია, ვიდრე ნებისმიერი სწორი პასუხი.

მის ლექსიკაში აქტიური სიტყვაა „რალაც“?

თვითონაც რალაცით ამიტომაც წააგავს ოლესაც, ხმელ წიფელსაც, არწივსაც, ან რალა „რალაცით“ — ინდივიდუალიზმით, გამორჩეულობით, დიდი სათქმელით...

რევაზ სირაძისადმი მიძღვნილი კრებულის რამ ვერ შემოიფარგლებოდა ერთი და ორი სფეროთი, ამიტომაც ამრავალფეროვნებს მის შინაარსს ისტორიული დისკურსიც, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევებიც, ლინგვისტური ძიებანიც, და კიდეე თარგმანიც.

**ვასილ გროსმანის „არსებობს საყოველთაო სიკეთე?..“** — ფრაგმენტი დიალოგიდან „ცხოვრება და ბედი“

— ისედაც შეიძლება მოემზადებინა **ოლეგ გოლიაძეს** ამ საიუბილეო კრებულისათვის, რაკილა იმ თემატიკას უტრიალებს, რევაზ სირაძე რომ შეისწავლის და გაიაზრებს, მაგრამ ამჯერად ამგვარი არჩევანი იმასაც უნდა გამოენჯია, რომ თვითონ ესთეტიკის მკვლევარიც დაინტერესებულიყო ამ დარგით და წარმატებითაც მოესინჯა ერთი ენიდან მეორე ენაზე გადატანის იდუმალი პროცესი.

მაინც რა არის სიკეთე? რაშია მისი არსი? ვისთვისაა გამიზნული? ვისგან მომდინარეობს? არსებობს კი საყოველთაო სიკეთე, რომელიც მისაღებია ნებისმიერი ხალხისათვის, ყველა ტომისათვის, ცხოვრების ყოველი სიტუაცია-მდგომარეობისათვის?

ამ მარადიულ კითხვებში გარკვევას რომ შეეცდებოდა ვასილ გროსმანიც, იმ საფიქრალ-სატკივარსაც თავისთავად მოადვენება: ეგების ჩემთვის არსებული სიკეთე შენთვის ბოროტებაა, ანთუ: გუშინდელი სიკეთე დღეს ბოროტებად წარმოჩნდება, ხოლო გუშინდელი ბოროტება დღეს სიკეთედ ისახება?

მაინც როგორ უნდა შეგვეხედა ადამიანთა ისტორიისათვის — ხომ არაა ეს ის ასპარეზი, სადაც სიკეთე ესწრაფის ბოროტების დამხობას?

რუს მწერალს თავისი პასუხი მოეპოვება:

— ადამიანის ისტორია — ესაა ბრძოლა მძლევარი ბოროტების, ადამიანურობის მარცვლის დაფქვას რომ იზრახვოდა და თუკი ჯერხნობითაც ადამიანური არ ჩაკლულა ადამიანში, ესე იგი ბოროტებას გამარჯვება ველარ ხელწიფება...

ეს იმედია, რომ გასულდგმულებს, თორემ ჯერ მარტო **როინ მეტრეველის** ისტორიულ ნარკვევს „**შიქნა დიდი მტერობა...**“ რომ ჩაიკითხავ, შტრიხებს XVII საუკუნის მეორე ნახევრის იმერეთის ცხოვრებიდან, შეუძლებელია კიდეე ერთხელ არ შეგძრას დაცემისა და გადაგვარების იმ სურათების ხილვამ, რომელთა ერთად თავმოყრითაც დროის ტრაგიზმის შეგრძნება მატულობს. და ამ ტრაგიზმის ფონზე უკვე აღარც ის გიკვირს, მეფის გვირგვინი... ჭუჭუნისაშვილსაც რომ შეიძლება დაედგას. თანაც, ეს

ხომ არ არის ერთი დრო-ხანის რეალობა, ის თავის თავში გულისხმობს მუდმივად განმეორების საფრთხეს და... ჭუჭუნისაშვილთა გაუთავებელ მოვლინებასაც, ყველგან და ყოველთვის გვირგვინისაკენ ხელგანწვდილნი, მორღვეული ზნეობრივი მოთხოვნებისა და ბრბოს დოცლაპიობის პირობებში კიდეე რომ აღწევენ სანუკვარ მიზანს. დროებითო, — თავს ვინუგეშებთ. ისტორიისათვის ეს მართლაც წამიერი გადაელვებანია, მაგრამ ადამიანის ბიოგრაფიისათვის არცთუ მცირე მონაკვეთი. მთავარია, რომ წარსულის ეს სურათები არ მიიჩქმალოს და მისი განმეორების საშიშროებასაც მთელი ძალ-ღონით შევეწინააღმდეგოთ ხოლმე.

**„იერიონი 2011 წელს“** ამ წმინდა მხარეში **გიორგი ალიბეგაშვილის მოგზაურობის** თავისებური ანგარიშია და წარმოგვიდგენს სრულ ინფორმაციას, რომლითაც დღესდღეობით მთელი მსოფლიოდან ათონზე ჩასულნი ქართული მონასტრის ისტორიას ეცნობიან. ამასთან, დასძენს, რომ: ამ მასალებიდან დიდად მნიშვნელოვანია მრავალი ინფორმაცია, რომლებიც, სამწუხაროდ, ნაკლებ ცნობილია ქართველი საზოგადოებისათვის. უფრო მეტიც, თვითონ ბერძენი მკვლევარებიც აღიარებენ, რომ ქართველთა — და არამარტო ქართველთა — სავანეში აქამდე დაცულია ისეთი რელიკვიები, სინმიდეები, ხელნაწერები და სხვა რეგალიები, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში არ უხილავთ დღის სინათლე და შესწავლასა და გამოკვლევას საჭიროებენ.

ჩვენი მხრივ კი დავუმატებდით, რომ მათ შესწავლასა და გამოკვლევას ისეთი გულმხურვალე პროფესიონალების მივლინება სჭირდება, გიორგი ალიბეგაშვილი რომ გახლავთ.

**ნინო ჯაველიძის** ნარკვევში „**ქართველთა საერო დროშის გამო**“ კიდეე ერთხელაა გააზრებული ჩვენთვის ეს ასერიგად მტკივნეული და მნიშვნელოვანი თემა, და სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ცნობილი ქართული და უცხოური წყაროები, რომელნიც სეფე-დროშის ამსახველ ცნობებს შეიცავენ, შევსებულია ახალი წერილობითი წყაროთი: **ტიმოთე ვაბაშვილის „მიმოსვლა“**. XVIII საუკუნეში შექმნილი ეს თხზულება კარგადაა ცნობილი და ბევრგვარადაც შესწავლილი ჩვენს მეცნიერებაში, მაგრამ აქამდე ყურადღების მიღმა რჩებოდა მასში დაცული ცნობა ქართველთა საერო დროშის თაობაზე.


არადა, საერო დროშაზე თურმე ხატწერილი ყოფილა წმიდა გიორგი.

ამის დასტურად მკვლევარი ასახელებს ცხრა ისტორიულ წყაროს — ორს ქართულს და შვიდსაც უცხოურს — და მოიშველიებს სხვა რიგის მასალასაც — საერისთავო, სამოურავო და სასარდლო დროშებს, რომელნიც ირიბად ადასტურებენ სამეფოს დროშის კომპოზიციურ იერსა და აგებულებას.

— წმ. გიორგი ქართველთათვის ოდენ ქრისტიანობისთვის წამებული რაინდი არ არის, მასში განსახიერებულია წარმართობისდროინდელი უზენაესი ღვთაება თეთრი გიორგი და, ამდენად, იგი ქართული წარმართული და ქრისტიანული სამყაროს საერთო ხატი-სიმბოლოა.

**გვანცა ბურდული** საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიას სხვა კუთხიდანაც ჩაუკვირდებოდა:

„ალექსანდრე ცაგარელის ღვანლი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე (1906 წელი)“ და თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის გამოსვლის მაგალითზე ცხადყოფდა, თუ როგორ დადასტურდებოდა კიდევ ერთხელ რუსეთის საეკლესიო კრების ამ წლის სხდომებზე ის ჭეშმარიტება, რომ: რუსი სამღვდელთა და რუსი მეცნიერები არად აგდებდნენ ქართველ მღვდელმთავართა და მეცნიერთა არგუმენტირებულ მოსაზრებებს და ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რათა არ ეცნოთ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების უკანონობა და, ამდენად, არ წამოჭრილიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი.



ეკა დულაშვილის „სირიელ წმინდანთა ხსენებები და საგალობლები X საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიულ ხელნაწერებში“ გაგვირკვევდა, რომ იმჟამინდელი ქართული ლიტურგიკული კრებულები შეიცავს ორი დიდი სირიელი წმინდა მამის — სვიმეონ მესვეტისა და ეფრემ ასურისადმი მიძღვნილ ისეთ საგალობელ რეპერტუარს, რომელიც საუკუნეთა მანძილზე აღმოსავლურ საეკლესიო ტრადიციაში დაკარგულიყო და არც კონსტანტინეპოლურ ტრადიციის ბერძნულ ლიტურგიკულ ხელნაწერებში ასახულიყო. ამ მხრივ გათვალსაჩინოვდებოდა ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულთა კონსერვატიული ხასიათი, რადგანაც აქ დადასტურებულ თარგმანებს ორიგინალის მნიშვნელობა მიენიჭებოდათ.

ვასილ მალლაფერიძის „წმინდა მხედარი ქართულ სახისმეტყველებაში“ უარყოფს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ თვალსაზრისს, თითქოს **მოსე ხონელისა** თუ **შოთა რუსთველის** მიზანი უშუალოდ წმინდა გიორგის „შეფარული“ ქება ყოფილიყო და მიიჩნევს, რომ „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ჭაბუკები თვითვე იმეორებენ ღვთის მხედართა გზას, და რომ წარმოადგენა წმინდა მხედრის შესახებ გამოდის ჰაგიოგრაფიული ჩარჩოდან და უფრო ზოგად ხასიათს იძენს:

— თუ მანამდე წმ. მხედრები ცნობილი იყვნენ ქრისტიანობის ისტორიიდან და მათი რიცხვი განსაზღვრული იყო, საერო მწერლებმა ქრისტეს მხედრის იდეა ბოროტებასთან მეზრძოლი ჭაბუკის სახეში დაინახეს. ამას კი ხელს უწყობდა გარკვეული კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ვითარებაც.

ვახტანგ გურულის ნარკვევის სახელწოდება „**მოთხრობებად ქცეული ადამიანები**“ უკვე მიგვანიშნებს, რომ **გოდერძი ჩოხელის** შემოქმედებით იქნება შთაგონებული, და მართლაც განიხილავს რომანს „**ადამიანთა სევდა**“ და მსჯელობას აგვირგვინებს იმ პასაჟით: უცნობი გუდამაყრელის ორი პასუხით ორ შეკითხვაზე — რაც მკვლევარს ამ მხატვრული სამყაროს ამოსავლად მიაჩნია, მწერლის რომანტიკული სულისკვეთების ერთ თვალნათლივ გამოვლინებად:

„— რა არის სიცოცხლე?

— სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.

— სიკვდილი?

— სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა“.

ქეთევან შენგელიას „**ფიქრები ფიროსმანზე**“ იმ პოეტური სულით სუნთქავს, რაც საერთოდაც ნიშნადობლივია არამართო მისი ლექსების, არამედ ესეებისა და სამეცნიერო ნარკვევებისთვისაც, და ამჯერად ფინალური აკორდიც მოხდენილია და ზუსტად მიგნებული:

— ფიროსმანი არ ტრიალებდა მხატვართა, მუსიკოსთა, მწიგნობართა... საზოგადოებაში და მარტოდმარტო, საკუთარი სულიდან ამოზრდილ სამყაროში ცხოვრობდა. მას თითქოს მთვარემ აჩუქა ფუნჯები.

ალექსი ჭინჭარაულის — ან განსვენებული მკვლევარის — ნაშრომნაღვანს ყოველთვის დაისაჭიროებს ჩვენი ენათმეცნიერებაც, ლიტერატურისმცოდნეობაც და კულტუროლოგიაც, და უდავოდ უხდება ამ კრებულსაც მისი გვარ-სახელის გამოჩენა ორი ჩანახატით „**ხევისურული ანთროპოლოგიიდან**“. მათგან ერთი ეხება საგმირო ლექსში „**ხევისურები ანყურთან**“ დადასტურებული სახელის — ჯამშათა — ეტიმოლოგიის დადგენას ვაინახური (ჩაჩნურ-ინგუშური) ენების მოშველიებით: ჯამუშა ანუ კამეჩა უნდა რქმეოდა ერთ-ერთ ბრგე ვაჟკაცს, — და გამოთქვამს ვარაუდს, რომ: მისი ოჯახი იქნებოდა ჯამუშანი, ხოლო შთამომავლობა — ჯამუშანური ანუ ჯაბუშანური. ხოლო მეორე — ბულფადარ//გულფადარას განმარტებას და მიგნებას, რომ: ეს სიტყვა ჰერეთიდან მიგრირებულ ტომს, დღევანდელ ფხოველთა წინაპარს, შეუტანია ფშავ-ხევისურთა ახლანდელ საცხოვრისში.

ავთანდილ არაბულის „**ხუცესი**“ კი, მცირე ექსკურსი ისტორიისათვის, ხელშესახები დასტურია იმ სიტყვათა არსებობისა, რომელნიც ისტორიამ კი არ შემოინახა, არამედ თვითონვე შეინახეს ისტორია. ხოლო სკრუპულოზური ჩაძიებისათვის თვალის მიდევნებით ვიზიარებთ მკვლევარის მტკიცებას, რომ:

— ჩვენ წინაშეა ც ძირის ნაყარ ფუძეთა დიდი და მდიდარი ისტორია, რომელიც ლამის ახალი (იმდროინდელი) კულტურული გზაგასაყარის მთელ პროცესებს აირეკლავს...

კრებულს კომპოზიციურად შეკრავდა რევაზ სირაძის შრომათა ბიბლიოგრაფია, ქეთევან სირაძის მიერ შედგენილი და... თავისებურად დაშვენდებოდა ირაკლი ვაშაყმანის „ფოტოლექსი“, რომელშიც XX საუკუნის 60-70-იანი წლების უნივერსიტეტის ბალის გაუზუნარ სურათს შემოვინახავდა და მის პერსონაჟთა შორის რევაზ სირაძეც გაილეგებდა (ისე საგულისხმო კი იქნება ამ ლექსის კომენტირებული პუბლიკაცია, ვრცელმა ექსკურსებმა ეგებ ნიგნაკსაც რომ მოუყაროს თავი!).

და ცალკე უნდა გამოყოფილიყო მეცნიერის დაუოკებელი სწრაფვა საქართველოს მთა-ბარის მოსავლელად, არაერთხელ აღნიშნული კრებულის ფურცლებზე, მაგრამ

ანდრო ბედუკაძეს საკუთრივ ეს შტრიხი უნდა წარმოეჩინა მკვლევარის ხასიათში, თანაც არა გარდასულის გასახსენებლად, არამედ ახალ-ახალ ლაშქრობათათვის შესაგულიანებლად. სათაურსაც შესაფერისს შეარჩევდა: „საექსპედიციო სეზონი დგება“. და იქვე ბატონი რეზოს არაჩვეულებრივი იუმორის დასტურად მოიხმობდა ერთ დეტალს, თუ როგორ ადღეგრძელა ერთ წვეულებაზე თავისი მასწავლებელი და უფროსი მეგობარი: თქვენ ჩვენი **ლოსვეიც** ხართ, **ავერინცევიცი**, **ბიჩკოვიცი** და **ლიხაჩოვიცი**.

მას კი ჩვეული ღიმილით მიუგია:

— ჩემო ბატონო, ნახევრად მართალია.

ზეცას განიცდის, მიწას გრძნობს. ორივე ფეხით მყარად დგას მიწაზეო, — თავისას გვიბეჯითებს **ივანე ამირხანაშვილი**:

— ზედმინვენით ახლოს იცნობს ადამიანურ ურთიერთობათა მეცნიერებას, რომელიც, იყო დრო, პოეზიაში გადაჰყავდათ მას და მის მეგობრებს.

ამ „პოეზიაში გადაყვანილი“ „ადამიანურ ურთიერთობათა მეცნიერებითაა“ შთაგონებული ის შედარებაც **გრიგოლ ხანძთელთან**, დიდი სიყვარულითა და მეგობრული იუმორით რომ მოინდომებდა **ელიზბარ ჯაველიძე**: რევაზ სირაძე არ არის „ხილვითა დიდ“, არც „ხორციითა თხელ“, მაგრამ არის „ყოვლად კეთილ, სრულიად გვამითა მრთელ და სულითა უბინო“, ანუ — ფიზიკური აღნაგობით არა ჰგავს თავის იდეალს — გრიგოლ ხანძთელს, მაგრამ სულიერად მისი მონათესავეაო.

და მოიხმობდა და მოიხმობდა **გიორგი მერჩულეს** ბიოგრაფიული რომანიდან გამოთქმებსა თუ ფრაზებს, ეს ხატოვანი ქსოვილი რევაზ სირაძის პიროვნულ ბუნებასა და განსწავლულობასაც კეთილად ესიტყვებაო: და რომელი პოვის სიტყვა კეთილი, შეინყნარის, ხოლო ჯერკვალი განაგდისო... მყუდრო ქცევიტაო... მოწყალე გონებითაო... რამეთუ ძირი სინმინდისაი მარადის გულსა მისსა დაწერგულ იყოო...

— ნახევრად მართალიაო, — ჩაიღიმივდა ადრესატი ამ პასაჟის ჩაკითხვისას, და ამ ლიტერატურული პორტრეტისაც, და ამ საიუბილეო კრებულისაც... და გონების თვალთ გახედვდა ჩამავალი მზისაგან მენამულისფრად შეღებილ მყინვარწვერს და... კიდევ დაინთქმოდა ამ ხილვაში: მზის, ქალის თმის, ჩუქურთმის, ვაზის...

ნინო ვახანია

## სილამაზე, როგორც ბედისწერა

ნორვეგიელი პიანისტი ქალის დაგნი იულის ბედმა და თავგადასავალმა მთელი მსოფლიო ააღელვა. მისი საფლავი თბილისშია. ედვარდ მუნკის მუზა, ავგუსტ სტრინდბერგის სატრფო და კიდევ მრავალი მამაკაცის საოცნებო ქალი მწერალ სტანისლავ პობიშევსკის ცოლი გახდა. მასთან დაშორების შემდეგ კი მეგობარ მამაკაცთან ერთად ევროპას გამოექცა, კავკასიას, კერძოდ, თბილისს შეაფარა თავი და ტრაგედია აქ დატრიალდა.

ასე მოკლედ, არასრულყოფილად და მეტისმეტად პროზაულად გადმოცემულ ამბავს სინამდვილეში დიდი გრძნობები, ვნებათაღელვანი, მიწყდომ-მონყდომა, დუელი, ეჭვიანობა, უამრავი ჩხუბი და შერიგება, თავდავინწყება და ნამდვილი, წმინდა სიყვარული უდევს საფუძვლად.

ცნობილ პიროვნებათა პირადი ცხოვრებით, ადამიანის სულის, შინაგანი სამყაროს მრავალგვარი გამოვლენით და იმ იდუმალეობითა და მოუხელთებლობით, რომელიც ადამიანთა ურთიერთობას ახლავს თან, პირველ რიგში სხვა ვინ უნდა დაინტერესდეს, თუ არა მწერალი.

ამ რეალურ ისტორიაზეა აგებული რუსი მწერლის **იური ნაგიბინის** მოთხრობა „**სამნი, ქალი და მამაკაცი**“, რომლის ანა აბულაშვილისეული შესანიშნავი თარგმანიც ვაგვაცნო ჩვენმა ჟურნალმა („ჩვენი მწერლობა“, 2012, №16). პუბლიკაციას მაშინვე მოჰყვა გამოხმაურება — **ზაზა აბზიანძის** „წერილი რედაქციას“, რომელშიც ავტორი ფასდაუდებელ ცნობებს გვანჯდის რუსი მწერლის, ქართველი მთარგმნელის, პერსონაჟთა პროტოტიპებისა და ამ საბედისწერო ქალთან დაკავშირებულ სხვა პირთა შესახებ; მოიხსენიებს სამივე ქართველ მწერალს (ლიანა ელიავა, ლაშა იმედაშვილი, ზურაბ კანდელაკი), ვინც ამ თემით დაინტერესდა; მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავად გვიზიარებს მოთხრობისგან მიღებულ თავის ძლიერ ემოციას. მისი აღფრთოვანება გადამდებიცაა და, დარწმუნებული ვარ, გამოხატავს და ემთხვევა სხვათა, დამოუკიდებლად აღძრულ გრძნობებსაც.

ამბავი ამბად, მაგრამ განა ცოტაჯერ ვყოფილვართ იმის მომსწრე, რომ მიმზიდველი, ამალევებელი ამბავი მოთხრობაში „გდია ვითარცა მარგალიტი ნაოხარსა ზედა.“ ხან მწერალი ვერ ახერხებს ქვეშარიტი ფასეულობის შექმნას, ხანაც მთარგმნელის არაპროფესიონალიზმი გვიშლის ხელს ნაწარმოების სრულყოფილად აღქმაში...

ნაგიბინი თავისი სტილით, ადამიანის ფსიქოლოგიის ცოდნით, სულის უღრმეს შრეებში წვდომის უნარით, ნაზი ლირიზმით, შეფარული იუმორით, მკითხველისთვის განსასჯელად და დასაფიქრებლად დატოვებული პასაჟებით და სხვა ნიშნებითაც ნამდვილი მწერალია, ხოლო ანა აბულაშვილი — მისი ფარდი და ტოლი მთარგმნელი, სანდო შუამავალი, შინაარსისა და ემოციის ზუსტად გადმომღები და ჩვენამდე მომტანი.

მოქმედება მოთხრობაში მე-20 საუკუნის დასაწყისის თბილისში ხდება. თხრობა გამსჭვალულია იმ სითბოთი და სიყვარულით, რომელსაც ავტორი საქართველოს მიმართ განიცდის. როგორც **ზაზა აბზიანძე** შენიშნავს, „თვითონ მას (იური ნაგიბინს) ბუნებით იშვიათად გულელისა და ხელგაშლილს, ჰედონისტსა და ქალების ტრფიალს... ხიბლავდა ქართული ყოფა და ხასიათი...“

უკვე აღვნიშნეთ, რუსი მწერლის მთავარი მიზანი არ არის საუკუნის წინანდელი თბილისის ყოფის დოკუმენტური აღწერა. ეს მხოლოდ ფონია მოქმედებისთვის, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე ძირითადი ამბავი (ყოველ შემთხვევაში, ქართველი მკითხველისთვის მაინც) და აღბეჭდილია იმ შესაშური ტაქტით, ზომიერებით, ცოდნით, სიმართლით, რაც ასე იშვიათია უცხოელთა მიერ ჩვენი ქვეყნის შესახებ დანერვილ მხატვრულ და ზოგჯერ დოკუმენტურ თხზულებებშიც.

მე-19 საუკუნეში, როცა რუსი და ევროპელი მწერლები და მოგზაურები განსაკუთრებით დაინტერესდნენ კავკასიით და ფართოდ ასახეს ეს რეგიონი თავიანთ ნაწარმოებებში, ქართველმა მოღვაწეებმა ამის გამო მონონებასა და სიამოვნებასთან ერთად შეშფოთებაც გამოთქვეს. კარგია, — თქვეს მათ, — რომ ჩვენს ქვეყანას სხვებიც გაიცნობენ, მაგრამ ცუდია, რომ ხშირ შემთხვევაში ავტორები შეგნებულად თუ შეუგნებულად ამახინჯებენ არა მარტო ტოპონიმებსა თუ ანთროპონიმებს, არამედ ისტორიას, წეს-ჩვეულებებს, ეროვნულ თვისებებს, ადგილობრივთა ფსიქიკასა და ცხოვრების ნირსაც შეცვლილად — ხან მეტისმეტად ეგზოტიკურად და მიზიდაველად, ხან მეტისმეტად საშიშად და ბნელ ფერებში — წარმოსახავენ. გადაჭარბება ხომ ისევე საშიშია სიყვარულში, როგორც სიძულვილში.

ის კიდევ სხვაა, როცა სიძულვილი და ქედმაღლობა დაუფარავად, ცინიკურად მულავნდება (სხვა რა ვუნოდოთ თუნდაც მყინვარწვერის, სტეფანწმინდისა და ჩოფიკაშვილის ერთად, ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით გაყაზბეგებას). თუმცა ხანდახან შემთხვევით, წინასწარი განზრახვის გარეშე, ბუნებრივი სიძნელისა თუ განსხვავებულობის გამო გადასხვაფერდება, შეიცვლება სახელი და ამით თავის ელფერს და გემოს კარგავს. ამ შემთხვევაშიც აშკარაა თუ სრული იგნორირება არა, ერთგვარი გულგრილობა მაინც ჩვენი ქვეყნისადმი.

მაგრამ არის სასიამოვნო გამოწკლისებიც, როცა ავტორი კარგად იცნობს საქართველოს ისტორიას, კულტურას, აფასებს, პატივს სცემს მას. ნაწერში აშკარად იგრძნობა კეთილგანწყობილება, სიტბო; მწერალს აღქმული, გათავისებული, გულში გამოტარებული აქვს აქაური ყოფის თავისებურება. ერთი ასეთი გამოწკლისია იური ნაგიბინი, რომლის მოთხრობაშიც, მე მეჩვენება, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ერთგვარი ფარული ნოსტალგიაც იკითხება. არ ვიცი, მართლა ნამყოფია თუ არა მწერალი საქართველოში, მაგრამ აქაური ბუნების, თბილისის, მცხეთის მიდამოების, კავკასიონის მთების აღწერა მაფიქრებინებს — ან მართლა ყოფილა და მწერლის ყოვლისდამტევი თვალითა და გულით უნახავს, ან წარმოსახვის განსაკუთრებული, ჯადოსნური უნარი ჰქონია.

ეს ის დრო იყო, როდესაც ევროპაში „ყველა კავკასიაზე ლაპარაკობდა, თუმცა თითქმის არავინ იყო იქ ნამყოფი“, — ფაქიზად და იმავე დროს მტკიცედ გამოხატული პოზიცია: ევროპისთვის (მსოფლიოსთვის) კავკასია მხოლოდ ეგზოტიკაა, მხოლოდ კოლორიტული ადგილი, მისწრება სულიერი დასვენებისთვის, გართობისთვის, გრძნობათა გადახალისებისთვის.

ახლა ნახეთ, როგორ ტაქტს იჩენს მწერალი ქართული ენის დამახასიათებელი თვისების აღნიშვნისას. ხომ ცნობილია, რომ ქართული (და საერთოდ, კავკასიური) თანხმონების წარმოთქმა ერთობ უჭირთ უცხოელებს:

„ბაიარდს წამოსცდა კიდევ მონასტრის ავისმომასწავებელი, ისევე როგორც ქართულ სიტყვათა უმეტესობაში მჭიდროდ მიბჯენილი თანხმონების გამო რთულად წარმოსათქმელი დასახელება, რომელიც დუელში მოკლულ პოეტს უკავშირდებოდა, თუმცა არა პუშკინს, არამედ მეორეს, სახელს ველარ იხსენებდა...“

გასაკვირი სულაც არ არის, რომ რუს მწერალს თბილისსა და მცხეთასთან დაკავშირებით პუშკინი და ლერმონტოვი ახსენდება. კავკასიაში მოკლული ლერმონტოვის პოემის პერსონაჟი მწერი ხომ იმ მონასტერში ცხოვრობდა, სადაც ორი მდინარე ერთმანეთს ერთვის და... ყველაფერი იმაზე მოგვითხრობს, აქაურებს „ვიტარ ჰქონიათ ერთ დროს დიდება, ვით წართმევიათ ბედნიერება“. ბუნებრივია, ნაგიბინს ვერ ექნებოდა ილიასეული განცდა, „მწირის“ თარგმნისას საგანგებოდ რომ შეცვლიდა ერთ-ერთი სტროფის შინაარსს, ამ გარემოებას კი პავლე ინგოროვსა გაუთვალსაჩინოებდა მკითხველს. ის ადგილი, სადაც პოემის ავტორი რუსების მიერ საქართველოს გადარჩენასა და გაბედნიერებაზე საუბრობს, ილიამ შეგნებულად გადაასხვაფერა და ასე გადმოიღო:

**„მას აქეთ, რაცა კურთხევა ლეთისა მიეცა ტანჯულს ივერიის ერს, რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა, ღმერთმა ის რუსსვე ასკეცად მისცეს“.**

მოთხრობაში ამაზე მინიშნებაც არაა და არც უნდა იყოს. სამაგიეროდ არის ასეთი პასაჟი, რომელშიც პერსონაჟი აშკარა სიამოვნებით ამბობს: „ხვალ ჯვრის დასათვალიერებლად მივიდვართ. გამყოლს უკვე მოველაპარაკე... — ჯვარი, — გამამყებულმა, რომ ასე თავისუფლად გამოთქვამდა სიტყვას, რომელზეც ენას მოიტეხდი, თამამად გაიმეორა. — მონასტრის ნანგრევებია. მერე კი სვეტიცხოველსაც ვნახავთ“.

ძალზე საინტერესოდ არის დახატული გამყოლის, ავთანდილის მხატვრული სახე. მცირე მონაკვეთში მთლიანადაა გახსნილი მისი შინაგანი ბუნება — პროვინციულ ჩაცმულობასა და სტუმრებისთვის თავის მონონების ასევე პროვინციულ სურვილს ფარავს თავისი ქვეყნის გულწრფელი სიყვარული, დაკისრებული მოვალეობის ერთგულება, ნანგრევებით, ქვალორღიანი გზებით, მწვერვალებითა და უფსკრულებით... დაუფარავი თავმონონება. როგორც ტიპური ქართველი, აღფრთოვანებით შეჰყურებს ქალის თვალისმომჭრელ სილამაზეს და ყურადღებასაც არ აქცევს მისი თანამგზავრის გაბრაზებას (სხვათა შორის, ქართველი მამაკაცის ეს თვისება — სათანადოდ შეაფასოს ქალის სილამაზე და არ დამალოს აღტაცება — კარგად ჩანს იმ ეპიზოდშიც, სადაც რკინიგზელ ინჟინრებთან ერთად უსხედან სუფრას დაგნი და ბაიარდი).

ავთანდილს კი ასე ადვილად ვერ მოვეშვებით. მის პიროვნებაში ყველაზე დასამახსოვრებელი და შესანიშნავი ის



დაგნი იული



არის, რომ მას „გატაცებით უყვარდა ეს ხვატიანი და ქვალორლიანი მთები და სურდა სხვებისთვისაც შეეყვარებინა“. ამიტომ ლაპარაკობდა ბევრს, უზომოდ იხარჯებოდა, გამოთქმით კითხულობდა ლექსებს რუსულად (როგორც ჩანს, ნანყვეტს „მწირიდან“), მღეროდა და ცდილობდა, თავისი ალფრთოვანება ცივი უცხოელებისთვისაც გადაედო. თან, ბაიარდის თვალების ბრიალის მიუხედავად, ალტაცებულ მზერას არ აშორებდა დაგნის...

სვეტიცხოვლის ხატება ქართველის მეხსიერებაში წარუშლელად აღბეჭდა კონსტანტინე გამსახურდიამ სწორედ ასე: „დღილით ხვლიკისფერია იგი, მოუღალავი მზით გაშუქებული, შეღამებისას ოქროცურვილია, ხოლო მწუხრის შემოდგომისას, თუ ვარსკვლავიანმა ცამაც დააღვა თვალი, ცას მიეჭრება მისი მრუდე ჰარმონიით აღვსილი ხაზების ზესწრაფვა“.

არანაკლები ემოციურობითაა აღწერილი ტაძარი და მისი შემოგარენი რუსულ მოთხრობაში: „როდესაც მწვერვალადან გადმოიხედეს და თვალწინ ცისფერ ლენტად დაკლაკნილი არაგვი და მოყვითალო მტკვარი, მათაა მოიხსიერო-ვარდისფერ იდუმალებაში მიმავალი სამხედრო გზა, მცხეთის ბანიანი სახლების სახურავები და თეთრად მოქათქათე სვეტიცხოველი გადაეშალათ, გულგრილობის საფარველი დაიმსხვრა — ალფრთოვანებისაგან დაგნი თითქოს მიწას მოსწყდა“ (არა, ამის დამწერს ეს პეიზაჟი უთუოდ ნანახი და განცდილი აქვს).

გიდი საზეიმო ხმით ამცნობს მოგზაურებს, რომ ტაძარში ქრისტეს საოცარი ხატი ინახება. შორიდან ისე ჩანს, თითქოს მაცხოვარს თვალები დახუჭული აქვს, მიახლოებისას კი „ქრისტე თავის უძირო, ლურჯ, ხშირი წამწამებით შემოჯარულ დახუჭულ თვალებს ფართოდ ახელს“. — ასეთი რამ მხოლოდ ჩვენთან შეიძლება ნახო! — ეს სიტყვები, ინტონაცია და პოზა მეგზურისა უნებურად გალაკტიონის (ალბათ, ყველა ქართველის) თავდაჯერებულ რწმენას ეხმიანება: **არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში...**

უბედურია კაცი, რომელიც ღვთის გახელილ თვალებს ვერ აღიქვამს. ასეთ ადამიანს ხომ არც უფლის ყველგანმყოფობა და ყოვლისშემძლეობა სჯერა. ღვთის ვერშეცნობი, ვერმიმღები სული დახშულია სიკეთისთვის, სიყვარულისთვის, მარადიულობისთვის და მხოლოდ წუთით, მხოლოდ ამქვეყნიურით ცხოვრობს. უხეში, თავხედი, პატივმოყვარე, სულიერად ღარიბი ბაიარდი ვერც თვითონ განიცდის და, რაც უფრო სამწუხაროა, ვერც ის წარმოუდგენია, რომ სხვები მართლა ხედავენ სასწაულს. ამის საპირისპიროდ რა რომანტიკული, ნაზი, ამალღეღვებელი და ზეღმტაცია ლეგენდა ორ მთვარეზე, რომელიც სტრინდბერგს მუნკისთვის უამბნია და იმასაც თქმულების ნამდვილობა დაუჯერებია. ის, რაც გენიოსთათვის ცხადი და მართალია, ჩვეულებრივი ადამიანისთვის შეიძლება უაზრობად მოჩანდეს.

ავტორი ფსიქოლოგის სიზუსტით, სავსებით დამაჯერებელი ნიაღვრებით განმარტავს დიადთა და შეშლილთა არსებობის მიზანს, ზუსტად ხსნის ბაიარდის ეჭვიანობის მიზეზსაც და ტრაგედიის გარდაუვალობის საფუძველსაც — ის, რაც ეპატიებათ საკუთარ ქმედებებზე ანგარიშიშეცემელ შეშლილებს, რომელთაც არავის მოკვლა არ შეუძლიათ, არავითარ შემთხვევაში არ ეპატიება ჩვეულებრივ ობივატელს, იმიტომ, რომ მისი გულწრფელი რისხვა აუცილებლად ტრაგედიით დამთავრდება. იმას, ვისაც არ ძალუძს ქრისტეს გახელილი თვალების დანახვა, ნებისმიერი ცოცხალი არსების, მათ შორის, ადამიანის მოკვლაც შეუძლია.

ეს ამბავი თბილისში, მოთხრობის მიხედვით, სასტუმრო „დარიალში“ მოხდა. ვერც ბუნების პირველყოფილებამ და უმანკოებამ, ვერც მოწმენდილი, შეუმკრთალი ციდან მომზირალმა ანგელოზმა, ვერც პირველი ქრისტიანების მიერ აგებული მონასტრის ხიბლმა ვერ მოუღბო ვლადისლავ ემერის გული, ვერ შეაგრძნობინა ქრისტეს გახელილი თვალების ნათელი და ტრაგედიაც ვერ ააცილა.

მოთხრობა კი მაინც რჩება უცხოელი მწერლის მიერ ჩვენი ქვეყნის პატივისცემისა და სიყვარულის გამომჟღავნების უტყუარ დასტურად, ერთ თვალსაჩინო ნიმუშად.

ზურაბ ნიყარაძე

# „მე ნაკლ-ეპისგან შევღებები“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როცა ადამიანისთვის აღრეულია სულიერი და მატერიალური ფასეულობანი და ვერ გარკვეულა, რა რას ნიშნავს. ეს არის უკიდურესი სულიერი დეკადანსი და დეპრესია.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— იქ, სადაც ვცხოვრობ, ანუ თბილისში.

— რა არის უმაღლესი ზედნიერება?

— სისასვე.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ჰამლეტი, დონ კიხოტი, ვაჟას გმირები.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ჟანა დ'არკი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— სეზანი, ფიროსმანი, ედმუნდ კალანდაძე. განსაკუთრებით მიყვარს მაღალი კლასიკის წინაპერიოდი, ვიდრე ხელოვნებას დახვეწისა და კრისტალიზაციის პროცესი შეეხებოდა.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ბაზი, მოცარტი, ვაგნერის ზოგიერთი ნაწარმოები, კვერნაძის პატარა-პატარა შედეგები...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— ნიჭს, გამბედაობას, კეთილშობილებას...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— მომხიბვლელობას. ქალი მატერიალური არსებაც არის და სიმბოლურიც. ბუნებასავითაა. მასში ყველაფერი ლამაზია. ეს მამაკაცები აფუჭებენ პეიზაჟს.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— გულუხვობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ხატვა.

— თქვენთვის ნაცნობი, რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— სრულყოფილი არავინაა. ამიტომ სჯობს, ისევ ის ვიყო, ვინც ვარ.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სადა მაქვს ხასიათი?!

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— უანგარობას. ბოლო დროს მეგობრობამ შეიძინა მომხმარებლური გაგება, რაც ჩემთვის ეჭვქვეშ აყენებს თვითონ ამ გრძნობას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— იმდენი ნაკლი მაქვს, რომ ვერ გამოვყოფ მთავარსა და მეორეხარისხოვანს. მე ნაკლებისგან შევდგები.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ამ კითხვას უკვე ვუპასუხე, უბრალოდ, განვმარტავ: სისავსე ემოციურ სამყაროს ეხება. მის მაქსიმალურ დონეს გულისხმობს — აღტაცებას, სიხარულს. გულიანად სიცილი მხოლოდ ბედნიერ ადამიანს შეუძლია. ასევეა გულლიაობაც — მეორე ადამიანის სულსა და გულში შეღწევა.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— უბედურება ჩემთვის არის განწირულობის გრძნობა, როცა გამოსავალი აღარ არსებობს და ყველაფერი აზრს კარგავს. ვერ ვიტყვი, რომ ეს განმიცდია, მაგრამ რაღაც ამდაგვარი ყოფილა ჩემს ცხოვრებაში.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— უფრო უნარიანი და პროდუქტიული.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ფერი ჩემთვის უშინაარსო აბსტრაქციაა; აი, ფერთა შეხამება და შეფარდებები, კი ბატონო! (ცა იმიტომ არის ლურჯი, რომ არსებობს ნარინჯისფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ვგიჟდები ყვავილებზე. განსაკუთრებით ვარდი მიყვარს — ძალიან დახვეწილია.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— შევარდენი. მისი ფრენა (ფრენა თავისთავად არაჩვეულებრივი სანახაობაა). ფარშევანგი ლამაზია, მაგრამ სულელური გამომეტყველება აფუჭებს.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— საყვარელი მწერლები დროსთან ერთად იცვლებიან. ბავშვობიდან მიყვარდა შექსპირი, შემდეგ — სერვანტიესი, ტოლსტოი...

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— რუსთაველი, პუშკინი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ანა კალანდაძე, ოთარ ჭილაძე...

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ალაზა, ნატაშა როსტოვა ახალგაზრდობაში.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ვინც საბჭოთა ეპოქას გაუძლო და თანაც სულიერი ენერჯის ხარჯვაც შეეძლო, ყველა გმირია.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან წამებული.

— საყვარელი სახელები?

— ანა, ნინო, სოფიო, ელენე, გიორგი, ალექსანდრე, თორნიკე... სხვათა შორის ძალიან მეტყველია მუსლიმანური სახელები, მაგალითად, სელიმ, მურთაზ — ხანჯალივით სახელებია. ქართულ სახელებში მეტი კეთილშობილებაა.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ძალადობას, უმადურობას...

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— სტალინი, ჰიტლერი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— მთელი ჩვენი ისტორია.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— საპატრიულო პოლიცია.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— ნიჭი, რომელიც ღმერთმა მომცა, ოღონდ უფრო მეტად დახვეწილი.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— მინდა ისე მოვკვდე, რომ ყველაფერი იყოს დაბოლოებული — ინტერესი, ფიზიკური მდგომარეობა, ტკივილის გრძნობა. ადამიანი

ისევე უნდა წავიდეს, როგორც მოდის — მინიმალური ტანჯვით, შეუმჩნევლად უნდა გაქრეს და შეუერთდეს ბუნებას.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— თითქოს მშვიდი, მაგრამ მაინც იმით შემფოთებული, რომ მკვეთრად ეცემა კულტურის მნიშვნელობა. სულიერი ფასეულობანი იმდენად გაუფასურდა, რომ იშლება კვალი ადამიანისა და ცხოველს შორის. ეკლესიაში სიარულიც კი აღარ არის გულწრფელი. თუმცა იმის მოლოდინიც მაქვს, რომ ეს მდგომარეობა გამოსწორდება.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— შეუწყნარებელია ერთი ადამიანის მიერ მეორის ჩაგვრა, განსაკუთრებით ბავშვის, მოხუცის...

— თქვენი დევიზი?

— რაც შეიძლება, ნაკლები სიყალბე!

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— შემიძლია ის გითხრათ, თვითონ რას ვეტყოდი: ღმერთო, შემინდე და სასტიკად ნუ დამსჯი...



ზურაბ ნიჟარაძე

რეზო ჭიშვილი

## ჭალია ბლოკი

მეგვარე!

უჩა ჭალიაშვილი.

...სოფელ ჭალიაღელედან (რაჭა) ვყოფილვართ წამოსულნი. ჯერ სოფელი ცუცხვათი, შემდეგ — სიმონეთი. ქუთაისი მასკვან! ახლა აღრიანი შემოდგომაა. ციცქა, ცოლიკაური, მოგივიდა მშვიდობა, ამ დროს იწურება... მაჭრობის თვე დგება. აგრილდება, წვიმები მოვა, ხის ფოთლებს სიყვითლე გადაუარს და მე პალტო არა მაქვს, ხეირიანი, გამოსასვლელი პალტო, ფული კი მაქვს, ცოტაოდენი, ჩემი წილი, სააგურის წყალობით, აგური გადის, კი, გასავლიანია... კაი წითელი აგური, ოკრიბული წითელი მინისა... ოკრიბა აქედან იქით!.. ოკრიბა ხომ იცით?.. ჩემგან იწყება, ჩემი სახლიდან. გადააბიჯებ ჩემ ეზოს, გადაიარ წითელმინიან ამ სერებს, იმ სერებს, იმ სერებს და მონამეთა... წითელი მინა, წყალწითელა... პალტო არა მაქვს, — ხეირიანი, მინა — კი, პალტო — არა, გამოსასვლელი პალტო... საჭმელი მეტი იყო მაშინ, ვიდრე ჭინჭი... მინა იყო, კი, მართალი ხარ, კაი წითელი მინა...

— პალტო არა, ხომ?

— არა.

და —

...მე გაყვინებო, გოგია მეუბნება, — მახათაძე, ბოთე, ბიძაჩემო, წყალტუბოს რაიონის რაიკავშირის თავმჯდომარის მოადგილეა, ნემსის ძაფსაც მაგენი არიგებენო; პალტოს კი არა, ნაბადს გამოგიტან, ყარაბალულ, თეთრ ნაბადსო... გოგია სულელი... არადა, სულელი მე ვარ, ის კი არაა... ნაყვევი, დავიარეთ მთელი წყალტუბო... კაცი ადგილზე ვერ ვნახეთ. თურმე რვა მარტია, დასვენების დღე...

გადაშუადღევედა იმასობაში და... რა ამის პასუხია და გოგიას ვეუბნები: — მუქთად, უმიზნოდ დავბოდილობთ და ხომ არ წავიხემსოთქვა? დილიდან ლუკმა არ ჩამსვლია პირში-მეთქი...

...ვერ გიმხელდი, თვარა, მაგის თქმას ვაპირებდი ზუსტადო, მიპასუხა.

მაშინ აქ შევიდეთ ბარემ, — რესტორანში, აქეთ-იქით სიარულის თავიც არა მაქვს-მეთქი...

კი ბატონოო, უარი არ უთქვამს(?), შევედით, დავჯექით. თითო ჭიქა ლვინოც ხომ არ დაგველია? — მე ვეუბნები, რომ შევნაყრდნი, მერე ვერ გითხარი, თვარა, მაგის თქმას ვაპირებდი და მომერიდაო. რავარი მორიდებული პერსონა მელაპარაკება, იცნობ გოგიას, იცი ვინცაა? — გიორგი (გოგია) მახათაძე. — ვიცი! — კაი ნამეტანი!.. თითო ჭიქა დასაყოლებლად, — ა?! არ გვანყენს?.. თითო ჭიქა რას დაგვაკლებს?! — ვერაფერსო. კაცური კაცი!.. დალიე თუნდაც ორი-სამი ჩაის სტაქანი და მორჩი... ტყუილს ვამბობ?! — როგორ გეკადრებო. შევედით, მოკლედ, შევეჯერდით ბოლოს თითო ბოთლზე და ვილაცამ, არც სახელი მახსოვს, არც გვარი იმ კაცის, ექვსი შამპანური გამოგვიგზავნა: იმ სუფრას (ჩვენსას) ჩემგანო, მიართვითო. მოგვარათვეს. მერე ჩვენ მივართვით სხვას! მერე მონიკელებული ურიკა მოგვადგა ცივი, დაცვარული ბოთლების რანკა-

რუწკით... მერე? მახსოვრობა ბინდდება... მუსიკოსებს რომ ჩავუჯეცი გიტარით, ეს მახსოვს...

და... ჯაფარიძის ქუჩის შუანელში ვდგევარ ამოხორავებულ წითელ მინასთან, — მარტოდ-მარტო... რა დროა, რა თვე, რა წელი, რომელი საუკუნე, — არ ვიცი... გოგია სულელი სადღა დამეკარგა? მიმატოვა, ვხვდები, მარა — სად ჩამომშორდა, — არ მახსოვს, არ ვიცი... წვიმს, მე ვდგევარ, ხან თვალები მებინდება, ხან თავი მყანთრავს და ვდგევარ ჯიუტად თხრილ-სანგრის წინ და ვიცი, რომ გაღმა, საითაც ჩემი სახლია, უნდა გავიგაღმართო. ბოძზე ელექტრონის ნათურა ბუტყავს... სახლის, სახლების ფანჯრებიდანაც ძლივს გამოდიან შუქები, ადამიანი არ ჩანს, გვიანია, ვხვდები და გაღმა უნდა გავიდე როგორმე... საამისოდ ჯერ ეს თავლია თხრილი, სანგარი თუ ტრანშეა, უნდა გადავლახო... აღარა ჩანს საცალფეხო, ცალმოაჯირიანი ეშმაკის ხიდი, დილით რომ დავტოვე? ჩემს მობრუნებად, სანამ წყალ-თხრილი-საკენ ავიღებდი სტარტს, აორთქლდა? როგორ წაილო წყალმა ის ფიცარ-ბოგირი?.. იქნებ შეუცვალა ვილაცამ ალაგი? არც ეს ვიცი. წვიმს. გაღმა ვერ გავდივარ, მარა უნდა გავიდე!..

დიდი დიამეტრის, ლითონის უზარმაზარ, რამდენიმეცონიან მილებს ალაგებდნენ წინა დლით, მაგრამ აქამდე არ მოსულან, ალბათ; ვერ მოვიდნენ თუ არ მოვიდნენ, არ ვიცი... ვინ შემეკითხა, რომ მცოდნოდა... კაი საქმე კეთდება, — წმინდა, გაფილტრულ რიონის ცივ წყალს ელოდებიან დაბლოპო: — სამტრედიაში, ხონში, დიდ ჯიხისში, პატარა ჯიხისში, საშუალო ჯიხისში. წყალი ჩვენი სასმელი, სარწყავი, წყალი სიცოცხლისა, — ასეა!.. აქედან, ამ თხრილიდან, ამ მილებით, ყველა არაა ჯერ ჩანყობილი, მიანოდებენ იმერეთის ბარს უკვდავების სასმელს... დიდი დიამეტრის სადენებით გაუშვებენ ქვევით მძიმე წყალს.. შემემინდა, პირველად რომ დავინახე ის მილები, — იმხელები!.. რომ მითხრეს, ესააო და რომ შევხედე, გავშტერდი... დიდებული საქმეა, ვალიარე, ოლონდ გამიშვან აქედან და რაც უნდათ, ის უქნიათ, იმას ვფიქრობ... დილაშე, გათენებამდე მაინც შორიაო, მღეროდნენ წყალტუბოს რესტორანში. მაინც რამხელა მილები მოიტანეს, დაულლული, მაკე ღორი, სვინია, გაეტევა მაგაში, ლუბოი მათგანში, მარა მე სანამდე უნდა ვიდგე აქ? ამოხორავებული წითელი მინა ადგილზეა, სამილე ალაგი გაჭრილია, გაკვალულია ბილიკიც ფეხოსანთათვის, მარა რად გინდა, ბოგირი აღარაა. შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო, ვიცი, მარა, — რა მარა?! სად წაიღეს ის ხიდ-ბოგირი, ესეც გასარკვევია... სად დავინახე? იქ, სათავეში, იქ ამსვლელი ვარ ამ რიბირაბოში?.. თვალებს ძლივს ვახელ, გადავხტები ბოლობოლო, მოიტა ხელი, ნაძლევი! რაზე?! საკუთარ თავს ველაპარაკები... სადაა ბოგირი, აიღეს?! რა გადვეს



სანაცვლოდ, ვის კითხავ? ძეხორცეული არ ჭაჭანებს იმ არემარეზე, გოგია დაიკარგა თუ დამკარგა? როდის დამშორდა? შუქებიც აღარ კიანთობენ ფანჯრებიდან. შემოსარები გზა არის, მარა შორია... ვინ წავა იმ სიშორეს. ელექტრონიც აღარაა... თენდებაო, ალბათ, თენდება, გადავახტები!... კარგ ფეხზე ვარ ამდგარი, — გადასახტომეთში ვდგავარ და გადავხტები კიდეც! ადამიანთა ფეხის ნაკვალევიც ჩანდა, რომ მოველი, ახლა ვეღარ ვხედავ... წვიმს უამურად, ჟინჯულავს... კი არ განვიმს და გასველებს, გალობს ეს წვიმა... უნდა გადავახტე. ამნაირ ალაგებში გადამხტარხარ!.. უჩაია, შე ძველო, გადახტი! ნებას მრთავს, — გადახტი! — უკვე ბრძანებაა და არა თხოვნა... გამოქცევით არ გამოვა, მინას წავედები ალაგობრივად! ადგილიდან სკუპით? ასე აჯობებს!.. დავიხიე და წაველი! გავშალე ფრთები და უწონობაში, ჰაერში, უფრო მეტხანს მომიხდა ყოფნა, ვიდრე ამას ჩემი ვარაუდი, გათვლა და უწონობა ითვალისწინებდა და... მოვადინე დღველემფვა ორმეტრნახევრიან (თვალდათვალ ასე გაიზომა) თხრილის ფსკერში, გამდინარე წყალტალახში. არა უშავს-რა, მოგიხდება!.. მომიხდასავით მართლაც და გამოვფხიზლდიო, რომ ვთქვა, არ ვიქნები მთლად მართალი, სხვა ჭკუაზე კი დავდექი და თავის გადარჩენის ინსტიქტიც ამოძრავდა. უსკუპია? პირველი ადგილი ავიღე ერთხელ ტექნიკუმში სიგრძეზე ხტომაში... ამას იმსიგრძე ფეხები აქვს, რო, რა გინდა შენო... — ჩაილაპარაკა შენუხებულმა, სხვა სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა... წავიდა ის დრო, ის წლები!.. თუმცა მას შემდეგ ფეხები აღარ გამზრდია, არც დამმოკლებია, მართალი გითხრათ! უსკუპია და მისი ჯანი! აბა, ერთი, ორი, სამი და ჰე და ჰე!.. და გაღმა ვერა, ბოდიში თქვენთან, მაგრამ კარგად, როგორც შემდეგ გაირკვა, კარგად ჩავვარდი შიგ თხრილში... მარცხი ვის არ შემთხვევია, შე კაი კაცო, ახლა გმართებს მოთმინება, რაჟდენიჩ!.. ახლა ასეა, მერე ისე იქნება... რა იქნება ისე, — აღარ ვიცი და დავრჩენილიყავ იმ წყალტუბოში, მამაჩემ რაჟდენსა აქვს ცხოვნება, კარგი იყო! დარჩით ბარელამო, გვითხრა იმ კაცმა. ვინ იყო, არც ვიცი! აქ დარჩენას იქ დარჩენა არ მერჩია?.. გოგია სულელმა ხო უშველა თავს!.. გაიქცა? მაგას გავაქცევ მე კარგად! თუ ვყოფილვარ უჩა! არადა, სულელი მე ვარ, გოგია კი არა! არაუშავს, რაჟდენიჩ, თან საქმე! — ვფხოჭნი მინის კედელს თითებით, ფრჩხილებით: რას შობი, რაჟდენიჩ, რა გაგჭირვებია? კაი მთხრელი მაჩვი იყავი — თხუნელა და ზილე ახლა ეს მინა!.. ვზილავ, ხელებში მეზილება ისედაც, ფეხსაცმლის ჭვინტები შედის მინაში და არ ჩერდება... რამ ჩამაცვა მოკასინები?.. მინა კი არა — ცომია, ხელის მიკარებაზე იშლება ზოგან. ლერლილია? არა, ჭადის ცომი, ყვითელი სიმინდის ანაცერი... ახლა საით? ქვევით, რასაკვირველია, ქვევით არაა სამარე?.. რატომ სამარე? ფსკერია. მინაა... — დედამინა?.. დედომინაც ქვევითაა. ქვევიდან არ დაინყეს დიდი დიამეტრის მილების ჩალაგება?! — გამინათდა გონება, ვიცი უკვე, როგორ უნდა ვიმოქმედო... წვიმს ხომ ისევ? — არა, ჟინჯულავს და კარგია! წაველი, მივალ მილთან სასურველთან, შევალ, შევდგები და ავალ... მარტივად, როგორც დავიბარებია, — ისე! მივდივარ, მივფხლანუნ-მივტყლაპუნობ, მხოლოდ — წინ! მივყვები ნიაღვარს, მაგრამ მილი არ ჩანს, უკუღმა ხომ არ წაველი? არა, წყალი უკნიდან მანვება სწორედ, უკუმუხლურამდე მწვდება, მილი არ ჩანს და რა გა-

მოდის?... გინდა ნითელ წყალს წაფულივარ, გინდაც შევმენყერს, გადამენურა იმედი და... ვკარი მოულოდნელად წვივი რკინას თუ თუჯს, გადავრჩი! გადავინერე პირჯვარი, დავიხარე, დავყვინე და ვაკოცე თუჯის მილს: ამოვყვინე!.. დაილოცა შენი გამჭედავი, დიდო მილო! შევედექი ზედ წვალებით, მივანიე ორთავ ხელი წინა კედელს და წინ დავცურდი, შევაქციე ზურგი წინას და უკან დავლევხდი... მილსაც ვეღარ უნდა ენდო გაჭირვებული კაცი?! მილიც გასრიალებულია, ფეხი არ მიჩერდება — არც წინ, არც უკან, რა გინდა, რომ ქნა?! თენდება, ლამდება, არ ვიცი: ვარსკვლავები ჩიდან, შესაბამისად — ღრმა თხრილიდან, ხომ უნდა გაბრჭყვიალდეს... აქ ცაც არ ჩანს, ვარსკვლავებს რა გამოაჩენს, არ არი. მთვარეც არაა ჩასული, თუ არც ამოსულა, წვიმაში რა ამოიყვანდა... ფეხის ხმაა, ჩუ, ჩუმად! „ბაში-აჩუკის“ სიმღერას ლილინებს ვილაც, ნაცნობ ტექსტს იყენებს შანსიანად (?) რა მადლიანად ანათებსო... მზე და მთვარეს ახსენებს, ჰე, ჰე, ჰე... შენი მთვარეო (მზეცაა) — მიყოლებით. ჰე, ჰე, ჰე, გამოუდის კარგად. ეს წავა, ჩაიარს? არა!.. აქაურია, ჩვენიანი... თუ არ შევეუძახე, არაფერი გამოვა.

— სიმონ!!! — კი არ ვიყვირე, დავიძახე გაბმულად, მელოდიურად. ლანდი გაილანდა და გაქრა, ცოცხის ტარი და მოვრჩხი აილანდა მოგვიანებით: — ქუსლიაა!

ქუსლია, უბნელი!.. მენაგვე-მხვეტელი, დვორნიკ. სუკა ბლიად!

დგას. ფიქრობს. ვხედები, არკვევს, — ვინ ეძახის...

— ქუსლია, მე ვარ!

სიჩუმეა, დგას ისევ, არ იძვრის... ცალი ფეხი, მარცხენა? კი, მარცხენა, — შებრუნებული აქვს; წინ ქუსლი, უკან ცერი და ოთხი თითი!

— ქუსლია!.. — ხმას აღარ მცემს.

— მე ვარ, უჩა!... ქუსლია!

— კიდო?!

— ვინ კიდო? ვინდა გინდა კიდო?! — ა... სხვაც თუაო, აინტერესებს, — სხვა არა, არავინ.

— მარტო ხართ?

— მარტო ვართ... ხართ არ გინდა!

— ზევით, — აჰა, რომ ვერაფერი დამაკელით, ქვევით გინდათ ჩამათროთ და გამძარცვოთ?! (ქვევით, თ... თ... თ...)

— ქუსლია, ცოცხი გადმონიე!...

— რა ცოცხი, მეტი არაფერი შემარჩინეთ და ახლა ცოცხსაც მართმევთ?!

...ვის უნდა ამის ცოცხი, ამ ცოცხადმკვდარის და კარგ-მომტყედარის...

— ცოცხი ჩამოუშვი!

— კიდო?!

— ბიჭო, ქუსლია, უჩა ვარ, შენი მეზობელი, უჩა, დამაკვირდი!

— გაკვირდები... მაინც ვერ გიცანი, ნითელი უჩა ხარ?.. როდის იყავი სულ ნითელი ან თლა ნითელი?

— აბა ახლა მნახე! — ქუდი მოვუხადე, სუფთა თავი ვაჩვენე.

— თმაზე (ისლა დამრჩა შეუტალახებელი) ხომ მცნობ?.. დამაკვირდი!

თმაც არაა შენო, მპასუხობს, — შუბლნაოჭიანი თავი გქონდა, ცოტა ნითელ-მითელიო; ახლა აყალოსფერია... თმა ასეთნაირად არ იცვლება, პიგმენტები, რამე, სხვაა...

„არ გამიხდა ეს შობელძალი პიგმენტ-კოსმეტოლოგი?!“  
— ქუსლია, დამიგდე ყური, თვარა მეორე ფეხსაც შე-  
გიბრუნებ და პირველს მიგანტყრე!

— დავრჩენილვარ აბა უფეხოდ!

— ბიჭო, უჩა ვარ, შენი ქუჩელი, ქაჩალი კი არა, ქუჩე-  
ლი, თანაც ფული მაქვს გადანახული შენთვის, უჩა ვარ,  
ურჩუტა...

— მეორე ვინაა? ერთი უჩა კი ხარ, მარა, მეორე უჩა ვი-  
ნაა? მკვდარია?

— სად ხედავთ უჩა (II) მეორეს, შენი მკვდარი და  
ცოცხალი, არ ამომიყვანო თვარა?..

— ამოდი მერე, ვინ გაკავებს, ვინაა შენი გამკავებელი!  
ფული მართლა გაქვს?..

— გაჩვენებ, რაც მაქვს! — ვაჩვენე მინიშნებით, მაგი  
შენ ყველას და შენ გვარში გასათხოვარსო, ჩაილაპარაკა  
გაუბედავად, არ ვუპასუხე; ამან — „გამოპასუხებამ“ გაჭ-  
რა თუ ფულმა, ვერ გეტყვით, მაგრამ გაჭრა და გადმოყო  
გრძელტარიანი ფორჩხი ქუსლიამ მოულოდნელად და  
თავზე დამადო, მივეპორჭყე, ამიპორჭყა და ავედი რო-  
გორღაც... ვდგევართ. მე გათენებას, ის ფულს ელოდება,  
— ჰონორარს...

— რამდენი გინდა?

— რამდენი ხარ?!

— რამდენსაც მხედავ...

— ერთი?

— ერთი! — მარტო ვარ, მარტოკა, ამ ცივმთვარის  
ქვეშ, შე მკვდარგაციებულ!

— მომეცი მერე ფული!..

— ფულს კი არა, ცივ ქვას მოგცემ, მე გალმა გავდიოდი,  
შენ გამოლმა ამომიყვანე ისთველე, ახლა სად წავიდე?..  
მართლა შენი მკვდარი და ცოცხალი! — ვაგინებ. წყინს,  
უხარია, ვერ გაიგებ...

— ნადი, მაშინ, ნულა მაცდენ (ხვეტას ინყებს), ჩემი გა-  
ჭირვება არ მეყოფა?.. ხომ ხედავ, — ვხვეტავ!

— ფეხი რას გიშვება?

— არი ისთე, რავარც იყო.

— ქუსლი წინ, ცერი უკან...

— ასე გამაჩინა გამჩენმა...

— მიგანტყრე მაგ ფეხსაც, თუ ვყოფილვარ უჩა ქალია!  
არ მივიდა იქამდე საქმე, მაგრამ სახლთან რანაირად  
მიველი, — არ მახსოვს...

ჯიმურამ, ვინ დაარქვა ჯიმურა? (ძალღია ჩემი), მი-  
უცხოვა, პატრონის სუნი იკრა, რაღა თქმა უნდა, მარა აყა-  
ლო ვერ იყნოსა ალბათ და ყმუილი დაიწყო...

— გაჩერდი, ძაღლო, შე ოხერო, დედაჩემს შეაშინებ,  
ხომ ვიცი, არ ძინავს!

არ იძინებდა ჩემ მისვლამდე, გამორიცხული იყო. ან  
უნდა დამებარებინა, ვერ მოვალთქვა, ან უნდა დამერეკა,  
ან, ან და ღია კარშია, უძინარი, მოჭუტული თვალებით  
იხედება სინათლიდან სიბნელეში:

— უჩა, ბიჭო, სად იყავი?

— მინაში!

პაუზა:

— ურჩუტა, ნითელი პალტო იყიდე?

— კარჩინი... შემთვალული მარწყვის ფერი.

— მე მოგიკვდი, — უჩა, დედა, რატომ გყავს დედა  
ცოცხალი?.. ეს აყალოა? სად იყო, სად ინეტი? ნითელ მი-

ნაში?.. როგორა ხარ ამოქვარქმნილი?!. თუ პალტოა მაგ  
ფერის?...

— პალტო!

ვაყანყალე თავს ვერტიკალურად, პალტოა-მეთქი, ვე-  
თანხმები, არ ჯერა, მატერიის სიმკვრივე და სიმყარეც  
აინტერესებს, მოკიდა ხელი და იკივლა.

— აყალოში ხარ?! — არ მომეკარო, სახლში არ შემოხ-  
ვიდე! ამას რა ჩამოყრის?! რა ჩამოაშორებს, სად შემიძ-  
ლია, ნარგიზა, გამოიხედე!

— მიძინავს, დედა, მე! — ეხმინება ნარგიზა საძინებე-  
ლი ოთახიდან.

— მოისპე შენ!

— მეე?!

— შენც, თუ ძალიან გინდა!

მოისპე შენო, ესე იგი, მე... თუ ის, ორთავენი ალბათ...  
შვილი და რძალიც?..

დედა არ ჩერდება:

— სად იყავი, გამაგებინე?!

— მინაში.

— ნითელ მინაში?

— ნითელში!

— სახლში არ შემოხვიდე. ეს ქალი არ შეშალო. — მომი-  
ხურა კარი.

ჯიმურამ არ მიმატოვა, სარაიაშიც შემომყვა, თივის  
აბურჯგვნასაც — რას შვრება ეს კაციო, — მიაქცია ყუ-  
რადღება. შემოსასვლელში დაყუნცდა შემდეგ და მზის  
ამოსვლამდე მდარაჯობდა... ჯიმურა ეძახე შენ!

ჯიმურა რა სახელია?..

— ძაღლის სახელია. ვინ მონათლაო, — არ მკითხოთ!  
— არ ვიცი!

ჯიმურაც ეუცხოვებთ უცხო პირებთ!

...ახლა ეს მითხარი, ის ღამე როგორ გათენდა?

— ჩვეულებრივად, იწერ?

— ვიმახსოვრებ...

— გამრეცხეს მზის ამოსვლამდე, მომიშვეს ცივი წყა-  
ლი შლანგით, გამრეცხეს... იწერ?

— კი, ბატონო, ბლოკი ვინ შეგარქვა?

— ბლოკებმა! მე ხომ სამშენებლო ბლოკებით დავიწყე  
და მალე გადავედი აგურზე. იქ უკვე, ჩემს წინ, მონამეთას  
ჩათვლით, ვიდრე გელათამდე, მიწა სულ ნითელია... გინა-  
ხავს გამოუნვაი, ნითელი აგური? იმას დანყობა უნდა და  
გამოშრობა მზის ყურში. ღამე, უღრუბლო, უნოტიო ცის  
ქვეშ ჯვარედინად დანყობილ აგურებში ხმელ ნაფოტებს  
ვდებთ და ცეცხლს ვუკიდებთ. გინახავს ჭიაკოკონა ღამით,  
შორიდან? ათასი მოციმციმე სანთელი? ციცინათელობენ  
ქართულ აგურებში სანთლები ერთდროულად, ჭვრინავენ  
ღამის ფრინველები ღამეში და ციმციმებენ სანთლები...

იქა ვარ ისევ, თხრილთან.

— ...ისევ ჟინჟლავდა... შემოდგომის ცაზე ღრუბლები  
რიალებდნენ ნაფლეთ-ნაფლეთ... ხან ეკვროდნენ, ხან  
შორდებოდნენ ერთმანეთს. აღარ წვიმდა და მთვარეც არ  
ჩანდა... ქალაქი დენს, ეგრეთ ნოდებულ ელექტროენერგი-  
ას ზოგავდა მაშინ და მე იმ დროს ნაფოტით, ცეცხლწაკი-  
ნებულ ხმელი ნაფოტით ვაშრობდი გაუმშრალ აგურს.

— ბლოკს რატომ გეძახიან?

— ხომ გითხარით, კიდევ კარგი, აგური არ შემარქვეს.  
ერთ დროს მხოლოდ სამშენებლო ბლოკებს ვაკეთებდი და...

...გასაგებია.

მეორე დღეს ქალაქის ბაღში ვიჯექით... ცნობის ქა-  
ლადს ელოდა, დამპატივებელი არ ელოდა...

...გადავიდეთ, უჩა, აგერ, ვისადილოთ, ნუ დავლევთ, არაა  
სავალდებულო! დავილოცოთ!.. რაჟდენიჩ, ხინკალი, პივა...

— არა, კაცო, სახლი მენგრევა თავზე და მიშენების უფ-  
ლება ვერ ავიღე! არადა სიძეა, დის ქმარი, შეყუდებული...

— რა არი?... შეუდარებელი?

— შეყუდებული!

???

\* \* \*

ჭალია ბლოკი, ჭალია(შვილი) უჩა რაჟდენის ძე... და სი-  
ძე იმისი — დის ქმარი — ძველი სახლის აღებას, ახლის  
აგებას აპირებდნენ. ნებართვას, პროექტის დამტკიცებას,  
მინის ნაკვეთის შემომტკიცებას და სხვა უფრო წვრილმან  
საკითხებს დიდი დრო მიჰქონდა და ერთ ფარატანა ქა-  
ლადს ქალაქის ბაღში ელოდნენ იმ დღეს, — ქალაქკომის  
ნინ; უკვე ციოდა, იჯდა სკამზე უჩა და იყო. ძველი ნაცნო-  
ბი, თანაკლასელი ან თანატექნიკუმელი ჩამოუვლიდა ერ-  
თიდაიგივე შეკითხვით: ხომ არ გვესადილა ჭალია, — ა?

...საქაბაბე ბიკენტია, აა?!

— ვერა, ბიჭო, ვერა... ქალადს ველოდები, თანაც სი-  
ძე უნდა შევცვალო...

— რა ჭირს შესაცვლელი ან რატომ უნდა შევცვალო?!

— უკვირდა მეპატიყეს.

— სახლი გვენგრევა და სიძეა შეყუდებული... დრო  
ენურება და?? უნდა შევეყუდო... უნდა შევცვალო...

— სანამდე გინდა იგლახაო, უჩაია ბლოკო?... ლადაობ  
ხომ?

ლადაობდა კიდევ, — ხან სიძეს ცვლიდა, ხან სახლს  
ეყუდებოდა... სახლის სამშენებლო მასალებზე, ცნობებზე,  
ნებართვაზე და საყიდლებზე გამომწესებული... ხშირად  
აფორიაქებული იყო, თუმცა ჩვენთან მაინც ჩამოჯდებო-  
და — გრძელ სკამზე...

— ესე იგი, სახლი გვენგრევათ?..

— უეჭველად!

— ცალი კედელი ჩამოშლილია თუ იშლება და ხან შენ,

ხან ის, ახლა სიძეა შეყუდებული, ენაცვლებით ხოლმე ერ-  
თმანეთს?..

— უეჭველად!

— ახლა სიძეა, ხომ, შეყუდებული?

— სიძე, კი... მურთაზია არა ხარ შენ?.. კი ხომ?! საიდან  
იცი ამდენი?!

— მთელმა ქალაქმა, გოროდმა გაიგო და მე რა... სიძე,  
ესე იგი...

— სიძე, მუშას ადგას ახლა თავზე და უკვე ნერვიუ-  
ლობს...

— კორნელი, კორნელი არ ჰქვია?

— ჰო, კორნელი, ბეჭზე აწევს საყრდენი კედელი და  
უნდა შევცვალო...

— შენ ავაშენა ღმერთმა!.. გესმით, რას ამბობს ეს კაცი?!

— ნებართვაა საჭირო და მერმეთ სიძესაც ეშველება

.....

— სიძეს რა ჭირს?

— შეყუდებულია, ნავალ, შევცვლი...

...

შემაღბ!

...ავტოქარხნის საბარგო ავტომანქანების სათადარი-  
გო ნაწილების საწყობი ჩააბარეს, მოულოდნელად მოუც-  
ლელი შეიქნა. გოგია სულელი (მან შეარქვა) სულ იქ ეჯდა  
თანამემწესავით, — დღის ბოლომდე. სამუშაო საათების  
დამთავრებისას „ვარიანტი ავარდებოდა“ — უეჭველი და  
გოგიას საქმე აღარ ელოდა, გოგია აქეთ, გოგია იქით და  
სუფრის წევრის სტატუსით ჯდებოდა ბოლოს განყოფილ  
მაგიდასთან უახლოეს სასადილოში:

— გოგია სულელი, სულელი უძახე შენ!..

...

— ...რა ვქნათ, ბიჭო, გოგია. ბატონო გიორგი?... ხელმ-  
წიფის ტოლი კაცი გვესტუმრა, უპატივცემულად დავ-  
შორდეთ ერთმანეთს?

— არა, კაცო, — მაგი არ გამოვა.

— სწორია, სწორი მოხვდა ზოგიერთს და შენც მაგას  
ფიქრობ ხომ?... ავტორია, სხვა თუ არაფერი... მართლა,  
რას ფიქრობ?

— რასაც შენ, — იმას, სხვა რა უნდა ვიფიქრო, მომეცი  
ფული, გადავალ აგერ, შორს წასვლა არ დამჭირდება, გა-  
ვანჩენ ყველაფერს და გადმოვიტან, რა გინდათ თქვენ?

— ჩვენ რაც გვინდა, გითხარით და შენ გინდა ფული, —  
ფული თუ მოგეცი, კი გააჩენ და კი გადმოვიტან, მაგრამ  
საწყობში ვცეთ პატივი ამ კაცს... არ გამოვა! მაყუთი არ  
არი მთავარი, მთავარია გული და არა ფული, თანაც  
გვაქვს უფაქტურო, ჩამონანერი „კამაზის“ რული, ესე  
ვთქვათ, — საჭე და მე და ავტორი (ესე იგი — მე) ვტოვებთ  
აქაურობას დროებით...

— ?..

— ...არი მუშტარი, იხვენება ის კაცი, ოღონდ ჩვენ უნ-  
და გადავუტანოთ.

— ჩვენ?.. ჩვენ კი არა, — შენ!.. — რული, — საჭე-  
მონყობილობა — გადაწყდა, — მოგაქვს შენ; გადიტან  
ქუჩაში გარღვეული ღობის იქით, იცი, სადაც, გადმოგი-  
ტან, ჩაგვაბარებ, ჩვენ სხვას ჩავაბარებთ, მუშტარი არი და  
კაი პურსაც ვჭამთ, თანახმა ხარ?!

— მე კი, სტუმარი? — (მეზეა ლაპარაკი)...

— სტუმარი ღვთისაა...

— გასაგებია...

— ერთიც: ჭალია, მე რომ აქვე გამძაგრონ შენი რუ-  
ლით, რა უნდა ვქნა?

— მუშა ხარ ვითომ, — მტვირთავი, — დამადევი ხელი  
პირდაპირ, ამან მომცათქვა, მომცა კი არა, მთხოვათქვა,  
ასე აჯობებს, მოკლედ... გადმოვიტან ღობემდე, — ღობეში,  
დანარჩენი მე ვიცი... და ჩვენ ახლა ავეორთქლებით, რო-  
გორც კი ღობეში გამოყოფ თავს, ვდგებით კი არა, ვაშე-  
შებთ ფხოკიალით მანქანას და ვდებთ შიგ რულს, ვჯდე-  
ბით, ვითესებით... გასაგებია?!

— კი და, რას იწონის ის მონყობილობა, იცი?

— ასოცი კილოა.

— მერე?

— შენთვის არაა პრობლემა!

— არაა კარგია!

— მაშ ასე... ამას მოაქვს „კამაზის“ რული, ასოცი  
(120???) — სტო დეადცათ კილოგრამ — რავარი საქმეა?!

— ცოდვაა, ჭალია!...

— არა უშავს, არ მონყდება საცოლე ასო, წელი, უკაც-რავად... ის კაი იყო, ღამეები რომ მათენებინა ხვინჭის მოლოდინში?!

— არაა, ჭალაია, მაგი გლახა კაცი!

— ძმა ჩემი, — ძმაკაცი... გლახა რა შუაშია, ბოთე კია... ამოათრიოს ახლა მაზის რული გარღვეული ღობის იქით, იცის, — სადაც... გადმოვიტანს, ჩაგვაბარებს, ჩვენ სხვას ჩავაბარებთ, მუშტარი არი და კაი პურსაც ვჭამთ, თანახმა ხართ?

— ჩვენ კი, სტუმარი? (მეზეა ლაპარაკი)...

— სტუმარი ღვთისაა...

— გასაგებია.

— და მაინც, მე რომ აქვე გამძაგრონ, კიდევე გეკითხები, შენი რულით, რა უნდა ვქნა?

— დამადევი ხელი პირდაპირ, ხომ გითხარი: ამან მომცათქვა, მომცა კი არა, მთხოვა-თქვა, ასე აჯობებს, მოკლედ, გადმოიტან ღობემდე, ღობეში, დანარჩენი მე ვიცი...

— ნამეტანი კაი...

...ჩვენ ახლა ავევრთქლდებით, როგორც კი ღობეში გამოყოფ თავს, ვდგებით კი არა, ვაშეშებთ მანქანას და...

— ვვდებით შიგ, ვვდებით, ვითესებით...

— რას იწონის ის მონყობილობა, იცი შენ?

— მეტი რა ვიცი, ასოცი კილოა.

— მერე?

— ასოცი (120 კგ.) — სტოდვადცათ კილოგრამ, ხომ გითხრეს.

— მე თვითონ 60 კილო ვარ, ცოტა მეტი, ჰა და ჰა, 67 — ამ „წონით კატეგორიაში“ ვჭიდაობდი, ამასაც ავწევ, მოვერევი, ამიწვეია და ავწევ, მარა უხერხული არ გამოვიდეს, ხალხი მიცნობს, რას იფიქრებს, მოკაკულს რომ დამინახავენ?!

— შენ კარგად იყავი, ვაჟავეჩი!

— ის როგორ იყო, მკვდარი რომ დაჭერი?..

— დავჭერი კი არა, — მოვკალი. რა შუაშია ახლა ეს?!

— ამან არ იცის და იმ შუაშია.

— დანერს მაგი და მომეჭრება თავი, სიტყვა ზეპირი სხვაა, დანერილს, დაბეჭდილს ნაჯახით ვერ ამოშლიო, ასე არაა ნათქვამი?

— ასეა, კი!

— ასე ყოფილა და ასეც მოხდა, ეს სხვიმის...

— ახლა სიძეა ხომ შეყუდებული?

— სიძე, კი.

— ლადაობს?..

— კი!

— კორნელი სადაა, — სიძე?

— იქ!.. იმ ჩემ კორნელის ბეჭზე აწევს საყრდენი კედელი და უნდა შეეცვალო...

— შენ აგაშენა ღმერთმა!

— ნებართვაა საჭირო და მერმეთ სიძესაც ეშველება.

— ...ეს ყველაფერი კაი და სტუმარს რა ვუყობ? ხელმწიფის ტოლი კაცი გვესტუმრა, უპატივცემულოდ დავშორდეთ ერთმანეთს?

— მაგი არ გამოვა... — თქვა გოგიამ.

— გაიგონე?..

— შენ რას ფიქრობ?

— მე რა უნდა ვიფიქრო?

— ფიქრი არ მჭირდება, საქმე!

— მომეცი ფული და გავასაქმებ... გადავალ, შორს წასვლა არ დამჭირდება და აქ გავაჩენ ყველაფერს, გადმოვიტან, რა გინდათ თქვენ?

— ჩვენ რაც გვინდა, გითხარით და შენ გინდა ფული, ფული თუ მოგეცი, კი გააჩენ და კი გადმოიტან, მაგრამ საწყობში ვცეთ პატივი ამ კაცს? არ გამოვა (მეზეა ლაპარაკი). მაყუთი არ არი მთავარი, მთავარია გული და არა ფული, თანაც გვაქვს (კამაზის) რული, ესე იგი — საჭე და ავტორს (მე — ესე იგი) ვტოვებთ აქ კი არა, — აქვე...

...მიხედავს აქაურობასაც დროებით. რული, საჭემონყობილობა მიაქვს გოგიას. ის, ეს, აქა ხარ? გადაიტანს ქუჩაში.

— სხვანაირად არ გამოდის?..

— არა!

— ახლა სიძეა ხომ შეყუდებული?

— სიძე, კი...

— ისე აშენდით თქვენ!

— მუშას, კალატოზს ადგას, კაცო, თავზე შუადღემდე, მერე ჩემი ჯერი დგება, დღეს მეორე ცვლაში ვარ...

— შენ სიძეს კორნელი ქვია, ხომ?

— კორნელი, კი...

— და ახლა კორნელია შეყუდებული?

— კორნელი.

— და იმას აწევს საყრდენი კედელი ბეჭებზე?

— ეგრეა, კიდევე რა გაინტერესებს?.. უცბად მკითხე!

— უკვდავი ხარ, მოკლედ, ას წლამდე ისე იცოცხლებ, როგორც არაფერი!..

— ...სახლში არ შემოხვიდე. ეს ქალი არ შეშალო და არ გადარიო!.. — შინ შევიდა, მომიხურა კარი. ჯიმურამ არ მიმატოვა, სარაიაშიც შემომყვა. თივის აბურჯგენასაც — რას შერება ეს კაციო, — მიაქცია ყურადღება. შემოსასვლელში დაყუნცდა შემდეგ და მზის ამოსვლამდე მდარაჯობდა... გაუთენებელზე სარაიის (სრა-სასახლის) სხვენში ავეფი შიგნიდან მოკლე კიბით. თივის და ჩალის ნარჩენები ავეფი ჩე. გიტარა ამოვიღე, მშრალი და გაბზიანებული დამიხვდა, სიმებაუნყოფელი. გავაპრიალე ისევ, სიმები ავაჟღერე ყრუდ...

— ჯიმურა რა სახელია?

— ძაღლის სახელია. ვინ მონათლაო, არ მკითხო, არ ვიცი!

ჯიმურაც ეუცხოებათ უცხო პირებს?!

... ძაღლის სახელია...

— კი ბატონო, ბლოკი ვინ შეგარქვა?

— ბლოკებმა! მე ხომ სამშენებლო ბლოკებით დავინყე, გადოლებითიდან რომ გამომიშვეს. დავინყე და გადავედი ავურზე. იქ, უკვე ჩემს წინ, მონამეთას ჩათვლით ვიდრე გელათამდე მიწა წითელია... გინახავთ გამოუნწავი წითელი ავური? იმას დანყოფა უნდა და გამოშრობა მზის ყურეში. იოლი არ გეგონოთ!.. უღრუბლო, უნოტიო ცის ქვეშ ჯვარედინად დანყოფილ ავურებში ხმელ ნაფოტებს ვდებთ და ცეცხლს ვუკიდებთ. გინახავთ ჭიაკოკონა სააგურეში, ღამით, შორიდან? უთვალავ მოციმციმე სანთლებისთვის მოგიკრავთ თვალი? ციციანათელობენ ქართულ გამოუნწავ ავურებში ბურბუშალები, ჭვრინავენ ღამის ფრინველები ბნელში და ციმციმებენ თაფლის სანთლები.

ისევ ჟინყლაგდა შემოდგომის ცაზე... ღრუბლები რიალებდნენ ნაფლეთ-ნაფლეთ... ხან ეკვროდნენ, ხან შორ-

დებოდნენ ერთმანეთს. არ წვიმდა, მთვარე არ ჩანდა... ქალაქი დენს, ეგრეთ წოდებულ ელექტრონერგიას ზოგავდა და იგი ნაფოტით, ხმელი ნაფოტით აშრობდა გაუმშრალ აგურს.

– ბლოკს რატომ გეძახიან?

– ხომ გითხარით, ერთ დროს სამშენებლო ბლოკებს ვაკეთებდი და... კიდევ კარგი, აგური არ შემარქვეს, აგურიც გავიარე...

...

მეორე დღეს ქალაქის ბაღში – ბულვარში ვიჯექით. იგი ცნობის ქალაქს ელოდა, დამპატივებელი არ ელეოდა იმასობაში.

– გადავიდეთ, უჩა, აგერ სტუმართან (მეზე) ერთად ჯაჭვის ხიდთან, დუქანში ვისადილოთ, ნუ დავლეთ, არაა სავალდებულო! დავილოცოთ!.. რაჟდენიჩ, ხინკალი, პივა... ამ კაცს (მე) ვცვთ პატივი, სხვა თუ არაფერი. რას იტყვი?!

– არა, კაცო, სახლი მენგრევა თავზე და მიშენების უფლება ვერ ავიღე, არადა სიძეა, – დის ქმარი შეყუდებული.

– რა არის?

– შეყუდებული!

ჭალია ბლოკი, ჭალია(შვილი) უჩა რაჟდენის ძე... და სიძე იმისი, – დის ქმარი, კორნელი – ძველი სახლის გადაბრუნებას აპირებდნენ. ნებართვას, პროექტის დამტკიცებას, მიწის ნაკვეთის შემომტკიცებას და სხვა უფრო წვრილმან საკითხებს... უსაშველო ჭირდა: ერთ ფარატიონა ქალაქსა და ქალაქის ბაღში ელოდა იმ დღეს, – ქალაქკომისინი იჯდა სკამზე ჭალია ჩემთან ერთად და მე ვიჯექი მასთან... ძველი ნაცნობი, თანაკლასელი ან ყოფილი თანატექნიკუმელი, მისიანი ან ჩემიანი ჩამოივლიდა, მიკითხვა-მოკითხვა და შეკითხვა: ხომ არ გვესადილა?... საქაბაზე, ბიკენტია, აა?

– ვერა ბიჭო, ვერა... ამას (მეს) არ ცალია, მე ქალაქს ველოდები, თანაც სიძე უნდა შევცვალო...

– რა ჭირს შესაცვლელი ან რატომ უნდა შევცვალო?! – უკვირდა მეპატიჟეს.

– სახლი გვენგრევა და სიძეა შეყუდებული... დრო ეწურება და მე უნდა შევცვალო...

– სადამდე უნდა იგლახაო, ჭალია ბლოკო?... ლადაობ ხომ?

ლადაობდა კიდევ, – ხან სიძეს ცვლიდა, ხან სახლს ეყუდებოდა. სახლის გადაბრუნებაზე, მასალებზე, ცნობებზე, ნებართვაზე და საყიდლებზე მართლა იყო იმ დღეს გამომწესებული და მოულოდნელად გადავეყარეთ ერთმანეთს. აფორიაქებული მეჩვენა და არც შევმცდარვარ...

– სახლი თავზე გვენგრევა, ხომ გახსოვს შენ ჩემი სახლი, როგორ არ გახსოვს, მეც გეკითხები რა! დაფხავებული იყო მაშინაც და ახლა სულ დაირეხვა. უნდა გავაახლოთ, მოგვეცა საშუალება, მაგრამ ნებართვა ვერ ავიღეთ. უარს კი არავინ გვეუბნება, დღეს, ხვალ, ზეგ და ასე!.. ესენი ვინ არიან? მე მაგათი დედა ვატირე!.. ჩემი საკუთარი სახლის გადაბრუნება მინდა, მაგათის კი არა, მე მაგათი!.. ცალი კედელი ჩამოშლილია თითქმის, მეორეც იშლება, ხელის შევლება აღარ შევლის, შეყუდება უნდა და ვეყუდებით ხან მე, ხან ჩემი სიძე.

– ენაცვლებით ხოლმე ხომ ერთმანეთს? – შეგვეშველა გამვლელი, რომელიც ვერ ვიცანი და რომელმაც დიდი პატივისცემით მომიკითხა იმის შემდეგ: – ამასო, უჩაიას, სახლი ენგრევაო, ამიხსნა, როცა ჩემი ჩამოსვლის საათი, წასვლის დღე და რიცხვი დააზუსტა.

– ახლა სიძეა, ხომ, უჩაია, შეყუდებული?  
– სიძე, კი... შენ, შე ჩემის ბლანჯო, საიდან იცი ამდენი?  
– მთელმა ქალაქმა გაიგო თქვენი ამბავი და მე რა ისეთი გაუგებარი მნახე, ახლა სიძეა ხომ შემდგარი ამირანივით?

– სიძე, კი. მუშას ადგას, შე ჩემისა, თავზე და უკვე წერვი-ულობს... ამირანი არა, ყარამანი.

– კორნელი? კორნელი არ ჰქვია?

– ჰო, კორნელი, ბექზე აწევს საყრდენი კედელი და უნდა შევცვალო...

– კორნელი? კორნელი არ ჰქვია?  
– ჰო, კორნელი, ბექზე აწევს საყრდენი კედელი და უნდა შევცვალო...

– კორნელი? კორნელი არ ჰქვია?

– ჰო, კორნელი, ბექზე აწევს საყრდენი კედელი და უნდა შევცვალო...

– შენ აგაშენა ღმერთმა!.. გესმის, რას ამბობს ეს კაცი?!

– ნებართვაა საჭირო და მერმეთ სიძესაც ეშველება.

– სიძეს რა ჭირს?

– შეყუდებულია-თქვა, ხომ გითხარი, ნავალ, შევცვლი...

– დაყუდებული გამიგია, შეყუდებული – არა!

\*\*\*

...ავტოქარხნის საბარგო ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების სანყოფი ჩააბარეს, მოულოდნელად მოუცლელი შეიქნა. გოგია „სულელი“ (მან შეარქვა) სულ იქ ეჯდა თანაშემწესავით (რა „სავით?“ – იყო „სავით“) – დღის ბოლომდე. სამუშაო საათების დამთავრებისას „ვარიანტი“ ავარდებოდა უეჭველი და გოგიას საქმე აღარ ელვოდა, გოგია აქეთ, გოგია – იქით და სუფრის წევრის სტატუსით ჯდებოდა ბოლოს სუფრაზე უახლოეს სასადილოში:

– გოგია სულელი! სულელი უძახე შენ!..



მხატვარი ნინო მამაცაშვილი



\* \* \*

— რა ვქნათ, ბიჭო გოგია, ხელმწიფის ტოლი კაცი გვესტუმრა, უპატივცემულოდ ხომ არ დავშორდეთ თუ დავემალეთ?

— არა, კაცო, მაგი არ გამოვა!

— სწორია, სწორი მოხვდა ზოგიერთს!.. ავტორია, სხვა თუ არაფერი. რას იტყვი?

— მე რა უნდა ვთქვა, მომეცი ფული, გადავალ, შორს წასვლა არ დამჭირდება და აქ გავაჩენ ყველაფერს, გადმოვიტან, რა გინდათ თქვენ?

— ჩვენ რაც გვინდა, ვითხარით და შენ გინდა ფული, — ფული თუ მოგეცი, კი გააჩენ და გადმოვიტან, მაგრამ სანყოფინით ვცეთ პატივი ამ კაცს? არ გამოვა! მასუთი არ არის მთავარი. მთავარი გულია, გული და არა — ფული, თანაც გვაქვს უფაქტურო, ჩამონანერი (ჩამონერილი იყოს) „კამაზის“ რული, ესე იგი საჭე და მე და ავტორი (ესე იგი — მე) ვტოვებთ აქაურობას დროებით. შენ რას იზამ?

— შემანერე უკვე და რაღას ვიზამ, გადმოვიტან, თუ შევძელი!

— ლობემდე უნდა მოაფხოკილო როგორმე... არი მუშტარი, იხვენება ის კაცი, ოღონდ ჩვენ უნდა გადავუტანოთ ფარულად.

— ჯიბეში ვერ ჩავიდებ, ლობემდე მოვათრევ, მერე შენ გინდა ფარული დაარქვი, გინდაც ვერდაფარული იმ ჯაროს!..

— კამაზის ფესვები, შე ჩემა, შენი და ჩემი კი არაა, საერთოა, ჩვენია ის, ეგრეა? კი, ხომ? რული და საჭე-მონყო-ბილობა... კარგი, გადაწყდა: ანუ შენ, გადმოვიტან ქუჩაში გარღვეული ლობის იქით?.. იცი — სადაც, ჩაგვაბარებ, ჩვენ სხვას ჩაგვაბარებთ, მუშტარი არი და კრება დარჩება მხიარული და კაი პურსაც ვჭამთ, თანახმა ხარ?!

— მე კი, სტუმარი რას იტყვის?

— სტუმარი ღვთისა... ასე არ არის, გიორგი? შინაურულად — გოგიავ?

— ასეა კი, სტუმარი, ვიმეორებ, — რას იტყვის?

— მე არა მაქვს კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლება, მაგრამ დუმილი თანხმობის ნიშანია, თუ არა და სიტყვიერადაც დაგეთანხმებით, არ არის პრობლემა...

— გასაგებია და მაინც: მე რომ გამძაგრონ, ამისი, შენი რულით, რა ვქნა, ბატონო ჭალია?

— მუშა ხარ, ვითომ, — მტვირთავი, — დამადევი ხელი მე — პირდაპირ, თუ მაინცდამაინც, ამან მომცა-თქვა, ასე აჯობებს, მოკლედ, გადმოვიტან ლობემდე ან ლობეში, დანარჩენი მე ვიცი ... ავტორი გველოდება, დროს ნუ დაკარგავთ!..

...ახლა ავორთქლდებით და როგორც კი მესერში გამოყოფ თავს, დაგადგები პროექტის ავტორთან ერთად, ვაშეშებთ ფხოკილით იქვე მანქანას და ვდებთ შიგ რულს, ვჯდებით, ვითესებით... გასაგებია?

— რად გვინდა მონმე-მეთვალყურე, მწერალი და ჟურნალისტი, რაჟდენიჩ? — პასუხი არ არის.

— ... რას იწონის, რაჟდენიჩ, ის მონყობილობა, თუ იცი?

— ვიცი, ასოცი კილოა.

— მერე, რას ფიქრობ შენ?

— არაა შენთვის პრობლემა.

— თუ არ არი, კი ბატონო.

— მაშ ასე, შენ მოგაქვს „კამაზის“ რული, ასოცი (120) კილოგრამი, სტოდვადცატ კილოგრამ!!!

— ცოდვა ვარ, ჭალია!

— არა უშავს, არ მოგწყდება საცოლე ასო, წელი, უკაც-რავად ...

— ცოდვა ვარ, ჭალია, მოვკვდები.

— კოჭლობით არ კვდებიან... ის კაი იყო, ღამეები რომ მათენებინე ხვინჭის მოლოდინში? ჭიშკარი ღია დატოვეო, მოვა ნაშუალამევს დიდი თვითმცლელი და დაყრის საუკეთესო ხრეშსო. მთელი ღამე თავი მქონდა გაყოფილი ფანჯარაში, რისი ხრეში, რა თვითმცლელი? არაფერი...

— განგებ კი არ უქნია, ვერ შეძრო... არაა, ჭალია, მაგი გლახა კაცი. — ჩაერთო ავტორი.

— ძმა ჩემი, ძმაკაცია... გლახა რა შუაშია, ბოთე კია... გამოათრიოს ახლა „კამაზის“ რული... გარღვეული ლობის იქით, იცის, სადაცაა, გადმოვიტანს, ჩაგვაბარებს, ჩვენ სხვას ჩაგვაბარებთ, მუშტარი არი და კაი პურსაც ვჭამთ, თანახმა არ იყავით?!

— ჩვენ კი! — დათანხმდა ერთი უცნობი ჩვენს (ჩემს) მაგივრად. შეიღნი აღმოვჩნდით (?) ჩემიანად. როდის გავშვიდდით, ვერ გავიგე, გენადიც იქ გაიჩითა... უჩა ჭალიამ მანქანის გასაღები მისცა, გიტარის ჩამოტანა დაავალა: იცი, სადაცაა, ჯიმურაც კარგად გიცნობსო.

— მე რომ აქვე, ალაგობრივად გამძაგრონ შენი რულით, რა ვქნა? — ჰკითხა გოგია.

— დამადევი ხელი პირდაპირ, ამან მომცა-თქვა, მომცა კი არა, მთხოვა-თქვა, ასე აჯობებს, მოკლედ, შეხვალ სანყოფინით პირდაპირ, კოლია დაგხვდება, სიტყვაზეც გენდობა, მაგრამ იმ წერილსაც დაგინერ... ჩამოიღებ თაროდან, გაიღებ ბეჭეზე, ამოიტან. ჩვენ კი ავორთქლდებით, შენ რჩები აქ, ოპერაციის ბოლომდე, როგორც კი ლობეში გამოყოფ თავს, ვაშეშებთ ფხოკილით მანქანას და ვჯდებით შიგ რულით და იმედებით.

— რას იწონის ის მონყობილობა, იცი? რისკზე და ხიფათზე არაფერს ვამბობ, რამდენი კილოა?

— ასოცი, გოგია, ასოცი, მე თუ არ ვიცი, ვის ეცოდინება.

— მერე? მე რამდენი ვარ, არ მეკითხები?

— სამაგიეროდ, ძარღვი ხარ ცარიელი. ზოგდანოვის საჭიდაო სექციაში გამოწვრთნილი. აღარაა ამდენი ლაილი საჭირო. ესე იგი: ამას მოაქვს „კამაზის“ რული, ასოცი (120 კგ), სტოდვადცატ კილოგრამ, აბა, შენ იცი, გოგიავ!

წელში გაკაკუვული ამოდიოდა გოგია მძიმე ტვირთით, აღმართ ბილიკით, გარღვეული ლობისაკენ ჰქონდა გეზი აღებული, ამოდიოდა და მიხედვასაც ახერხებდა, ხომ არავინ მომყვებოა. მივიდა ლობე-მესერთან და ფხოკილით გააჩერა „ზიმ-მოსკვიჩი“ ჭელიამ:

— გოგია, ძმა, გაჩერდი, არ გამოყო ლობეში თავი. გაუგიათ, რული რომ ავნიეთ და მილიცია მოყავთ, დამირეკა ჩემიანმა... ნაილე უკან, სასწრაფოდ, საიდანაც ჩამოიღე — იქ დადევი, მერე ამოდი.

— საად? — ველარ სუნთქავდა.

— გაბაშვილის გორაზე, სასწრაფოდ უკან და ზევით, ტაქსის ფულს მე გადავიხდი! ცოცხლად, თვარა დაგვიჭერენ, რესტორანში გელოდებით — გორაზე.

— მე თვითონ 60 კილო ვარ, ცოტა მეტი. ჰა და ჰა — 67. ამ წონით კატეგორიაში ვჭიდაობდი, ავწევ, მოვერევი, მა-

რა უხერხული არ გამოვიდეს, ხალხი მიცნობს, რას იფიქრებენ, მოკაკუვლს რომ დამინახავენ?! ოხ, შენი, ჭალია, გადაგიხდი სამაგიეროს! – ხენეშით ჩადიოდა მძიმე ჯვრით დაღლილი, ოფლად გასაწური, — გაჩვენებთ სეირს, თუ ვყოფილვარ გოგია!

– ის როგორ იყო, მკვდარი რომ დაჭერი, ჭალია?..  
– დავჭერი კი არა – მოვკალი, მაგის დროა ახლა?!  
მკვდარს ვინ კლავს, საერთოდ, რა შუაშია ახლა ეს?

– ამან, ავტორმა, არ იცის და იმ შუაშია.  
– დანერს მაგი და მომეჭრება თავი, სიტყვა ზეპირი სხვაა, დანერილს, დაბეჭდილს ნაჯახით ვერ ამოშლი, ასე არაა ნათქვამი?

– ასეა, კი!  
... ამ კაცს რას ერჩოდ?  
– ვის, გოგიას? ძმაა მაგი ჩემი... შენ შენსას მიხედე, დაიწყე!

– შენ ჭკუაზე უნდა ვიარო მე?!  
– ჰე, ვინყებთ!  
...ასე ყოფილა და ასეც მოხდა:  
ჭალია: ოკრიბაში, სოფელი არ გვინდა, მოსახლის გვარს და სახელსაც დავაფარებ ხელისგულს.

– მომეცი ფული და გავასაქმებ... გადავალ, შორს ნასვლა არ დამჭირდება და აქ გავაჩენ ყველაფერს, გადმოვიტან, რა გინდათ თქვენ?  
– ჩვენ რაც გვინდა, გითხარით და შენ გინდა ფული, ფული თუ მოგეცი, კი გააჩენ და კი გადმოიტან, მაგრამ სანყოფინი ვცეთ პატივი ამ კაცს? არ გამოვა (მეზეა ლაპარაკი), მაყუთი არ არის მთავარი, მთავარია გული და არა ფული, თანაც გვაქვს („კამაზის“) რული, ესე იგი – საჭე და ავტორი (მე, ესე იგი) და გოგიას ძმაკაცს ვტოვებთ აქ. მიხედავს დროებით აქაურობას. „კამაზის“ რული, საჭემონყოფილობა გამოაქვს, გადაიტანს ქუჩაში გოგია. მუშტორი არი.

– სხვანაირად არ გამოდის... შვიდკაციან სუფრას ყოფნის.

– კორნელი მოგყავს, ჭალია?  
– არა, სად ცალია ჩვენთვის.  
– ახლა ისაა ხომ შეყუდებული?  
– სიძე? კი...  
– ისე აშენდით თქვენ!  
– მუშას, კალატოზს ადგას, კაცო, თავზე შუადღემდე, მერე ჩემი ჯერი დგება, დღეს მეორე ცვლაში ვარ...  
– შენს სიძეს კორნელი ქვია, ხომ?  
– კორნელი, კი...  
– და ახლა კორნელია შეყუდებული? და იმას აწევს საყრდენი კედელი ბეჭებზე?  
– ეგრეა, კიდევ რა გაინტერესებს?.. — უცბად მკითხე.  
– უკვდავი ხარ, მოკლედ, ჭალია, ას ნლამდე ისე იცოცხლებ, როგორც არაფერი.  
– ვნახოთ, აგერა ვარ მე და აგერ იქნებით თქვენ. გოგისვანიძეებში ცხელა ჯერ კიდევ და პარკში ავიდეთ, გაბაშვილების გორაზე, ცაცხვების ჩრდილში დავსხდებით ოდა-სახლის სიახლოვეს.  
ასეც მოხდა. ვინდავინ ვიყავით:  
ჭალია ბლოკი (თავისთავად)  
რეზოია ხავილა — სწორი ბანი  
რიჯგვინა – ნაღდი ბანი

გურამია თუთბერიძე – პირველი

მურმან ახვლედიანი – მეორე

კოკლი დევდარიანი – შემყოლი და მე — ავტორი – მემვიდე, სიმლერის არ გამწევი, არ გამყოლი. შევედით თუ არა, დასცხეს ოხობოია. ბენდის მუსიკამაც გაუტია:

... ჭალია, ჭალია, ვაჭაჭალია, ვახახაია, ოხობაია...

– ბლოკი პოეტიო.

– ჩვენი ბლოკი?

– არა, იმათი და მკვდარი რომ დაჭერი, როგორ იყო, ჭალია?

– კი არ დავჭერი, მოვკალი, შვიდი ტყვია დავახალე ჭაჭებში. მკვდარს ვინ კლავს, შე თავგასიებულო?!

– არ დამინყო ახლა, ამ კაცს აინტერესებს, დაიმახსოვრებს, ჩაინერს თუ არა, მისი ნებაა, არ ჩაინერს, არ დაიმახსოვრებს, ესეც მისი საქმეა, მაგრამ ჩვენი — შენი გმირობა (გმირობა ბრწყალებში) ვისლა ეცოდინება?! . . .  
– თავი ხარ ცარიელი, თაოსანი, თავგასიებულო, ვხუმრობ, გწყინს?!

– შენგან არა, ბლოკო, ბლოკი პოეტი ყოფილა...

– გაიგე ხომ?..

– შენგან — არა.

– რას არ გაიგებ და გაიგონებ ამ სოფელში, დაწყევლის ეშმაკი!  
შემდეგი!  
ალექსანდრ ბლოკი (?)  
„რა შუაშია?“

\*\*\*

ოკრიბა. სოფელს ვერ დაგისახელებთ, ვერც მოქმედი გმირების გვარ-სახელებს. ახლობელი, ცხოვებული მამაჩემის – რაჟდენის ალალი ბიძაშვილი გარდაიცვალა. სასიკვდილე არაფერი ჭირდა, მაგრამ მოკვდა. ხდება... ჩავედით გასვენებაში... ახლა იქ როგორაა: ქელები და გამოსვენება ერთ სიბრტყეშია განფენილი, ბოლო, დასაფლავების ბოლოს წინა პანაშვილია, ქვემოთ ცალგვერდორღვეული, ბრეზენტის სეფაა გაჭიმული. შიგაც და გარეთაც – ეზოში, კალოზე სასადილო მაგიდებია განყოფილი, ზევით შეტირილია, ქვემოთ ჭამა-სმარა გაქანებული, სადღეგრძელოები და ამბავი. მოფარებულში, ვითომ მოფარებულში, სამკაცციანი სტოლია უპურ-უღვინოდ განყოფილი. სამ კაცს თავლია, ნითელი, მონითალო, აბანოსას ვეძახოდით, ჩემოდანი უდევთ წინ, შემოსანირაგ-გადასახურავს ეძახიან, ქალაღდის ფულს ყრიან შიგ. ერთი ითვლის, მეორე წერს – ვინ რამდენი, მესამე პირველი-ორის საქმიანობას აკონტროლებს და აღნიშნავს – გერონტიმ ამდენი, იმან – იმდონი, თან დაილოცეთ! – ღვინით სავსე ღვინის ჭიქას სთავაზობენ:  
– შენთან ვარ, პავლოვიჩ!..

... კაი კაცი იყო, კაი, კაი გავალეზაც ქონდა... დავდევი კიდევაც მის სახელზე, — რაც იმას დღე დააკლდა, ჩემო ბატონო, მის ნაგრამს და მონაგარს შემატებოდეს, კერია არ ჩაბუჭულიყოს, ჩაცხვებაზე არცაა ლაპარაკი, მის ბარობაზე, რაც იმას – გერონტის დღე დააკლდა... ეს ვთქვი?!..

– არა.

– მაშინ გეტყვით...

...ჩაინერე, ჩაინერე, ბიჭო, გოგია!

- იტყვის?
- რისი მთქმელია, ნეტავი ვიცოდე!
- იწერ?
- ვინწერ, ვინწერ...
- სად?
- აქ, აქ... — შუბლზე იტყაპუნებს გოგია ხელს.
- მტერი არაა, მაგ გაფხეკილ თავში არაფერი შევიდეს!..

ზემოდან ჩამოიძახეს ხმადაბლა, ქვემოთ შერჩოქოლდნენ ამასობაში.

— უჩა!

...მე მეძახოდნენ, პირადად.

...გასაგები იყო, — რისთვისაც: სასახლე უნდა გამოგვეტანა. დასახლებული იქნა პირველი ოთხეული:  $1+3=4$ . პატივისცემა ერთგვარი და უარი არ ეგების. არადა, შექანჯალეზული ვარ გვარიანად. არ დავმჯდარვარ, მუხლი არ ჩამიხრია, სუფრების მამასახლისად ვიდექი და სად მეცალა: ლობიო — აქეთ, თევზი — იქით, პური, შოთი აქ ჩადევით. ხორცი არ იყო, უხორცოდ შლიან ხოლმე საქელეხე სუფრებს — თანაც, თურმე, მარხვაა პეტრე-პავლესი, თუ პავლე-პეტრესი, აღარც მახსოვს, მარა, ლობიოა ამოლესილი, მოგივიდა მშვიდობა, უმაღლესი, შეკმაზული ქინძით, ომბალეთი, შაშკვლავით, ნივრით, მწვანე პილპილით, პრასი ზედვე — გახასხასებული... ღვინო, ცოტა ემეთი (იმათ, ადგილობრივთ, ქეც მონონთ), არ წუნობენ, მაგრამ დასაშვების ფარგლებში... აბა, დაილოცე, გვითხარი ორი სიტყვა, ერთიც და სამი გამოვა... შეგეწევათ სამება: მამალმერთი, მაცხოვარი და სულონმინდა და ასე შემდეგ... და გეძახიანო. ამოითო, ამოდით! არ გარყეულა ჩემს მეტი არავინ და ავედი ბალკომში... აბა, თქვენ იცითო და ვეცით, არც ვაცივით და არც ვაცხელეთ: გამოვიტანეთ ზალიდან ციმბირის ფიჭვის სასახლე. მძიმეა, კაცო, ძვრას რომ ვერ უზამ იონქრად, — იმნაირი... გავედით აივანზე წვალეებით და წავიდა იქაური ბენდი — დოლი, აკორდეონი, კლარნეტი — ქვითინით. ატირდა ხალხი ძირს, სად მიხვალ, უბედურო გერონტი, არ წაყვე, გატყუილებენო... ავნიეთ, როგორც იქნა, სასახლე, გავიდევი, გაგვადეს და ბრძანება: — ნინ, კიბისთავამდე. მალეები უკანო, დაბლები — ნინო — არ უბრძანებიათ, მარა რალა საჭირო იყო. თუ მალეები — უკან, დაბლები, ელემენტარული მათემატიკაა, ნინ რჩებიან, ცხადია... არ მომწონს ეს გათვლა წინაუკომბისა, მარა ასეა ალბათ საჭირო!.. კიბეა სველი, სწორმუხლოვანი, დაქანება ნისქვილის ღარის დარი. მენყვილე ჩემი, ერთ ბედ ქვეშა ვართ ლაბავ მე და შენო, ჩემი ტოლია, შეიძლება, ოდნავ ჩემზე გრძელიც, — ოდნავ... არ ვიცნობ. ხმას არ იღებს, სიფათი არ ეცვლება, ხორხი უთამაშებს შეუმჩნევლად. მძიმეაო — ამოთქვა, როგორც იქნა. ჩავდივართ ამასობაში, ჩავდივართ, ჩავგაქვს. მძიმეა, ციმბირის ფიჭვია და იმიტომ, — გამოეპასუხა ვილაცა ვილაცას, თუმც ხმა არ გაუღია არავის. ციმბირის ფიჭვი, ამჟამად კუბოს მასალა, მძიმეა, ცხადია, მაგრამ კაცი რომაა გათარანებული შიგ, ეს არაფერი?! ამ შიდა თუ შიგან შიგა მსჯელობაში დაფერდდა სასახლე, მარა რანაირად დაფერდდა, გახსენება არ მინდა. მალეები უკანო... შედეგი ამ უაზრო განკარგულებისა... ჰაერშია სასახლე, ჯერჯერობით. ჩავდივართ, ჩავგვაქვს, სხვა არც არა გვევალება რა და მალეები უკანო, ნინ არ უნდა დავმდგარიყავით?! აუცურდა ამასობაში ვილა-

ცას ფეხი და დავლედით, მოგვივიდა მშვიდობა, — ქვემო-რე... სასახლის სახელურს არ გავუშვი არაფერფულად ხელი. შემომეფრხვნა სახელური, — რუჩკა ხელში, დავვარდი კიბის ძირში თავდაღმა და დამახტა ვილაცა ზურგზე... აგერ დამხტომოდი ბარემ, ამაზე-თქვა, მე შენი მკვდარი და ცოცხალი-თქვა, — ვაგინებ და თურმე მკვდარია, მიცვალეზული, აზრზე ხარ? წამოაყენეს, ის, იმისი არ იყოს, რალას ადგებოდა და ადგა, — ავაყენეთ. ეგ იყო რა! შევაგვსოთ აბა ჭიქები!

— გვაცალე ახლა ჩვენ! — შეუძახეს და დაიწყეს მთელი (რაც ჰქონდათ) ხმით:

**...ჭალია, ჭალია  
ვახახაია, ოხოხოია,  
რაყდენი რა იყო, უჩა რაია...  
ჩვენი სიცოცხლე სულ ერთი წამია,  
და ყოველივე წარმავალია  
ოხოხოია, ვახახაია,  
ჭალია, ჭალია, ვაჭაჭალია...**

— შეუბერე, გოგია!..

\* \* \*

გოგია (გიორგი) მახათაძე:

გ ა ს ვ ლ ა :

...და ჩვენ გაველით კიდევ ქალაქიდან 22 ენკენისთვეს (სექტემბერს); ბევრი ატრიალა უჩამ წალმა-უკულმა გიტარა ეზოშივე, ღირს თუ არა წალებო, ყოყმანობდა, შევეშველე. ვუთხარი, აღარ დამიძალავს, ზედმეტი ბარგია-მეთქი. ასეც იყო. საქმეზე მივდიოდით და არა დროს სატარებლად. მართალი ხარო, დამეთანხმა, პიჯაკის სახელო დეკას გადაუსვა და დააშტერდა თითქო უაზროდ (ასე მომეჩვენა) და პატარა კიბით, „კიბულათი“ სხვენში აიტანა, ჩალაში შეჩურთა. კუდი (ტარი) დასანახავად გამოაჩინა და შეფიქრიანებული ჩამოვიდა... სასაუზმოდ დავეჯექით ჩამოსაშლელად განწირულ კედლის ჩრდილში. ჭაჭის არაყი დავლიეთ (ცოტა). უჩა ადგა, კიბე, კიბულა გამოაყუდა, ავიდა, გიტარა ჩამოიღო, სიმები მოსინჯა, დაუკრა, წყნარად დაამღერა:

**...დედაჩემო, რად გინდოდა,  
ან ეს სახლი, ან ეს ეზო...  
ლამარია, დედაჩემო, შენ გეძღვნება!**

— გისმენ, შვილო!

**...დედაჩემო, რად გინდოდა, დედა ლამარია!..**

— მესმის, მეყურება!

**...დედაჩემო, რად გინდოდა,  
ან ეგ სახლი ან ის ქუჩა  
თუ შუა გზაში მოკვდებოდა  
შენი ერთადერთი უჩა!..**

— რაებს ბედავ, ბიჭო, შენ?

— ვბედავ, დედა, ვბედავ, დედა...

– ბედავ კი არა, ბოდავ!.. რა გჭირს შენ, შვილო, ჩემი სიკვდილი გინდა? ბოდავ, ბოდავ და ვერ ხვდები, ვერ აცნობიერებ...

...ლამარა დეიდა, გაგიმარჯოს, ქალბატონო ლამარა, კარგად იყავი, იმედიანად, მხნედ, ჩვენს წასვლას, თქვენს დარჩენას გაუმარჯოს!..

– მადლობთ, გოგიავ, თქვენ იყავით კარგად, ეს იყოს კარგად, ჩემი თავი წყალსაც ნაუღია...

...ჩვენს მგზავრობას გაუმარჯოს, ჩვენს წასვლას, ის ქუსლია?

– ქუსლია.

– სად იყო ეს ბოთე?

– შემოდი, ქუსლია, შემოდი ნალმართად... ჯერ სწორი ფეხი შემოდგი.

– ღვინოს მე არ ვსვამ, უჩა, ხომ გაქვს გაგებული?

– ვინ გასმევს, ნეტავი ვიცოდე!

– საიდან შემოფხოკილდა?

– საქმე მაქვს, მარა, მერე მოვალ, ხვალე...

– ხვალ ამ დროს, ქუსლია, მატარებელში ვიქნებით.

– ჩვენ-ჩვენ მატარებელს გაუმარჯოს ქუსლიას თამალობით!

– რა გინდა, შე უკუღმართო, რას შემოეხეტე... რომელი ფეხი შემოგდა ამ ღმერთგაყიდულმა ნეტავი?

– მარჯვენა, არა, არა, მარცხენა...

– ჩვენს ისტორიულ მგზავრობას გაუმარჯოს, გოგია ვარ — მახათაძე!

– დიდი ვინმეცა ხარ!

– მე ლამარა ბიცოლა მიყვარს! – განაცხადა ქუსლიამ ალაღად.

– გადაშავდი ახლავე აქედან, ჩქარა! მოუსვი, თუ არა, შენ დღე დაგადგება...

– დამადგება არა ის, ამაზე მეტი, რაც მჭირს და რაც მადგია, რაღა დამადგება!..

– გადი, შე მკვდარგაციებულო!

– ვერ გითქვია აქანე მართალი!

– გადაშავდღევედი სასწრაფოდ აქედან, სასწრაფოდ! ვონ ატსუდა!

– მოვვლეთ რუსეთი, რუსეთი თუ უკრაინა?

– ერთი და იგივეა, უჩა, გეოგრაფიულად, მაგენი შავმიწადაგანი ზონაში ბინადრობენ.

– კარგი, აბა ეს მითხარი: მიგვაქვს ბრტყელი საგანი, ვთქვათ, — ვაგონის კარი — თავდაღმართში ჯგუფურად... მალელები უკან უნდა დადგნენ თუ წინ? სწორზე ვიცი, თავდაღმართში როგორ მოვიქცევით? ???

– ...მალელები სად დადგებიან? — წინ თუ უკან? უკან თუ წინ? წინ, უკან?

– პასუხი არ გაინტერესებს?

– არა!

ვერაა ხასიათზე, რაღაც ანუხებს და არ ამხელს, მეორე დღე, მივქანობთ... დავლიეთ კი, წინა დღით, მატარებელშივე, — ზომიერად თითქო, მაგრამ — უპრაგონოდ(?). აწყინა სასმელმა აშკარად, მეც მძმარავს, პირი მაქვს გამშრალი. უჩა ვაგონის ფანჯარას არ შორდება, შუშა ბოლომდე აქვს ჩანეული.

– ჭალია, შემოდი, აქ დაჯექი ან წამოწევი. არაო, — აქ მირჩევნიაო, აქ ჰაერია, გროლი ჰაერი სუნთქვას მიადვილებსო.

– ბრტყელი კარი ან ამოღრუნტული... სასახლე... ვთქვათ — კუბო!

– რა კუბო, კაცო!.. რა კუბო აგიტყდა?!

კუბო რა, სასახლე, სასახლე წავა? იგივეა...

– ჭალია, ხომ არ დაეუძახოთ ვინმეს?

– ვინ ვინმეს?! — ფინთად შემომხედა...

– ექიმს...

არ ვიცი, — ხმას დაუნია...

– მატარებელში, თუ ჩვენს ვაგონში — არა, იქნება ექიმი, შენ არ შეგეშინდეს...

– ერთი რამე გამკვირვებია, ჩემო გიორგი, გაიხედე ჩემი გადასახედიდან, სულ შავი მინა მოგვეყვება, გაიხედე... ტრამალა თუ სტეპი? მინა სულ შავია...

– შავმინანიადაგის ზონაა და მინა შავი იქნება, ბუნებრივია, — ავუსხენი ჩემი ჭკუით.

– გასაგებია, მაგრამ სხვა ფერი რატომ არ გაეკარა ამ მინდორს, ტრამალს, რა ქვია კიდე? ხუტორს?

– შავმინანიადაგიანი სახნავ-სათესიანი სავარგულეობა. ნიადაგი, თუ დააკვირდები, მგლისფერია, — არმავირის რუხი... ჩვენ მალე გავჩერდებით და დარწმუნდები...

– ოლონდ გავჩერდეთ და არ მინდა არაფერი, ერთი იკითხე, თუ ძმა ხარ, შორია არმავირამდე?

ამ ლაპარაკში ლეყერეთის ქუჩის რვა (8) ნომერში, ჭალიაშვილების სახლში ხვადმა კატამ გიტარა გადმოაგდო სხვენიდან. ხვადი კატა თავგვს გაეკიდა სარაიის სხვენიში თუ ვირთავვას, არავინ იცის... გადმოაგდო, დაუნახავთ...

– ლამარა დეიდა, კატამ გიტარა გადმოაგდო!.. — ატირდა მეზობლის ჭრელკაბიანი გოგო.

– მაგი გადამენდა მაინცდამაინც... ვერ მოვიშორე ეს უპატრონო კატები!.. ერთი სიმია მხოლოდ განყვეტილი, შენ რაღა გატირებს, ნინოია?..

– არ ვიცი. — ცრემლები ამოინმინდა ნინოიამ.

...არმავირის რუხი რას ნიშნავს, ნადია?

– არმავირის რუხი?.

– რუხი!

– საიდან მოიტანე?.. არმავირის რუხი... ალბათ ადგილის დედას ნიშნავს ნადია და ვაბშჩე არ ვიცი. — ალიარა გეოგრაფიის მასწავლებელმა ნადიამ, — ბუაძის ქალმა.

დედა ლამარიას მალალქუსლიანი ქოშები ეცვა იმ დღეს. ბეჭწვრილს მუცელი არ აჩნდა, ქვედატანი ნაოჭებიანი იუბკით უსწორდებოდა და აბრეშუმი ტანზე, უფრო თეძოებზე ეტმასნებოდა, მუცელი მრგვლად და გლუვად აჩნდა და სასწავლო ნაწილის გამგე იამა ღვალაძეს იგი ორსული ეგონა...

– ქალბატონო ლამარია, დეკრეტულში ხომ არ აპირებთ გასვლას?

– რას ნიშნავს, იაკობ ბატონო, ეს?

– რასაც ნიშნავს, იმას — მხოლოდ!.. — კიდე ერთხელ შეათვალე რა სხვისი მუცელი, შეტრიალდა და მეცხრე მეორე კლასის დერმატინიანი ყდით შეფუთული საკლასო ჟურნალი მოხვდა სიბრტყლივ თავში.

– დამარეტიანა იმ შობელქალმა, მაგის გაზრდილი შვილი რა იქნება... — ჩაილაპარაკა გამობნეტრებულმა ბატონმა იაკობმა ცარიელ საკლასო ოთახში. სასწავლო ნაწილის გამგე კი იმ დღეს და იმ დღეებში სამასწავლებლოში, ვერც სკოლის შენობაში ვეღარ დაინახა.

...სად არის ნეტავ ჩემი შვილი უჩა?! — სიმგანყვეტილ გიტარას ეკითხებოდა იმ დღეს დედა ლამარია.

– სად იყო?!

\* \* \*

...ბიჭო, ჭალია, შენ გლახად ხომ არა ხარ? – ჰკითხა შემფოთებულმა გოგიამ უჩას მატარებელში, რუხი არმავირი რომ გადაიარეს. უჩას სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო თურმე. მატარებელი კი, თითქო მოსალოდნელი უბედურების გამო, სვლას ანელებდა და არმავირში შევდივართო, აცხადებდა მატარებლის ობერ-დიქტორი.

**რუხი არმავირი!**

...აქ არ დამტოვოთ! — ამოილაპარაკა უჩამ, — ჭალია ბლოკმა, ეს მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა იყო. ამის შემდეგ კრიჭა შეეკრა, მზერა გაეყინა... ვაგონში ექიმი – თერაპევტი, ცნობილი (გვარს ვერ ვიხსენებ) პროფესორი აღმოჩნდა, შემადგენლობის ბოლოში – ექიმთა ბრიგადაც. დაესივნენ: რა ნემსი, რა წამალი, ხელოვნური სუნთქვა სუნთქვის აპარატით, უშედეგოდ...

გოგია:

...ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავვარდებოდი... მატარებელი იქაურობას ტოვებდა, რუხი არმავირიც აღარ იყო და მე ვიყავი თუ არა, აღარ ვიცოდი... ვაგონიდან ჩახტომაც დავაპირე და უფალმა, დიდება მის სახელს, არ დამართო ნება, მაპატიო სულმოკლეობა. არადა, არ გინდოდა დედისთვის მიგესვენებინა ვაჟი, ერთადერთი იმედი, ობლობაში გაზრდილი შვილი?!

დედა ეზოში, ფეხზე მდგარი ელოდა გათენებას და რიბირაბოში დაინახა უძრავი წითელი კაცი.

ეს ჩემი შვილია, თქვა მან: — არ შემოდის, არ მპატიობს, იმ დღეს რომ არ შემოვუშვი... იმის გამო... — წითელი კაცი კი იდგა და არ იძროდა მართლაც... აყალოს წითელი მანტია ჰქონდა მოხვეული, — მიწის და სისხლის ნაზელი სუდარა, მანტია! დედას ხელით უნდოდა შეხებოდა, ნამდვილია თუ არაო... ველარ შეეხო თუ არა იმ რიჟრაჟში, იმ დღეს... იგი გულწასული უპოვიათ, როცა ჭალია მოვასვენეთ და გავანვინეთ ტახტზე დროებით... სამუდამო განშორებამდე. ინვა სხეული ზედ... იგი შიგ აღარ იყო...

**ჭალია, ჭალია, ვახახაია,  
რაჟდენი რა იყო, უჩა რაია,  
ჩვენი სიცოცხლე სულ ერთი წამია  
ვახახაია, როგორა ხართო,  
რა გაცვიათ, რა გიხარიათ?..  
...როცა ყველა და ყველაფერი წარმავალია...  
ეს რა გვიყავი, ბიჭო, ჭალია?!  
ვახახაია, რა ხარხარია,  
ვახახაია...**

სამარე გაჭრილი დამიხვდა. წითელი მიწა სამარის ძირიდან იყო ამობრუნებული, ამოხორილ-ამოხორავებული. ჩავასვენეთ ჩამავალი მზის სინთლემში. იმ დღეს ჯიმშელიშვილის სალორიდან გაიპარა თუ გააპარეს საახალწლოდ გამოყვანილი ღორი (ბურვაკი), რომელსაც ახალი წლის ლამეს (ძველი სტილით) გამოჭრიდნენ ყელს. იქამდე ჩვენ კარგად ვიყოთ, ოთხიოდე თვეა იყო დარჩენილი...

განაჩენი გამოტანილი, ხელახალი ძიება დანწყებული იყო. უმცროსმა ქვეგამომძიებელმა ჭყონიამ ლეყერეთის

შუკაში ღორის (ბურვაკის) ჭლიკებთან ერთად ადამიანის უცნაური ნაკვალევი აღმოაჩინა სრულიად მოულოდნელად. სალორედან ლეყერეთის გზატკეცილის ბოლომდე გადაზომა და გადაამონმა ადამიანის კვალიც და ერთმა შეუსაბამობამ მიიქცია მისი ყურადღება. ადამიანის (მამაკაცის) ლინდაგურად განყობილი, ორად გაყოფილი ორი ნაფეხური, რომელთაგანაც ერთი აღმა მიდიოდა, მეორე ამოღმა, ერთი მეორეს არ აჯდებოდა. რა ანომალიასთან ჰქონდა საქმე, ჭყონიას გარდა, ბარე ორმა ვერ გაარკვია, ისე კი – ესეც უნდა ითქვას, ტვინი ამ ამოცანის ამოხსნისათვის არც არავის უჭყლეტია, თუმცაღა ქუსლია იმ ღამის მაინც ანიეს, დაკითხეს... ვინ მოიპარა ღორიო – ეკითხებოდნენ. არ ვიცო. მართლა არ იცოდა. რაც ვიცო, ის მომკითხეთო... ამ ეზოს კი (მილიციის შიდა ეზოს), თუ მიმიშვებთ, დავხვეტავო, თუ გყავთ მკვდარი ძველი ან ახალი, გავპარსავ, დავბანო...

გადი, შენი გამომგზავნის დედაო, – აგინა უმცროს გამომძიებელს განყოფილების გამგემ – ნიქორიძემ. – ეს ვინ ოხერია, საიდან მომითრეო.

ქუსლია გაუშვეს, ლეყერეთის ქუჩა მიჩუმათდა. ქუჩის განათების სამუშაოები დაიწყო. მთვრალი მახათაძე გოგია, მახათაძის მეგვარე ძველი პოხედით ელექტრონის ბოძს დაეჯახა და ჩამოაგდო ზედ გასული მეელექტრონე (მონტიორი), რომელიც სასწაულებრივ გადაურჩა უეჭველ სიკვდილს.

...მივეცი ნახადუ სიგნალი, კაცო და არ ჩამოვიდა და რა მექნა კაცო, თავი იმართლა „ძველ სულში“ მახათაძემ.

ლეყერეთის გზატკეცილი სულ გალეყერეთდა და მე მაინც, რა დავმალე, მონამეთას რესტორნიდან გამოსული, ნასვამი, სასაფლაოთი ვიმოკლებ გზას, საფლავ-საფლავ მივლაცუნობ, სამარ-სამარით... გასაპრობად ჯვარედინად განყობილ აგურების მინიატურულ საღუმელეში დანთებულ ჭიაკოკონებს ვხედავ, გიზგიზებენ ცეცხლის მიკრო-კერები, ციალებენ, პარპალებენ უთვალავი სანთლები:

**ვინალი**

**ჭალია, ჭალია, ვარხარალია...  
ჩვენები არ გახსოვს? დასანანია,  
ვინლა დავრჩით, რა გვიხარია? -  
ჩვენი სიცოცხლეს ხანმოკლე და  
წარმავალია,  
რა გაცვიათო,  
რა გახურავთ, რა გიხარიათ -  
თუ ყოველივე ლანდი არის და  
ვარხარალია...  
სულიც კვდება თურმე, წარმავალია...  
მოგონება რჩება მხოლოდ?  
დასანანია...  
ჭალია, ჭალია...  
ერთი წავა და სხვა მოვაო? - საკითხავია...  
ჭალია ბლოკი მეორედ რომ არ დაიბადება  
საკითხავია?..  
სამაგიეროდ... ნაცოდვილარს ჩემსას  
ვერ იხილავს, ეს კი კაია! ...  
ვარ-ხარალია, ვახახაია, ვა-ვახახაია...**

ირაკლი სამსონაძე

## ღრუბელი, სახელად დარინდა

— სიგარეტს მომანევიანებ? — გეუბნება მძლოლი.  
კოლოფს აწვდი, ერთ ღერს იღებს, თავს გიქნევს მადლობის ნიშნად:

— მინდა, გადავაგდო ეს ოხერი, ამიტომაც არ ვყიდულობ, თავს ვიტყუებ, რა!..

ტყუის, სამსონ, ფული ენანება!

— ვის ენანება ფული, ამას რომ ცხოვრება ჰქონდა... რესტორნიდან არ გამოდიოდა, ტრულაილა იყო! — ესარჩლება მძლოლს თავისი ყიფილიანდის ბინადარი.

არაფერს ვპასუხობ, თუმცა ვერ ისვენებს, ისევ მეუბნება:

— შენსას მიხედე, — ოხუნჯს, გვაშაყირებს თავის ჭკუით...

არც ამჯერად ვპასუხობ, ისიც ჩუმდება, მაგრამ მძლოლი ვერ ისვენებს, შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, სულელად რომ მიიჩნევს, მიუხედავად ამისა, შემოგციინის და გეუბნება:

— მიყვარს, კლიენტი რომ ხუმრობს, — გზა მოკლდება... მაშ, დარინდაო, არა?!

დაანებე თავი, სამსონ!

პასუხს არ სცემ, ფანჯარაში იცქირები, სიგარეტს უკიდებ. ჯერ კიდევ არის გზა ვარკეთილამდე, — მომისმინე!

ზურა საათის ხელოსანი იყო, მომცრო ფართი ეჭირა ქირით, ფანჯარასთან იჯდა და მოპირდაპირე მხარეს აღმართულ ძველ, ბათქაშშელახულ შენობას უცქერდა, როდესაც შენიშნა, რომ ქვაფენილზე დამსხდარი ნელ-თბილი ათინათები ჩრდილმა გადაფარა. ქუჩაზე გამოვიდა, დაინახა დიდი, შეკრული ღრუბელი, რომელიც უჩვეულოდ დაბლა დაწეულიყო და ძველ შენობას დასდგომოდა თავზე.

ახალგაზრდობაში ხშირად ნადირობდა, ნისლის მეტი რა ენახა, მაგრამ არსად, არასდროს შესწრებოდა ასე დაბლა დაწეულ ერთ ღრუბელს. უფრო გასაოცარი რამ წინ ელოდა თურმე.

თეთრი ღრუბელი ჩაიქუფრა, ჩაშავდა და განვიმდა, მაგრამ განვიმდა ერთ მონაკვეთში, თვითონ ერთი წვეთიც არ დასცემია, ბათქაშშელახული შენობა კი წვიმამ გალუმბა.

მაღე გადაიღო, ღრუბელიც გაქრა.

„რა ხდება?“ — იფიქრა ზურამ, — „ნუთუ ნიშანია რამე?“ — იფიქრა ესეც და შენობაში შეაბიჯა. კარის შეღებისთანავე შორეული მოგონების მკრთალი, თითქმის მივწყებული შეგრძნება მოიხელთა, — სიგრილის, მსუბუქი ნესტის, შეყვითლებული ფურცლების სუნმა გაახსენა თავი. „სიმშვიდესაც აქვს სუნი, სიჩუმესაც, გარინდულ დროსაც“, — იფიქრა ზურამ და მოაგონდა, რომ დიდი ხნის წინ, თავის ახალგაზრდობაში სწორედ ამ სუნმა

დაასხა რეტი, თავისკენ გაიყოლა, ბრინჯაოში ჩასხმულ ძეგლამდე მიიყვანა, სადაც თავისი მსგავსი თერთმეტი ბიჭი იხილა.

მაშინ, იმხანად, მართლაც დაურღვია მოსვენება თავს-გადახდენილმა ამბავმა, — იმ სასწაულებრივმა სახეცვლილებამ, რასაც ძეგლისკენ მიმავალ გზაზე განიცდიდა, მაგრამ წლებს თავისი მიაქვს, — ყოველდღიურობამ, ოჯახის საზრუნავმა, ცოლმა და ერთიმეორეს მიყოლებით შეძენილმა ქალ-ვაჟმა, ახალგაზრდობის მოგონებას რომელიც უმნიშვნელო, ყველაზე მიჩუმებულ, მოფარებულ თაროზე მიუჩინა ბინა, თუმცა, როგორც ჩანს, სრულად ვერ გააქრო.

სკამი შენიშნა, ჩამოჯდა, ღრმად შეისუნთქა აქ დავანებული სუნი და იფიქრა: „ისე არსად ყურდება დრო, როგორც ძველ ბიბლიოთეკაში“.

— ინებებთ რამეს? — კითხა ხანშიშესულმა, სათვალე ანმა ქალმა, ვისაც ჭალარა თმა შუბლიდან გადაეზიდა და კეფაზე დაეგორგლებინა სარჭებით.

— არა, გმადლობთ, — თქვა ზურამ, — უბრალოდ შემოვედი, ხომ შეიძლება?

— დიას, რა თქმა უნდა, — უთხრა ქალმა.

ზურას მოეჩვენა, რომ მისი შემოხეტებაც და პასუხიც ძალიან არაბუნებრივი უნდა მოსჩვენებოდა ქალს და თავისი ვინაობის გამხელას დაეჩქარა:

— ზურა მქვია, აქვე ვმუშაობ, მესაათე ვარ...

— სასიამოვნოა, — მიუგო ქალმა, — მე თამარი მქვია, შემოგვიარეთ ხოლმე.

— ჰო, თამარა დეიდა, მოვალ, საათების წიკნიკისგან დავისვენებ, — თქვა ზურამ, რალაც სხვა სიახლოვე იგრძნო ბიბლიოთეკართან და ალბათ ამიტომაც გაულიმა ძალზე ბუნებრივად, შინაურულად.

გაიღიმა თამარმაც, ასე გაიცნეს ერთმანეთი. მას მერე ხშირად სტუმრობდა ბიბლიოთეკას, დროდადრო წიგნს ირჩევდა, უფრო ხშირად კი, სკამზე ჩამოჯდებოდა და ეჩვენებოდა, რომ ისიც დროსთან ერთად ყუჩდება და ისვენებს...

შინდაბრუნებულს სურვილი გაუჩნდა, ვილაცისთვის მოეთხორო, რაც იმ დღეს იგრძნო. ცოლი სამზარეულოში ტრიალებდა, უთხრა ცოლს, რომ ნახა უცნაური ღრუბელი, რომელიც წვიმად დაენურა ერთადერთ შენობას ქუჩაზე; უთხრა, რომ ნიშნად მიიჩნია ეს მოვლენა, შენობაში შევიდა, რომელიც ძველი ბიბლიოთეკა აღმოჩნდა და იქ, სკამზე ჩამომჯდარს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს რალაც ძალიან მნიშვნელოვანს ეზიარაო.

ქალს ინტერესი არ გამოუმჟღავნებია და ზურამ გული დაიწყვიტა მასზე. მოუნდა, ვილაცას მართლაც გულისყურით მოესმინა მისთვის, გაიხედა — გოგო ლათინოამერიკულ ტელესერიალს უცქერს ტელევიზორში, თავისი ვაჟი კი კომპიუტერს უზის.

უეცრად მიხვდა, გააცნობიერა, ჩანვდა, რომ ერთი ჩვეულებრივი საღამოა, რომ ბევრზე ბევრ ასეთ საღამოებს შესწრებია შინ და უფიქრია, — გმადლობ, ღმერთო, ყველაფერი რიგზეაო; მაგრამ ამასთან ერთად უმთავრესი, ყველაზე მტკივნეული რამე გააცნობიერა იმ წამს, — აქ უცხო იყო, აქ არ ესმოდათ მისი, ოჯახის ჩვეულებრივი რიტმში დანახა ხიფათი, თითქოსდა უზინჯოდ მონიკნიკე

\* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“, №20, 21

საათში შენიშნა ნაღმი, რომელიც აუცილებლად აფეთქდებოდა და მოუნდა, სიტყვებით ამოეთქვა, რაც იგრძნო და დაინახა, მაგრამ ვერც სიტყვებს გაუჭრა ჯეროვანი კალაპოტი, ვერც თავის შეგრძნებაში გაერკვა ბოლომდე, მერე წამოდგა, მისაღებ ოთახში გავიდა, ერთ ადგილას შეყოვნდა, იდგა ორიოდ წუთი და მოულოდნელად ამოხეთქა შიგნიდან ხმამ და მოულოდნელად ამოსცდა მის ყელს:

— ააოოეეე!!!

შეშფოთდნენ, მიაცქერდნენ, დაეჭვდნენ კიდეც, ფხიზელი თუაო, არავისთვის გაუცია პასუხი, ჯერ არ იცოდა, რა და როგორ უნდა ეპასუხა, ამიტომაც განმარტოვდა უხმოდ, საძინებელს გააკითხა, თუმცა დილამდე ვერ მოხუჭა თვალი.

დრო რომ გაივლის და მოხდება ის, რაც მოხდება, ცოლი ამ დღეს გაიხსენებს და იტყვის:

— მშვიდი, განონასწორებული კაცი იყო ჩემი ქმარი; მაგრამ ერთხელაც ძალიან უცნაურად მოიქცა; მაშინვე უნდა მივმხვდარიყავი, მაშინვე!..

აქედან მოყოლებული ფიქრს აიკვიატებს, რომ რაღაც შესაცვლელია, რომ ყველაზე მეტი ხიფათი იქაა ჩასაფრებული, სადაც არავინ ელის, რომ ვიღაც მიზანმიმართულად მართავს მათ ტელევიზიით, წიგნით, პრესით, ინტერნეტით; რომ ექსპერიმენტს ატარებენ ბავშვებზე, ტვინს ურყვნიან მათ და ერთ თარგზე ჭრიან, რათა იოლად სამართავნი გახადონ.

დაინტერესდა, რით ცხოვრობდა თავისი ქალ-ვაჟი. ვერ ვარგოდა მასწავლებლად, მხოლოდ ინტუიციის დონეზე აღიქვამდა, რომ რაღაც არ იყო რიგზე. ან, შესაძლოა, მას ეჩვენებოდა ამგვარად, რადგან ყველა თაობას თავისი გატაცება აქვს, ისიც ასე იყო ახალგაზრდობაში, თუმცა ახლა ეფიქრებოდა, რომ გაცილებით რთულადაა საქმე და ამა თუ იმ დასმულ კითხვაზე გაცემული ყასიდი პასუხი აღიზიანებდა. განიცდიდა იმასაც, გაღიზიანების შეფარვას რომ ვერ ახერხებდა; მერე გადაწყვიტა, სხვა გვარი ხერხი ეხმარა: — თქვენ მირჩიეთ, რას მოვეუსმინო ან რა ნავიკითხოო, — ეძალებოდა შვილებს. ვითომ ურჩევდნენ, ვითომ გულახდილებიც იყვნენ მამასთან, მაგრამ გრძნობდა, რომ თავიდან იშორებდნენ. უშელავათო სიჯიუტითა და გამართულობით მუშაობდა ყოველდღიურობის საათი, რომელიც მას, ზურას კი არა, ვიღაც სხვას მოემართა ზურას ოჯახში, იმ სხვისი ზუსტი სახე ლი და ზუსტი მისამართი კი ზურამ არ იცოდა, აქედან გამომდინარე, უძლურიც იყო, რამე ელონა.

ოჯახში ჩხუბი და ხმამალალი ლაპარაკი გახშირდა, — აქეთ ზურა იყო, იქით მისი ცოლ-შვილი.

როცა მიხვდა, რომ უსაგნო, უშინაარსო, რაც მთავარია, უშედეგოა თავისი ყველა მცდელობა და მომბეზრებელი ხდება მათთვის, თავად გაირიყა თავი. ახლა ძირითადად დუმდა, საკუთარ არსში ეძებდა პასუხებს ერთად წამოშლილ-წამოჯაგრულ კითხვებზე, რომლებიც სულს უფორიაქებდნენ. ერთხელაც იმ წიგნით დაინტერესდა, რომელიც თეფომ წარუდგინა ტელემაცურებელს, როგორც თანამედროვეობის გამორჩეული ნაწარმოები.

— თამარა დეიდა, ის წიგნი თუ ნაიკითხე, თეფო რო აქებდა ტელევიზორში? — ჰკითხა თავის სკამზე მჯდომარე ზურამ ბიბლიოთეკარს.

— ვიცი ეგ ავტორი, — თქვა თამარმა, გაელიმა და ისევ

თქვა: — კიდეც იგინება?

— ჰო, — თქვა ზურამ, — იგინება... რატომ არქმევენ ამას თავისუფლებას? ესაა თავისუფლება?

— ეგ ბაზარია, — მიუგო ქალმა, — ახალი არაფერი ხდება, თავისუფლების სახელით ბილნსიტყვაობა გამოფინეს ბაზარზე, ესაა და ეს...

ალბათ იმავე ბაზრის მოთხოვნით დააპირეს ბიბლიოთეკის გაუქმება და ლამის კლუბის გახსნა. თამარი პენსიაზე გაუშვეს, წიგნები სადღაც გაზიდეს, შენობის კარი კი ორი ფიცრით აჭედეს.

— თოფი რად გინდა? — სიტყვა დაადევნა ზურას ცოლმა, როცა დაინახა, რომ საგარეოდ გამონყობილ მის ქმარს ბუდეში ჩასმული ორლულიანი თოფი მიჰქონდა შინიდან.

ზურამ უხმოდ გამოიხურა კარი, პასუხი არ გაუცია ცოლისთვის, თუმცა იფიქრა: „ჩვეულებრივი საათების ჩვეულებრივ წიკნიკში დავკარგე ოჯახი, რაღაც უჩვეულო უნდა მოვხდინო, რომ ის სკამი მაინც შევიწარჩუნო, სადაც ვისვენებდი“.

ის სპეცდანიშნულების რაზმიც ჩვეულებრივი სპეცდანიშნულების რაზმი იყო, რომელიც ყველა სახელმწიფოში არსებობს და იმისთვისაა შექმნილი, რომ თუკი ვიღაც შემლილი აჭედელ კარს ფიცრებს ჩამოგლეჯს და იარაღით გამაგრდება შენობაში, აუცილებლად გასაუვნებელყოფილია.

დანებება სთხოვეს. იქნებ იმ იმედითაც არ დანებდა, რომ ასე უფრო გაახმაურებდა თავის პროტესტს, რომელიც დიდი ხანია სულს უფორიაქებდა, ვერ კი ამოეთქვა ზუსტი სიტყვებით.

მოკლეს სკამზე მჯდომარე, თოფით ხელში, რომელიც არ გაუსვრია. ტელერეპორტაჟში თოფი ანახეს; ჩანერეს ინტერვიუ ქვრივთან, ვინც თქვა:

— მშვიდი, განონასწორებული კაცი იყო ჩემი ქმარი, მაგრამ ერთხელაც ძალიან უცნაურად მოიქცა; მაშინვე უნდა მივმხვდარიყავი, მაშინვე...

— შეუხვით! — ეუბნები მძლოლს.

უხვევს.

— იქ გააჩერე! — უთითებ.

აჩერებს.

დანახარჯს ისტუმრებ. მანქანიდან აპირებ გადასვლას, შემდეგ ეუბნები:

— დამიჯერე, ღრუბელი — დარინდა მართლა არსებობს.

— კარგი კაცი ხარ, — შემოგცინის მძლოლი; კმაყოფილია, კარგად გადაუხადე; თუმცა, თავს არ გაგასულელე ბინებს, ამიტომაც გიცინის, გემშვიდობება. შენ შენთვის, მე — ჩემთვის, კეთილად დავშორდეთო, ამას გთავაზობს უთქმელად.

რაღაც არ გასვენებს, ისევ მიმართავ:

— ენციკლოპედიაში ნახე და დარწმუნდები! — მერე გადადიხარ, ბოლო სიტყვა მაინც შენ დაიტოვე. იდიოტი ხარ, სამსონ, მაგრამ რას გახდები, ესეც შენი სამუშაოს ნაწილია; ახლა მძლოლს კი არა, უფრო საკუთარ თავს აჯერებ იმაში, რომ ღრუბელი — დარინდა მართლა არსებობს; საკუთარი თავი თუ არ დააჯერე, სხვას მითუმეტეს ვერ დააჯერებ. ესე იგი, პროცესი დაიწყო. წადი, წადი, წა-ნა გელოდება, იქნებ ის მაინც მოატყუო.

მიდიხარ სადარბაზოსკენ, — ერთი, ორი, სამი...

**ნანასთან**

— დაკარგული, შემოდი! — გიცინის.

შედიხარ, კოცნი, პოლიეთილენის პარკში ჩანყობილ ბოთლებს ანვდი, რაღაც გეუცხოება, — ა, ჰო, თმა შეუღლებავს.

— სხვანაირი მეჩვენები, — ამბობ, თვალის ერთი შევლებითაც ამჩნევ, გელოდა: ლოჯიაში ფარდები ჩამოუფარებია, სანოლთან ტუმბო მიუდგამს, ტუმბოზე თევშები, ორი ჭიქა, დანა, ხილი.

ნანა მაცივარში ანყოფს ბოთლებს, გამოგხედა, მისი გამომცდელი თვალები შენზე:

— საშინელებაა, არა?

— რა არის საშინელება? — ეკითხები და სავარძელში ეშვები.

— ეს ფერფლისფერი თმა, ისევ უნდა გადავიღებო... — შენსკენ მოემართება, საპირისპირო სავარძელში თავსდება, უკმაყოფილოდ აქნევს თავს, თმებსაც ეხება ხელით, ქვემოდან აკვირდება შენს რეაქციას. ახლა ფერდები უნდა მოფხანო, ნანას ეს სჭირდება.

— მე ძალიან მომწონს, — ეუბნები დამაჯერებლად.

— მართლა? — უმალ ცოცხლდება ნანა, მისი მალული მზერა სარკისკენ, შემდეგ შენსკენ, გეკეკლუცება ახლა, ცდილობს, გოგონას დაემსგავსოს; სიბერის უტყუარი ნიშანია, როცა ქალი ცდილობს, გოგონას დაემსგავსოს.

არ უთხრა, სამსონ, — მართლაო, უფრო არ დაგიჯერებს; უთხარი, — მგონი, მართლა, — დააკვირდი, შემდეგ კი ისევ თქვი, — ჰო, ძალიან გიხდება, მე მომწონს...

— მგონი, მართლა... — ეუბნები ნანას, აკვირდები ერთხანს, შემდეგ კი დაბეჯითებით ამბობ: — ჰო, ძალიან გიხდება, მე მომწონს.

ამის შემდეგ დიდი მონდომებით გაირჯება სასიყვარულო სარეცელზე, რასაც ელოდა შენგან, — მიიღო; ფერდები დაფხანეთ ნანას, ახლა მისი ჯერია; თუმცა, ნანას ყიფლიბანდის ბინადარი ვერ ისვენებს და მეუბნება:

— ტყუნის!

— რა, — ტყუნის?! — ვეკითხები ნანას ყიფლიბანდის ბინადარს.

— ტყუნის, რო არ უხდება!

— კარგი, რა, — ვეუბნები მე, — ნუ გავართულებთ ჩვეულებრივ სასიყვარულო პაემანს, ტკბილად ვისაუბროთ...

შენსკენ მითითებს, თანაც მეუბნება:

— ნასვამი ჩანს, აქვს რამის თავი?..

— აბა, რა გითხრა, — ვეუბნები მე, — ხო იცი, შეხვედრაზეა, ხან ისე, ხან — ასე, — ნანას ყიფლიბანდის ბინადარი შენსკენ იცქირება, სამსონ, და ამბობს, — ეჰ, — რაც ნიშნავს, რაცაა ეგააო, ნანა კი გეკითხება: — არ გშია?

— არა, — ეუბნები შენ, — წყალს გადავივლებდი, ცხელა...

ნანას პირსახოცი და საზაფხულო ფლოსტები გამოაქვს შენთვის, გეკითხება:

— რამე ახალი დაინყე? — ეს ხარკია, რასაც თქვენს წარსულ ცხოვრებას მიაგებთ; იმ დროს, როცა საბჭოეთის კარჩაკეტილობაში გამომწყვდეულები განსაკუთრებით ეტანებოდით ხელოვნებას, რომელიც სწორედ იმის გა-

მო, რომ კარჩაკეტილობაში იქმნებოდა, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლებაზე ჰყვებოდა რომელიღაც მითს, ამბავს, ნატვრას თუ ოცნებას. ცუდი დრო იყო, საზარელი, თუმცა ხვედრად ეს დრო გერგოთ; და, როგორც ყველა დროშია, ალბათ, იქიდანაც გამოიყოლეთ რაღაც ძალიან ძვირფასი, იქნებ ბავშვობა და სიყმაწვილე, იქნებ კი სწორედაც ის მითები თუ ოცნებები, თავისუფლებაზე რომ ჰყვებოდნენ სხვა და სხვა ამბებს, რესტ გას ხამდნენ, გაბრუებდნენ, მოლოდინით გამუხტავდნენ და ჰა, მოდიხართ საბჭოეთიდან პოსტსაბჭოურ გზებზე და ისევ საბჭოეთი მოგყვებათ მდევრად, ნანამ ავტოფა რებს შეაფარა თავი, სილამაზის სალონი გამართა და მცირე სარჩო გაიჩინა; თავისუფლების მყიფე კუნძული, რომელიც თავისუფლების იმ დიად მითთან შედარებით, მაშინ რომ გბანგავდათ, ერთი ბენოა, სადღაც შეყუჟულა, შეშინებული მელიის თვალეებით იცქირება თავისი სოროდან. რაც შეგეხება შენ, სამსონ, აქ ყველაფერი ნათელია, დავაზუსტეთ უკვე, უკანასკნელ მამონტთა შემეჩხრილი ჯოგის ერთ-ერთი ნეერი ხარ.

— არა, — ეუბნები ნანას, — ჯერ არ დამიწყია, ვაპირებ.

ტაში-კუკული, ტარამ, ტარამ! — ან აპირებ, ან — არა!

— მომიყვები? — გეკითხება ნანა და მხარზე გკოცნის.

შენც კოცნი ნანას, შემდეგ აბაზანისკენ მიდიხარ.

იხილ. შხაპის ქვეშ. წყალი გახალისებს: „სერდცე კრასა-ვიცი“, ტაი-რაი, რა-რირო, რაი-რაი, რაი-რირო, ამს-ტამსტამს-ტინსტოო, რატომ აგეკვიატა ეს უნიჭო სიმღერა? ტარამრამრამრირო, რირირირირირო, შვილის ამბავი მოგეკითხა, ნანას გოგოსი, რომელიც გათხოვდა, ჰა, სამსონ? რირირირირირო, რაი-რაი-რაი, რაა...

საშხაპედან იატაკზე. პირსახოცი. ნანას ყოფილი ქმრის ხალათი, ხალათს იცვამ. ფეხები ფლოსტებში. აბაზანიდან გამოსულს ჰაერის გრილი ნაკადი გეგებება. კარგია!

— მართლა, შენი გოგო როგორ არის? — ეკითხები და სავარძელში კი არა, სანოლზე ჯდები.

— არაუშავს, — გეუბნება, — ჯერ არ მიპირებენ ბებიობას, — გინვევს, გეთამაშება, კომპლიმენტს გძალავს.

მიდი, მოფხანე ფერდები, — სჭირდება.

— შენ ბებიობაშიც წინკვივით იქნები, — ეუბნები.

ზუსტად მორატყვი, გამლღვალი ღიმილით გიცქერს, სავარძლიდან დგება, მოდის, გვერდით გიჯდება, გკოცნის.

— რა სულელია, — მეუბნება ნანას ყიფლიბანდის ბინადარი ნანაზე, — ოღონდ რამე ისეთი უთხარი და...

— კარგი, რა, — ვეუბნები ნანას ყიფლიბანდის ბინადარს, — სულელი კი არა, ადამიანია, რა დაძაბული ხარ, მოდი, ტკბილად ვისაუბროთ... — ვუჩოჩდები თანაც.

— დაძაბული იქნები, აბა რა, — მეუბნება ნანას ყიფლიბანდის ბინადარი, — ათასში ერთხელ თუ შემოვივლის, ისინი კი არ ვართ, ბოზები... ეჰ...

ეტანები ნანას, ლაჯებზე ეფერები, კოცნით ერთმანეთს; თუმცა, ნანას ყიფლიბანდის ბინადარი ისევ ამბობს, — ეჰ, — ნანა კი გირიდებს.

— მოიცა, — გეუბნება ნანა, შემდეგ იცინის და ისევ გეუბნება: — გადაგეჩვიესავით...

— მაშინ, ღვინო გამოიტანე, — ეუბნები, — გაცივებოდა.

ნანას ღვინო მოაქვს მაცივრიდან, ბოთლს ართმევ, ხსნი, ჭიქებში ასხამ.

— გაგვიმარჯოს! — ამბობ, სვამ.



ნანა წრუპავს, მერე გეკითხება:

— რაზე აპირებ დანერას?

გახსენდება, რომ მძლოლი ვერ აიყოლიე, ისევ ისხამ ღვინოს, სანოლზე თავსდები მოხერხებულად, მერე ამბობ:

— ღრუბელი — დარინდა გაგიგია?

— ღრუბელი — დარინდა? — ინტერესდება ნანა.

— ჰო, — ეუბნები, — საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული მოგვეცემა, იქ ინურება წვიმად, სადაც რაღაც ხდება. ნუთუ არ გაგიგია?

— მაიმუნობ, არა?! — გეკითხება ნანა, შემდეგ შენს გვერდით წევა.

ჭიქას ცლი, ტუმბოზე დგამ, თავქვეშ უცურებ ნანას მკლავს, ისევ ამბობ:

— შეიძლება ცოტათი ვამიმუნობ კიდევ, მაგრამ ღრუბელი — დარინდა მართლა არსებობს, დამიჯერე; არაფერი ქრება უკვალოდ, დიდი დარდი მითუმეტეს, — ამის შემდეგ მეტი ჟინით ეტანები, მეც ვუჩოჩდები ნანას ყიფლიბანდის ბინადარს და ვეკითხები:

— რას ვამბობდით? სადაც შევწყვიტეთ საუბარი...

ნანას ყიფლიბანდის ბინადარი მიცქერს, ახლა მასაც ისე უღლებს მზერა, როგორც ნანას გაუღღვა ცოტა ხნის წინ.

ნანას სიშიშველე. შენი ხელი ნანას გავაზე. შენი ტუჩები ნანას ტუჩებზე. ნანას ხელი შენს ასოზე. შენი ტუჩები ნანას მკერდზე. სუნამოს სუნი ნანას კისერზე. მეტად და მეტად ვუჩოჩდები ნანას ყიფლიბანდის ბინადარს.

— რას ვამბობდით? — ვეკითხები და სულ ახლოს ვგრძნობ მის გამღღვალ არსს.

თვალები ელულება და ელის.

ნანას გაშლილი ფეხები. შედიხარ ნანაში. ერთად მოძრაობთ. ნანას ფეხები შენს წელზე. ნანას სუნამოს სუნი და ნანას სისველე.

ერთი-ორი, ერთი-ორი, ერთი-ორი-სამი; ერთი-ორი, ერთი-ორი, ერთი-ორი-სამი.

ეჰ! — ხმა.

მიდი, — ერთხელაც!

მნიფდები, — მიდი!

აჰ! — ჰო! — გავიარე ნანას ყიფლიბანდის ბინადრის გამღღვალ ღიმილში, რაღაც ძალიან მძიმე მომწყდა, განვთავისუფლდი:

— შენ? — ვეკითხები ნანას ყიფლიბანდის ბინადარს, — შენ არ განთავისუფლდი?

— მოიცა, — ამბობს, — ჩუმად ვიყოთ...

ვიყოთ და ვიყოთ, ჩუმად ვარ; შენ გიბრუნდები, სამსონ!

ნანა დგება, აბაზანაში მიდის, ნანას ყიფლიბანდის ბინადარიც მიჰყვება ნანას.

წევხარ; შენთვის ნაცნობია ამ ზენრის სუნი. ხელი ბოთლისკენ. ისხამ, სვამ. სიგარეტს უკიდებ. კვამლი. რამდენიმე ღრმა ნაფაზში თითქმის ფილტრამდე დაგყავს სიგარეტი. ისევ ისხამ. სვამ. ნაფაზი, — ერთიც, სიგარეტის ნამწვი საფერფლეში.

გამოდის ნანა. იხრება, გკოცნის:

— მართლა არ გშია? — გეკითხება.

— არა, — ამბობ, უღიმი, დგები, აბაზანაში მიდიხარ.

წყლის ქვეშ კარგია. სიჯანსაღის შეგრძნება, რომელ საც სასიყვარულო სარეცელის გაზიარების შემდეგ

იღებ. მოქმედი მამრი შხაპს ივლებს. ჰო, ასე, ახლა პირსახოცი, ასე. გრილი ჰაერი კარის გაღებისთანავე. ისუნთქავ ჰაერს, — ერთი, ორი, სამი, — ოთახში.

— მაინც მომატყუე! — ნანა კომპიუტერთან ზის, იქიდან გეუბნება.

— რა მოგატყუე? — უახლოვდები ნანას.

— ვეძებ შენი დარინდა, არსადაა, მაგრამ ხომ ვეძებ, — ეკრანზე გითითებს.

— ცოტა ხნის საქმე მაქვს, ხომ არ მოიწყენ, ტელევიზორს ჩაგირთავ! — გეუბნება ნანა.

— ტელევიზორის ჩართვა ვიცი, — უღიმი ნანას, — ცივილიზებული მამონტი ვარ, — პულტიანი ხელი ტელევიზორისკენ, ირთვება.

როგორ შეიძლება, ღრუბელს სახელი ერქვასო, — ვიჭერ შენს ფიქრს; — სსრკ-ს ისტორიის მასწავლებელი, რომელიც არველოდის დაემონაფა, — ფიქრობ, თანაც მექანიკურად აჭერ თითს პულტს, — ცხოველებზე, — არ გვინდა, — კინო, — არ გვინდა, — ინგლისურად ტატყანებს ვილაც, არ ვიცით ინგლისური, — არ გვინდა, — საინფორმაციო, — არ გვინდა, — არა! ერთი წუთით, — ისევ უკან, ნაცნობი სახე, ვინ? კორნელი! ჰო, კორნელი! — თხელი ბაგეები, ავეყია სახე, რომელიც ახლა უღიმის ვილაცას, — ვის უღიმის? — პრეზიდენტი! პრეზიდენტი და კორნელი ქუჩაში გამოდგამულ მრგვალ მაგიდასთან, კორნელისთან ერთად ზუსტად კორნელის მსგავსი რამდენიმე ტიპი, მაგიდაზე არყის ბოთლი და ჭიქები. რომელიღაც მშენებლობას აქებენ კორნელი და მისი მსგავსი ტიპები, მაგრამ კორნელი, როგორც ჩანს, წამყვანია ამათში. გასაგებია, — პიარი, — პრეზიდენტი ხალხში გავიდა და მათ აზრს ისმენს; რეჟისურა ნაცნობია, კორნელიზე უფრო სახასიათო ტიპაჟს ვერც შეარჩევდნენ. კორნელი ის კაცია, ხმა რომ ეხლიჩებნათ დროთა განმავლობაში, ამ ჩახლუჩილი ხმით ჰყვებიან ბინძურ ამბებს ჭიქა არაყთან; კორნელის, ალბათ, ციხეც უნახავს და ისიც, რასაც კორნელი კარგ ცხოვრებას ეძახის, ზის ახლა კორნელი რომელიღაც უბანში თავის თანამეინახებთან ერთად, აქებს რომელიღაც მშენებ ლობას, უეცრად პრეზიდენტმა ჩამოიარა, გადმოვიდა მანქანიდან, გაერია ჩვეულებრივ ხალხში, ესაუბრება კორნელის და მის მოსაზრებებს ფიქრში ინიშნავს. უნიჭო რეჟისურა, უნიჭო პიარი, რომელიც მაინც მუშაობს ვილაცაზე. ვისზე? ალბათ, კორნელის მსგავს ტიპებზე, მაგრამ კორნელის მსგავსი ტიპები საკმაოდ გაქნილები არიან, იცნობ ამ კაცს, იცნობ კორნელას, როგორც უბანში ეძახდნენ მას, ეს უნიჭო რეჟისურაც ნაცნობია იმ დროიდან, როცა საათებს „ვრემიაზე“ ასწორებდნენ.

ტელევიზორის პულტს თითი. ტელევიზორის ეკრანი ქრება. ღვინოს ისხამ, სვამ, სიგარეტს უკიდებ.

— არ მოიწყინო, რა, ახლავე მოვალ, თმის საღებავები მინდა გამოვიწერო! — გეუბნება ნანა.

— არ მოვიწყენ, — პასუხობ, — შენს საქმეს მიხედე, — ნაფაზი, ისევ, ისევ, ხელი ბოთლისკენ, ისხამ, სვამ, ნაფაზი, სიგარეტი საფერფლეში, სასიამოვნო მოთენთილობა გილულავს თვალებს.

მომისმინე, მეშვიდეზე მოგიყვები თორმეტი მსგავსიდან; იმაზეც მოგიყვები, როგორ იხილა ჟინოთიამ თავისი ძმა — არველოდი.

დევნილობიდან დაბრუნებულმა პრეზიდენტმა ძალა-

უფლების დასაბრუნებლად ქუთაისისკენ დაძრა თავისი შეიარაღებული რაზმიო, — დიდი თუ პატარა ამაზე ლაპარაკობდა.

შოთას გაახსენდა ის დღე, როცა ცვილის სუნს მიჰყვა ძეგლამდე, იქ თავის მსგავს ბიჭებს შეეყარა და გაეფიქრა: „რა კარგია, რომ დუმილს არ არღვევენ, დუმილი სიტყვებზე ხმამაღლა ლაპარაკობს ახლა; ადამიანმა უნდა მოახერხოს და მხოლოდ მთავარი სიტყვებით დაარღვიოს დუმილი“.

„წავალ“, — იფიქრა შოთამ, — „ის მთავარი სიტყვები უნდა ვიპოვო“, — და წავიდა, გამოსცდა აკაცებებითა და ბაბუა-ბებიების სამარეებით ჩარიგებულ ქუჩას, მიუახლოვდა დიდ ლოდს, რომელსაც გელოდის ცრემლები შეარქვა ხალხმა და შვიდი შოსანი, მდუმარე ქალი შენიშნა.

ქალებმა ხავსისგან განმინდეს ლოდი, გელოდის ცრემლებით დარწყულდნენ და ლოდზე შემოსხდნენ.

შოთა მათ მიუახლოვდა და იფიქრა, — უნდა ვთხოვო თუ არა ნებართვა, რათა მეც დავრწყულდე გელოდის ცრემლებითო, მაგრამ გაახსენდა, რომ ნებართვის სათხოვნელად სიტყვები უნდა ამოეთქვა, ისიც იფიქრა, არა, ეს არაა მთავარი სიტყვებით, — უნებართვოდ დარწყულდა გელოდის ცრემლებით, ხოლო როცა ქალები წამოიშალნენ და გზას დაადგნენ, ისიც შოსანთა შვიდეულს მიჰყვა.

გელოდის ცრემლებით დარწყულებულთ არც წყურვილი სტანჯავთ, არც შიმშილი; დადიან ასე, — შემოივლიან მთასა თუ ბარს, სოფელსა თუ ქალაქს, დაბრუნდებიან ლოდთან, იქიდან მიიღებენ თავისი მარადიული მსვლელობისთვის საჭირო ცრემლებს და ისევ შეუდგებიან გზას.

შოთას დღეთა რიგი აერია. უბრალოდ იყო დღე და უბრალოდ იყო ღამე, იყო გზატკეცილი და იყო სოფლის შარა თუ ვრცელი მინდორი, ასე იარეს, სანამ ერთ მღვიმეს არ მიადგნენ.

შინაგანმა ხმამ უთხრა შოთას, რომ აქ მთავრდებოდა მისი მოგზაურობა, ქალებს ჩამოშორდა და მღვიმეში შეაბიჯა.

გრილოდა.

შოთა ჩამოჯდა, კედელს მიეყრდნო და დაიძინა. ღამით გაღვიძდა, მღვიმედან გამოვიდა, ვარსკვლავებით გადაჭედო ცას ააცქერდა, ენით უთქმელმა, საყოველთაო სიმშვიდემ დაისადგურა მის სულში და იფიქრა: „გმადლობ, უფალო“!

მთელი ღამე მადლობდა უფალს, მაგრამ მადლობდა სიტყვების გარეშე, თავის არსში წასული, გამთენიისას კი

ჩაეძინა.

შიმშილის გრძნობამ გააღვიძა და გაუკვირდა, რომ შოთა, რადგან დავინყებოდა კიდეც, რას ნიშნავს შიმშილი, შემდეგ კი ისევ უფალს მოუხმო ფიქრით და თქვა გულში ისე, რომ ბაგე არ გაუხსნია: „უფალო, მშოა“!

ზუზუნის ხმა შემოესმა, მღვიმეში შებრუნდა, ხმას მიჰყვა და ველური ფუტკრებით გარშემორტყმულმა ფიქსა ჰკიდა ხელი.

არ დაუკბენიათ.

„ჩემი საზრდო“, — იფიქრა შოთამ, — „გმადლობ, უფალო“!

და იყო დღე და იყო ღამე და მერე ისევ დღე და ისევ ღამე და იყო ასე, სანამ ერთ დღეს, მღვიმიდან გამოსულმა შოთამ ხუთკაციანი, შეიარაღებული რაზმი არ შენიშნა.

მისკენ მოდიოდნენ, ერთ-ერთმა უთხრა:

— გვშოა, კეთილო კაცო, გვაჭამე რამე!

„პრეზიდენტი აღსასრულისკენ მიაბიჯებს, განწირულია“, — იფიქრა შოთამ, მღვიმიდან ფიჭა გამოიტანა, რაზმელებს გადასცა და როდესაც დევნილი პრეზიდენტის საფეთქელთან ნატყვიარი შენიშნა, მიხვდა, რომ წინასწარ შექმლო მოვლენათა ამოცნობა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცოდა მთავარი სიტყვები, რომელსაც მისი მდუმარება უნდა დაერღვია.

მადლობა მოახსენეს, გაშორდნენ, ბილიკს შეუყვინენ.

„აღესრულება ტყვიით, თავისი ბედისწერის ბილიკს მიჰყვება; ჩემი ბედისწერის ბილიკი კი ორი სიტყვით უნდა დასრულდეს“, — იფიქრა შოთამ; ახლა ზუსტად იცოდა, რომ აღსასრულის წინ ორი სიტყვას ამოთქვამდა და ისიც იცოდა, რომ უფალი უკარნახებდა ამ სიტყვებს.

დროდადრო ჩნდებოდნენ მღვიმესთან მახლობელი სოფლის მკვიდრნი, დროდადრო შეიარაღებული რაზმელებიც ჩამოვიდნენ, არავინ ერჩოდა; იცოდნენ, რომ მდუმარებას არ არღვევდა, არც ისინი ეძალებოდნენ; მღვიმის კაცი შეარქვეს, იყო კიდეც მღვიმის კაცი, რადგან ზუსტად იცოდა, რომ აქ უნდა აღსრულებულიყო, სიკვდილის წინ კი ორი სიტყვით უნდა დაერღვია ხანგრძლივი სიჩუმე.

იმ ღამით, როცა, ჩვეულებისამებრ შესცქეროდა ვარსკვლავებით გადაჭედო ცას და უფალს მადლობდა გულში, ზუსტად ჩაესმა სიტყვები, რომელიც მეორე დღეს უნდა ეთქვა და იფიქრა: „ჩემი ბედისწერის ბილიკი გაილია, ერთი ნაბიჯილა დარჩა; აჰა, აქ ვარ, უფალო“.

დილით ამოვიდნენ. ოთხნი იყვნენ. ერთს მწვანე ბენდენით წაეკრა თავი; მეორე თეთრი პირისკანისა იყო, ყვითელთმინი, ცხვირაპრეხილი, სხვა ორი, — წვეროსანი.

— აბა, მითხარი, მიპასუხე, — უთხრა ერთ-ერთმა წვეროსანმა, — სად ვდგავართ ახლა მე და შენ, ჩემს მინაზე



მხატვარი აივანგო ჭელიძე

თუ შენს მინაზე, ვისი მინაა ეს მინა?

— ღვთის მინაა, — თქვა მოთამ.

ბენდენიანმა ესროლა.

სისხლის ნაცვლად ჭრილობიდან თაფლი დასდინდა, ხელით შეიზილა ჭრილობა, შენევილ ხელისგულს დახედა და იფიქრა: „ალბათ ტკბილია“, — შემდეგ დაეცა მინაზე.

შეიარაღებული შოთას ცხედარს დააცქერდნენ; ამ ადგილიდან კი ძალიან შორს, თბილისში, თავის ხელებს ჩაცქერილმა ნიკას დედამ უეცრად თქვა:

— ახლა რაღაც მოხდება, ახლა აუცილებლად მოხდება რაღაც...

და მართლაც, მღვიმიდან ველური ფუტკრების ავად აქორჩილი ტალღა დაიძრა, მთლიანად გადაფარა, ჩაიხვია ოთხი შეიარაღებული კაცი, ხოლო, როცა ტალღა გაიშალა და გაქრა, მათი დანესტრილი, უსულო გვამები დარჩნენ მინაზე.

იმ დღეს ძლიერი მზე დააჭერს, შეიარაღებულთა ცხედრებს გაფუყავს, შოთას ცხედარი კი ჯერ ცვილისფერი გახდება, შემდეგ უფრო ცვილისფერი, უფრო, უფრო და ბოლოს ააღდება, ჰაერს შეერწყმება.

მინაზე დარჩება გამდნარი ცვილის ლაქა; სწორედ იქ შედგება ჟინოთია, როცა ახალ წრეზე მავალი შვიდი შაოსანი ქალი მღვიმესთან მივა; ჰოდა, შედგება ჟინოთია ცვილის ლაქაზე, მკვიდრად შეკრული ღრუბლისკენ გაიშვრეს თითს და იტყვის:

— იქ, იმ ღრუბლის გვერდით, არველოდის ვხედავ ცხადად, რა ლამაზია!..

ამის მერე დაერქმევა ამ ადგილს, — საიდანაც ცხადად იხილა ჟინოთიამ არველოდი.

ზარი მობილურზე. ნანა მობილურს დასცქერის, შენკენ აპარებს მზერას; მართლაცდა, თითქოს სოროდან იცქირება შეშინებული მელაკუდა...

ნანა ლოჯიისკენ მიდის.

სამსონ, ჩაგეძინა, სამსონ?!

— ჰოუ, დაკარგული, სად ხარ? — მესმის ნანას ხმა.

ეგეც შენ, სამსონ! ეგეც შენი ნანა, სამსონ! — იძინე, იძინე...

ნანა შემოდის, გაცქერდება.

— რამდენი დაკარგული ჰყავს ნანას? — ვეკითხები ნანას ყიფლიბანდის ბინადარს.

— აბა, რა გეგონა, ათასში ერთხელ თუ შემოვივლის, — მანიშნებს შენკენ. — მართლა ისინი კი არა ვართ, ბოზები...

ნანა ლოჯინში გიძვრება, ხელით გეხება იქ, ვის გაღვიძებასაც ელტვის.

— ეჰ, — ვამბობ მე.

— ხელს ნუ უშლი, — მეუბნება ნანას ყიფლიბანდის ბინადარი.

— გითხრა სიმართლე?! — ჩაგრჩურჩულებს ნანა და მთელი ტანით გეკვრება, — მეშინია ბებიობის; იცი, როგორ მეშინია...

— ნუ გეშინია, — ბურტყუნებ შენ, — წინკვივით იქნები...

— უნდა გადავიღებო თმა, ლურჯად არ მომიხდება? — გეჩურჩულება ნანა და მეტად და მეტად გეტანება იქ.

— რა უბედურებაა ლურჯად შეღებილი თმა? — ვეკითხები ნანას ყიფლიბანდის ბინადარს, — ბუნებრივი ფერი აღარ არსებობს?!

— ხელს ნუ უშლი, — მეუბნება ნანას ყიფლიბანდის ბინადარი ისევ, — ნუ უშლი ხელს ნანას; გააღვიძე, რა დღე-

შია ეგ შენი სამსონა?!

სამსონ, გაიღვიძებ?

— ეჰ, — ვამბობ მე, — ეჰ...

შენი ღრმა ჩასუნთქვა, შენი ხელი ნანას გავაზე.

— მოემზადე, — ვეუბნები ნანას ყიფლიბანდის ბინადარს, — მგონი, იღვიძებს, ერთხელაც უნდა გავიარო შენს გამლღვალ ღიმილში.

— მოდი, — მეუბნება ნანას ყიფლიბანდის ბინადარი, — მოდი, ჰო, მოდი...

**პარაკეთილიდან დიდი დიღმისკენ მიმავალ გზაზე**

ხელი ტაქსისკენ. მანქანა ჩერდება. ჯდები.

— დიდ დიღომში! — ეუბნები.

— იყოს დიდ დიღომში, — ამბობს მძღოლი.

რაღაც გეცნო, იმ მძღოლმაც ასეთი პასუხი გაცცა, — ვარკეთილშიო, — უთხარი, — იყოს ვარკეთილშიო, — გიპასუხა. იგივე მძღოლი ხომ არააო, — ფიქრობ და აკვირდები, თითქოს გეცნობა, მაგრამ არაა იგივე მძღოლი. საერთოდ კი, ტაქსის მძღოლები ემსგავსებიან ერთმანეთს.

ტაქსის მძღოლის ყიფლიბანდის ბინადარს ვეკითხები: — ხომ ასეა?

— კი, — ამბობს ის, — ასეა, მაგრამ მართლა მეცნობით; რამდენს გადაიხდის?

— გადაიხდის, არ აწყენინებს, — ვეუბნები.

— მეც მგონია, კარგად გადაიხდის; როცა კლიენტი წინასწარ არ კითხულობს მგზავრობის საფასურს, კარგადაც იხდის. ლოთობს? — მანიშნებს შენზე.

— ჰო, — ვეუბნები, — შენი?

— ჩემიც, — მეთანხმება, — საქმეს რომ მოილევეს, მერე ლოთობს... ეჰ, შენ რა იცი, ტაქსის მძღოლი კი არ იყო სულ...

— გასაგებია, — ვეუბნები, — ორი ინსტიტუტი ექნება დამთავრებული.

მძღოლის ყიფლიბანდის ბინადარი ყურდება. ვყურდები მეც, შენ ქუჩას უცქერ, დალილობას გრძნობ. ეგეც შენი მოგზაურობა, სამსონ!

— მომქმედი მამრი დაილალა? — ვეკითხები.

ქეთიზე ფიქრობ.

— ნასვამი ნუ ახვალ, — ვეუბნები, — ქეთიმ თავისი სამ ყარო მოიხყო, — შვილები, შვილიშვილი, მრავალრიცხოვან ქოთნებში განთავსებული კაკტუსები და ყვავილები, რომლითაც სავსეა თქვენი ლოჯია და მისაღები; მონაფეები, ვისაც ფორტეპიანოს დაკვრას ასწავლის; თითქმის ავადმყოფური ნესრიგიანობა ბინაში, რასაც შენ არღვევ... უქნით ერთმანეთს ხელი, შენ — აივნიდან, მან — ფანჯრიდან, ასე უფრო უშფოთველად და მყუდროდ იგრძნობთ თავს.

ისევ ქეთიზე გეფიქრება. არა, დღეს ამით არ დაამთავრებ მოგზაურობას; ვერ პატიობ გაციებულ ურთიერთობას, სწორედაც ქეთის ადანაშაულებ ამაში და წვრილმანი, უკადრისი შურისმაძიებლობის ჟინი გიპყრობს; გინდა, ნანას ლოჯინში გორაობის მერე ნახო; გინდა, ახვიდე არყის ბოთლით, იქ ჩამოჯდე, შენს სამზარეულოში, არაყი ჩახეთქო ქეთის დასანახად; გინდა, ანიშნო, რომ ასეთი ხარ, აი,

ასეთი, და მასაც მიუძღვის ბრალი, ასეთი რომ ხარ.

ცუდი კაცი ხარ, სამსონ!

დღეს ჩასკდები, თანაც არყით; რომ იცოდე, რა საზარელი დილა გავითენე, სამსონ, შენ რომ ეს იცოდე... სიმთვრალე არაფერია, სიმთვრალეში სისხლძარღვები გიფართოვდება და სიმართლე გითხრა, მეც არ ვგრძნობ ცუდად თავს; მაგრამ ნაბახუსევზე, როცა სისხლძარღვები შევიწროებულია და ჰაერი ვერ აღწევს ჩემამდე, როცა ლამისაა მოგწყდე, გაგშორდე, სამუდამოდ მივატოვო...

ჩვენ, ყიფლიბანდის ბინადართაც გვაშფოთებს ის გაურკვეველი მდგომარეობა, რომელიც უცილობლად გველის ოდესმე.

არც ჩვენ ვიცით, მერე რა იქნება. შენ როგორ ფიქრობ, სამსონ, მერე რა იქნება, როცა ერთმანეთს მოვწყდებით? არადა, შეგჩერე, შე მართლა იდიოტო; მენანება შენთან ერთად გატარებული გაზაფხულები, ზაფხულები, შემოდგომები და ზამთრები; მენანება ბავშვობა, სიყმაწვილე, ის დღეები, როცა კაცობაში შეხვედი; სიხარულები, რომელიც იყო შენს ცხოვრებაში, — თუნდაც შვილების დაბადება გაიხსენე, თუნდაც შვილიშვილის მოვლინება, რომელი ერთი ჩამოვთვალო, მაგრამ ყველაზე მეტად ის დღეები მენანება, სამსონ, როცა ერთმანეთს ვგრძნობდით, როცა გესმოდა ჩემი ხმა და ისიც ცხადად იკვეთებოდა შენს წარმოსახვაში, — აი, ის, მესამე სამსონა, პერსონაჟი.

გესმის ჩემი?! მომხედე, მომისმინე, აქ ვარ!

ტაში-კუკული, ტარამ, ტარამ!

არც ესმის, ვერც მხედავს!

კორნელა გახსენდება? რამ გაგახსენა კორნელა? ავყია, ბავთხელი, ბინძური კორნელა, რომელიც ტელერეჟისორმა და „პიარშიკმა“ შეურჩიეს პრეზიდენტს, როგორც ხალხის წიაღიდან გამოსული ტიპაჟი. დასვეს კორნელა თავის ამფსონებთან ერთად ქუჩაში გამოდგმულ მაგიდასთან, მეტი დამაჯერებლობისთვის არყის ბოთლი და ჭიქები შემოდგეს მაგიდაზე, მერე პრეზიდენტმა ჩამოიარა მანქანით, ხალხს გაესაუბრა, ასე ვთქვათ... რაც შეეხება ტაში-კუკულის და კორნელას, ერთ ამბავს გაგახსენებ.

ტაში-კუკულის კორნელა დაუხვდა სკოლის ორღობეში.

— ტაში-კუკული, გამომეყვი, — უთხრა კორნელამ და სკოლისკენ გაიყოლა ტაში-კუკული.

საკლასო ოთახში შევიდნენ. კორნელამ კარი გადაკეტა და მორჩილად მომლოდინე ტაში-კუკულის მიმართა:

— შენზე ამბობენ, კარგად უქანავენსო.

ტაში-კუკულიმ დაიმორცხვა.

— ამ, ამ და ამ სამეღვინეში ჩაასხამ! — მიუთითა რამდენიმე სამეღვინეზე კუკულის, — მიდი!

კუკული საქმეს შეუდგა.

მეორე დღეს, როცა რამდენიმე გოგონას კალამზე არაბუნებრივად გაინელა მელანი, ვერავინ ვერაფერი გაიგო კორნელას გარდა, მაგრამ ასე რამდენჯერმე განმეორდა, კორნელასაც მხოლოდ თავის სახალისოდ არ ემეტებოდა ეს ამბავი, ჰოდა, გამუდვანდა, რაშიც იყო საქმე.

— ე, კორნელ! — დაუძახა სკოლიდან მომავალ კორნელას ვახომ, — მოდი ჩემთან!

კორნელას თხელი ბაგე აემრიზა, ჯიბეში მოყუჩებული დანა დაიგულა ხელით და ასე მიუახლოვდა ვახოს.

— რა გინდა?

— მართალია, რასაც შენზე ამბობენ? — ჰკითხა ვახომ.

— რას ამბობენ, გააჩნია! — თქვა კორნელამ.

— ტაში-კუკულის გოგოების სამეღვინეებს ავსებინებ-სო, — უთხრა ვახომ.

— მერე, რა გინდა? — ავად მიაცქერდა კორნელა ვახოს. ვახომ ყბაში გასცხო. მერე კიდევ გასცხო, კიდევ და კიდევ. არ იყო კორნელა ვახოსთან დანის ამომღები, თავს იგულიანებდა, ჩხუბის წინ იფუყებოდა, — ეს იყო და ეს.

იმ საღამოს ტაში-კუკულიც ნახა ვახომ:

— ხელით როგორ შეგეხო, — უთხრა ვახომ ტაში-კუკულის, — შემოტრიალდი!

ტაში-კუკული შემოტრიალდა. ვახომ პანჩური ამოსცხო.

— ნადი და აღარ გააკეთო, რასაც აკეთებდი. ვინმე სხვაზე აქნდი ხელი, შე მართლა დაქნეული! — უთხრა ვახომ.

ტაში-კუკული დადარდიანდა, წავიდა სახლში და იფიქრა: „ვისზე დავაქნო, ვისზე?! — გოგოებზე ამიკრძაღეს, ბორიას პორნოგრაფიულ ფოტოებზე მომბეზრდა; მოდი, დარინდა მასწავლებელზე დავაქნე, მას მსუქანი გავააქვს!“ — შეიკეტა ტუალეტში და დააქნია დარინდა მასწავლებელზე.

სანამ სკოლის მონაფე იყო, მოიგონებდა ხოლმე, როგორ ხსნიდა გაკვეთილს დარინდა მასწავლებელი, განიშმატების ჟამს როგორ ასხდებოდა მის თეთრ სახესა და მსუქან, თეთრ მკლავებს წითელი ლაქები, როგორ მოხაზავდა თავისი ლაქ-ნასამული, ნანვეტებული ჯოხით სსრკ-ს თვალუნვდენელ სივრცეებს რუკაზე; ანდა, რა სევდიანად უსმენდა რომელიმე მოსწავლის ბლუყუნს დაფასთან, — მოიგონებდა ყოველივე ამას ტუალეტში შეკეტილი ტაში-კუკული და აქნევდა და აქნევდა დაუზარებლად დარინდა მასწავლებელზე, მაგრამ ჰე, გაილია სასწავლო პროგრამა; სადღაც, სკოლის წიაღში დარჩა თეთრი, შეკრული ღრუბელივით საცხე და სევდიანი დარინდა, ტაში-კუკული კი სკოლის მიღმა დარჩა და აი, მაშინ, მაშინ, კუკულის გული შეუვარდა „ვრემიას“ წამყვან ქალზე, რომელიც ნატიფი, შორეული და სიმორით სასივრველი იყვნენ; თუმცა, ურევდნენ იმხანად უკლებლივ ყველას საათები და ურევდა ტაში-კუკულის საათიც, ამიტომაც გაიქცეოდა ხოლმე შინისკენ, როგორც კი „ვრემიას“ მაუნყებელ მელოდის მოჰკრავდა ყურს და გულამოვარდნით შინმეჭრილი ხარბ მზერას მიაპყრობდა ტელევიზორს, გულში კი იტყოდა: „აი, ძვირფასო, მოვედი, მოგისწარი; ოჰ, რა კარგი ხარ, მადისალმძვრელი, როგორ გშვენივს ეგ „კოსტიუმჩიკი“, ოჰ, ოჰ“... და გასწევდა ნაცნობი გზებით ტუალეტისკენ, ხოლო ელმავალმშენებელი ქარხნის ბუღალტერ მამას და დასახლის დედას დაუბარებდა:

— არ შემანუხოთ, კუჭი მაქვს აშლილი!..

და აი, ასე გრძელდებოდა იმ დღემდე, სანამ ტაში-კუკულის საათიც ზუსტად არ დაემთხვა „ვრემიას“ დროს და გაუკვირდა მაშინ კუკულის და თქვა კუკულიმ:

— როგორ, კაცო, როგორ მიყვარდა მე ეს ქალი, ჰა?! რამ შემაყვარა, ვისზე ვაქნევდი?! არა, არა, დროა, სხვა ქალი შევიყვარო!..

და შეიყვარა ტაში-კუკულიმ ერთი ხმაურიანი ქალბატონი, რომელიც ხშირ-ხშირად ჩნდებოდა ტელეეკრანზე; ცოტა არ იყოს, მოჭიდავეს ჩამოჰგავდა, თუ აღნაგობით, თუ ფაჯიკებით, თუ შარიანი გამოხედვითა და ბრძოლის დაუოკებელი ფინით, რომელიც უცვლელ გამომეტყველებდა ალბეჭდვოვად რკინისმკვნიტელ, ყბებდაბერულ სახეზე და ვინც თავდაუზოგავად ამტკიცებდა, რომ სწორედ მისი პარტიაა ყვე-

ლაზე ეროვნული და რომ მისი პარტიაა ერის გადამრჩენი.

თქვა ტაში-კუკულიმ, — ნავალ, ჩავენერები ამ პარტი-  
აში, რადგანაც მიყვარს მე ის ქალი!

ნავიდა, ჩაენერა და იყო პარტიული აქტივისტი და  
ჰქონდა ჯამაგირიც, რადგან პარტიის ლიდერი ქალბატო-  
ნი ხშირ-ხშირად მოიკითხავდა ხოლმე სხვა და სხვა მენარ-  
მეებს და ამუნათებდა მათ, არცხვენდა და ამხელდა კიდევ  
შემდეგი სიტყვებით:

— ეროვნულ საქმეს სჭირდება, თქვენ სად ხართ ამ  
დროს, სად?!

ერთხელაც, როცა რომელიღაც მენარმე ფრიად დააფ-  
რთხო ლიდერი ქალბატონის ჯიქურმა, შარიანმა გამოხედ-  
ვამ და რკინისმკვნიტელი ყბებიდან გამოცრილმა სიტყ-  
ვებმა: — თქვენ სად ხართ ამ დროს, სად?! — გაიღო იმ მე-  
ნარმემ თანხა და თანაც რესტორანში დაპატიჟა ლიდერი  
ქალბატონი და მისი პარტიის აქტივი.

შეთვრა რესტორანში ტაში-კუკული, შეთვრა და შე-  
მოსძახა:

— ტაში-კუკული, ტალამ, ტალამ, მლა-ვალ-ჟამიელ!

მაგრამ, როგორც კი ეს შემოსძახა, დაიმორცხვა უმაღ-  
ლა და დარცხვენილი მზერა გააპარა ლიდერი ქალბატონისკენ,  
რომელიც, კაცმა რომ თქვას, არც ისე ეროვნული აღმოჩნ-  
და, რადგან ცოტა ხანში ამხილეს სუკთან თანამშრომლობა-  
ში და გაიგო თუ არა ეს ამბავი, თქვა ტაში-კუკულიმ:

— რა მჭირს, კაცო, რა ჯანდაბა და დოზანა შემეყარა,  
რამ შემაყვარა ის ერის გამყიდველი, მახინჯი ქალი რკი-  
ნისმკვნიტელი ყბებით, ჰა?! — და იქვე შეიყვარა სხვა ქა-  
ლი, ვინმე ანაიდა, ვინც კომუნისტების ხანაში საკმაოდ  
გავლენიან თანამდებობაზე იყო ერთ-ერთ რაიკომში ნამუ-  
შევარი, ახალ სინამდვილეში თავისი პარტია დაეარსებინა  
და პარლამენტში ლამობდა დამკვიდრებას, თანაც შერჩე-  
ნოდა, ჯერ კიდევ, წარსული სილამაზის კვალი.

— ანაიდას მივენდობი, — თქვა ტაში-კუკულიმ, — ანა-  
იდა არ გამიცრუებს იმედს; ძველი, პარტიული სკოლა აქვს  
გავლილი! — და ჩაენერა ანაიდას პარტიაში, მასთან ერ-  
თად მოხვდა პარლამენტშიც და ამით გულმოცემული  
დღემუდამ აქნევდა ანაიდაზე ხელს; სჯეროდა მისი, თავის  
პენსიონერ მამას და დიასახლის დედასაც არწმუნებდა,  
რომ ანაიდა შეუდარებელი ლიდერია, მოუწოდებდა მათ,  
რომ სწორედაც ანაიდასთვის მიეცათ ხმა მომავალ საპარ-  
ლამენტო არჩევნებში, ხოლო, როცა ძალიან გაიხურებდა  
თავს ანაიდას ქებით, უეცრად მოინატრებდა თავის ლი-  
დერს, მშობლებს დაუბარებდა, — კუჭში ვერ ვარ კარგად,  
ხელი არ შემიშალათო, — და მიინევდა ნაცნობი გზებით  
ტულაიტისკენ, თანაც ფიქრობდა გზად: „ოჰ, ანაიდა, ანაი-  
და, რა დინჯი ხარ, ანაიდა, რა აწონილ-დანონილია შენი  
თითოეული სიტყვა, ანაიდა, ვგიჟდები შენზე!“ და შეიკე-  
ტებოდა ტულაეტში და ეძლეოდა ანაიდაზე ოცნებას ხე-  
ლის გამაღებული ქნევის თანხლებით.

ერთ დღეს ანაიდამ პარტიული აქტივი მიიპატიჟა რეს-  
ტორანში და გადაიხადა დაბადების დღე, თუმცა ასაკი არ  
გაუმხელია. შეთვრა ტაში-კუკული, შეთვრა და შემოსძახა,  
როგორც სჩვეოდა:

— ტაში-კუკული, ტალამ, ტალამ, მლა-ვალ-ჟამიელ! —  
და როს ეს შემოსძახა, ნაცადი დამორცხვებით გამოხედა  
პარტიულ ლიდერს, გამოხედა და რას ხედავს, — ანაიდა  
თვალს უკრავს ტაში-კუკულის?! „რას მთავაზობს ანაიდა?

რას უნდა ნიშნავდეს თვალის პაჭუნი“?! — იფიქრა გულ-  
შეძრულმა ტაში-კუკულიმ და მოლოდინში გაისუსა, როცა  
მისკენ ფეხარევით მომავალი ანაიდა დაინახა.

ტაში-კუკულისა არ იყოს, ანაიდაც შემთვრალიყო და  
უთხრა შემთვრალმა ანაიდამ ტაში-კუკულის ნახად:

— მომბეზრდა ეს ხმაური და აყალ-მაყალი, ტაში-კუ-  
კული, წამოდი ჩემთან!

საერთოდაც ჩვეული იყო მორჩილებას, თავის პარტი-  
ულ ლიდერს როგორ შეენიანაღმდეგებოდა ტაში-კუკული;  
ჰოდა, დაჰყვა მის ნებას, მივიდნენ თბილისის ერთ-ერთ  
ძველ უბანში, სადაც მომიჯნავე აივნები ხელის ერთ განვ-  
დენაზეა, ავიდნენ ანაიდას ბინაში, შეალო ანაიდამ კარი,  
მოკეტა შემდეგ და პირდაპირ განუცხადა ტაში-კუკულის  
თავისი გულისწადილი:

— შენთან მინდა, ტაში-კუკული; შენ ისეთი გასაწყლებუ-  
ლი თვალებით მიმზერ, თანაც ისე ყოჩაღად შემოსძახე, —  
ტაში-კუკული, ტარამ, ტარამ, მრავალჟამიერი, რომ... ჰო,  
შენთან მინდა!.. — თქვა ანაიდამ, იქვე შემოიძარცვა სამოსი  
და წარსდა ტაში-კუკულის წინაშე შავი ფერის ლიფით, შა-  
ვი ფერის ბიკინითა და შავი, სექსუალური წინდებით.

და აი, მაშინ კი ჩაიკუკა ტაში-კუკულიმ, რადგან ასე ახ-  
ლოს, ასე ხელშესახებდა ველარ წარმოედგინა ურთიერ-  
თობა ქალთან და უთხრა ტაში-კუკულიმ ანაიდას:

— ქალბატონო ანაიდა, დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ  
ცოტა კუჭი... რალაც... შინ უნდა გავიქცე! — და გაიქცა  
ტაში-კუკული.

ხოლო სამოსშემოდარცულმა ანაიდამ იფიქრა: „მთელი  
მსოფლიოს პრეზიდენტებთან, პრემიერმინისტრებთან და  
პარლამენტის თავჯდომარეებთან მიბოზია, ასევე მიბო-  
ზია სხვა და სხვა ტომის ბელადებთან და შამანებთან, ვის-  
ზე არ შემოვმჯდარვარ და ვინ არ შემომჯდომია; როგორც  
ჩანს, დავბერდი, რადგან ტაში-კუკულიც კი გამიბრბის, უნ-  
და გადავდგე! ეჰ, ანაიდა, ეჰ, ერთი დრო შენც გქონდა, ანა-  
იდა... — იფიქრა ანაიდამ, მოისხა პირსახოცის თეთრი ხა-  
ლათი, რათა თავისი სხეულის ჭკნობა დაეფარა, მიიხედ-  
მოიხედა და ისევ დაფიქრდა; „ჰო, მაგრამ როგორ უნდა გა-  
დავდგე, სად გადავდგე“? — მერე იაზრა, როგორც უნდა  
მოქცეულიყო, ტელეფონის ყურმილს დასწვდა და დარეკა  
თავისი პარტიის ახალგაზრდა ლიდერთან, როზალიასთან:

— როზალია, — უთხრა ანაიდამ როზალიას, — მე ახლა  
აივანზე გავალ, ჯორკოზე შევდგები ცალი ფეხით, მეორე  
ფეხს ჩემი აივნის მომიჯნავე აივანზე გადავდგამ და ასე გა-  
დავდგები სამარადისოდ; ამავის მეტი ჩემგან რა გახსოვს, რო-  
ზალია, მეცი პატივი, ის აივნები მორთო ვარდებით, სადაც ვა-  
პირებ გადავდგომას. ქალი, — თუნდაც სამარადისოდ გადამდ-  
გარი, მაინც ქალია, გადამდგარ ქალსაც უხდება ვარდები!

როზალიამ დაარწმუნა ანაიდა, რომ უკანასკნელ სურ-  
ვილს ზედმინეწით შეუსრულებდა და ნავიდა ანაიდა აივნის-  
კენ, შედგა ფეხი ჯორკოზე, მეორე ფეხი მომიჯნავე აივანზე  
გადადგა და ასე გაირინდა სამარადისოდ და დაერქვა იმ ად-  
გილს, სადაც ანაიდამ მომიჯნავე აივანზე გადადგა ფეხი,  
„ანაიდა გადადგა“, და იქცა თბილისის ეს ძველი უბანი ქალა-  
ქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად და მიდიმოდიან ამ ვიწრო  
ქუჩაზე ფოტოაპარატებით აღჭურვილი ტურისტები, აჩხა-  
კუნებენ და აჩხაკუნებენ ფოტოაპარატებს, ხან აქედან გადა-  
უღებენ ხოლმე ფოტოს ანაიდას, ხანაც — იქიდან, ამბობენ,  
— „ოლალა!“ — ჩაის ვარდსაც გაიყოლებენ ხოლმე სუვენირ-

რად, რომელიც შეპირებისამებრ, ორივე აივანზე გაუშვა როზალიამ, მერე კი წავლენ და თანამემამულეებს უყვებიან, რა საოცარი სანახაობა იხილეს თბილისის ერთ ვინრო ქუჩაზე, სადაც მომიჯნავე აივნები ხელის ერთ განვდენაზეა.

იფიქრა ანაიდას გადადგომის შემდეგ ტაში-კუკულიმ: „კაცო, რამ შემაყვარა ის ბებერი, გარყვნილი ანაიდა? მიკვირს და გამკვირვებია პირდაპირ, რამ ამიხვია თვალი, როცა აქვეა როზალია, — ასეთი ახალგაზრდა, ასეთი ლიბერალური, ასეთი მონდომებული პარტიული მუშაკი, თანაც ერთობ ცქაფი და შუშპარა; როზალია უნდა შევიყვარო, როზალია!“ — და შეიყვარა ტაში-კუკულიმ როზალია და დღემოდამ ნციფრობდა და აღფრთოვანდებოდა როზალიას თავდაუზოგავი ღვანტილი ლიბერალიზმისა და დემოკრატიის დასამკვიდრებლად. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დროთა განმავლობაში როზალიამ არცთუ ლიბერალურ გამოთქმებს მოუხშირა და ამბობდა და ამბობდა როზალია: — ის მტერია ჩვენი, უნდა მოვიკვეთოთ! აი, ის კი მამონტია, უნდა შევჭამოთ! — და როს ამას ამბობდა როზალია, ტაში-კუკულიმ აღმოაჩინა, რომ ასეთი როზალია კიდევ უფრო მეტად მოსწონს და აქნევდა და აქნევდა როზალიაზე ხელს, და ვინაიდან მშობლები გარდაცვლოდა უკვე, ტელევიზორის ეკრანთან შეიმზადებდა ხოლმე თავს, შემდეგ კი ბეჯითად გაეშურებოდა ნაცნობი გზებით ტუალეტისკენ და იქ, ონანიზმის დასკვნით ეტაპზე თავისი თავისუფლებით ალტკინებული თამამად და არაორაზროვნად აცხადებდა: როზალია, როზალია, როგორ მიყვარხარ, როზალია, ოჰ, ოჰ, აჰ, აჰ!“

მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, როზალია, მართალია, იტანდა ტაში-კუკულის, თუმცა, ახლოს არ იკარებდა, არც შემთვრალი კუკულის — „ტაში-კუკული, ტალამ, ტალამ, მლაავალ-ჟამიელ!“ — ხიბლავდა და ზურგსუკან დასცინოდა კიდევ მის ჩამორჩენილ აზროვნებას, გამელოტებულ თავს, გრძელ ცხვირსა და დარცხვინილ მზერას.

ერთხელაც, შინისკენ მიმავალმა ტაში-კუკულიმ უცნაური რამ იხილა. დგას ოლა დეიდა ტრანსპარანტი ხელში, რომელზეც წერია: „მიმიშვით ჩემს შალვასთან, მე ის მიყვარს!“

„ოჰ“, — იფიქრა ტაში-კუკულიმ, — „რაშია საქმე?“ — და მიეახლა ოლა დეიდას და ჰკითხა:

— ოლა დეიდა, რა გაგჭირვებია? იქნებ მე და ჩემი პარტია ამოგიდგეთ მხარში; რასაკვირველია, თუკი ხმას მოგვცემ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში!

ოლა დეიდამ იგივე გაიმეორა, რაც ტრანსპარანტზე ეწერა.

— მიმიშვით ჩემს შალვასთან, მე ის მიყვარს, — თქვა ოლა დეიდამ, შემდეგ კი დაამატა, — ვილაც ოხერი-მაიმუნი, ვილაც მუდრევი მიმტკიცებს, სატელიტური ანტენააო, ჩემთვის შალვაა ის, შალვა, მიმიშვით შალვასთან!

მიიხედ-მოიხედა ტაში-კუკულიმ და რას ხედავს, — შალვას ანტენასთან ჯარისკაცი დამდგარა. მიუახლოვდა ჯარისკაცს და ჰკითხა:

— ჯარისკაცო, რას მივანეროთ ეს ამბავი? ჩვენ ხომ დემოკრატიასა და სიტყვის თავისუფლებას ვამკვიდრებთ ქვეყანაში, მიუშვით ოლა დეიდა შალვასთან, რა პრობლემაა?!

— არ შეიძლება, — თქვა ჯარისკაცმა.

— რატომ, ვერ გავიგე, რატომ? ვისი სახელით არ შეიძლება?!

— თავისუფლების სახელით არ შეიძლება, — თქვა ჯა-

რისკაცმა და მკაცრად მოკუმდა პირი.

— ააა, — თქვა ტაში-კუკულიმ, — თუკი თავისუფლების სახელით არ შეიძლება, ესე იგი, მართლა არ შეიძლება, — მიუბრუნდა ოლა დეიდას და უთხრა, — ოლა დეიდა, მაპატიე, მაგრამ თავისუფლებას არ ელალატება, თავისუფლების სახელით არ შეიძლებაო და მე რა ვქნა?!

ოლა დეიდა ჯარისკაცზე ნაკლებად ჯიუტი არ იყო, როგორც ის ჯარისკაცი დარჩა შალვას ანტენასთან, ისევე დარჩა ოლა დეიდა თავისი ტრანსპარანტით, რომელზეც ეწერა: — „მიმიშვით ჩემს შალვასთან, მე ის მიყვარს!“

ტაში-კუკული კი შინ გაეჩქარა, რადგან იცოდა ტაში-კუკულიმ, რომ როზალიას ბრიფინგი უნდა გადმოეცათ ტელევიზიით.

სულზე მიუსწრო გადაცემას, სავარძელში მოთავსდა და შეეცადა თავი განენყო ხელის საქნევად, მაგრამ უეც რად ოლა დეიდას ტრანსპარანტი ამოუტივტივდა ტვინში და ამან განწყობა გაუნელა და დააფიქრა: „კაცო, რა მემართება, ვერ გამიგია, მე ხომ ასე ძალიან მიყვარს როზალია, ჰა“?

როზალია კი ამასობაში ბრიფინგობდა და ყოჩაღ პასუხებს სცემდა ბასრ, გაალმასებულ კითხვებს, რაზეც უნინ უმაღ აენტებოდა ტაში-კუკული, მაგრამ ვაგლახ, რომ სატელიტური ანტენა და ოლა დეიდას ტრანსპარანტი ედგა თვალწინ და ეს უშლიდა ხელს ონანისტურ მოღვაწეობაში.

მერე იფიქრა, ადგილმდებარეობას შეეცვლი, ნავალ ჩემთვის კარგად ნაცნობი გზებით ტუალეტში, იქნებ იქ მაინც დავიხსნა თავი სატელიტური ანტენისგან და ტრანსპარანტისგანო.

წავიდა ტუალეტში და როცა იქაც ვერაფერს გახდა, გაეყრდა ერთხანს, შემდეგ კი თქვა:

— კაცო, გამაგებინეთ, მეგონა, ამდენი ხანი ტაშს ვუკრავდი, რას ვშვრები ახლა მე, რა — ვანძრევე?!

და ჰო, მიხვდა ტაში-კუკული, რომ მთელი ცხოვრება ამ საქმეს შეებრებოდა და უკვე ვეღარც ამაში ვარგოდა და დაენანა თავისი თავი და თავისი ცხოვრება და თქვა კვლავაც:

— თფუი, ასეთ ცხოვრებას, თფუი, ჩასარეცხი ვარ! — თქვა თუ არა ეს სიტყვები, უნიტაზში ჩადგა, ჩასარეცხ თოკს თვითონვე ჩამოქაჩა და თავადვე ჩაირეცხა თავი იქ, სადაც დიდი მონდომებით, დლიდან დღემდე უშვებდა პატარ-პატარა ტაში-კუკულებს და ჰა, ისიც იქით, კუკულიკობის კვალდაკვალ საკანალიზაციო მილში; და ეწოდა საკანალიზაციო მილს, რომელშიც ტაში-კუკულიმ თვითონვე ჩაირეცხა საკუთარი თავი, ტაში-კუკულის ოცნებათა სასაფლაო, მაგრამ ამ მილს, რატომღაც, არ აჩვენებენ ფოტოაპარატებით აღჭურვილ მრავალრიცხოვან ტურისტებს; ალბათ, არც გაემტყუნებათ, საკანალიზაციო მილი რომელი ღირსშესანიშნაობაა, ტურისტებს რომ ანახო.

„სიგიჟეა“ — ფიქრობ.

— რა უფრო მეტი სიგიჟეა, სამსონ, — გეკითხები მე, — რეალობა თუ სხვა სინამდვილე, ჰა, სამსონ?

— შეუხვიე! — ეუბნები მძლოლს.

უხვევს, მივდივართ.

— გააჩერე!

აჩერებს. ფული საფულედან, ბანკნოტი მძლოლისკენ და უეცრად:

— მთელი გზა ვფიქრობ, სამსონ, შენა ხარ?

აკვირდები, მეტად აკვირდები, — „ფუშფუშა“, — ფიქ-

რობ, — „როგორ დაბერებულა“, — ფიქრობ, ვიჭერ შენს ფიქრს და აქვე გეუბნები: — შენც მაგრად დაბერდი, სამსონ, აკი იმანაც ვერ გიცნო თავიდან!

— ფუშფუშ, ბიჭო, როგორ ხარ! — მხარზე უტყაპუნებ ხელს, იხრები, კოცნი, გკოცნის, შინ ეპატიჟები, უარობს, ისევ ეპატიჟები, — არა, არა, არ შეუძლია ახლა, საქმე აქვს, სხვა დროს იყოს — ოჯახის ამბავს ეკითხები: — ცოლი, შვილები, შვილიშვილიც; ჰო, შენც — ცოლი, შვილები, შვილიშვილიც — დავებრდით, ძმაო! — აბა, აბა, — ეუბნები, — დრო გარბის — და ისევ ეპატიჟები, კვლავ უარობს, ხელში კი ფული გიჭირავს და არ იცი, როგორ შეაჩერო.

— არაა! — გეუბნება, — რას ამბობ, არ გრცხვენია?! ნუხელები, — ამხელა გზა გამოგატარა, თანაც ბენზინი გაძვირდა, ბოლოს თანხმდებით, — მხოლოდ ბენზინის ფულს აიღებს, მეტს — არა!

კარგი, ჯანდაბას, ასე იყოს და ისევ ხელის მოტყაპუნება მხარზე, ღიმილი შენს სახეზე, ღიმილი მის სახეზე, დიდი მეგობრობა არასდროს გქონიათ, მაგრამ უბანი იყო, ბავშვობა და სიყმაწვილე იყო, რაღაც იყო, იმის გამოძახილია ეს ღიმილიც.

მანქანიდან გადადიხარ:

— ჯანზე ხო კარგად? — ეკითხები.

— რა ეცი, ბიჭო, — გეუბნება, — ცოტა ეს... მოფსმა მიჭირს ამ ბოლო დროს, იქნებ თირკმელების ბრალიცაა, ექიმს უნდა ვეჩვენო!

— არადა, რას აფსამდა? რამდენიმე მეტრზე ალბათ, — ვახსენებ ფუშფუშას ყიფლიბანდის ბინადარს.

— აბა, აბა, — მეთანხმება ისიც.

ფუშფუშას მანქანა მიდის, ხელს უქნევ, გიპიპინებს დამშვიდობების ნიშნად, მერე თვალს ეფარება. გაფორიანებს კი არადა, რაღაცნაირად უფრო განდომებს დაღევას ეს შეხვედრა. მზერა მალაზიისკენ.

— ერთი, ორი, სამი, — მარჯვენა ფეხი კენტ რიცხვზე, მარცხენა — ლუნზე.

### პორიალი პუნაგვი

ქალაქში მოგზაურობა დამთავრდა, სამსონ, ახლა იქ იწყებ მოგზაურობას, სადაც დღიდან დღემდე ითვლიდი ნაბიჯებს.

მალაზიამდე ოცდაათოთხმეტი ნაბიჯია აქედან.

ოცდაცამეტი, ოცდაათოთხმეტი, — ზუსტად. ხუთი საფეხური კიბეზე, — ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი...

ხილბოსტნის სექციამი ოთარი დგას დახლთან, — ხან-შიშესული, კაფანდარა კაცი.

— გაუმარჯოს, ოთარს!

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

ოთარი მუდამ ორჯერ გპასუხობს გამარჯობაზე, თითქოს კი არ გესალმება, არამედ გეთანხმებაო. გამარჯობა უთხარი და იმანაც კვერი დაგიკრა, — გაუმარჯოს და გაუმარჯოსო.

გადიხარ მეორე, ძირითად ოთანში, სადაც იყიდება პური, სიგარეტი, სასმელები, ძხვი და სხვა პროდუქტი. იქ ნატოა, გამხდარი ქალი, მორჩილი, ბედსმეგუებული იერით.

— გამარჯობა, ნატო, — ესალმები გამყიდველს, — ჩემი ნისია არ დაგივლია?

— დავთვალაო? — გეკითხება ნატო.

— არა, — ეუბნები, ოთხმოც ლარს აწვდი, — ეს ჩამომ-

ჭერი, მერე დათვალე და ხვალ მითხარი.

ნატო ფულს გართმევს, მე კი, უნდა გკითხო, რას ნიშნავს, სამსონ, „ხვალ“? ვართ კი, საერთოდ, „ხვალ“? მაგრამ აქ, ოთართან და ნატოსთან, ვისაც ენდობი და ვინც გენდობიან, არ გეფიქრება, რომ „ხვალ“, შესაძლოა, სულაც არ იყოს.

ნისია მალაზია შენი ყოველდღიურობის სიამის ტყუპია, ერთად თანაარსებობთ, იქნებ ხანდახან ანუხებთ კიდევ ერთმანეთს, მაგრამ როგორღაც ახერხებთ ყოველდღიურ სიდუხჭირესთან გამკლავებას, ჰოდა აქ, ალბათ, ყველაზე ნაკლებად გეფიქრება, რომ „ხვალ“, შესაძლოა, სულაც ვერ შემოდგა ფეხი მალაზიაში; ასე რომ, ახლა მესმის შენი, ახლა გაგიგე. კეთილი, ბატონო, ხვალისთვის დათვალოს ნატომ ნისია, ამჯერად რას ვაპირებთ?

— ორი კოლოფი სიგარეტი და „ჩეკუშკა“ მომეცი! — ეუბნები ნატოს. ნატომ იცის, რომელი სიგარეტი გინდა, ისიც იცის ნატომ, რომელი არყის „ჩეკუშკას“ თხოულობ. პოლიეთილენის პარკით განვდის სიგარეტსა და ბოთლს.

შენი ნაბიჯებისა არ იყოს, პატარა ბოთლიც ერთგვარი ნიკია; გეჩვენება, რომ ასე უფრო ცოტას სვამ, სინამდვილეში მეტს სვამ და უფრო ძვირიც გიჯდება, მაგრამ ნიკი ნიკია, ვერაფერს გახდები.

ბრუნდები ოთართან, „ჩეკუშკას“ ხსნი: — ოთარ, მოდი, ას-ასი დავლიოთ! — მიმართავ.

— დავლიოთ, დავლიოთ! — გეთანხმება ოთარი, ყავის ორი ფინჯანი გამოაქვს, პომიდორს რეცხავს, შემდეგ ოთხად ჭრის, ზედ მარილს აყრის.

ყოველდღიურ ურთიერთობას დროდადრო ისევე სჭირდება წყლის დასხმა, როგორც ქოთნის კაკტუსასა შენ და ოთარი ამ ას-ას გრამ არაყს უქცევთ თქვენს ყოველდღიურ ურთიერთობას.

— გაგვიმარჯოს, — ამბობ შენ.

— გაგვიმარჯოს, გაგვიმარჯოს, — გეთანხმება ოთარი.

სვამთ, პომიდორს აყოლებ, ისევ სვამთ, მერე ისევ და „ჩეკუშკაც“ იცლებათ.

— აბა, კარგად, ოთარ! — ემშვიდობები ოთარს.

— კარგად, კარგად! — ამაზეც გეთანხმება ოთარი.

ღვინის შემდეგ არაყი მძიმედ იწყებს მოქმედებას; არ გაჩერდები ამაზე, — იცი, მეც ვიცი და აქედანვე მაფიქრებს ხვალინდელი დილა.

კიბე. სადარბაზო. ნაბიჯები. ლიფტი, ლიფტში, ლიფტიდან. ზარის ლილაკზე თითი.

დედა კარს აღებს.

— როგორ ხარ? — ეუბნები, რაც შეიძლება ბუნებრივად, თუმცა აჭარბებ, რა თქმა უნდა და ისიც გრძნობს, — ნასვამი ხარ.

— კარგად, — ამბობს, მოგყვება.

მიემართები ტუალეტისკენ, ტუალეტიდან სააბაზანოში, სააბაზანოდან სამზარეულოში, სადაც დედა ზის თავის სკამზე და ზუსტად ისე ჩასცქერის ხელებს, როგორც ეს ნიკას დედას სჩვეოდა. რომ თქვას დედამ, — ახლა რაღაც მოხდება, ახლა აუცილებლად მოხდება რაღაცო, — არც გაგიკვირდება.

არა, არ ამბობს, გიცქერს:

— შეჭამ რამეს? — გეკითხება.

— არა, — უარობ, — ბიჭებთან ვჭამე.

— დალიე, არა? — ზუსტად იცის, რომ ნასვამი ხარ, მაგრამ ამ ხარისხის ნასვამობით კმაყოფილია, იმასაც შე-

გუებული იყო, რომ დაღვრიდა.

— ცოტა, — ეუბნები, — ცოტა, — და სხვა თემაზე რომ გადაიტანო საუბარი, იქვე სთავაზობ: — ჩართე ტელევიზორი, ვუცქიროთ!

დედა ისე აცქერდება პულტს, როგორც ეს ცუდი მხედველობის ადამიანებს სჩვევიათ, თითქმის თვალებთან მიაქვს, შემდეგ თითს აჭერს.

ირთვება. პოლიტიკაზე მსჯელობენ.

იქიდან მოყოლებული, როცა საათებს „ვრემიაზე“ ასწორებდნენ და ვიდრე დღემდე, როცა საბჭოეთის მახინჯი ბოთლიდან ამომძვრალი მახინჯი ჯინი თავისუფლებაზე ქადაგებს შეუჩრებლად, ტელევიზორის ეკრანი მოგზაურობის ნაწილად იქცა. თითქოსდა, მატარებლის სარკმლიდან ხედავთ ერთსა და იმავე პეიზაჟს, ერთსა და იმავე სახეებს, თუ ერთსა და იმავე, ანდა, ერთმანეთთან ძალიან მიმსგავსებულ მოვლენებს, რასაც თქვენს ბინაში, თქვენს საკუთარ სკამზე მსხდომნი უცქერთ, აფასებთ, მსჯელობთ და რაც თქვენი სიბეჩავის კიდევ ერთი დასტურია.

ჰო, სამსონ, ჰო, რადგანაც შენი თანმდევი ვარ, იმასაც გეტყვი, რომ ეს ჩემი მოგზაურობაცაა, შენთან ერთად მეც ვვადებ ჩვენი სიბეჩავის მატარებელში, რომელსაც ერთ წრეზე დავეყვართ და მონობის სახლიდან გამოლწველებს, იმის ილუზიას გვიქმნის, რომ ალთქმული მიწისკენ მივიწვევთ.

აბა, რას ფიქრობს პოლიტიკური ექსპერტი ამ საკითხზე?

აჰა, გასაგებია, თურმე მივიწვევთ, ვვითარდებით, დროდადრო მცირედი შეფერხებები გვხვდება გზაზე, მაგ რამ ეს ბუნებრივია, ამას არ უნდა შევუშინდეთ და ჩვენ-ჩვენს კუპებში მყარად ვისხდეთ.

კეთილი, ახლა ის ექსპერტი რას ფიქრობს ჩვენს მოგზაურობასთან დაკავშირებით?

ის ექსპერტი უფრო მეტი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ სწორედაც ეს მატარებელი მიგვიყვანს დანიშნულების ადგილზე, რომ მოგზაურობის ყამს თანდათან ვიცვლით სახეს, ზნეს, ცხოვრების წესსაც და თავისუფლების ნანატრ ბაქანზე სრულიად მომზადებულნი, შეუქცევადი გლობალიზაციის პირობებში სათანადოდ სახეცვლილნი ჩამოვქვეითდებით და იქ დავივანებთ.

უიმე, თეფოც აქ ყოფილა თურმე, კვლავაც მსუბუქი, თეთრი ქუდი ახურავს, ალბათ, არც მწვადს დაწვავს, არც შამფურს, რადგან თეფო მამაძაღლია, თეფო იმის თეფოა, არც მწვადი დაწვას, არც შამფური და უკან დასახევი ერთი გზა მუდმივად დაიგულოს.

— სულელი ეგ, სულელი... — ამბობს დედა, — გითხარი, არა?..

— მოიცა, — ეუბნები დედას, — მომასმენინე...

თეფო ზოგადად მსჯელობს თავისუფლებაზე, რამდენიმე შენიშვნა აქვს ხელისუფლების ამა თუ იმ შტოს თან, მაგრამ ასევე ზოგადად ეთანხმება იმ აზრს, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ. ვეთანხმებით, სამსონ, თეფოს?

არა, რა თქმა უნდა, არ ვეთანხმებით, მაგრამ ეს არც თეფოსთვის ნიშნავს რამეს, არც იმ მემანქანისთვის, ვინც ამ არხს მართავს. დემოკრატიის ფასადი შეიქმნა, რადგან თეფო არსებობს და თეფო ამა თუ იმ შენიშვნას ახმაურებს ყუთიდან, რასაც ტელევიზორს ვეძახით; მაგრამ რატომ ჩასვს ეს კაცი ამ ყუთში, ანდა, სწორედ ეს კაცი რატომ მოათავსეს და არა — სხვა, ესეც ხომ გაძლევს დაეჭვების უფლებას? შენ ჩაჯდებოდი, სამსონ, ყუთში? არა, მეც ვი-

ცი, რომ — არა, არც მეგაფონს დაიჭერდი ხელში, შენ მიტინგიდან მიტინგამდე დაეხეტები ხალხთან ერთად და ამას მოქალაქეობრივი ვალის მოხდას ეძახი, რადგან მართლაც უკმაყოფილო ხარ თავისუფლების იმ ულუფით, რომელიც პოსტსაბჭოურ სინამდვილეში, ტუსადის „ბაღდადასავით“ მოგიგდო ხელისუფლებამ. შენ ხედავ სიყალბეს, უსამართლობას, ამას განიცდი და ცდილობ, გულწრფელი იყო შენს საქმეში, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ თუკი მართლა გსურს, შენი ხმა გაიგოს ვინმემ, სწორედაც ამ ყუთში უნდა ამორგო თავი, აქედან უნდა გაახშირო პროტესტი.

ჰო, მართალია, მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ ტელევიზორის ყუთში მომწყვედი, ალბათ, ვერაფრით ილაპარაკებდი თავისუფლებაზე, თუნდაც იმიტომ, რომ თავს ვერ მიიჩნევდი თავისუფალ ადამიანად, თუ არადა თეფოს დაემსგავსებოდი, — კაცს, რომელიც ტელევიზორში ჩასვს.

პულტს ართმევ დედას, სხვა არხზე რთავ, აქაც პოლიტიკაზე მსჯელობენ, უფრო სწორად, ყაყანებენ, ერთმანეთს პირში უძვრებიან, რადგან ამ არხს სხვა მემანქანე მართავს.

პოლიტიკა ტელევიზორიდან იჭრება თქვენს ბინაში. პოსტსაბჭოური მატარებლის მარშრუტში ყველა ბაქანი პოლიტიკამ დაიკავა. ის მწერალი, ხელოვანი თუ სპორტსმენი იმ პარტიას უჭერს მხარს; ეს მწერალი, ხელოვანი თუ სპორტსმენი სხვა პარტიას; ალბათ ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ხელოვნების, ლიტერატურის, თუ სპორტის ადგილიც პოლიტიკამ დაიკავა და გაქრა ყველაზე მთავარი, — ადამიანური ცხოვრების განცდა; ადამიანიც გაქრა ტელეეკრანიდან, ადამიანი ტელეეკრანთან დარჩა და ამდენი პოლიტიკის წყალობით ისიც კარგავს თანდათანობით ადამიანურ სახეს. ტელევიზია ბეჯითად იღვწის, რათა ადამიანი ამა თუ იმ ელექტორატის ნაწილად აქციოს და აი, სხედხართ ახლა შენ და დედა თქვენი სიბეჩავის მატარებელში, თქვენთვის კარგად ნაცნობ კუპეში, რომლის სარკმლიდანაც უცქერთ შემოთავაზებულ პეიზაჟებს და შემოთავაზებულ სახეებს, რომლებიც დიდ მონდომებით აყალიბებენ თქვენთვის კარგად ნაცნობ აზრებს შემოთავაზებულ მოვლენებზე.

სხედხართ შენ და დედა თქვენთვის კარგად ნაცნობ კუპეში, ტრიალებთ პოსტსაბჭოური მარშრუტის ერთსა და იმავე წრეზე, დროდადრო შენი ქალ-ვაჟი, შენი შვილიშვილი და შენი ცოლი — ქეთი მოგიკითხავენ ხოლმე, ჩამოსხდებიან თქვენთან ერთად, ხან ივანშემებენ, ხან სუბრით შეიქცევთ თავს, იქით ტელევიზორია ჩართული და იქმნება განცდა, რომ ახლა ისინიც თქვენთან ერთად მგზავრობენ.

თითს აჭერ პულტს, — აი, ამ არხის მემანქანეს კი, მიანია, რომ თავისუფლება ტრადიციის რღვევაშია; ამ არხის მემანქანე, პირდაპირ რომ ვთქვათ, სანთლით ეძებს ქალებს, ვისაც ჯგუფური სექსი ჰქონდათ და ამაზე ხმამაღლა ისაუბრებენ ტელეეკრანიდან, ასევე ეძებს...

მოკლედ, გადართე!

რთავ.

ნაცნობ სიუჟეტს იმეორებენ. კორნელა თავის ამფსონებთან ერთად ქუჩაზე გამოდგმულ მაგიდასთან ზის, არაყს მიირთმევენ, რომელიღაც მშენებლობას განიხილა-



ვენ პრეზიდენტთან ერთად.

პრეზიდენტი არაყს არ სვამს, რადგან საჭეს მართავს. პრეზიდენტი თავის ხალხშია გარეული, მათ აზრს ისმენს.

მსჯელობენ.

გადართე!

სამთავრობო ზემოთს პირდაპირი რეპორტაჟი თეატრალური სცენიდან. გაპრიანებული კონფერანსი და ესტრადის მომღერალი ქალი ბრჭყვიალა კაბით. ესტრადის მომღერალ, თმაშეღებულ მამაკაცს ვერ ხედავ, მაგრამ იცი, — გამოჩნდება, რადგან შენი თვალით ნახე, როცა თეატრში მიაკითხე დეკორაციულის ბიჭებს.

შულტს დედას უტოვებ, დგები, შენი ბუნებისკენ მიემართები. ტელევიზორის თანხლებით მოგზაურობაზე უარს აცხადებ.

— გამაგებინე, რა ზემოა?! — გზადმიმავალს გეძახის დედა.

— ვილაც ჩამოსულა თუ რაღაც ეგეთი... — იგივეს იმეორებ, რაც დეკორაციულში ვითხრეს და მიდიხარ, სადაც უკვე რა ხანია, დღიდან დღემდე ჩასცქერი ფურცელს და სადაც დღიდან დღემდე მარცხდები, როგორც ვახო მარცხდებოდა ყველა ომში.

ფიქრობ ვახოზე. როგორ აღმოჩნდით ნაგავსაყრელზე ნასვამები? რატომ იჩხუბეთ? ხელი გაგარტყა, შენც გაართყი. ვახო. სამ ომში გამოვლილი მეგობარი, რომელიც სამივე ომში დამარცხდა, შეჯდა ნამალზე და ნამალმა მოკლა, — სულ ესაა.

არა, სულ ეს არაა; არ შეიძლება, სულ ეს იყოს, ვახოს ძალიან უყვარდა თავისი ფაშფაშა ბებიის, რომელსაც მახლობელ საფუნთუშეში დაჰყავდა ხოლმე ვახო და აი, იმ დღეს, ვახოს მოეჩვენა, რომ ხაშხაშმოყრილი ფუნთუშის სუნი იგრძნო, გაახსენდა ბებიის, ფუნთუშის სუნს გაჰყვა, ძეგლამდე ჩავიდა, თავის მსგავს თერთმეტ ბიჭთან ერთად შეიძინა საღებავის ქილა, როცა გასაკეთებელი გააკეთეს, შინ გამობრუნდა და ისევ გაიხსენა თავისი ბებია.

ნღების წინ, როცა ვახო ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ბებია დიდ ტაშტში ჩააყენებდა ხოლმე თავის შვილიშვილს, ბანდა და თანაც ხშირ-ხშირად იმეორებდა: — სუქი, ბებო, სუქი, სუქი!

მაშინ, ზაფხულის იმ საღამოს, ვახოს დედამ წყალი გააცხელა, ვახო გააშიშვლეს, ტაშტში ჩააყენეს, ბებია დაბალ სკამზე ჩამოჯდა, განელელებული წყალი ჯერ თვითონ მოსინჯა, შემდეგ ვახოსაც ჩააყოფინა ვედროში ხელი, ისიც დაარწმუნა ამით, რომ წყალი არც ცხელი იყო, არც ცივი, სწორედ ისეთი ნელ-თბილი, ვახოს რომ ესიამოვნებოდა, შემდეგ ჩამჩას ჰკიდა ბებიამ ცალი ხელი, მეორე ხელი ხარბად, სიყვარულით ჩამოუსვა შვილიშვილს მოშიშვლებულ ბეჭებსა და თეძოებზე, თქვა, — აბა, ჰე, ბებო, დავინყეთ ჩვენი სუქი-სუქი, — და წყლით სავე ჩამჩა ნელა გადაასხა ვახოს, თანაც ხელს უსვამდა სხეულზე, დროდადრო უტყაპუნებდა

კიდევ, იცინოდა და ამბობდა: — სუქი, ბებო, სუქი, სუქი! — და აი, მერე, წყლის მორიგი გადასხმისას ბებია ჩვეული რიტმი დაარღვია და თქვა, — სუქი, ბებოს სიცოცხლეო, სუქი, ჩემო სიცოცხლეო, სუქი... — და როცა ეს თქვა, ისევ ხარბად ჩამოუსვა შვილიშვილს შიშველ ბეჭებზე ხელი, თეძოებამდე ჩამოჰყვა, შემოატრიალა, ახლა მის მკერდს მოეთათუნა, გაულიმა სადღაც შორიდან, მერე კი თქვა ვილაცისთვის, ვახოსთვის — არა: — ისე მიყვარს ეს ბავშვი, რომ ამის ნაბან წყალს დავლევ, შემდეგ მოკვებები.

თქვა ეს, ვახოს მკერდზე მიდებული ხელი ტაშტისკენ ჩამოაცურა, სანახევროდ მოკუმული მუჭით ამოზიდა ვახოს ნაბანი წყალი, მოსვა, სველი ხელი შუბლზე და თმანე გადაისვა, ორიოდ წამით გაყურდა ასე, ვილაცაზე მიღიმებული, მერე უეცრად გადაქანდა სკამიდან და მოკვდა.

ტყვიით განგმირული არველოდის დანახვისას ვახოს ელდა ეცა და მაშინაც გაახსენდა ბებია, ის ქალი, ვინც ცხოვრებაში პირველად განაცდევინა ელდა; მერე კი იფიქრა ვახომ: „ძმათამკვლელ ომში გამარჯვებული ძმათამკვლელ ომში დამარცხებულზე მეტად ყოფილა დამარცხებული, ახლა დავმარცხდი ყველაზე სასტიკად; ჰოი, საბრალო არველოდი, იქნებ ჩემი ტყვიითაც განიგმირე“, გამობრუნდა იქიდან და წრიპას მიაკითხა:

— წრიპა, — უთხრა ვახომ წრიპას, — რამე მჭირდება, უნდა დავივინყო...

— კუტ ბორიასთან ნავიდეთ, — უთხრა წრიპამ, — მასთან დავივინებ, თუ რამის დავივინება გინდა.

— კუტ ბორიასთან? — დაეკითხა ვახო.

— ჰო, კუტ ბორიასთან, — თქვა წრიპამ, — რომზე ენდობა კუტ ბორიას, ჩემგან განსხვავებით, კუტი ბორია არ იკეთებს, — თქვა ესეც, გაახსენდა, რომ ბავშვობაში გალახულიყო ვახოსგან, თავის მართლება მოინდომა და ისევ თქვა: — მაშინ ნაღდად არ ვიყავი ჩომბესთან შეკრული, ახლა თანამშრომელი ვარ, მაგრამ მაშინ — არა!

— არ მაინტერესებს, ვინ ხარ და რა ხარ, — თქვა ვახომ, — დავივინება მინდა, ესაა და ეს; ახლა დავივინება მინდა... ნავიდნენ.


საფუნთუშე აღარ არსებობდა. ჩომბეს რაღაც ფირმა დაეარსებინა, საფუნთუშის ფართი შეესყიდა და ოფისი გაეხსნა. კუტ ბორიას კარგად ეცვა, ინვალიდის ეტლში იჯდა, მაგიდაზე ქალაღები ეწყო, ქალაღებთან ერთად კალმისტარი და ფირმის მრგვალი, ვერცხლისფერი ბეჭედი, ბორია ძველებურად ლოლნიდა სიტყვას:

— გაუმარჯოს, — თქვა კუტმა ბორიამ, — მშვიდობაა?

— ჰო, მშვიდობაა, — თქვა წრიპამ, — ვახოს რაღაცის დავივინება უნდა; ჰოდა, მოვედით.

— ააა, — თქვა კუტმა ბორიამ, — მაშინ ჩომბეს დაველოდოთ...

ჩომბეც მალე მოვიდა, კუპატივით გამოტეტკილიყო თავის კანში, გაშლიდა ხოლმე სუფთა ცხვირსახოცს, მერე ოთხად მოკეცავდა, გამ-



ლიდა — მოკეცავდა, და ისევ ასე, ცხვირსახოცის გაშლა-მოკეცვაშივე საუბრობდა, თითქოსდა ცხვირსახოცი კრია-ლოსანი ყოფილიყო. მამაკაცის სუნამო დაესხა უხვად, შიგადაშიგ ქსუტუნებდა. ბორიას არ გაუკეთებია — ჩომბემ, წრიპამ და ვახომ გაიკეთეს.

იქიდან მოყოლებული შეჯდა წამალზე, ერთ დღეს კი ფიქრი აიკვირდა, რომ ეშმაკისთვის უნდა მიეყიდა სული, მოვიდა, სამსონ, შენთან და გითხრა:

— სამსონ, როგორ ფიქრობ, სად შეიძლება ეშმაკის მოძებნა, სული უნდა მიეყიდო?

— სული რატომ უნდა გაყიდო, — კითხე შენ, — რატომ სული, როცა თირკმელი არსებობს, გავყიდოთ ჩვენ-ჩვენი თირკმელი, ერთხანს გვაცხოვრებს.

— არა, — დაიწინა ვახომ, — არა, ეშმაკს თვალბუნი უნდა ჩავხედო და ვკითხო, რამდენად იყიდის ჩემს სულს, რამდენიც არ უნდა დამიფასოს, მიეყიდი, მხოლოდ ფასი მაინტერესებს, სხვა — არაფერი. ნავიდეთ ერთად, ეშმაკი მოეძებნოთ, მე სულს მიეყიდი, შენ თირკმელი შესთავაზე, იქნებ შენი თირკმელიც იყიდოს, ჩემს სულთან ერთად.

ვახოს ძველი „ფიატირი“ ნახვედით, გზად დალიეთ, მერე აღმოაჩინე, რომ ნაგავსაყრელზე მოსულხართ. იქ კი მართლაც რაღაც დაემართა ვახოს:

— აღარ შემიძლია აქ ცხოვრება, — თქვა ვახომ, — თავფეხიანად ამოვიგანგლეთ ქაქში, ქაქის სუნი გვდის და ქაქს ვხეთქავთ! ვისაც არ ეზარებოდა, ყველამ ჩვენთვის მოიცალა, — თუ ჩრდილოეთმა, თუ სამხრეთმა და აღმოსავლეთმა, თუ დასავლეთმა! ჩვენც კარგი ხვითოები გამოვდექით, გვაგორავებენ და ჩვენც ვგორავთ და ვგორავთ დაუზარებლად საკუთარ ნეხვსა და ნაგავში! — ვახომ ნაგავსაყრელს მიაბჯინა გაყინული მზერა და დაიძახა: — ალბათ აქა ხარ, სადმე! გამოდი, დამენახე, შენთან მოვედი, რათა სული მოგიყიდო; რა ღირს სამ ომში დამარცხებული კაცის სული, მიპასუხე! რა ღირს იმ კაცის სული, ვინც, იქნებ, თავისი ძმა მოჰკლა და ამას ვერ იფიქნებს!

შენ ხელი დაუჭირე ვახოს და უთხარი:

— ვახო, დამშვიდდი!

გიჟის თვალეები ჰქონდა, თავისუფალი ხელით და გარტყა, შენც დარტყი, მერე მანქანასთან ჩაჯექით, იყავით იქ, ნაგავსაყრელზე, ვახოს ძველ ფიატთან ჩამსხდრები ჩუმად, ბოლოს ქალაქში დაბრუნდით, მანქანაშიც ჩუმად ისხედით.

იმ ღამით ბებია დაესიზმრა ვახოს; უფრო სწორად, დაესიზმრა ვიღაც დალეული, ცვილისფერსახიანი ქალი, ვისზეც ვერასდროს იფიქრებდა, რომ მისი ფაშფაშა ბებია იყო, მაგრამ, როცა ქალმა ისე გაიღიმა, თითქოს ვახოს კი არა, ვიღაც სხვას, ვიღაც უხილავს უღიმისო, ვახოს მიღმა, მიხვდა, რომ ბებიას ხედავდა, შეეცოდა თავისი ბებია და უთხრა:

— ნუ დარდობ, ბებია, ხვალ მოგიტან ფუნთუშას ჩვენი საფუნთუშიდან, შეჭამ და გამხიარულდები, ფუნთუშა ძველებურ ფერ-ხორცს დაგობრუნებს; აი, ნახავ, თუ არა!

— წყალი გავანვლე, — თქვა ბებიამ, — დაგბანო?

— არა, — უთხრა ვახომ, — რაღა დროს ჩემი გაბანაა, გავიზარდე, სამ ომში მოვახერხე დამარცხება!

— რა გაენწყობა, კეთილი, — თქვა ბებიამ, გატრიალდა და გაუჩინარდა.

გაეღვიძა დილით, მიაკითხა ოფისს, გაიკეთა, სიზმარი აღარ ახსოვდა, მაგრამ ახსოვდა, რომ ვიღაცას რაღაცას

შეჰპირდა; მერე, ღამით რომ დაიძინა და ისევ იგივე ქალი გამოეცხადა სიზმარში, გაახსენდა თავისი პირობა, შერცხვა და უთხრა ბებიას:

— მაპატიე, ბებია, დამავინწყდა, რომ ფუნთუშას შეგპირდი!

ქალს არაფერი უპასუხია, გაუჩინარდა.

მესამე ღამეს აღარ დასიზმრებია ბებია და ამან უფრო შეაწუხა, ხოლო დილით რომ გაიღვიძა, გულში თქვა: — დღეს მოგიტან ფუნთუშას, ბებია! — და ოფისში წავიდა.

კუტი ბორია დაუხვდა მაგიდასთან, თქვა კუტმა ბორიამ:

— გაძვირდა წამალი, შეკვეთებიც არ გვაქვს, ქამრის შემოჭერა მოგვიწევს.

— ქამრის შემოჭერას რა უჭირს, — თქვა ვახომ, — როცა ქამარს იჭერ, სული თავსზემით მოიწევს, იქნებ ასე უფრო შენიშნოს ჩემი სული ეშმაკმა, მერე, ალბათ, იყიდის კიდევც...

— თფუი, ეშმაკს! — თქვა კუტმა ბორიამ და სამჯერ გადააფურთხა.

— რისი შეკვეთები არ გვაქვს, — კითხა ვახომ, — წამლის?

— ამდენი ხანია, აქ მუშაობ, — გაეცინა კუტ ბორიას, — კიდევ ვერ გაიგე, რომ გადაზიდვების ფირმაში ხარ დაცვის თანამშრომელი?

— ააა, — თქვა ვახომ, — რა საინტერესოა, აღარ მახსოვდა...

— გაიკეთებ? — კითხა კუტმა ბორიამ ვახოს.

— წრიპას დაველოდები, — თქვა ვახომ.

წრიპა და ჩომბე ერთად მოვიდნენ.

პირველი ტყვიანა ჩომბეს ესროლა, მეორე — წრიპას, მერე კუტი ბორია მოკლა; არ ლეღავდა, არაფერს განიცდიდა, მიუხედავად იმისა, რომ იქაურთა სისხლით იყო მოთხვრილი, იატაკზე ორი ცხედარი, საინვალიდო ეტლში კი კუტი ბორიას უსულო სხეული ესვენა.

„საფუნთუშეში ფუნთუშა უნდა ცხვებოდეს“, — იფიქრა ვახომ, — „ბებია, წამოგიღებ შეპირებულ ფუნთუშას ჩვენი საფუნთუშედან“, — და იქვე იფიქრა, როცა ცხედ რებს დააცქერდა, — „ეგვეც ჩემი მეოთხე ომი, აქ მაინც მეღირსა გამარჯვება“.

ცხენის დოზაო, რომ იტყვიან, — ის გაიკეთა.

ავისტო-სექტემბერში, როცა ვახოს საფლავი აღისფერი, შხამიანი რძით თავდაბერილი ყაყაოებით იფარება, საიდნაც გამოჩნდება ხოლმე ერთი გალეული, ცვილისფერსახიანი ქალი, საფლავამდე ძლივს მიროჩნდება, აქ კი ძალა მიეცემა, ფესვიანად დაგლეჯს ყაყაოებს, ერთად მოაქურებს, ცეცხლს მისცემს, ერთხანს სკამზე ჩამოჯდება, იქ დაისვენებს, მაგრამ დიდხანს — არა, მალევე წამოდგება, განჯინიდან ცოცხს, ჩვარს და პატარა ფოცხს გამოიღებს, მინააფუტკნულ, აფორიაქებულ საფლავს მოფოცხავს, მინას გააპირდაპირებს, მერე ცოცხით მოხვეტავს იქაურობას, ბოლოს ჩვარსაც გადაუსვამს საფლავის ქვას, საქმეს რომ მოიღვეს, ვიღაც უხილავს გაუღიმებს შორეულად, მინავლებულად, გამოხედავს ცეცხლმიცემულ ნაგავს საფლავთან, როდის-როდის მიუახლოვდება მას და კვამლის უკანასკნელ, მიმქრქალ ფთილასთან ერთად ქრება.

„მინდორ-მინდორ დავდექ ქარებს“

70-80-იანი წლების უნივერსიტეტი.

მაშინ უნივერსიტეტი ერთი იყო. ერთადერთი.

დღესაც ერთია! ერთადერთი!..

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი! ახალგაზრდა მწერალთა წრე.

პოეზიის საღამოები.

„კაციდან კაცში“ (სტუდენტიდან სტუდენტში) გადადიოდა მხოლოდ ნაღდი პოეტური სტრიქონები.

ვენდობი მხოლოდ მეხსიერებას. ვისი სტრიქონებიც არ მახსენდება, საკუთარ თავს (ლექსს) დააბრალოს:

„ვიტყვი, რასაც ვუყურებ და რაც მელანდება, როცა ია სლუკუნებს, მე რა მევარდება?!“ ან: „ვიცი, ჩემი გზა საითაც მიდის, შენ საით ნახვალ, ხმელო ფოთოლო?“ (ტარიელ ხარხელაური);

„მზე გაქცევია მწვერვალებს და ცაზე გასულა საბალახოდ. უბელო ცხენებს მოვახტეთ და გიჟი ენგური გადავლახოთ...“ (ნაირა ცხევედიანი);

„შენი მცხეთა და შენი ხერთვისი, სსნას უდრის ჩემთვის და გადარჩენას, ავაშენო და სვეტიცხოვლისთვის, ნეტავ მომჭრიდეს ვინმე მარჯვენას“ (თამაზ ბერუჩაშვილი).

(ნეტავ სად არიან ახლა ნაირა და თამაზი. ტარიელი ვიცი, სადაც (დვას!).

ამ სტრიქონებს კი არ ვიზუპირებდით, თავისთავად გვამახსოვრდებოდა.

და დღემდე გვახსოვს.

ასე ძალდაუტანებლად „გადადიოდა კაციდან კაცში“ ვაჟა მიროტაძის ლექსები.

არც მათ ვიზუპირებდით.

ისე უბრალოდ და ადვილად გვამახსოვრდებოდა.

გალმა ჭალაკებში ძალი ყმუის,  
უნდა, შენზე ჯავრი ამჩაემოს,  
ხომ არ შემარცხვინე ვაჟკაცი,  
ხომ არ დამიბერდი, მამაჩემო.

ანდა:

და მთელი ღამე სწენავდნენ ბუმბულს  
და კისკისებდნენ სოფლის ქალები,  
სხვენზე ეკიდა ობობას ქსელი,  
მშრალი პიტნა და ნივრის გალები.  
ღრუბლები ჰგავდნენ ჩოხიან მაყრებს  
და ბარბაცებდნენ როგორც მთვრალეები  
და მთელი ღამე სწენავდნენ ბუმბულს  
და ტკარცალებდნენ სოფლის ქალები.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. და „პირველი სხიველი“ ვაჟა მიროტაძე, ლადო ასათიანის პრემიის ლაურეატი, დღესაც „მინდორ-მინდორ დასდევს ქარებს“.

ქარებს დასდევს და უზენაესს ამას ევედრება:

ღმერთო, ასე დამარჩინე,  
დიდებისთვის ნულარ ამცრი,  
ლექსის მოყვარული კაცი,  
ლექსის მოყვარული კაცი.

ღმერთი მოწყალეა და ამ თხოვნას უთუოდ შეისმენს.

ეს ლექსები დაგარწმუნებთ, რომ ვაჟა მიროტაძე ამას იმსახურებს.

იოსებ ჭუმბურიძე



ვაჟა მიროტაძე

წახელ დამესიზმრა იმერეთი...

წახელ დამესიზმრა იმერეთი,  
ვნახე წირქვალი და ჩემი ეზო,  
დედა დამესიზმრა, მხიარული —  
ყრმობა უხინჯო და უმიზეზო.  
წახელ ხელს მიქნევდა მთელი ღამე,  
ჩემი უბანი და ჩემი ქუჩა,  
ჩემი მეზობლები დამესიზმრნენ:  
ჩემი ტიტეკო და ჩემი უჩა.  
წახელ ჩემი სკოლაც დამესიზმრა,  
(ეს რა ჯადოსნური იყო ღამე)  
ცირა დამესიზმრა, ცირუნია,  
ნეტარებისაგან ცრემლი ვღვარე.  
წახელ მთვარიანში ცა ჰყვავდა,  
ძალი ავობდა და ძაძვანებდა,  
ბებიას ხბო ეჭირა საჩეხში და  
სანოვრით დედის რძეს აძალებდა.  
ვინეჭ თვალსველი და ცრემლიანი  
და ცრემლს მონატრების სუნი ჰქონდა,  
ვიყავ უმანკო და გაურყვენელი,  
გულში სიხარულის ქარი ჰქროდა.  
ყვირილა ისევ მყვირალობდა  
და ბონდი ისევ ქანაობდა,  
ბონდის ქვეშ, მორევში ტიტლიკანა  
პანია ბიჭუნა ბანაობდა.  
ეჰე, შენ პატარა ვაჟიკუნა,  
მინდოდა იმ ბიჭისთვის დამეძახა,  
გაცურა მდინარე ატოტვილი,  
ნავიდა, გამერიდა, გამეზრახა.  
შე მართლა უჩრჩო და მხიარულო,  
ეს ჩემო ბავშვობავ წუთუ შენ ხარ?  
წახხარ, რომ მჩქეფარე მდინარეში,  
მეორედ ველარასდროს ველარ შეხვალ.

...  
იმ ბიჭს მდინარემ რომ გამიტაცა  
ალბათ გადამიტანს ჩუმი სევდა,  
რადგან საფლავიდან მეფერება  
ახლა მოწყენილი ჩემი დედა,  
ამ ლექსს ნაიკითხავს ჩემი უჩა,  
ამ ლექსს ჩაიხუტებს მთელი ქუჩა,

ამ ლექსს შეიყვარებს იმერეთი,  
ღელვას დასასრული აღარ უჩანს.  
ახლა სიბერემდე შორს არ არი,  
მწარე სინანულის ცრემლი მცვივა,  
ახლა ბადიშებით დახუნძლული,  
ამ ლექსს ნაიკითხავს ჩემი ცირა.  
...  
ნუხელ დამესიზმრა იმერეთი...

\* \* \*

ქარები ჰგვანან აწყვეტილ კვიცებს,  
საკვამურებზე ყვავები სხედან,  
მესმის ტირილი გულამოსკვნილი,  
ეს გაზაფხულზე მეძახის დედა.

ეს გარდაცვლილი მომტირის დედა  
და გული დაღლილ ჩიტივით მიცემს,  
ქარები ჰგვანან, ქარები ჰგვანან,  
ქარები ჰგვანან აწყვეტილ კვიცებს.

\* \* \*

*შოთა ასათიანს*

ვნატრობ, ვნატრობ და არ გამოჩნდა,  
ტრაპი, ამ ქვეყნიდან ასაფრენი,  
ვიცინე, ვიტირე, ვიმარტივლე,  
მაინც არ გამოდის არაფერი.

როგორ უსაშველოდ მენატრება  
ღმერთთან დაჯდომა და მასლაათი,  
ისევ ქვების ცვენა, ისევ შური,  
ისევ უბედური ჯამაათი.

გულო, ვეტყვი ხოლმე: გაუძელი,  
ხედავ ქვეყანა რომ შეშლილია,  
როგორ დავიხვალო მაუზური,  
უზიარებლობის მეშინია.

ვეძებ, ვეძებ და არ გამოჩნდა,  
ტრაპი, ამ ქვეყნიდან ასაფრენი,  
სიცოცხლეს ჩირის ფასი დასდებია,  
რალა დამამშვიდებს? არაფერი.

**რასაც ქვეყანა შენი ჰქვია**

*ჯამბულ ბაკურაძეს*

მე არ გიცნობდით, მე თქვენ გნახეთ ერთი თვის წინათ,  
ნუთუ გავიდა იმ დღეთაგან განა ამდენი,  
მოვიხედავ და მოგონებით ხელს მიქნევს თითქოს,  
ვენა, ფრანკფურტი, საოცარი ბადენბადენი.  
თქვენ კითხულობდით ევროპაში ჩემს ახალ ლექსებს  
(ამაზე დიდი სიხარული რა გასურს, ავტორო),  
თვითონ გოეთეს და ჰაინეს სამკვიდრებელში,

ქართული სიტყვა გესალბუნათ, ჩემო ბატონო!  
თქვენ მომიტხრობდით ბევრი ქვეყნის სილამაზეზე,  
თქვენ მოგზაური — მსოფლიო რომ მოვლეთ სრულებით,  
თუმცა მე ვიცი, აგატირათ ყინწვისის ხილვამ,  
კაცი აღსავსე ქართულ გენით, ქართულ ბუნებით.  
ვართ ევროპაში დიდებულში, გამოჩენილში,  
გრანდიოზული სად სიმდიდრე ასე ბატონობს,  
რალა არ ვნახეთ, განვიცადეთ ამ ერთ კვირაში,  
ხვალ გარიჟრაჟზე ეს ქვეყნები უნდა დავტოვოთ,  
მძლოლი ამბობს, რომ საქართველო გაუგონია  
(აეროპორტის გზაზე მიჰქრის ამ კაცის ჯიბი),  
ჩვენ თვითმფრინავის აფრენაზე ვოცნებობთ, რადგან,  
რომ გაფრინდება თბილისისკენ, მერე რა გვიჭირს.  
ვეალერსები რკინის ხომალდს გაფაციცებით,  
მომიახლოვდი, ცისფერთვალა სტიუარდესავ,  
მითხარი, მალე გამოჩნდება კავკასიონი?  
თორემ ნალველმა წამლეკა და იუარესა.  
ის კი იცინის და ძალიან მშვიდადაც მიხსნის,  
რომ ჯერ ადრეა ამ ბოინგის თავქვე დაშვება,  
სამაგიეროდ, წყალს მომანვდის დასამშვიდებლად,  
სამაგიეროდ, ღრუბლებს მიღმა მეთამაშება,  
აი, გამოჩნდა, როგორც იქნა, სახატე ჩვენი,  
აღარ მგონია, ანი სევდამ დამიმარტოვოს,  
ხომ ყველაფერი ამის შემდეგ უფერულია,  
რასაც ქვეყანა შენი ჰქვია, ჩემო ბატონო!

\* \* \*

მოვიწყინეთ უმარატოდ,  
აღარავის უხარია,  
აღარც ერთად ყოფნა გვათბობს,  
არც გუზგუზა ბუხარია.

იმ თაობის ძლივსლა შევრჩით  
ამ ქვეყანას ერთი-ორი,  
სურათიდან ჩამოგვლიმის  
ჩვენი ძმა და რედაქტორი.

უმეგობროდ დავაბიჯებთ,  
დარდი? დარდი უკვეთია,  
სერს გამოღმა სვერია და  
სერის გაღმა? ცხრუკვეთია.

\* \* \*

გულახდილი, სევდიანი  
ცოტა რბილი, ცოტაც მკაცრი,  
დავაბიჯებ ქვეყანაზე  
ლექსის მოყვარული კაცი.

ზოგი იტყვის ვიჟიაო,  
გამაყოლებს ეჭვით თვალებს,  
მე კი მაინც მინდორ-მინდორ,  
მინდორ-მინდორ დავდექ ქარებს.

მესიზმრება თუა რამე,  
თუა რამე არყოფილი,

ნამცვრევებით, ნამცვრევებით  
ნამცვრევებით კმაყოფილი.

ღმერთო, ასე დამარჩინე,  
დიდებისთვის ნულარ ამცრი,  
ლექსის მოყვარული კაცი  
ლექსის მოყვარული კაცი.

\* \* \*

და მთელი ღამე სწენავდნენ ბუმბულს,  
და კისკისებდნენ სოფლის ქალები,  
სხვეწზე ეკიდა ობობას ქსელი,  
მშრალი პიტნა და ნივრის გალები.

ამოდიოდა მთვარე კონცხიდან,  
უთეთრდებოდა ღამეს თვალები,  
ქოჩორა ბიჭი გოგოს ჰკოცნიდა  
და ტკარცალებდნენ სოფლის ქალები.

ღრუბლები ჰგავდნენ ჩოხიან მაყრებს,  
და ბარბაცებდნენ როგორც მთვრალელები,  
და მთელი ღამე სწენავდნენ ბუმბულს  
და ტკარცალებდნენ სოფლის ქალები.

## მამაჩემი

ინვა ნალვლიანი სახით,  
გარეთ თოვდა, ქარი ქროდა,  
რას ფიქრობდა მამაჩემი,  
იმ სოფელში რა მიჰქონდა?!

გათოშილი მიმორბოდნენ,  
ზამთარი ავს კისრულობდა,  
აკმევდა და სასოებით  
მღვდელი ლოცვანს კითხულობდა.

გარეთ ოთხი-ხუთი კაცი,  
წყნარად რაღაცაზე ბჭობდა,  
ქარი იყო უამური,  
გადულებლად თოვდა, თოვდა.

ინვა ნალვლიანი სახით,  
და სიკვდილი არას თმობდა,  
რას ფიქრობდა მამაჩემი,  
იმ სოფელში რა მიჰქონდა?!

\* \* \*

თოვს, თოვს ბუხარს ვეფიცხებით,  
ბუხარს ცხემლა უკეთია,  
სერს აქეთკენ სვერია და  
სერს იქითკენ ცხრუკვეთია.

მ. ღვალაძე — რედაქტორი,  
ვითომ აბრევიატურა,

დიდ ორატორს, დიდ თამადას,  
ეფერება ჭიათურა.

ერთად ყოფნა გვიხარია:  
გაიბრწყინებს ტალანტიო,  
იჭიკჭიკებს, იბუღბუღებს,  
ჩვენს სუფრაზე მარატიო.

პურმარილი? დიდებული,  
კაი ღვინოც ჯემოზეო,  
ერთიც უნდა შეეუბეროთ,  
ძმაკაცებმა გემოზეო.

თოვს და ბუხარს ვეფიცხებით,  
გული ძმობით გამთბარია,  
მართლა კაი ტაროსია,  
მართლა კაი ზამთარია.

\* \* \*

რა მეოცნებე თვალები გქონდა,  
გადამავინწყდეს, არა მგონია,  
სულ პანანკუნა ჭინკებით სავსე,  
დასაფიცარი სხვა რა მქონია.

გამოვუყვები ზღვას უნაპიროს,  
ტალღებს მიჰყვება სტვენით თოლია,  
დავკარგე შენი ნაფეხურები,  
ქარმა წაშალა, წაიყოლია.

რა მეოცნებე თვალები გქონდა,  
ვეძებ და ვერსად ვერ მიპოვია,  
ალარც ოცნება, ალარც ჭინკები  
და მარტოობის ჟღერს სიმფონია.

\* \* \*

მესიზმრება სასაფლაო,  
შეუკრია საფლავს პირი,  
ვეფერები დედის საფლავს,  
ცრემლში გაცრილ მინას ვტირი.  
მინა ცვივა ხამუშ-ხამუშ  
ზღვა ცრემლი რომ ედინაო,  
აქ რა გინდა, მანდ იყავი,  
გენაცვალოს დედილაო.  
ქარი უსტვენს სახურავზე  
და უძილო ღამეს ვერთვი,  
ამ ზამთარში მე და დედას  
გვენატრება ერთმანეთი.  
იქ, სოფელში სძინავს მარტოს  
და მის გულზე ქარი ანჩხლობს,  
აქ ქალაქში გამოკეტილს,  
უმისობის სევდა მახრჩობს.  
მესიზმრება სასაფლაო,  
შეუკრია საფლავს პირი,  
ვეფერები დედის საფლავს,  
ცრემლში გაცრილ მინას ვტირი.



შოთა ბოსტანაშვილი  
მუხჯი დისკუსი



დღეს ცა მესტუმრა,  
ჩემი დიდი და...  
ახალი კაბით და  
ძველი კიბით,  
რო აღმართულა დროთა მესერად  
და ესერა ანგელოზნი ადი-ჩადიან...  
დია, დიადნი და დიადემებით.  
დღეს ჩემი დღეა —  
ნესით საამო —  
სამოცდამესამე  
ცამეტი მაისი;  
ცა მეტად გაიხსნა...  
გაილო, გაირღვა მიჯნა,  
გამოჩნდა მ/უნჯი წიალი,  
იქ იქითელი იჯდა...  
და გავეშურე...  
დრო გაქრა...  
აქ რა?!...  
არ ვიცი...  
სულ ყველაფერი წამშია...  
ცა მშია ცამშიცამშია...  
და დავენაფე...  
ჩემშია ცა... მშია ცა... მშია ცა...  
ცა შემოიჭრა ბნელ ხვეულებში,  
სადაც ქიმერებს სძინავთ...  
მოვარდა ქარი,  
ცამ გადმოხეთქა...  
ცა გადმოიქცა...  
ცა განყალდა და წყალი გაცავდა (ანდა: მიცავდა)  
გაქრა სამანი, მე რო მიცავდა...  
ქარი მომკიოდა: მიდი..!  
არ სჩანდა შენაპირი,  
...როცა წამოდგა  
შერისხა ქარები და ზღვა  
და ჩამოვარდა სიმყუდროვე დიდი -  
დროს დაულო საზღვარი.  
დავწეროთ — ჟამთა სამანი...  
და უსამანო ლაჟვარდებიდან  
გამოწიალდა იასამანი...  
აი, რტონი აიკვირტენ... მე სადაური აირტონი ვარ?  
სად ვარ არ ვიცი, რომელ კუნძულზე...  
სად მივტუნძულებ...  
იალქანის გამოჩენის მოლოდინით  
გავყურებ წუთ-წუთ ზღვას  
იქ, საცა ცაცაა  
საცაა  
უნდა გამოჩნდეს შორს და ორს შორის...  
ის არის! გამოჩნდა,  
აქ არი;  
ა, ქარი, —  
აისიც.  
ა, ისიც —  
ქარი თუ ქარონი...  
თუ ქარქარონი —  
ვინ არის ეს?..  
რალაც მიცამეტმაისდა  
მაინცდამაინც დღეს...  
და ცა წავიდა,  
დამცა, ავიდა  
„ავი“ და.

მალკოლმ ჯოუნსი

# ჩვენი იღუმალნი უცხოში

**(მარკ ტვენის თაჱის მემუარებს  
100 წელი გვალმოდინა. იგი ჯერაც თითრ  
საბუკველში გახვეულ გამომცანად რჩება)**

ამერიკის ყველაზე ცნობილ მწერალს უდავოდ მარკ ტვენი წარმოადგენს, მეტიც, იგი ქვეყანაში საუკეთესო მწერალია, თუმცა შესაძლოა ეს სიმართლედაც არ ჩაითვალოს. ძალიან ბევრ ბებიას და პაპას მიუცია ტომ სოიერის და ჰეკლბერი ფინის თავგადასავლებისა და „უფლისწულის და მათხოვრის“ ძალიან ბევრი ეგზემპლარი ძალიან ბევრი შვილიშვილისათვის, რომლებიც დარჩენილი ბავშვობის განმავლობაში შეუსრულებელი ვალდებულების ქვეშ აღმოჩნდნენ, ხოლო წიგნები უთვალავ თაროებზე შემოიდო, თანაც ნაუკითხავი. თუკი ამით ტვენისადმი გავიძობული მადა ბოლომდე არ აღძრულა, კიდეც არსებობდა სკოლის ზედა კლასების მოსწავლეთა ძალად-კვეების რიტუალი „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“. რა ბედნიერია ის მოზარდი, რომელიც იმ სკოლაში დადის, რომელშიც „ჰეკლბერი ფინი“ აიკრძალა. იმის ყურებას არაფერი ჯობია, თუ როგორ გადააქციეც აკრძალული წიგნი თინეიჯერს ერთგულ მკითხველად.

თუმცა ეს ყველაფერი ფერმკრთალდება, მარკ ტვენის სახელით ბავშვების წინაშე ჩადენილი ყველაზე ცუდი დანაშაულის გვერდით: პლასტელინის ანიმაციის ვერსია „ნომერი 44, იდუმალი უცხოში“. 1986 წლის ამ ფილმში ტვენის ნიჰილისტური პატარა რომანი დაიყვანება ერთ მოკლე ეპიზოდამდე, ფილმში, რომელიც მასალას სესხულობს ტვენის რამდენიმე სხვა ნაწარმოებიდან, მათ შორის „ტომ სოიერი“ და „წერილები დედამინიდან“. მაგრამ „იდუმალი უცხოში“ მათ ყველას ჯობნის. 5 წუთზე ნაკლებ დროში პლასტელინის სატანა ხვდება ტომს, ბეკი ტეტჩერსა და ჰაქს; უშენებს სოფელს; შემდეგ ანადგურებს მას ელვით და მინისძვრით, რომელიც შთანთქავს ყველა პანანინა კოხტა პლასტელინის სოფელს, ფერმას, ჯარისკაცს და ერთ განსაკუთრებით საცოდავ ძროხას. მთლიანობაში ეს ყველაფერი ძალზე საშიშია. ადამიანს ჟრუანტელს გერის მხოლოდ იმის გაფიქრება, რომ უთვალავი, შთაბეჭდილების ქვეშ მოქცეული, უდანაშაულო ბავშვი როგორ მოკალათებულა ტელევიზორის წინ და გულგახეთქილია, ამ უკუნივით ბნელ ნაწარმოებზე რომ ნაიბორძიკა. თუკი ვინმე იფიქრებს, რომ ისეთი რამ, რასაც ძალზე ბევრი მარკ ტვენი ეწოდება, არ არსებობს, მას ბევრი არაფერი უნახავს. ზოგჯერ ნამდვილად შევიძლია კარგ რამეებზე გადაამეტო.

პლასტელინის უცხოში ბევრი არაფერი აქვს საერთო ტვენის მოთხრობასთან, გარდა ნიჰილიზმისა. მაგრამ ეს საუკეთესო მტკიცებაა, რომ ახალგაზრდას თავს არ უნდა მოახვიო ტვენი მარტო იმიტომ, რომ დანერა წიგნები. თუ-

კი ტვენს, როგორც აუცილებელს, ისე მიიღებ, თუკი იფიქრებ, რომ იგი არაფერია, გარდა კეთილი, უწყინარი მოხუცი ჯენტლმენისა (და მით უფრო უწყინარი, იმიტომ რომ გარდაცვლილია), შენ არა მარტო ცდები — არამედ ტკივილსაც აყენებ კიდეც. მკვდარმა ფუტკარმა შეიძლება გიკბინოს და საფლავიდანაც კი, ტვენმა ჯერ კიდეც არ იცის როგორ გიკბინოს.

როდესაც ტვენი ცოცხალი იყო, მას კარგად იცნობდნენ ორი რამის გამო — როგორც მონოლოგისტს სალექციო წრეში და ისევ და ისევ როგორც მწერალს. მისმა ცხოვრებამ და ნაწერებმა ათობით პიესა, ფილმი, სატელევიზიო შოუ, თოჯინების თეატრი და ბროდვეის ერთი მიუზიკლიც შთააგონა. და მაინც, ასე ცნობილი არცერთი ამერიკელი მწერალი არაა, თუმცა არც უფრო მოუხელთებელი. ყოველთვის, როცა გგონია რომ იცნობ, ნაიკითხავ და ისეთ რამეს გადაწყვეტი, ან თავში საკუთარი აზრის გადაღება გიხდება. ნუთუ ერთი და იმავე ადამიანის დანერილია „ჰაქი“ და „ჟანა დარკის პირადი მოგონებანი“? ნუთუ ლიტერატურაში ყველაზე ნათელი წიგნის „ტომ სოიერის“ ავტორმა დანერა „ნომერი 44, იდუმალი უცხოში“, ერთ-ერთი ყველაზე ბნელი რამ? რაც მეტს კითხულობ, უფრო რთული გეჩვენება.

ახლა ყველაფერს თავიდან უნდა გავეცნოთ. კალიფორნიის უნივერსიტეტის სტამბამ დაბეჭდა ტვენის ავტობიოგრაფიის რედაქტირებული სამტომეული. ეს გამოცემა არ იმეორებს წინა, ავტორის გარდაცვალების შემდეგ მისი რედაქტორებითა და აღმასრულებლებით სავსე ვერსიებს. პირიქით, ეს პირველად იქნება ავტობიოგრაფია, როგორც მას სურდა — არაორგანიზებული, თითქმის ცნობიერების ნაკადის წყება მოგონებებისა, განსხვავებული ყველა აქამდე ნანახი მემუარისგან, მაგრამ წმინდა, შეუკვცავი ტვენი თავიდან ბოლომდე (მაგალითისთვის, იხილეთ 41-ე გვერდზე გამანადგურებელი დაცივნის ნიმუში). არ იფიქროთ, რომ ამით გადაწყდება მისი იდენტურობის საკითხი. პირიქით, სრული აღფრთოვანებით ითქმის, რომ ავტობიოგრაფია მხოლოდ ართულებს მის მრავალფეროვან მოუხელთებლობას. იგი კვლავაც იდუმალაა, გამოცანა, თეთრ საბურველში გახვეული ენიგმა.

საიდუმლო იწყება იმით, რასაც ჩვენ მარკ ტვენს ან სემუელ ლ. კლემენსს ვეძახით. 1966 წლის ბიოგრაფიაში „მისტერ კლემენსი და მარკ ტვენი“ ჯასტინ კაპლანმა გამოიყენა დიქტომია და დაძაბულობა, რომელიც მწერლის ორმაგ სახელშია ჩაკირული. კაპლანი იკვლევს, თუ როგორ მოახერხეს კონექტიკუტის შტატის ქალაქ ჰართფორდის ლირსეულმა მობინადრემ, ქალაქელმა და უწყისრიგობის საზღვრისპირა ლორდმა ერთად ეარსება ერთი და იმავე ქუდის ქვეშ. კაპლანის თეზისი ზუსტად იქ, მის სათაურში იყო-არა „ან“ არამედ „და“. ტვენი ნაწილებისგან შემდგარი ადამიანი გახლდათ, ხოლო მისი უმეტესობა არ ყოფილა ერთი და იმავე ნაკრებიდან. არაა გასაკვირი, რომ იგი 25-მდე ბიოგრაფიის შთაგონების წყარო გახდა. როდესაც ტვენი გარდაიცვალა, ალბერტ ბაიგლოუ პეინი მის ბიოგრაფიაზე მუშაობდა. 2010-ში, მისი გარდაცვალების 100-ე წელს, უკვე ოთხი ბიოგრაფია არსებობს. მხოლოდ ჯერომ ლავინგისაა სრულმასშტაბიანი ცხოვრება. დანარჩენი სამი, მხოლოდ ნაწილებს ეხება,


ერთი ტვენის ადრეულ სიმნიფის ხანას, ხოლო ორი — მის უკანასკნელ დღეებს (ნიგნი მისი სიბერისეული სკლეროზის შესახებაც კი არაჩვეულებრივია). ამერიკის ბიბლიოთეკამ ეს-ესაა გამოაქვეყნა სახელოვანი მწერლების ანთოლოგია, რომელშიც მისი და ჩვენი თანამედროვე ავტორები შედიან, რომლებიც მარკ ტვენზე წერენ. და უკანასკნელი და ყველაზე უცნაური, ენდრიუ ბეარსის „ტვენის ნადიმი“, რომელიც განიხილავს 19-ე საუკუნის ამერიკულ საჭმელს და ამისათვის კრიტიკულად ტვენის კულინარულ პროზას იყენებს. ნეტა მოეწონებოდა ტვენს კარგი პურის მჭამელის სახელი რომ დაერქვა? არა, გეტყვით, რომ ალბათ არ მოეწონებოდა. იგი ფხუკიანი იყო და იცოდა ჯავრი როგორ ეყარა. მას ყურადღების ცენტრში ყოფნაც უყვარდა, ასე რომ, როგორც ტომ სოიერი საკუთარ დაკრძალვაზე, იგიც სიბრაზით და სიამაყით ყველაფერს წაიკითხავდა.

ტვენი რამდენიმე რამითაა აღსანიშნავი. იგი თვით-გამოგონილი პროზაული სტილისტია, ფანტასტიკურად დამარცხებული ბიზნესმენი, და მისი დროის რამდენიმე მწერლიდან ერთ-ერთი, რომელიც მოხარული იყო დაპირისპირებოდა მონობისა და რასიზმის ბოროტებას. მაგრამ, რასაკვირველია, ყველაზე აღსანიშნავი რამ ტვენზე ისაა, რომ იგი ჯერაც სასაცილოა. რამდენ ჩვენგანს შეუძლია დაასახელოს სხვა კომიკური მწერალი ან იუმორისტი, რომელიც ერთი საუკუნეა გარდაცვლილი? იმ მკითხველებმაც კი, რომლებმაც იციან ჰოთორნი და დიკინსონი, ამოირჩევენ თავიანთ თანამედროვე პეტროლუმ ე. ნასბის ან ჯომ ბლინგს ამ შემადგენლობიდან. კომიკური მასალის უმეტესობა კვდება, ვიდრე ხალხს გააცინებდნენ, მაგრამ ტვენის იუმორი მუდმივად სიურრეალისტურად ნორჩია. საკუთარი დებიუტისათვის, რომელსაც მაშინ სალექციო წრე ეწოდებოდა, 1866 წელს სან ფრანცისკოში, სარეკლამო ფურცლები ჰქონდა დაბეჭდილი, რომ წაეკითხა „კარები იღება 7 1/2-ზე. პრობლემა 8 საათზე დაიწყება.“ დაარქვით ამას მუქარა ან დაპირება, მაგრამ ამით ხეირი ნახა მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე. ამით დღესაც ხეირობს.

ერთხელ ტვენმა დაკვირვებით განასხვავა ერთმანეთისაგან იუმორი (ამერიკული), კომედია (ინგლისური) და მახვილგონიერება (ფრანგული), მაგრამ თვითონ სამივე გამოსდოდა. ჩვენ დღემდე ვახდენთ მისი ერთხაზიანების კრიტიკას. „ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომელიც წითლდება. ან საჭიროა, რომ განითლდეს.“ „ჩვენს ყველაწიან კრიმინალურ დანაშაულს უცხო ელემენტი სჩადის. ადგილობრივი კრიმინალური კლასი, გარდა კონგრესისა, არ არსებობს.“ „პატრიოტი: პიროვნება, რომელსაც შეუძლია ყველაზე ხმამაღლა იყვიროს, თუმცა არ იცის რაზე

ყვირის.“ როგორღაც ტვენმა იპოვა ხერხი, ერთდროულად სასაცილო და ბრძნული ყოფილიყო, როგორც ჰენი იანგმენი (კომიკოსი და მევიოლინე, რომელიც ცნობილია ერთხაზიანი, ლაკონური გამონათქვამებით-ნ.თ.).

მარკ ტვენის კომიკური თხზულებები ნაკლებ ემყარება ხუმრობას და უფრო მეტად — სიტუაციასა და პერსონაჟს, და ამასაც მოქმედების ვადა არ გასდის. ტომ სოიერის მიერ ღობის ღებვა იმათთვისაცაა ცნობილი, ვისაც მარკ ტვენის ერთი სტრიქონიც არ წაუკითხავს. ჰაქ ფინი იმდენხანს იცოცხლებს, რამდენსაც ფალსტაფი. მახვილგონიერებას რაც შეეხება, ეს დარჩება იქ, სადაც ტვენის ჭეშმარიტი გენია რჩება. ეს ის არაა, რაც მან თქვა ან დაწერა, არამედ ის, თუ როგორ გადმოსცა. მას შეეძლო უემოციო გვერდი შეექმნა, ერთი წინადადებიდან მეორეზე გადასულიყო სწორხაზოვნად, და შემდეგ, გაუფრთხილებლად, მაგრამ გარკვეულ დროში, მკვეთრად გადაეხვია მარცხნივ და ყველაფერი თავდაყირა დამდგარიყო. ნიგნში „ეკვადორის მიმართულებით“ მისი მწარე ჩივილი კოლონიალიზმის წინააღმდეგ იმპულსურად ინილებს მხიარულ სამოგზაურო ნიგნში, რომელშიც დაეხებება დედამიწის გარშემო. იგი წერს საკუთარ ცხოველ მოლოდინზე, რომ პირველად ნახავს „სამხრეთის ჯვარს“ (ვარსკვლავთკრებულ-ნ.თ.). „სამხრეთის ჯვარზე“ საუბრის ხანგრძლივობით თუ ვიმსჯელებთ, მას მთელი ზეცაც არ ეყოფოდა. მაგრამ ეს შეცდომა იყო. ჩვენ დავინახეთ ჯვარი ღამით, დიდი არაა... მას მახვილგონიერულად უწოდეს, რადგან იგი ზუსტად ჯვარს გაეს.“



მარკ ტვენი

ტვენი მრავალ რამედ შეიძლება მოგვეჩვენოს-ენამახვილ სოფლელ ბიჭად, საყვარელ ჭირვეულ მოხუც ბოძიად (რომელმაც პოკერის თამაში გასწავლა), მისისიპის ამაღლებულ პოეტად. მაგრამ იუმორი, ვიდრე სხვა რამ, მას მეგობრად, თანამედროვედ აქცევს, რომელსაც შესაძლოა არ იცნობთ, მაგრამ გსურთ, რომ იცნობდეთ. იუმორი ცნობილია როგორც გამანონასწორებელი საშუალება, მაგრამ იგი მარტო როდი ამცირებს თავის სუბიექტებს ზომში. იგი მათ დემოკრატიზებს და ჩვენს თანასწორებად აქცევს. შენ ვერ იქნები ერთდროულად სასაცილოც და ხალხთან უფროსის ტონით მოლაპარაკეც. გამოდის, რომ როდესაც ამ ორი შედეგრიდან, — „ჰაქი“ და „ცხოვრება მისი-სიპზე“ — ერთ-ერთს კითხულობ, ყოველთვის გეუფლება გრძნობა, რომ იმავე ოთახში და თანაბარ პირობებში ხარ ავტორთან. ხოლო, როდესაც იგი ნამდვილად დააპირებს წასვლას, შენც თავს მასთან ერთად ამოყოფ მდინარეზე. ეს შეგრძნება ზოგჯერ ისეთი ყოვლისმომცველია, რომ გაცდები, როდესაც თავს ასწევ, ნიგნის გვერდს თვალს მოაშორებ და აღმოჩნდება, რომ მარტო ხარ. როდესაც საქმე ნიგნის გვერდზე ადამიანური ხმის დადებაზე მიდგა-ამე-



რიკული ხმის-მას მეტოქე არ ჰყოლია. და არავინ, ნიგნის გვერდზე ან მის იქით, უკეთესი კომპანიონი არ ყოფილა.

ერნესტ ჰემინგუეი ირწმუნებოდა, „მთელი ამერიკული ლიტერატურა მარკ ტვენის ერთი ნიგნიდან მოდის, რომელსაც „ჰაქლბერი ფინი“ ეწოდებაო.“ უფრო ზუსტი იქნებოდა თუ ვიტყვით, რომ იუმორიც მარკ ტვენისაა მოდის. მისმა მაგალითმა გაუკვალა გზა უილ როჯერსს, ჯეიმზ თერბერს, რიჩარდ პრაიორს, ლილი თომლინსსა, და ჯონ სტიუარტს-ოხუნჯ აუტსაიდერებს, ყველას ერთად, რომლებიც გვეპატიჟებიან შევეუერთდეთ უკანა რიგებში, სადაც სკოლა არაფერს ნიშნავს და ყველა თავისუფლად დასცინის ყველას, რომელ პარტიასაც უნდა ეკუთვნოდეს. ამის მსგავსი არაფერი ყოფილა ამერიკულ იუმორში ტვენამდე. მას შემდეგაც ბევრი არაფერია.

მარტივი ახსნა იქნება თუ ვიტყვით, რომ იუმორი ტვენის ფარი იყო სამყაროს აბსურდულობის წინააღმდეგ, ვინაიდან იუმორი არც აქსესუარია და მწერალსაც სასაცილო ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. მაგრამ იუმორი მასში თანაარსებობდა სხვა მრავალი იმპულსის გვერდით. როგორც მზიანობა უხსნის გზას სიბნელეს მის ნიგნებში-ან ლამის მაღავს — მისი იუმორიც თავს ანებებს მას შიგადაშიგ, განსაკუთრებით კი ხანში შესვლისას, ხოლო მისი ადგილი ღრმა სევდამ და უკიდევანო მძვინვარებამ დაიკავა.

უბედურებებმა და ტრაგედიებმა — გაკოტრება, ორი ქალიშვილისა და მეუღლის გარდაცვალება, რომლებმაც მისი სიცოცხლის ბოლო 25 წელი დაჩრდილეს, მისი ხედვაც დაამუქეს, მაგრამ მის კალამს ეს არ დატყობია. წერა ტვენისთვის მეორე არსი იყო-საშუალება ქვეყნიერებას გამკლავებოდა. მისი რომანები, სამოგზაურო ლიტერატურა, მოთხრობები, ესეები და წერილები ჩვეულებრივ რამდენიმე ტომს კი არა, რამდენიმე თაროს ავსებებს. გასაოცარია, მაგრამ ახალი მასალა ჯერაც ნახულობს სინათლეს სტაბილური ტემპით. ბოლო 50 წლის განმავლობაში 5 000-ზე მეტი წერილი გამომხეურდა. ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტის მარკ ტვენის პროექტის წევრებმა აღნიშნეს, რომ ყოველ კვირა საშუალოდ ორი წერილი ჩნდება. 2009 წელს გამოქვეყნდა „ვინ არის მარკ ტვენი“, რომელშიც მწერლის 24 გამოუქვეყნებელი ნაწარმოებია შესული. ხოლო როდესაც 2010 წლის გაზაფხულზე მისი რბილყდიანი ვარიანტი გამოიცა, ნიგნს კიდევ ორი მოთხრობა დაემატა.

ჯერ კიდევ სიყმაწვილისას მარკ ტვენმა ჩანაწერების გაკეთება დაიწყო. პირველი მდინარე მისისიპის ბორტის ჟურნალი გახლდათ, რომელშიც იგი, როგორც ორთქლმავალი გემის პილოტის შეგირდი ინიშნავდა თითოეულ მოსახვევს, თითოეულ ქვიშიან კუნძულს, თითოეულ ფერმას, ძაღლის სახლსა და ფლიგელს მდინარის ნაპირებზე, ყველაფერს, რაც პილო-

ტირებისას ორიენტაციაში დაეხმარებოდა. ეს ბორტის ჟურნალი სხვა არაფერი ყოფილა, გარდა მონაცემებისა, მაგრამ ჩანაწერთა გაკეთება დასჩემდა. პატარა ტყავის რვეულებში, რომელთაც მთელი ცხოვრება თან დაატარებდა, ინერდა გაგონილ დიალოგებს, მოთხრობის იდეებს, ამინდის მდგომარეობას, ყველაფერს, რაც მის წარმოსახვაში გაიფლავებდა. სიტყვები მასთან ვალდებულები იყვნენ და არა მხოლოდ ნებისმიერი სიტყვა. „განსხვავება „თითქმის მართალ“ და „მართალ“ სიტყვას შორის“, წერდა ტვენი, „მართლა დიდი რამეა-ესაა განსხვავება ციცი-ნათელასა და ელვას შორის.“

საბოლოოდ გაჩერდა საკუთარი სიკვდილის წინ, როდესაც მისი ქალიშვილი ჯინი 1909 წლის შობის ღამეს ეპილეფსიით გარდაიცვალა. სამ დღეში შობისას მან დაწერა ჯინის სიკვდილის შესახებ. შეეცადა ეს ამბავი მოეთხრო და თუ ამერიკას თავისი შექსპირი ჰყავს, იმის დადასტურება, თუ ვინ იქნებოდა მისი ლირი, ამ გვერდებზე შეიძლება მოიძიოთ.

„მე სიუზი ცამეტი წლის წინათ დავკარგე; მე დავკარგე დედამისი — მისი შეუდარებელი დედა! — ხუთნახევარი წლის წინათ; კლარა საცხოვრებლად ევროპაში წავიდა; და ახლა მე ჯინიც დავკარგე. როგორი ღარიბი ვარ, ვინც ერთ დროს ასეთი მდიდარი ვიყავი!.. ჯინი წევს, აი, იქ, მე აქ ვზივარ; ჩვენ უცხოები ვართ ერთ ჭერქვეშ; ნუხელ ერთმანეთს ხელები დავუკოცნეთ და ძილი ნებისა ვუსურვეთ-და ეს სამუდამო ყოფილა, ეჭვიც არ შეგვპარვია. იგი იქ წევს, და მე აქ ვზივარ-ვწერ, თავს ვასაქმებ გული გატეხვას რომ გადავარჩინო. რა თვალისმომჭრელი მზეა, გარშემო მთების ფერდობებს რომ ტბორავს! დაცინვას არა ჰგავს!“

„სამოცდაათობმეტი წლისა ოცდაათი დღის წინათ. სამოცდაათობმეტი წლისა გუშინ. ვინ გამოითვლის ჩემს ასაკს დღეს?“

თქვა, რომ ეს იყო, რასაც ბოლოს დაწერდა და დაასრულებდა ავტობიოგრაფიას, რომელსაც რამდენიმე წე-

ლიწადი კარნახობდა. როგორც ყველაფერი, რაც შექმნა, ესეც გაურკვეველი ფორმისაა, ხან აჩქარებული, ხან სახოტბო, და ფიქრში ჩაძირული, აღმშოთებული ყვარული ინდიფერენტული ზეციერსადმი. ესაა აღქმა ადამიანისა, რომელმაც საბოლოოდ მიატოვა სიცოცხლე და ეწოდოს ამას ლამაზი, სრულიად უადგილოა. ტვენი არავის გაოცებას აპირებდა ამ თხზულებით. და მაინც, უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც მან თვალი გაუსწორა ისეთ ამბავს, რომელიც ხალხის უმეტესობას დათრგუნავდა, მისი პირველი რეაქცია იყო კალმის ხელში აღება და იმის მცდელობა, რასაც ასეთი წარმატებით წარსულში ყოველთვის ახდენდა — დაეწერა მისი სანუხარის შესახებ.



ინგლისურიდან თარგმნა ნინო თოხაძე

ეკა ბუჯიაშვილი

# „ჩვენ ყოველდღე კბრუნდებოდით საქართველოში“

საქართველოში საკუთარი მენქანით ჩამოდიან ხოლმე.

ხან საბერძნეთის გზით მოდიან, ხან ბულგარეთის გავლით.

დღეების განმავლობაში მოდიან სამშობლოში და ეს ისეთი განცდაა, ისეთი...

მოდიხარ, მოდიხარ, მოდიხარ... აღარ მთავრდება ეს გზა და როცა ამ გრძელი, ემოციური, დამლელი მგზავრობის შემდეგ შემოდიხარ საქართველოში, გული ძალიან ჩქარა გიცემს, სისხლი გიჩქროლდება, ყელში ბურთი გებჯინება, თითქოს მთელი ამ ხნის განმავლობაში სადღაც იყავი ჩაყვინთული და ახლალა ამოყვინთე, ამოისუნთქე.

არა, საზღვარზე ნამდვილად არ არის რომანტიკული სიტუაცია, იქ ყველა აფორიაქებულია, ყველა რატომღაც განერვიულებული... მერე ამ დავიდარაბიდანაც რომ გამოაღწევ, საზღვრის დაცვის თანამშრომლის თავაზიან ფრაზასაც გაიგონებ: კეთილი იყოს თქვენი დაბრუნება — და შენს მიწაზე დაადგამ ფეხს, ფიქრობ, რომ არსადაც აღარ ნახვალ აქედან, დარჩები და იქნები აქ, შენიანების გვერდით, შენი ცის ქვეშ, მაგრამ... მერე, ემოციები რომ დაცხრება, ისევ წამოგეშლება ვალდებულებანი, პასუხისმგებლობანი და...

ისევ მიდიხარ.

იქ, ოჯახისგან შორს, სადაც მხოლოდ ფიქრია შენი.

და ეს ფიქრიც შენი სამშობლოს ჰაერითაა სავსე.

ლელა ხორნაული და მისი მეუღლე მირიან გიგინეიშვილი საქართველოდან 15 წლის წინათ წავიდნენ — ჯერ გერმანიაში, შემდეგ კი იტალიაში გადავიდნენ და ბოლო ექვსი წელია მილანში ცხოვრობენ.

ქალბატონი ლელა ფილოლოგების ოჯახში დაიბადა — მამა, გიგინე ხორნაული, მწერალია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; დედა — ნანა კოტეტიშვილი კი ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი. ამიტომ მათ ოჯახში მუდმივად ლიტერატურული გარემო სუფევდა და გასაკვირი არ არის, რომ შვილიც — დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დამთავ-

რების შემდეგ — საინტერესო თარგმანებით გაიცნო საზოგადოებამ.

ბოლო ხანს კი პროფესიით გერმანისტიმა იტალიურიდანაც დაიწყო თარგმნა. ამ და სხვა საინტერესო ამბების შესახებ ქალბატონმა ლელამ თვითონ გვიამბო საქართველოში ცოტა ხნით ჩამოსვლისას.

## ჩაჰი, თქვენი, ჩვენი გრაჰიტაცია



ლელა ხორნაული

როგორც კი საქართველოს საზღვრებს გაცდები, აღარავინ ხარ, — ასე ფიქრობს ქალბატონი ლელა.

იქ, იმ სხვა და უცხო სივრცეში აღარც სახელი გაქვს, აღარც გვარი...

ეს აქ, შენს სამშობლოში ხარ ვილაც — სადაც დაიბადე, გაიზარდე, იცხოვრე, რაღაც შეგეშალა, რაღაც სწორად გააკეთე, რაღაც შექმენი, რაღაც ვერ მოახერხე, ვილაცას უყვარხარ, ვილაცას — არა...

იქ კი...

მიდიხარ ქუჩაში და საყრდენს ვერ გრძნობ, თითქოს ვაკუუმში მოძრაობ.

ასე გგონია, ნიადაგი გეცლება ფეხქვეშ — შენს ფეხებს რომ წყდები, თითქოს გრაჰიტაციას კარგავ და ვერ ახერხებ მყარად დააბიჯო მიწაზე. ისეთი განცდა გაქვს, რომ არავინ ხარ, აქამდე არ გიცხოვრია, არაფერი შეგიქმ-

ნია, არ გაქვს წარსული და არც არავის აინტერესებ.

მერე ყველაფერს ერგევი.

ცხოვრების რიტმს, ყოფას, ყოველდღიურობას, ოღონდ ეგ არის, იქ ყველაფერს მექანიკურად აკეთებ, აქ კი — გრძნობით.

აქ გული რომ გიფანცქალეხს, როცა ახლობელი, მეგობარი და ნათესავი შემოგიღებს კარს, იქ ასეთი განცდები არ გაქვს.

მეგობრებს, ცხადია, თანდათანობით უცხოობაშიც იძენ, მაგრამ... გული თურმე სხვადასხვანაირად ძგერს სამშობლოში და მის გარეთ. და, შესაბამისად, სამყაროს აღქმაც სხვანაირია იქ, ტკივილიც, სიხარულიც, სიყვარულიც...

სამშობლოს გარეშე ცხოვრება კი არა მხოლოდ ვიზუალური თუ ცნობიერი, არამედ ფიზიკური შეგრძნებაც ყოფილა.

ეს შეგრძნება ღამით გაღვიძებს, თვალს არ გახუჭვინებს და ფიქრობ:

ახლა ამ ღამესაც გაეუძლებ, როგორმე გავათენებ და დილით რომ ავდგები, დავტოვებ ყველაფერს, დავბრუნ-

დები საქართველოში და აღარასოდეს, აღარასოდეს მივატოვებ, მაგრამ...

დილა თენდება და... ჩვეულებრივი რიტმით აგრძელებ ცხოვრებას — უსამშობლოდ. უფესვებოდ. უგრავეიტაციოდ.

**მისი უდიდებულესობა... მაკარონი!  
ანუ  
გემოვნება, რომელზეც დავობან**

— ძალიან თბილი ხალხია იტალიელები. თბილიც, ემოციურიც, ტემპერამენტულიც. ხომ გაგიგონიათ, ქართველებს ჰგვანანო — მართლაც ჰგვანან.

ალბათ ამიტომ შევძელით ამდენი ხნით დარჩენა, თორემ წლების წინათ ვერც კი წარმოგვედგინა 15 წელს თუ გავატარებდით უცხო ცის ქვეშ.

საქართველოსავით მრავალფეროვანი ბუნებაა იქ. ჩრდილოეთ იტალია — ალპებითაა გარემოცული, მთელ დანარჩენ ნახევარკუნძულს კი ხუთი ზღვა აკრავს. როგორც ჩვენთან, იქაც კუთხეების მიხედვით განსხვავებულ დიალექტზე საუბრობენ და თითოეულ კუთხეს თავისი ტრადიციული სამზარეულოთი მოაქვს თავი.

თავიანთ კერძებზე გიჟდებიან და ჰგონიათ, რომ იტალიური სამზარეულო მსოფლიოში საუკეთესოა, მაგრამ... მე ქართული მირჩევნია ყველაფერი.

მაკარონი იქ ლამის საკულტო რანგშია აყვანილი. სხვადასხვანაირად მომზადებული ყველანაირ სუფრაზე გვხვდება — ქორწილებსა და უმაღლესი დონის შეხვედრებზეც კი.

აი, მიდიხარ მილანის ცენტრში და ხედავ: არაჩვეულებრივ რესტორნებში სხედან საგანგებოდ გამოწყობილი ადამიანები და... თეფშზე მაკარონი უდევთ.

წარმოიდგინეთ, ქართველი კაცი ასეთ რესტორანში — მაკარონი რომ მიუტანო, ხომ გაგიჟდება!

ლორი და ყველი უყვართ კიდეც.

ლოკოკინებს, მოლუსკებსა და ბაყაყებსაც სიამოვნებით უსინჯავენ გემოს, ზღვის პროდუქტების დელიკატესებსაც დიდ პატივს სცემენ. მე კი დღემდე ვერ გავიგე, რატომ უნდა ვჭამო ლოკოკინა, როცა არსებობს თუნდაც ქათმის ხორცი.

გემოვნებაზე არ დავობენო...

არადა, დავობენ... როგორ არა... ამაზე ყველაზე მეტს დავობენ...

**პოლიტიკა იტალიურად**

საქართველოს შესახებ იქ ცოტამ თუ იცის — მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს რუსეთს ეძახიან. საერთოდაც, ზოგადი განათლებით დიდად არ გამოირჩევიან, სკოლიდანვე ვინრო სპეციალიზაციით იძენენ ცოდნას. მათთვის მთავარია ჰქონდეთ თავიანთი პროფესიის შესაფერისი

სამსახური, კარგი ანაზღაურება და რაც შეიძლება მეტი იმოგზაურონ. მე რომ რაღაცას ვუყვებოდი იტალიაზე, მათი ქვეყნის ისტორიასა თუ გეოგრაფიაზე, გაცოცხლებული მისმენდნენ და მეკითხებოდნენ: ჩრდილოეთში თუ ცხოვრობ, რად გინდა იცოდე სამხრეთში რა ხდებაო?!

პოლიტიკებულნი ისინიც არიან — მაინც ტემპერამენტული ხალხია — მაგრამ ისე არა, რომ ამის გამო ოჯახები გაიყოს, წვეულებები ჩაიშალოს და ერთმანეთს სამტროსასიცოცხლოდ გადაეკიდონ, როგორც ეს აქ ხდება. პირადად მე ამ დღეებში იუბილე მქონდა და მთელი ნათესაობა, სამეზობლო და სამეგობრო ვერ შეეკრიბე მათი განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის გამო.

იქაც არიან მემარცხენეები და მემარჯვენეები.

ხან ერთნი მოდიან სათავეში, ხან — მეორენი.

იქაც არის გამოსვლები, გაფიცვები, დემონსტრაციები, რადგან, როგორც უნდა იყოს ხელისუფლება, ხალხი მთავრობით კმაყოფილი მაინც არასდროს არის. თუმცა ამის გამო ადამიანები ერთმანეთს არ უპირისპირდებიან. ვილაც მემარჯვენეა, ვილაც — მემარცხენე, მაგრამ ეს ხელს არ უშლით, რომ საღამოობით ერთად ისხდნენ ბარში, მშვიდად ისაუბრონ, მიირთვან ყავა და იუმორით გააკრიტიკონ ერთმანეთის ფავორიტი პოლიტიკური ძალა.

სამაგიეროდ, ფეხბურთის გულშემამტკივრობა იცინად ფანატიკური. წყვილი ერთმანეთს რომ გაიცნობს, ჯერ იმას აზუსტებენ, ვინ რომელი გუნდის გულშემამტკივარია.

საერთოდ, ძალიან მორწმუნე და ღვთისმომშიმი ხალხია. ბავშვი რომ დაიბადება, მაშინვე ნათლავენ. სულ პირველს იწერენ და საუბარში ხშირად ახსენებენ ღმერთს. მღვდელი იქ ახლოს იცნობს თავისი მრევლის წევრებს, ყველას ოჯახში დადის და არკვევს, რა უჭირთ, რით სჭირდებათ დახმარება.

ყოველ კვირას მთელი ოჯახი, როგორც წესი, ეკლესიაშია და წირვას ესწრება. დროდადრო გამოაბრძანებენ ხოლმე ხატებს და მთელი ქალაქი მონაწილეობს ამ რიტუალში. რალაცნაირი ემოციური სანახაობაა.

...სარწმუნოებისადმი ასეთი დამოკიდებულება კიდევ ერთი თვისებაა, რითაც სიახლოვეს ვგრძნობ ამ ხალხთან.

**„რატომაც არა... ვცდი“**

ათი-თერთმეტი წლისა ვიყავი, გერმანულიდან რომ დავეინყე თარგმნა. პირველი თარგმანები — უცხოური იუმორი — ჟურნალ „პიონერში“ დაიბეჭდა და მაშინ სატელევიზიო გადაცემაში მიმიწვიეს, ნიჭიერი ბავშვების შესახებ რომ მზადდებოდა.

მერე საბავშვო პიესა ვთარგმნე.

სტუდენტობისას კი თარგმნის ხელოვნებას დალი ფანჯიკიძე მასწავლიდა, შესანიშნავი მთარგმნელი, რომელმაც რალაცნაირად გამომარჩია იმ ჯგუფში.

დიპლომის ხელმძღვანელმა, ბუბა ყარალაშვილმა, ჯეიმს კრუზი მირჩია გადმოსაქართულებლად. ვთარგმნე კიდეც. ლექსები გივი ჭიჭინაძემ გართიმა, თუმცა წიგნად დღემდე არ გამოცემულა.

პარალელურად, მთარგმნელად ვმუშაობდი ტელევიზიაში, მერე ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, ბოლოს კი გუ-

რამ შარადის მიერ შევიცარიიდან ჩამოტანილ არქივზეც — გერმანულ დოკუმენტებს ვთარგმნიდი.

წლების წინათ საქართველოდან წასულები გერმანიაში რომ ჩავედით, ერთხანს სკოლაში ვმუშაობდი გერმანულის მასწავლებლად, შემდეგ გარკვეულ მიზეზთა გამო იტალიაში გადავედით.

ერთი სიტყვაც არ ვიცოდით იტალიურად, მაგრამ როცა დადიხარ ქუჩაში, ეძებ სამსახურს თუ საცხოვრებელს, მთელი შენი უნარით ენის შესწავლაში ხარ ჩართული... და ერთ მშვენიერ დღესაც აღმოაჩენ, რომ ყველაფერი გესმის...

რომ კითხვაც შეგიძლია...

წერაც...

და რაკი თარგმნა ჩვევაში გაქვს და უიმისოდ აღარც შეგიძლია, ფიქრობ: რატომაც არა, ვცდი!

პატარა-პატარა მცდელობათა შემდეგ, როცა, ასე ვთქვათ, მოვსინჯე ნიადაგი და აღმოვაჩინე, რომ შემიძლია, რომის პაპის ავტობიოგრაფია ვთარგმნი და გამოქვეყნდა კიდეც ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“.

მერე ჰოპლის გამომცემლობის ისტორიას შევეჭიდე.

მერე კი...

\*\*\*

საერთოდ, როცა მინდა რამე ვთარგმნო, წინასწარ ვინყებ შერჩევას.

ჩემი მეუღლე იქ მილანის გამომცემლობაში მუშაობს, რომელიც მე-19 საუკუნეში გადმოსახლებულ შევიცარიელებს დაუარსებიათ და დღეს ის ქუჩაც ამ ოჯახის სახელს ატარებს.

ულრიკო ჰოპლის სახელობის გამომცემლობას პირველ სართულზე თავისი მაღაზია აქვს, სადაც, გარდა იმისა, რომ წიგნები იყიდება, შეხვედრებიც იმართება და ამ შეკრებებზე ყველა ასაკის ადამიანს შეხვედებით.

იტალიაში ყველანაირ ლიტერატურას თავისი მკითხველი ჰყავს. წარმოიდგინეთ, მიდიხარ შუაგულ მილანში, დევს ვიტრინაში მამაჩემის წიგნი „ვაჟა-ფშაველა“ — ქართული გამოცემა, ცხადია — და... იყიდება. ალბათ, ძირითადად, ენათმეცნიერები და ქართველოლოგები ყიდულობენ, შესაძლოა, ემიგრანტებიც.

იტალიაში ძველი თაობის მწერლებიც პოპულარულნი არიან და ახალგაზრდა ავტორებიც. მაგალითად, ტონინო გურა და ალბერტო ბევილაკვა ისევ დიდი ინტერესით ტრიალებენ სალიტერატურო სივრცეებში, თუმცა მათ გვერდით ჩნდებიან ახალი სახელებიც.

საერთოდ, იქ რამე გამორჩეული ტენდენცია ლიტერატურაში არ შეიმჩნევა. ყველა მიმდინარეობასა და ჟანრს შეხვედებით. ვისაც რა უნდა, იმას წერს და მკითხველიც ყველაფერს თავისი ჰყავს.

როცა მინდა რამე ვთარგმნო, ვცდილობ, ისეთი ავტორი ავირჩიო, რომელიც იქ პოპულარულია. ამ ბოლო ხანს, მაგალითად, თვითონ გამომცემლობაში მირჩიეს მეთარგმნა ზევკა კაზატი მოდინიანის „მისტერ გრეგორი“. მოქმედება 50-იანი წლების მილანში ხდება და მთელი მაშინდელი ფონიც იხატება. საერთოდ, მიყვარს ასეთი რომანები, როცა საინტერესო ხასიათების, ამა თუ იმ პერსონაჟის ცხოვრების ფონზე ისტორიული ყოფაც წარმოისახება.

კიდეც ერთი ავტორით დავინტერესდი: ანა ლამბერტი-ბოკონი, რომელიც ამ ბოლო ხანს რატომღაც სულ

სიკვდილის თემაზე წერს. ერთ-ერთ შეხვედრაზე იხუმრა კიდეც:

— რამე შეკითხვები ხომ არ გაქვთ სიკვდილთან დაკავშირებით?

შემიძლია საგულისხმო რჩევები მოგცეთ საიქიოს შესახებო.

ძალიან მინდა ეს მწერალი ქართველმა მკითხველმაც გაიცნოს.

**„დრო, რომელიც ჩვენს გამოვტოვით“**

ემიგრანტისთვის საკუთარი პროფესიით ადგილის დამკვიდრება ძალიან ძნელია, რადგან ევროპულ სივრცეში აქაური დიპლომები არ ჭრის. არა, რაღაცნაირად კი ხერხდება დიპლომის ვალუტაცია, მაგრამ ამას მთელი რიგი პროცედურები სჭირდება.

ძირითადად ხელოვნების დარგები აინტერესებთ და ამ თვალსაზრისით ნიჭიერი ადამიანი თუ აღმოაჩინეს, აღარც დიპლომებს დაგიდევენ. მილანი, გარდა იმისა, რომ უძველესი, ჩვენსაღ.მდე დაარსებული და მუზეუმებისა და მოდის ქალაქია, კლასიკური მუსიკის ქალაქადაც ითვლება, ამიტომ ამ სფეროს დიდ ყურადღებას აქცევენ. ლა სკალას აკადემიაში ბევრი ქართველი სწავლობს და იტალიური ხმების მერე იქ სწორედ ქართულ ხმებს მიიჩნევენ საუკეთესოდ.

პირადად მე არ ვმუშაობ. ბევრი ვეცადე სამსახური მომეძებნა მუზეუმში, არქივებში, ტელევიზიაშიც კი... მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვიპოვე. ამიტომ ჩემი ჩვეულებრივი დღე ასეთია: ყოველ დღით მეუღლეს ვისტუმრებ სამსახურში, ვალაგებ სახლს, თუ რამე საქმე მაქვს, გავდივარ, თუ არა და ვინყებ თარგმნას. სხვათა შორის, იქ ადამიანთა უფლებების დაცვის ორგანიზაციაში გავწევრიანდი. ეს ორგანიზაცია — „ამნესტი“ — ინგლისში დაარსდა და მერე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გაიხსნა წარმომადგენლობები. ხშირად დავდივარ მათ შეკრებებზეც.

ასე გადის წლები.

ვნანობ თუ არა საქართველოდან წასვლას?

კი, ყოველდღე ვნანობ.

ყოველდღე ვფიქრობ: იქნებ დამეცადა და აქ დავლობოდი უკეთეს მომავალს-მეთქი.

ეს რომ მცოდნოდა, როგორი გრძნობაა ნოსტალგია, ალბათ ვერც გადავწყვეტიდი წასვლას.

ჯერჯერობით კი ასე აენყო ჩვენი ყოფა — ვცხოვრობთ სამშობლოდან შორს.

ისევ მალვიძებს ღამლამობით მონატრება.

ისევ ვფიქრობ ხოლმე: აი, ამ ღამესაც როგორმე გავათენებ, ამ ერთ ღამესაც, დღით კი დავტოვებ ყველაფერს, დავბრუნდები საქართველოში და აღარასოდეს, აღარასოდეს მივატოვებ-მეთქი, მაგრამ...

ინწყება ახალი დღე და ისევ ძველებურად ვაგრძელებ ცხოვრებას.

„ფესვების“ პერსონაჟისა არ იყოს, ჩვენ ყოველდღე ვბრუნდებოდით...

ყოველდღე მოვდიოდით საქართველოში.

და არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს დრო — დაბრუნების დრო — ჩვენც გამოვტოვებ.

სალომე კაპანაძე

# სიცოცხლის დრო ანუ ჟამი დაფიქრებისა

გასულმა საუკუნემ მძიმე ისტორიული მემკვიდრეობა დაგვიტოვა ისეთი დესტრუქციული მოვლენის თვალსაზრისით, როგორც ომი და ეთნოკონფლიქტებია. ღირებულებათა გადაფასებისა და ახალი წესრიგის დამყარების მცდელობებმა, „კერპთა მსხვერევამ“ საზოგადოებრივი ცნობიერების თითქმის ყველა დონეზე პერმანენტული ხასიათი სწორედ პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნებში მიიღო და ცნობილი ამერიკელი ანთროპოლოგის სტეფან შენფილდის თქმით, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური დეზორიენტაცია გამოიწვია. თუმცა ასეთ კრიზისულ სიტუაციებში, როდესაც ეთნოცენტრიზმი და ნაციონალიზმი საშიშ მასშტაბებს აღწევს და ყველანაირი ინტელექტუალური არგუმენტი არამარტო შეუსმენადი, არამედ იგნორირებულია, მაინც ჩნდება მოთხოვნილება კულტურათა დიალოგზე. სიძულვილითა და დეჰუმანიზაციით დაზარულ სივრცეში ადამიანები იწყებენ გამოსავლის ძიებას და ამ დროს ცხადი ხდება, რომ „მშვიდობის ტაძრამდე“ მისასვლელი გზის მეტი წილი ზოგადად ხელოვნებაზე და განსაკუთრებით, მწერლობაზე გადის.

ემოციათა დაცხრომის ამ საფეხურზე საზოგადოების გონიერი ნაწილი კრიტიკული თვალთა უმზერს იმას, რაც ცოტაოდენი ხნის წინათ მესიანიზმისა და ეროვნული გამორჩეულობის იდეებით განიცდებოდა. იწყება მტანჯველი კათარზისი. ბრძოლა იმისათვის, რათა არ დაუშვან ამის გამეორება. სამყარო თითქოს პატარავდება და მშვიდობის ელჩების სამიზნე ხდება. ამიერკავკასიის მწერალთა იმ ნაწილმა, რომლებმაც სწორედ ამ მისიით გადაწყვიტეს თავიანთი ხმების გაერთიანება მოთხრობათა კრებულებში „სიცოცხლის დრო“ და „ხიდი“, იმ ტაძრის გზას დაადგენენ, რომელმაც ამ რეგიონში „კაცთა შორის სიმშვიდე“ უნდა შეუნყოს ხელი.

მწერლები ახერხებენ იმას, რასაც პოლიტიკოსები ვერ აღწევენ ხოლმე. ეს ფაქტი იმ კანონზომიერებას ამჟღავნებს, რომლის თანახმადაც შემოქმედი ყოველთვის იღებს ვალდებულებას დაეხმაროს ადამიანებს საკუთარ თავში ღმერთი მოიძიონ. ესმარება, რათა მათ აღიარონ კულტურა კაცობრიობის კეთილი ნების მისწრაფებად სიკეთის, სიყვარულის, სამართლიანობისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად. არ შეიძლება არ დაეთანხმო ზიგმუნდ ფროიდს, რომელიც მიიჩნევდა, კულტურა კაცობრიობის სინდისია. რომ იგი ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული „ზე-მე“-სთან ანუ სუპერ-ეგოსთან, მათი გამიჯვნა შეუძლებელია. ამის მაგალითად სწორედ რომ გამოდგება ქართველ, აფხაზ, ოს, სომეხ და აზერბაიჯანელ მწერალთა ინიციატივა, რომლის შედეგად მშვიდობისა და ადამიანთა ჰუმანიზაციისათვის გაღებული მათი ლიტერატურული ღვაწლი ერთ წიგნად გა-

ერთიანდა, როგორც ნიმუში კულტურათა წარმატებული დიალოგისა. მათი თვალთ დახასხული ომი, პერსონაჟთა პორტრეტები და განცდები საოცრად ჰგავს ერთმანეთს და ინტერტექსტობრივ დატვირთვას იძენს. სხვადასხვა ეროვნებისა და ეთნოფსიქოლოგიის, სხვადასხვა სახელმწიფოებრივ სივრცეში სრულიად დამოუკიდებლად მოაზროვნე მწერლების მხატვრული ალუზიები კონცენტრირდება ერთი საერთო იდეის, ერთი ჭეშმარიტების ირგვლივ—კაცობრიობამ უნდა უერთგულოს იმ ფასეულობებს, რომელიც ადამიანთმოყვარეობის ცნობილ პოსტულატებს ეფუძნება.

ქართული მწერლობა ყოველთვის ესმიაწებოდა ომის თემას. ძველი საქართველოს მთელი ისტორია ხომ საბედისწერო დუელი იყო (ტიციან ტაბიძე), იგი მუდმივად თანაცხოვრობდა ფიზიკური გადარჩენის საფრთხეებთან და, ბუნებრივია, თემასთან მიახლებისას ამ ორიენტირებს ეყრდნობოდა. ამის პარალელურად ჰუმანიზმი და შემწყნარებლობა ყოველთვის ქართული სულის თვისობრიობად და ერისათვის სასიცოცხლო აუცილებლობად განიცდებოდა.

ტიციან ტაბიძე ესეიში „ომის თემა ქართულ მწერლობაში“ წერს, ღმერთის უზარმაზარ ქვეყანა-ცირკში იდგა საქართველო, როგორც უკვდავი გლადიატორი, ტანი მისი იყო დაჭრილი და ელავდა მენამული იარებით, მაგრამ მაინც იდგა და იბრძოდა. რამდენად ძლიერი და მრავალი იყო მტერი, იმდენად ზვიადი და სასტიკი იყო ბრძოლა. ასეთი განწყობის შემოტანა ქართული მწერლობისათვის ქვეყნის ერთგულებისა და დაცვის ტოლფარდი იყო. თუმცა მეოცე საუკუნის დასაწყისში ტიციან ტაბიძის თქმით, ქართულ მწერლობაში პაციფისტური მომენტები შემოიპარა, რაც, ჩვენი აზრით, პირველ მსოფლიო ომს დაუკავშირდა და კანონზომიერებად უნდა აღვიქვათ, ვინაიდან ქართველი ამ ომში სამშობლოს ხატს არ გრძნობდა. ამდენად ეს პაციფიზმი შესაწყნარებელი და „მისატყვევებელი“. თუმცა არის ერთი გარემოება—„დუმილი, ლოცვა და გადასახადების გადახდა“ არ არის საკმარისი ადამიანებმა საკუთარი თავი ბოლომდე აღმოაჩინონ. სამყაროს წინააღმდეგობის კანონი სწორედ მაშინ შეახსენებს მათ თავს, როცა დგება „ჟამი მეტყველებისა“ (ეკლესიასტე), როცა „მდუმარება“ აზროვნებისათვის მეტად საშიშ, მთვლემარე პოზას იღებს და აუცილებელი ხდება არსებობისა და ჭეშმარიტების საინფორმაციოებთან კაცობრიობის ხელახალი ზიარება. ესპანელი მწერლის მიგელ დე უნამუნოს მოთხრობის „მშვიდობა ომის დროს“ ერთ-ერთი პერსონაჟი — მოხუცი კაცი შვილს ეუბნება, წადი ომში, ისწავლე ცხოვრებაო. მოგვიანებით მწერალი იტყვის, როდესაც მოვიდოდა შემექმნა პოეზიით გამსჭვალული ნაწარმოები, რომელსაც შევალე კიდევ მთელი ათი წლის ფიქრი, დაკვირვება, სიყვარული, ჩემი ბავშვობის მიწას, მშობლიურ ბასკონიას მივმართე, მის მთებს მივუბრუნდი, კარლისტებსა და ლიბერალებს შორის ომი გავიხსენე, ჩემი ბავშვობის ექოდ რომ ხშიანობს სულში და როცა გაიღვიძებს მაშინვე მოგონებები წამოიშლებო. მიგელ დე უნამუნოს არ გამოჰარვია, რომ ომის ფონზე შემორჩენილ ამ მოგონებებში ინახებოდა მისთვის რაღაც საკრალური, ის, რაც მისცემდა ძალას, ჩანვდომოდა ადამიანური ყოფიერების იმ უფაქიზეს შრეებს, რომელიც სწორედ განსაცდელთან ერთად იხსნება და აიძულებს ადამიანებს დაირაზმონ ერთი იმპერატივის გარშემო — გადაარჩინონ სიცოცხლის სიყვარული.

წიგნს, რომელიც ამ ფუნდამენტური მსოფლგანცდის პრინციპებზეა აგებული და სადაც სამხრეთ კავკასიის მწერლები ზოგადკავკასიურ დიალოგს ამ ტონალობაში წარმართავენ, საოცრად მისადაგებული სათაური აქვს — „ჟამი სიცოცხლისა“. პროექტის ავტორები ქართველი მწერალი გურამ ოდიშარია და აფხაზი ბათალ კობახია შესავალში აღნიშნავენ, ეს წიგნი არის მცდელობა იმისა, რომ შევიგრძნოთ იმ ადამიანთა მაჯისცემა, ვინც იცის ნამდვილი სიცოცხლის ფასი. ჩვენ გვჯერა, რომ ეს წიგნი კავკასიაში მცხოვრებ ადამიანებს მისცემს საშუალებას, უკეთ გაი-თავისონ ერთმანეთის პრობლემებით. ამ პრობლემის და-ნახვა შეუძლებელია, სანამ ადამიანები არ ისწავლიან ომის შედეგების პრევენციას და საკუთარ თავში იმ სამყაროს არ აღმოაჩინენ, სადაც სიყვარული უზენაესობს.

აზერბაიჯანელი მწერლის ფახრი უგურლუს ესეი „ომი“ მსოფლიო სულის გადასარჩენად წარმოებული დიალოგია, იმ განცდების რეფლექსია, რომელიც სიკვდილისა და ძაღადობის აპოლოგეტ რეციპი-ენტებზეა გათვლილი. ჩვენ გვინ-და დავიპყროთ გარდაცვლილი სამყარო, მაშინ როცა ეს სამყა-რო ცოცხალი გვჭირდება. ფახრი უგურლუ ფიქრობს, რომ მწერა-ლი უნდა იყოს ქმედითი სწორედ ისეთ კრიზისულ სიტუაციაში, რო-ცა ადამიანებს განსაკუთრებით სჭირდებათ ზრუნვა სულის დასახს-ნელად. რომ მწერალს შეუძლია შეა-ჩეროს ეს „გიგანტური ნადირობა“ და ომის მრუმე პალიტრაში სინათ-ლის სხივი დაიჭიროს. ემოციათა ამ ნაკადში ფახრი უგურლუ ადამიანთა ფსიქოტიკებს არჩევს — ის, ვინც ზე-ცაში ფრინველის ლალი განავარდებით ტყუება, და ის, ვინც ნანადირევით ხარობს. ომის არჩევანი — ცოცხალი ან მკვდარი სამყაროა. მისი-ვე თქმით, შეზღუდული და ტაბუირებულია გრძნობათა სრულფასოვანი გამოვლენა. ნიშანდობლივია, რომ ფახრი უგურლუ არ ცდილობს გამოცდა მოუწყოს თავის ნაციონა-ლურ გრძნობებს და ანტითეზად დასახოს ყველაფერი ის, რაც მისგან არ მომდინარეობს, არ ცდილობს გაამართლოს „საღვთო ომი“, დააკონკრეტოს დრო, სივრცე და ისე მოახ-დინოს წარსულის რეტროსპექტივა. მწერალი დროის მიღმა დგას და თავისი ესეიც მარადიულ ფასეულობებზე აქვს გათვლილი. მე უნდა გადავრჩე, მტერი უნდა განადგურდეს — ფახრი უგურლუს დევიზი არ არის.

დრო-სივრცული აღქმა შედარებით კონკრეტიზირებუ-ლია აზერბაიჯანელი მწერლის ელჩინ ჰუსენბეილის მოთ-ხრობაში „ტყვეები“. მწერალი ქმნის ლიტერატურას „ტყუი-ლის გარეშე“. მას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი თავისი არსით, გაცხადებული თანამიმდევრობითა და მიზეზ-შე-დეგობრიობით ერთ ამბავში ისე აქვს ჩაწურული, რომ ლა-მის ყველა საბედისწერო კითხვის უნივერსალურ პასუხად უღერს. ომის სტიქიურ დამღუპველ ძალას აქ ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს ნაჩვევ ადამიანთა ცნობიერება გუ-ლუბრყვილოდ და თუმცა მოულოდნელი სიმძაფრით უპი-

რისპირდება. მოთხრობის პერსონაჟს უმძიმეს წუთებშიც კი არ ტოვებს მიწასთან, როგორც ერთადერთ მარჩენალ-თან, საკრალური სიახლოვის განცდა. საომარი მოქმედებე-ბის დროს ჭარმაგი აზერბაიჯანელი ტრაქტორისტი შემთხ-ვევით მიტოვებულ ტანკს ნააწყდება, რომელსაც საგანგე-ბოდ გადამალავს, რათა მშვიდობის დადგომისთანავე მი-წის დასამუშავებლად გამოიყენოს. მას აზრადაც არ მოს-დის ტანკის იმ დანიშნულებით გამოყენება, რისთვისაც შე-იქმნა ეს საომარი მანქანა. ტყვეობის უსასტიკეს პირობებ-შიც მისი ოცნებები მხოლოდ ამ იდეას უკავშირდება. ასე მოკლდება მოთხრობაში მანძილი ომსა და მშვიდობას შო-რის. „არ მჯერა, რომ ეს დიდხანს გაგრძელდება, მე ამას-თან არანაირი კავშირი არ მაქვს. მე მხოლოდ ტრაქტორის-ტი ვარ. მაინც დავბრუნდებით სოფელში“ — ამედეებს თა-ნასოფლელ ახალგაზრდას და მოთხრობაში ყველაფერი ამ პათოსის ირგვლივ იწყებს გაერთიანებას, მეორეხარისხო-ვან პლანში გადადის ტყვეების ზუზუნი, დამფრთხალი ფრინველთა უთავბოლო ფრთხილი და ომის სხვა დრამა-ტული პასაჟები. მოთხრობის გმირის მენტალური სიჯიუ-ტის ფონზე ეს ყველაფერი იმდენად მნიშვნელოვან დატ-ვირთვას იძენს, რომ შეუძლებელია არ

დაემორჩილო ამ საოცარი ჭიდი-ლის ძალას და არ აღიარო მისი „უზენაესობა“. ავტორი არ ცდი-ლობს კომენტარი დაურთოს არც მის დიალოგს ახალგაზრდა კაც-თან, არც მის ბრძოლას მშვიდობია-ნი ოცნებისათვის — ტანკით მოხ-ნას მინა, მკითხველი სრულიად ბუ-ნებრივად პოულობს მოთხრობის დვრიტას და ეზიარება მარტივ ჭეშ-მარიტებას — ომის ღმერთი თითოე-ულ ჩვენგანში თვლემს, უნდა ვეცა-დოთ, არ გავაღვიძოთ იგი.

წიგნში, რომელსაც „სიცოცხლის ჟა-მი“ ჰქვია, კავკასიურ დიალოგში აზერ-ბაიჯანელებთან ერთად სომეხი, ოსი, ქართველი და აფხაზი მწერლები ერთე-ბიან. მათ ერთი სათქმელი, ერთი ტექსტი

აერთიანებთ, რისთვისაც შესანიშნავად იყენებენ XX საუკუ-წის დასასრულს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ინსპირირებული კონფლიქტების რეალურ ამბებს. ჩარლზ დიქსონის გამო-ნათქვამი — თუ თქვენს ქვეყანაში არაა კონფლიქტები, გაი-სინჯეთ, გაქეთ თუ არა პულსიო, დაფიქრებისათვის იმდე-ნად განგანყობს, რამდენადაც გეყოფა სიმალლე ამ „განწ-მენდის“ ჟამს ყველაფერი აქედან დაინახო. არსებული დრა-მატიზმი ზოგადადამიანურ, უფრო გლობალურ კონტექსტში შეიგრძნო და ეთნონაციონალიზმის „ხიბლი“ გადალახო. ზოგადად ადამიანური ტკივილის შეგრძნობის, ემოციური თანამონაწილეობისა და თანაღმობის გარეშე ამ წიგნის სამ-ყაროში შესვლა შეუძლებელია. მისი უპირატესი მიღწევა სწორედ ინტერტექსტობრივი დატვირთვა, არასტერილური გარემო, ზოგადადამიანური ფასეულობანია. ამგვარად, წიგ-ნში მაქსიმალურად მინორულია ეთნიკური აქცენტები, თუ მხატვრული ტექსტი დოკუმენტური პროზისათვის დამახა-სიათებელმა დეტალებმა არ გასცა. დოკუმენტალიზმი ამ შემთხვევაში გარდაუვალია და ამ პროექტის მონაწილე ყვე-



ლა მწერალი „ტყუილის გარეშე“ ცდილობს საუბარს. ისტორიული რეალობა სწორედ ის მედიუმია, რომელიც მათ სათქმელის ბოლომდე გამჟღავნებაში ეხმარება.

**კოსტა ძუგაევის** მოთხრობა „ტყვიებით დასერილი სივრცე“ ამ თვალსაზრისით ყველაზე საინტერესოდ გვეჩვენა. 1990-91 წლებში ცხინვალში განვითარებული მოვლენები ორივე ნაპირიდან ისეა დანახული, რომ ეროვნების განურჩევლად ახდენს მკითხველის ცნობიერების ყველაზე მნიშვნელოვანი სეგმენტის—სინანულისა და თვითგვემის — პროვოცირებას. საინტერესო კი ის არის, რომ ამის ეპიცენტრში სულიერად დაავადებული, შემოღობილი ვოვა გვევლინება, რომელმაც ჭკვიანებზე ადრე სრულიად განსხვავებულად იგრძნო და პროტესტი გამოუცხადა თავს დატეხილ უბედურებას. ორად გაყოფილ ქალაქში, სადაც ოსები და ქართველები სხვადასხვა მხარეს დაბანაკებულან და მათ გამყოფ, საბედისწერო სივრცეში ტყვიების თავაშვებული დოღია, მხოლოდ ვოვა დალაჯებს თავისი სიმართლით, არ ეგუება მისთვის ოდესღაც მთლიანი სამყაროს ასეთ გაუცხოებას და თავგამოდებული „თავის ენაზე“ უმტკიცებს თანაქალაქელებს ამ მდგომარეობის აბსურდულობას.

მოთხრობაში კოსტა ძუგაევი ემოციურ ფონს კიდევ უფრო ამძაფრებს სახარების შემოტანით, რომელსაც ძალადობისა და შულის ქაოსში ზნეობრივი კოსმოსის მნიშვნელობა ენიჭება. „იცოდა თუ არა ვოვამ კითხვა, არავინ უწყის, ზუსტი ცნობები ამის შესახებ არავის ჰქონდა, რადგან მის ხელში გაზეთიც არავის უნახავს, მაგრამ კირილის კითხვის პასუხად მან სასწრაფოდ ამოიღო უბიდან სახარება, რომლის გავრცელება იმ დროს ქალაქში ახლადმოვლენილმა სასულიერო პირებმა დაიწყეს და მთელი გრძნობით რამდენჯერმე გაიმეორა — წაიკითხე, წაიკითხე. რამდენიმე წუთით კირილისა და ვოვას თვალები ერთმანეთს შეხვდა და ამ დროს ორთავემ იგრძნო რაღაც არამინიერი, იდუმალი, რომლის დაკარგვას მოჰყვა სწორედ ეს ქაოსი“. ასე შემოჰყავს ომის კონტექსტში კოსტა ძუგაევის უფალი ღმერთი, მხოლოდ მის სიახლოვეს უნდა დაცხრეს მძულვარება და უნდობლობა, დაცხრეს ვნებები და სააზროვნო სიტუაციაში შემოვიდეს ნათელი აზრი. ადამიანური ორი სანყისი — ხორცი და სული, რომელსაც ფსევდო-დიონისე არეოპაგელი „შეზავებულს“ უწოდებს და რომელიც მუდმივად არჩევანის პირობებში გვამყოფებს, მხოლოდ მასთან სიახლოვეს შეიძლება გადარჩეს. ბიბლიური წიგნის შემოტანა მოთხრობაში სწორედ ზნეობრივი წესრიგისა და მივინყებულ ღირებულებათა რეაბილიტაციას ემსახურება. მწერალი შეგვასხენებს, რომ ამ ომში მხოლოდ სიკვდილი გაიმარჯვებს და საბოლოოდ ორთავე მხარეს საკუთარი გახუნებული ამბიციები შერჩება. მოთხრობის დრამატული ნიადსვლების მთავარი გმირი ცხინვალში ყველასათვის ცნობილი სულიერად დაავადებული ვოვაა, რომელიც იმ მთავარ სათქმელს ეუბნება „სად აზრზე მყოფთ“, ხელოვნური სტერეოტიპებით რომ არის გათელილი. ეს ცეზზორი უხშობს მათ ერთმანეთისკენ მიმავალ გზას. ამ გზაზე თამამად მხოლოდ ვოვა დააბიჯებს, შუამავლობას ცდილობს, კიცხავს, ლანძღავს ქართველებსა და ოსებს და ვერცერთი მხარე ვერ ბედავს მის შეჩერებას, რადგან იგი ამ დრამის ყველაზე მართალი მონაწილე და „ნაღდი“ მსაჯულია.

შესაძლებელია თუ არა ნგრევისა და მძულვარებით დაღდასმულ ურთიერთობათა პირობებში ზნეობისა და

ეთიკურობის შენარჩუნება. ეს კითხვა სომეხი მწერლის ვარდგეს ოვიანის მოთხრობის „**მე შენ მიყვარხარ, სიცოცხლე**“ მთავარი თავსატეხია. შესაძლებელია თუ არა ადამიანები ყოფიერების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დროებით მაინც გაერთიანდნენ და სოლიდარობის გრძნობა შეინარჩუნონ. მოთხრობაში საომარი მოქმედების პირობებში დანაღმული ველის გადასვლის სცენა ძალიან მარტივი გააზრების პირობებშიც კი თვალნათლივ პასუხობს ამ კითხვაზე. ადამიანს ძალუძს თვითონ გადანყვიტოს, როგორი იქნება მისი მორალური პროფილი და როგორი დარჩება იგი ამ განსაცდელის პირობებში.

90-იანი წლების აფხაზურ მწერლობაში **დაურ ნაჭყები** ამ არამარტო იმით მიიპყრო ჩვენი ყურადღება, რომ არნახული წნეხისა და ცენზურის პირობებში გაბედა ჩართულიყო კულტურათა დიალოგის პროცესში და თავისი სათქმელით შეერთებოდა იმ გუნდს, რომელშიც ქართველი მწერლებიც მოიაზრებიან, არამედ იმითაც, რომ ბოლომდე მიჰყვება შემოქმედებითი ინტუიციის ლოგიკას და სათქმელს ამ გადასახედიდან ამჟღავნებს. „მინის ყივილი“ მისგანაც მოითხოვს ხარკს, თუმცა ეს არასოდეს უშლის ხელს დაურ ნაჭყებიას, შექმნას სრულფასოვანი ლიტერატურა. „ტკივილი არსებობის დამადასტურებელია — ცოცხლობ მანამ, სანამ გტკივა“ — ამბობს მწერალი ერთ-ერთ მოთხრობაში „**მალე შემოდგომა დადგება**“. მასში სრული ზიარება ხდება იმ ტრაგიზმთან, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ ქართველები და აფხაზები 90-იანი წლებში. მტრობის თავანყვეტილ ექსტაზში სიკვდილი იქნეს უნივერსალურ მნიშვნელობას, რომელიც თავისთავში აერთიანებს აფხაზეთის ტრაგედიის ყველა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს. დაურ ნაჭყებიას მოთხრობის გმირი უსახელოა, მისი ნაციონალური სახე მწერალს მეორე პლანზე აქვს გადატანილი, რადგან თვლის, რომ ომის საცდურის მსხვერპლთა ბედისწერა იდენტურია. ნუ დაიჯერებთ, რომ ილბლიანი სიკვდილი არსებობს, იგი მშობრებმა და გულსუსტებმა მოიგონეს, არა არის რა „ბედნიერ სიკვდილზე მწარე“ (დაურ ნაჭყებია).

საომარ მოქმედებათა შემდგომ ჯარისკაცის გაუპატიოსნებელი სხეული მთაზე იხრწნება. დაურ ნაჭყებია ბოდლერის სპლინის შემზარავი რეალობითა და ნატურალიზმით აღწერს ამ სურათს და ეს შემინვევითი არ არის. ეს ის „ჰეიფი ენდია“, რომელიც ერთნაირად ვრცელდება აფხაზსა და ქართველზე. უახლეს წარსულის ეს კადრები, ამაზრზეანი რეალობა გაფრთხილებაც არის და იმის შესხენებაც, რა შეიძლება მოჰყვეს პატრიოტიზმის თემაზე ემოციათა დუღილს. ადამიანებს დაფიქრებისა და თვითგანსჯისათვის გრძნობათა ამ კასკადთან ხანგრძლივი ჭიდილი უწევს. მწერალს ყოველთვის შეუძლია ამის პრევენცია და აქვს უფლება ტრაგიკულ ფინალამდე მოუწოდოს ადამიანებს სიფრთხილისაკენ. თუმცა, საუბედუროდ, ჩვეულებრივ ყოფაში ისინი ამის აღქმის უნარს ვერ ამჟღავნებენ.

დაურ ნაჭყებიას მოუწია პოსტ-ფაქტუმ — შედეგებზე დაყრდნობით ემსჯელა და ამ დროს სიმართლის პარალელურად ყოფილიყო საოცრად დელიკატური თავისი ერის ისტორიული საზრისისა და ეთნოფსიქიკის მიმართ. მისი, როგორც მწერლის ჰუმანისტური პოზიცია, უშუალოა, ის კონცეფციური მომენტებია, რომელიც არასოდეს ტოვებს მას და აძლევს საშუალებას იყოს აღმსრულებელი მეტად მნიშვნელოვანი მისიის — გააერთიანოს სხვადასხვა ნაპირ-

ზე დარჩენილი ადამიანები, რომელთაც ისტორიულად ყოველთვის უფრო მეტი აერთიანებდათ, ვიდრე ჰყოფდათ. მისი, როგორც მწერლის უმთავრეს საყრდენად ყოველთვის რჩება ადამიანი, მის მიღმა დარჩენილი ფასეულობანი ნაკლებად ექცევა მისი ყურადღების ეპიცენტრში. ასეთი ეფექტები მის გმირებს ყოველთვის სძენს სასურველ მასშტაბურობას. აფართოვებს მისი მკითხველის წრეს, რადგან დაურ ნაჭყებია მოთხრობებში ყოველთვის შეიძლება იპოვო ის, რაც ომის დროს დანგრეულ-დანანევრებულ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას აღდგენისათვის შეამზადებს და თანაცხოვრებისათვის კვლავ განაწყობს.

ჯეიმზ ჯოისი ერთგან აღნიშნავს, ყოველი ადამიანი მსგავსია ქალაქ რომისა, რომელშიც წარსული საუკუნეთა ნაშთებად არის დარჩენილი. უხერხული იქნებოდა დაურ ნაჭყებია შემოქმედებაში წარსულის ნაშთები არ დაგვენახა, მაგრამ მისი მწერლური ხიბლი სწორედ ის არის, რომ იგი ყოველთვის ფრთხილობს, ეს წარსული ექსცესებად არ ამოატივტივოს. ასეთი განონასწორებულობა ყოველთვის აძლევს პრობლემასთან შინაგანი სიმართლით მისვლის საშუალებას. ამის შესანიშნავი მაგალითია მოთხრობა „**მინაში**“. აფხაზი დედის სახე აქ ისეა მხატვრულად გამოქანდაკებული, რომ თანაგრძობისა და მოწინების თანადროულად მკითხველში ნაციონალურ შეგრძობათა ტრანსფორმაციას ახდენს. ასეთი რემინისცენციები ქართველი მკითხველისათვის უცხო არასოდეს ყოფილა. ჭეშმარიტებასთან მიახლებისას იგი ყოველთვის განიცდის შინაგან რეფლექსიას და ეს მის მაღალ კულტურასა და ჰუმანიზაციის დონეზე მეტყველებს.

მინაში მარადმგლოვიარე დედის განზოგადებული სახეა, რომელიც მოთმინებით ელოდება მეორე მსოფლიო ომის დროს დაკარგულ შვილს. ღრმად მოხუც მინაშს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს ასოციაციურად განუახლდება შვილის დაბრუნების იმედი. საომარი მოქმედებების დროს მას ფუძიდან აყრა, საკუთარი სახლის დატოვება მოუწევს, რაც ქვეცნობიერად აისახება შვილის დაბრუნების მის საკრალურ იმედზე და იგი რამდენიმე დღეში გარდაიცვლება. აფხაზი მეომარი ბესლანი, რომელიც მინაშის გადასარჩენად თავად გამოიყვანს მას სახლიდან, ამ ტრაგიკული ამბის ფონზე კიდევ ერთხელ გაიაზრებს ადამიანური ყოფიერების არსს და იმ ფასეულობებზე დაფიქრდება, რომლის დაკარგვა მეტყველ მეტაფორად აისახა მოთხრობაში.

ბესლანი ისე გრძნობდა თავს, თითქოს უკანასკნელი სამოსელი შემოაძარცვეს. ასე შიშველმა დატოვა მან მინაშის ეზო. ყველაფერი ის, რისთვისაც იბრძოდა მთელი ომის მანძილზე, არარაობად იქცა. მას უნდოდა ყოფილიყო სასტიკი და უგრძნობი, როგორც ქვა, მაგრამ არ გამოუვიდა — ყველაფერი ხელიდან გამოეცალა და შიშის ზღვარს გადააბიჯა (დაურ ნაჭყებია).

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან მიმართებაში მწერლობის სათქმელის განვრცობა უხუცესი აფხაზი მწერლის ფაზილ ისკანდერის მოთხრობაში „ომი და ბიჭი“ გამოკვეთილად პოზიტიური და თვალმისაცემია. მისი ცნობილი ფრაზა „ადამიანს ან წიგნი გაათბობს, ან იგი წიგნებით გაჩაღებულ კოცონთან გათბება. მესამე არ იქნება.“ პროფეტული უნდა იყოს მათთვის, ვინც გადაჭარბებულ კრეატიულობას იჩენს ეროვნულობასთან მიმართებით და შემწყ-

ნარებლობის ფენომენტან კონფლიქტშია. კავკასიური ემოციურ-ექსპრესიულობა მეტად საშიში იარაღი აღმოჩნდა XX საუკუნის დასასრულის საქართველოში, მაგრამ დრომ ადამიანთა ცნობიერებაში ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ გადააწყო და კუთვნილი ადგილი მიუჩინა. იგი ფსიქიკის არაცნობიერ პლასტებსაც გადაწვდა და ნაწილობრივ კულტურულ-ინტელექტუალურ განვითარებაზეც აისახა. ადამიანთა სულიერი ტრანსფორმირების ამ დინამიკაში უდიდესი წვლილი მხატვრულ სიტყვას ეკუთვნის. **ფაზილ ისკანდერის** ამ გამონათქვამის შემდეგ ისეა დაგრჩენია მის შემოქმედებით ლაბორატორიაში ამის თვალსაჩინოებანი მოიძიო. ის „არსებითი“, რომელსაც ეყრდნობა მწერალი ამ საკითხთან მიმართებით, ჩვენი აზრით, ყველაზე უკეთ მოთხრობაში „**ბიჭი და ომი**“ არის წარმოდგენილი. ავტორისეული ინტენცია (მიზანდასახულობა) არ თავსდება პროკრუსტეს სარეცელზე, სადაც მარტო აფხაზი მკითხველი გრძნობს თავს კარგად და ეს ფაზილ ისკანდერის 90-იანი წლების პროზაში ყველაზე თვალმისაცემ პოზიტივად შეიძლება ჩაითვალოს.

ფაზილ ისკანდერი ძალიან სათუთი თემატიკით უერთდება ზოგად კავკასიურ დიალოგს, ეს არის ომის ბავშვები, მათი უმანკო თვალებით დანახული ის რეალობა, რომელსაც უფროსები ომს არქმევენ და ვერაფერს უხერხებენ იმ უსამართლობებს, რომელიც მას მოსდევს. მწერალი ადამიანთა ცოდვილი სულებისათვის სწორედ იმ ფერებში, იმგვარად ხატავს პანოს, რომ მის წინაშე სისასტიკე ქედს იხრის და უკან იხევს. ძნელია არ დაფიქრდე თორმეტი წლის ბიჭის კითხვაზე — რა აზრი აქვს სიცოცხლეს, ან რატომ უნდა გაიზარდო, თუ ადამიანები ბოროტნი არიან. ეს კითხვა მას უფროსების მონათხრობის პასუხად უჩნდება, საიდანაც ცხადდება, რომ სოხუმში უდანაშაულო ქართველი ექიმი — ძია გიორგი მოუკლავთ. განა ადამიანები ცივილიზაციის ამ ეტაპზე უფრო გონიერნი და კეთილები არ უნდა იყვნენ, განა სიკეთეს არ უნდა ემატა? — დარდობს ბიჭი. მამა კი წუხს, ღმერთო, როგორ გაუჭირდება სიცოცხლეო. მაგრამ მშობელი, საბედნიეროდ, მაინც პოულობს ხსნის გზას — ბოროტების უარსობის ნათელსაყოფად იგი იმ დამშუულ, ბოგანო დედაკაცთან მიიყვანს პატარას, რომელიც სადარბაზოსთან ყოველდღიურად აპურებს მანანწალა ძაღლებს. შეხედე, სიკეთე უმრეტეი ძალაა, ის ბოროტებაზე ძლიერიაო — ეუბნება შვილს და ამით თავის პირმშოს ცხოვრებაში ყველაზე ტრაგიკული მარცხისაგან იხსნის. ფაზილ ისკანდერი როგორც მწერალი და როგორც ადამიანი სწორედ იმ ასაკში იმყოფება, როცა ყველაზე უკეთ იგრძნობა ამ მარცხის სიმძიმე და ტრაგიზმი. როცა განსაკუთრებულად აღიქმება ის კავშირი, რომელიც ადამიანებს აქვთ, მაგრამ რატომღაც ვერ იყენებენ.

ომისა და ბავშვების თემა ხმანობს **ნუგზარ შატაიძის** მოთხრობაში „**მოგზაურობა აფრიკაში**“, რომლის კინოვერსია „**გაღმა ნაპირი**“ რეზონანსული და საკმაოდ წარმატებული გამოდგა. კინომცოდნე ლელა ოჩიაური ამ ფილმის შეფასებისას აღნიშნავს:

„ხელოვნების ესა თუ ის ნაწარმოები ყოველთვის ატარებს დროის ნიშნებს, როდესაც ისინი იქმნება — დაწყებული ავტორის მოქალაქეობრივი პოზიციიდან, სათქმელის მხატვრული გადაწყვეტის თავისებურებამდე, სტილის სიახლემდე, მიმართულების თავისთავადობამდე და ა.შ. მი-



თუმცა, როდესაც ეს დრო და განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ერის, ქვეყნის, ადამიანების ცხოვრების წესზე, საზოგადოების ბედზე, ცნობიერებაზე და მოქმედების ფორმებსა თუ ინდივიდის არჩევანს განსაზღვრავს. ასეთი მძაფრი შედეგის აღმოჩნდა ის დრამატული, მეტიც, ტრაგიკული მოვლენები, რომლებიც საქართველოში, და არა მარტო საქართველოში — კავკასიაში საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ განვითარდა“.

ძნელია არ დაეთანხმო ავტორს მოვლენათა შეფასებისას და იმ პატარა გავრობების მიმართ, რომლებსაც უფროსების მიერ ხელოვნურად შექმნილმა დაზაფროვმა სივრცემ ცხოვრება გაუმრუდა, დანაშაულის გრძნობა არ გაგიზნდეს. ნუგზარ შატაიძის მოთხრობის გმირი — თორმეტი წლის მოზარდი ცხოვრების წუმპეში ყურებადგა ჩაფლულია. იგი დღისით ქაშუეთთან მათხოვრობს, ღამით ქალაქის ყუთში მოკალათებული და ნებოთი გაბრუებული საოცნებო ქვეყანაში მოგზაურობს. სწორედ ამ პასაჟით მონიშნა მწერალმა ბიჭის სულიერი თვითგადარჩენის იმედები. ნუგზარ შატაიძის ეს მოთხრობა არ არის ომის ნაცნობი თემის მორიგი ვარიაცია, თავისი დრამატული ავანსცენით იგი უსაზღვრო სიღრმისა და დამატებითი ტკივილის შემცველია, ვინაიდან მოზარდი თაობის მიმართ უახლეს წარსულში ჩადენილი ეს დანაშაული სრულფასოვნად მიგვანიშნებს, როგორ არ უნდა იცხოვრონ ადამიანებმა.

მოთხრობაში განსაკუთრებული დატვირთვის მქონეა ზღვასთან ბიჭის შეხვედრის სცენა. ზღვის მისტერია განსაკუთრებულ ემოციურ ფონს ქმნის ხოლმე იქ, სადაც ქართული მწერლობა აფხაზეთის თემას ავითარებს. აქაც ზღვა ქვეცნობიერად აირეკლავს იმ განწყობას, რომელიც ადამიანებს ერთმანეთის მიმართ ჰქონდათ ომამდე და ომის შემდგომ. როგორც კი ბიჭი აფხაზეთამდე მიაღწევს, მაშინვე ზღვას მიაშურებს. მას მთელი ამ ხნის განმავლობაში არასოდეს ტოვებდა ზღვასთან დაკავშირებული შეგრძნებები. „მასხოვს ზღვის სუნი, გემო და ხმა. საკმარისია თვალები და ვხუჭო, რომ მაშინათვე გავიგონებ, მის მლაშე გემოსა და სუნს შევიგრძნობ“.

იქ ჩასულს კი სულ სხვა სურათი ხვდება: „ზღვა უზარმაზარი, მუქი ტალღებით ასკდებოდა ბეტონის ნაპირს, შიფფებს ისროდა და თან შემზარავი ხმით ღრიალებდა. შიშით უკან დავიხიე. არა, ასეთი ზღვა არასოდეს მენახა. მომეჩვენა, თითქოს გზა ამებნა და სულ სხვაგან მოვხვდი, სხვა ქვეყანაში ჩამოვდი. ვიდექი და ამდენი ხნის მონატრებულ ზღვას იმედგაცრუებული, კრიჭაშეკრული ვუყურებდი“.

ქართულ პროზაში, რომელიც აფხაზეთის მოვლენებს ეძღვნება, სოხუმელი მწერლის გურამ ოდიშარიას შემოქმედება — რელიეფური, გამოკვეთილი პერსონაჟებით, ჰუმანიზმითა და დროის უზუსტესი ფსიქოლოგიური ანაბეჭდებით მართლაც გამორჩეულია. მისი მზერის მიღმა არ დარჩენილა უფაქიზესი ნიუანსიც კი, რომელიც მომავალზე არ იყოს გათვლილი. ეს მიკრომატიანე, რომელიც მან შექმნა, რეალური დასაყრდენია აფხაზ-ქართველთა საერთო წარსულისა და სამომავლო თანაცხოვრების გადასარჩენად. მიუხედავად შემზარავი რეალობისა, რომელსაც კანონიერი არსებობის უფლება აქვს მის შემოქმედებაში, მწერლის ხედვის რაკურსი მაინც ოპტიმიზმსა და კაცთმოყვარეობაზეა ფოკუსირებული. მისი მზერა ყოველთვის უახლოეს წარსულს დატრიალებს, გურამ ოდიშარიას საკ-

რალური კავშირი აქვს ამ წარსულთან, მასთან უწყვეტობის განცდა ანიჭებს მწერალს ინდივიდუალიზმს, რომლის უკან ყოველთვის დგას აფხაზეთი თავისი სასიცოცხლო სივრცითა და პიროვნებებით, რომელიც უახლეს ისტორიულ კონტექსტთან ერთად შეიგრძნობა. ომმა ყველაფრის შეგრძნება გაამახვილა, ამბობს მწერალი და ამაში უპირველეს ყოვლისა უფლის შეგრძნებას, ადამიანებისკენ მიმართულ მის მზერას გულისხმობს. კითხვაზე „რა არის ომი“ იგი ასე პასუხობს: ომი პარადია, ადამიანების ყველაზე უსაშინლესი თვისებებისა და ჯოჯოხეთური სურვილების პარადი, და ჩვენ კი ამ ბნელი ზეიმის მონაწილე ვართ.

მიუხედავად ამისა, გურამ ოდიშარია თავისი მოთხრობებისათვის ყოველთვის ისეთ პერსონაჟებს ეძებს, რომლებიც სიკეთის უძლეველობის დასტურად გამოადგება. ეს ხელწერა ძალზე იმანენტურია მისთვის. ჯოჯოხეთის ამ აგონიაში ადამიანებმა სიკეთის რწმენა და სიცოცხლის საზრისის განცდა უნდა შეინარჩუნონ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მწერალი ერის ცნობიერებაში გაჩენილ არაჯანსაღ მეტასტაზათა გამოვლენას არასოდეს ერიდება და სულიერი ენერჯის მოდუნებას, ჩვენივე ხელით ეროვნული ლანდშაფტის გაუსახურების მცდელობებსაც მისთვის ნიშანდობლივი ობიექტურობით ამხელს.

გურამ ოდიშარიას, როგორც მწერლისა და სხვათაშორის, როგორც პიროვნების ემოციები ეპოქის სახესთან ერთადაა სუბლიმირებული პერსონაჟებში, სადაც ერთმანეთის დასაღუპად მომართული ადამიანები კრიტიკულ სიტუაციაში მაინც ერთმანეთს უწვდიან ხელს. მწერლის შემოქმედება სავსეა ასეთი პარადოქსული აღმოჩენებით. ამ მხრივ საინტერესოა მისი მოთხრობა „ძმისშვილი“, რომელიც ამ ნიგნში სამშვიდობო მისიითაა წარმოდგენილი და მისი მთავარი პოსტულატების კონტექსტს ეთანხმება. თავისი ფსიქოლოგიური ასპექტებით გურამ ოდიშარიას ეს მოთხრობაც საფუძვლშივე ეწინააღმდეგება ომის მიერ კაცთმოძულეობის დამკვიდრებულ ტრადიციას. მიუხედავად იმ სივრცული არეალისა, სადაც რაოდენობრივად მორალური კრიზისი სჭარბობს, საბოლოოდ მოთხრობის სიუჟეტურ-კომპოზიციური შიგთავსი ერთი ნასკვით იკვრება, მასში იმ საზრისის სიმადლე და ერთიანობა იმარჯვებს, რომელიც კონკრეტულ გარემოში „ძმისშვილების, აღსშვილების, ბიძაშვილების“ ტრადიციული სიყვარულით არის ნაქარგი.

მოთხრობის მთავარი გმირი ვალერი ცეცხლმოკიდებული სახლიდან აფხაზი მეომრის ადგურის ძმისშვილს გამოიყვანს და სიკვდილისგან იხსნის. სიძულვილით „აჩეხილ სამყაროში“ ამ კოლიზიის არსი და დანიშნულება ის არის, რომ ქართველები და აფხაზები კვლავ დაბრუნდნენ ერთი ოჯახის ქვეყანაში, უზარმაზარი ოჯახის უზარმაზარ ქვეყანაში, სადაც კაცი არ ჰკლავს კაცს და სადაც მხოლოდ სიყვარულითაა ძალა განაგებს ყველაფერს.

მწერლისა და პროექტის ავტორის ეს ფრაზა საბოლოოდ კრავს არამარტო მის მთავარ სათქმელს, არამედ ზოგადკავკასიური დიალოგისთვის გამიზნულ ამ შესანიშნავ ნიგნსაც „ჟამი სიცოცხლისა“, რომელიც, სიმართლე გითხრათ, ამ თვალსაზრისით უფრო პერსპექტიული და იმედისმომცემი მეჩვენა, ვიდრე პოლიტიკოსთა მრავალწლიანი, რუტინული მოლაპარაკებანი და ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციათა მცდელობები კავკასიის ხალხთა შესარიცხვლად.

ქეთევან ტომარაძე

## სო მეურაქ, ჩქიმ ინგირი

ხონის რაიონის როგორც კი გასცდებით და მდინარე ცხენისწყალს გადახვალთ, თვალწინ ულამაზესი სანახაობა გადაგეშლება. აქედან იწყება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხე, მარტვილის რაიონი, რომელიც მრავალფეროვანი რელიეფით, არაჩვეულებრივი ბუნებით, რბილი კლიმატითა და სანახაობათა სიმრავლით ბევრ სასწაულს ჰპირდება მოგზაურობის მოყვარულებს.

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ აქ, მარტვილში დაარსდა კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შემსწავლელი ცენტრი, „კოლხეთის ვარდი“, რაც მარტვილის რაიონისა და მთლიანად დასავლეთ საქართველოს წინაქრისტიანული პერიოდის შესწავლას, წარმართული ხანის ძეგლების გამოვლენასა და უძველესი ისტორიის ახალი მასალებით გამდიდრებას ისახავს მიზნად.

„კოლხეთის ვარდის“ დამფუძნებელი, მითოლოგიის სპეციალისტი და პარაფსიქოლოგი, სიმბოლოების გახსნითა და მეცნიერული ინტერპრეტაციით გატაცებული მკვლევარი **ელენე დორისი** ოჯახური ფესვებით არის დაკავშირებული კოლხეთის უძველეს მიწასთან. შესაძლოა, ელენე დორისს მრავალი სხვა ახსნა მოეპოვება, მაგრამ ერთ-ერთი ვერსიით, ვარდი სიბრძნის სიმბოლოა, რაც მშვენივრად გამოხატავს უძველეს კოლხეთში დაგროვილ უზარმაზარ ინფორმაციას, რაც საუკუნეთა მანძილზე სიბრძნეს მატებდა და განუმეორებელ სახეს უნარჩუნებდა ამ მიწის მკვიდრ ადამიანებს.

მარტვილის რაიონი, ქრისტიანული ეკლესია-მონასტრებითა და საერო დანიშნულების ნაგებობებით დამთავალიერებლის მისაზიდად და ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად, ფართე შესაძლებლობებს იძლევა. ერთობ საშური, კეთილშობილი ჩანაფიქრის განხორციელებისას ელენე დორისმა, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინა, რომ ტურისტების მოსაზიდად და რეგიონის ასაღორძინებლად აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი ყურადღება მივაქციოთ კულტურულ ღირებულებებს და ამით კიდევ უფრო მიმზიდველი და საინტერესო გავხადოთ ეს მხარე.

„კოლხეთის ვარდის“ მიერ გამოცემული ორიგინალური სამეცნიერო-შემეცნებითი კალენდარი, სახელწოდებით

„მითიური კოლხეთი 42X42“ ასოციაციის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯია. მარტვილში ელენე დორისმა დიდი სამუშაო გასწია და დაადგინა ყველა ის ადგილი, არტეფაქტი, მითი თუ სიმბოლო, რომელიც კოლხეთთან საერთო ისტორიული ფესვებითა და კულტურით არის დაკავშირებული და აღნიშნულ განედსა და პარალელზე აღმოცენდა, ანდა საუკუნეების მანძილზე გადაადგილდებოდა. კალენდრის შემდგენელი საინტერესო ინტრიგას

სთავაზობს დაინტერესებულ პირს. მის მფლობელს შეუძლია მიმართოს ინტერნეტში განთავსებულ ასოციაციის ვებრდს Colhetis Vardi და დამატებითი ინფორმაცია მოიპოვოს ამ უჩვეულო კალენდარში ნელინადის თვეების მიხედვით წარმოდგენილ მასალებზე. მაგალითად, მკითხველი გაიგებს თუ როგორ მიუღწევია კოლხეთიდან უელსამდე უელსის იის დრაკონის სიმბოლოს და უკან რა სახით და როგორ დაბრუნებულა. ასევე გაეცნობა მიურატების ამაღლებებელ ისტორიას და სხვ.

მარტვილსა და, ზოგადად, კოლხეთთან დაკავშირებული მითები და ლეგენდები „კოლხეთის ვარდის“ მიერ გამოცემულ კალენდარზე ორიგინალური ხერხით ცოცხლდება და კაცობრიობის ფესვების შესწავლისკენ უბიძგებს მკითხველს.

კალენდარი პირველი ნაბიჯია უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელების გზაზე. ასოციაციის ჩანაფიქრმა გაგრძელება ჰპოვა მარტვილის რაიონის მოსწავლეთა კონფერენციაზე, სახელწოდებით „არის ასეთი ლეგენდა“. „კოლხეთის ვარდის“ მიზნები კონფერენციამ საზოგადოებისთვის კიდევ უფრო საცნაური გახადა. მარტვილის რაიონის სკოლის მოსწავლეებს ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მოძიება, გამოვლენა და შესწავლა დაევალათ. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ყმანვილების მიერ მოპოვებული მასალების პოპულარიზაციისა და ახალგაზრდების მეტი ჩართულობის მიზნით, ასოციაცია „კოლხეთის ვარდმა“ განიზრახა ფართო აუდიტორიისთვის გაეცნო მოსწავლეთა მიერ დიდი გულისხმიერებითა და მონდომებით

შესრულებული ნამუშევრები, საუკეთესო მოხსენებათა ავტორებს კი ფასიანი ჯილდოები და დიპლომები გადასცა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მწერალთა კავშირი საქმიანად გამოეხმაურა კონფერენციას, კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ, პოეტმა **ბალათერ არაბულმა** ხუთი ნამუშევარი სიგელებითა და ჟურნალ „ცისკრის“ ნომრების კომპლექტით დააჯილდოვა.

ელენე დორისმა და მარტვილის რაიონის სკოლების შედგომებმა ყმანვილები სწორად წარმართეს, მშვენიერი თემატიკა შესთავაზეს და უხელმძღვანელებს; მოსწავლეთა მიერ დამუშავებული საკითხების შემოკლებული ვერსიები კი ბუკლეტად გამოსცეს რაც, ბუნებრივია, ახალგაზრდებისთვის



ელენე დორისი

ვის შემდგომ მუშაობაში სერიოზული სტიმული იქნება.

საჯარო სკოლების მოსწავლეები: სოფ. ბალდიდან **ლიანა ბჟალავა**, ტალერიდან **სალომე ჯოჯუა**, მარტვილიდან **სალომე ხაყოშია**, ლეცავედან **ქრისტინე ლაშხია**, კინიადან **ლინდა შულაია**, ლეხინდრაოდან **მარიამ დანელია**, ბანძიდან **ლილი კონტუაძე**, ხუნნიდან **ნინი რევია**, ქვედა ნაგვაზაოდან **სალომე ჯღარკავა**, მეორე ნამიკოლოდან **რუსუდან თოფურია** და ბალდადან **ნანა ნულაია** საყურადღებო მოხსენებებით წარდგენენ დამსწრე საზოგადოების წინაშე, რომლებიც კონფერენციაზე დასასწრებად თბილისიდან, რაიონის სხვადასხვა სოფლებიდან, შორეული რუსეთის დედაქალაქიდანაც კი ენვით მარტვილელებს.

ჩვენი კუთხის ანდაზები, მეტსახელებად დაბადებული სიტყვები, ვინ ხარ შენ, ტყის დედოფალი, ისტორიის ქარტეხილებით გაჟღერებული ჩემი სოფელი, ერთი ლამაზი ლეგენდა, უტყვი მონძე, საიდან მომდინარეობს სახელი „ბაკარა“, ჩემი ბანძა, მაკვირენც, ჩემი სოფლის წესჩვეულება, ბიზნესმენს, მარგალურო თიშენ ვჭარუნქ — მრავალფეროვანი თემებით მოსწავლეებმა მსმენელთა გული მოიგეს. თითოეული საკითხი ყმანვილების მიერ მონდომებით, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, ძიების გულწრფელი ჟინით იყო შესწავლილი. წერის კულტურასთან ერთად, სათქმელის გამართულად გადმოცემის უნარმა, დეკლამირების ნიჭმა და სითამამემ დამსწრე საზოგადოებაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

საილუსტრაციოდ მეტსახელების გაჩენის ერთ მოკლე ისტორიას გავიხსენებთ, რომელიც სალომე ჯოჯუამ წარმოადგინა. მოსწავლის მიერ მოყვანილმა ნიმუშებმა მეგრული ენის წიაღში წარმოქმნილი სინონიმების სიუხვესა და ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრების ფართო შესაძლებლობებში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა. მაგ. ადამიანის კუშტი ხასიათის გამო, მეგრულში სხვადასხვა მეტსახელები გაჩენილა, რომლებიც აქტიურად არის ჩართული მიმოქცევაში: ჟურუ, ძგვიბი, ძლიკი, ჟოლორია და ა.შ.

აღმოჩნდა, რომ მარტვილის რაიონში ხშირი ყოფილა გამოჩენილ ადამიანებს მიმსგავსებული სახელები: მაგ. ტკაჩენკო, ჩერჩილი, გარინჩა, ჯოხარი და სხვ. მომხსენებელმა თითოეულის გენეზისი გვიჩვენა. ასე მაგ. გია ჯოჯუასთვის მეტსახელი გარინჩა მხოლოდ იმიტომ შეურქმევიათ, რომ ფეხბურთის ლეგენდად ქცეულ პიროვნებასავით დადიოდა, მაშინ როდესაც ფეხბურთი არასოდეს უთამაშია:

— რა ვიცი, ფეხბურთი გარინჩასავით კი არა, ცხოვრებაში არ მითამაშია. აი, სიარულით კი მართლაც მასავით დავევიარ, — უთქვამს რესპონდენტს.

გიას, გარინჩას მსგავსად, ფეხებზე პრობლემა ჰქონია, გვიხსნის სალომე ჯოჯუა. თავისთავად საინტერესო მიგნება მარტვილელთა კარგად განვითარებულ იუმორზეც მიანიშნებს.

ქრისტინე ლაშხიას მიერ გადმოცემულმა მარტვილის რაიონის ერთი ადგილის, შუაშწყაროს ისტორიით დამსწრე საზოგადოება ერთობ მოხიბლული დარჩა.

ერთხელ, მტრის უთვალავი ლაშქრის მოულოდნელად გამოჩენის გამო ქართულ მხედრობას სწრაფად დაუტოვებია აბედათის, ნახუნაოს, თამაკონის სიმაგრეები და თავი

სალხინოსთვის შეუფარებია, მაგრამ მტერი ფეხდაფეხ მიჰყოლია. ქართველთა მხედარმთავარს შერკინებისთვის აქაც თავი აურიდება და ლაშქრითურთ ქვიბიის მთებში შეხიზნულა. ჩვენი მხედრობის განადგურების სურვილით შეპყრობილი ოსმალები ქვიბიის მთებში თავშეფარებულ მეგრელებს შესევინან. ქართველებს ხერხისთვის მიუმართავთ, გადაუნყვეტიათ, მტერი მთებში ღრმად შეეტყუებინათ და ხეტიალით მათთვის არაქათი გამოეცალათ, მერე კი მოულოდნელად დასხმოდნენ თავს. ერთხელაც, გამთენიისას უცარი შეტევა განაუხორციელებიათ და ოსმალებისთვის გონს მოსვლა არ უცლიათ, ქორისგან დამფრთხალი წინილებით აქეთ-იქით მიმოუფანტავთ. მამაცურად იბრძოდა მტრის მთავარსარდალი, რომელიც გაჭირვების ჟამს მუდამ მეზრძოლთა გვერდით მდგარა. საღამოხანს იგი მძიმედ დაჭრილა, რასაც ბრძოლის ბედი გადაუნყვეტია. სარდლის გარეშე დარჩენილი ოსმალები შემდგრკალან, ბრძოლის ველი დაუტოვებიათ და თავი ტყისთვის შეუფარებიათ. დაჭრილი სარდალი იქვე, ქვის ლოდზე დაუნწვინათ. მთელი ღამე ბორკავდა, შფოთავდა ნაიარევი ვაჟკაცი, ღმერთს წყალს შესთხოვდა, წყალი კი იმ მთებში არსად ყოფილა. უცებ, შუალამისას ვაჟკაცის თავთან მდებარე ქვის ლოდიდან მწყურვალისთვის შადრევანივით უქუხია წყალს. მეორე დღით ქართველებს ეს ამბავი რომ შეუტყვიათ, გაკვირვებით და უკითხავთ: „ქრისტიანულმა მინამ წყალი ურჯულოს როგორ მიაწოდო“.

ვაჟკაცისთვის, ვინც არ უნდა იყოს იგი, ქართველი თუ თათარი, ქრისტიანული მინა მადლიანიაო, ყოფილა პასუხი. ტოლერანტიზმისა და კაცთმოყვარეობის დამკვიდრების კიდევ ერთ მშვენიერ ნიმუშზე მომხსენებელმა დიდი გატაცებით მოუთხრო დამსწრე საზოგადოებას.

კონფერენციის მონაწილეებს, სტუმარსა თუ მასპინძელს, მთელი საათნახვერის მანძილზე თვალზე სიხარულის ცრემლი არ შემურობიათ. მარტვილის რაიონის ღირსშესანიშნაობებმა, მასპინძლებმა ჩვეული სტუმართმოყვარეობით რომ გაგვაცნეს, კონფერენციით მიღებული შთაბეჭდილებები შეავსო და გააღრმავა. ელენე დორისმა, ასოციაციის თანათავმჯდომარემ, **ოლია ჩურკანოვა-გაროზია**, მარტვილის რაიონის სკოლების პედაგოგებმა, ხელმძღვანელებმა და ყმანვილებმა სტუმრებს ორი დაუვიწყარი დღე უსახსოვრეს.

თბილისში დაბრუნებულებს დიდი ილიას სიტყვები მოგვცებოდა. სამეგრელოში, მართლაც ნამდვილი საქართველო ვიხილეთ და დავრწმუნდით, რომ მარტვილის რაიონს შეუძლია საიმედო მომავლით იამაყოს.

სად მიხვალ ჩემო ენგურო — 84 წლის **კუცია ტოტოჩიას** მიერ მიწოდებულმა, ბანძის საჯარო სკოლის მოსწავლის, ლილი კონტუაძის მიერ მეგრულად ჩაწერილმა ხალხურმა ლექსმა, სიბრძნით გამსჭვალული გულწრფელობითა და უბრალოებით, გული გაუთბო მარტვილის რაიონის სტუმრებს: სად მიხვალ, ჩემო ენგურო, სად მიჩხორიალებ, მიგორავ და ზღვაში მიგაქვს თოვლი მთიდან ჩამოსული. მიუყვები შენს კალაპოტს, არაფერი გეტყობა გადახვევის, გზა არასდროს გაგიშტოვდება. ენგურს, ისევე როგორც მარტვილის რაიონის ახალგაზრდობას, გზა მართლაც არასდროს გაუშტოვდება, რადგან თითოეული გულით ატარებს ბრძენი წინაპრის ნაანდერძვე მცნებებს:

მარინე ტურავა

# ოქროს სანმისის აღმოჩენა

(ლია მოლარიშვილის  
ორი ნოველა)

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სექტემბრის ნომერში (№18) დაიბეჭდა ლია მოლარიშვილის ორი ნოველა „აგვისტოს მინურულს“ და „მდინარიდან კი თევზები ხტიან“. სიახლე პროზაში ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში მომრავლდა იმედისმომცემ ახალგაზრდა პროზაიკოსთა რიცხვი. თუმცა ამ პუბლიკაციას სიახლესაც ვერ დავარქმევთ, რადგან ლია მოლარიშვილის მოთხრობები და ზღაპრები ადრეც დაბეჭდილა, მისი პიესები კი რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ და ზუგდიდის თეატრის სცენებზეც დადგმულა.

პირველი და ყველაზე თვალმისაცემი არის ძალდაუტანებელი, მსუბუქი თხრობა, საინტერესო ამბავი და პერსონაჟის შინაგანი სამყარო — ფაქიზი, მგრძობიარე, ემოციური. ლოლა — პირველი ნოველის („აგვისტოს მინურულს“) პერსონაჟი ახალი ცხოვრების ზღურბლზეა. საყვარელი ადამიანის დაღუპვისა და ავადმყოფობის შემდეგ ქალი ქალაქს ტოვებს და საცხოვრებლად სოფელში გადადის. დინების სანინააღმდეგოდ მიცურავს, ყველა ქალაქსა და სამსახურს მიელტვის, ის კი, პირიქით, გაურბის. თუმცა ლოლა ახალი გამოწვევების წინაშეა და შიშით უყურებს მომავალს. ამას საშუალო ასაკის კრიზისიც ერთვის, ქალი გრძნობს, რომ მისი სხეული მალე დაკარგავს სილამაზეს, მომხიბვლელობას, რასაც მტკივნეულად განიცდის. პირველი გასეირნება იძულებითი უმოქმედობის შემდეგ ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი მის ცხოვრებაში. ამით ავტორი ხაზს უსვამს ადამიანის უნარსა და მისწრაფებას — მუდმივად ეძებოს ძალა ახალი ცხოვრების დასაწყებად. მკითხველი ზუსტად ვერ იგებს, წარსულში მაინც თუ ჰქონდა ლოლას ნამდვილი ცხოვრება, თუ ეს მხოლოდ ოცნება იყო ნამდვილ ცხოვრებაზე. ავტორის მიზანი ქალის წარსულის ანალიზი იმდენად არ არის, რამდენადაც სიახლის, მოლოდინის განცდა, სხვა ადამიანებისაგან განსხვავებული ცხოვრების არჩევანი, ერთგვარი გამოთხოვება იმასთან, რაც იყო, და შიშნარევი დასაწყისი ახალი ნამდვილი ცხოვრებისა თუ არა, მასზე ოცნებისა მაინც. „რა ეშველება ამ მოკლე ზაფხულს? თვალდახელშეუა გაგვიქრა არე...“ ძალიან მოკლეა ზაფხულიც და ცხოვრებაც, ამიტომაც ადამიანმა უნდა ისწავლოს



წერილმანებით, მათ შორის გვირგვინოსანი ქალის მიერ დაწერილი ამ სტრიქონებით, გახარებაც, ტკობაც...

„მდინარიდან კი თევზები ხტიან“ — სოფელში მცხოვრებ უსახელო და მიტოვებულ მხატვარზე მოგვითხრობს, რომელიც მხოლოდ დროის მოსაკლავად ხატავს და წარმოდგენაც არა აქვს, რომ გენიოსია. ძალდაუტანებელ თხრობას აქ კომპოზიციის აგების ოსტატობაც ემატება. ნოველისათვის დამახასიათებელი ფრაგმენტულობა, ერთი ეპიზოდის მხატვრული გარდასახვა, თხრობის ლაკონიზმი და მოქმედების ექსპრესია ამ ჟანრის ერთგულების ნიშანია. კომპოზიციურად შეკრულ ნოველაში კვანძის შეკვრა და გახსნა სწრაფად

ხდება და ფინალიც მოულოდნელია. ჟანრების ნომინალიზმის ეპოქაში ნოველამ ყველაზე მეტად შეინარჩუნა ჟანრობრივი მოთხოვნები, ეს ტენდენცია თანამედროვე ქართულ მცირე პროზაშიც იკვეთება, ამ გზას მიუყვება ლია მოლარიშვილიც.

ნამდვილი ხელოვნება — არალიარებული და შეუმჩნეველი, დიდი ფიქრისა და განსჯის გარეშე შექმნილი, მხოლოდ ხალას ნიჭზე დაფუძნებული — გამხდარა ნოველის შთაგონების წყარო. ერთ მიტოვებულ სოფელში, მიტოვებული მხატვარი ცხოვრობს, ძველისძველ, საბიჯგებმორყეულ შავი ხის ოდაში და სასწაულს ქმნის: თავისი სოფლის პეიზაჟებს, ყანებს, ეზოებს, გლეხებს, ქალებსა და ბავშვებს. ხატავს ყოველგვარი წესის დარღვევით: აქ მამალი კაცზე მალაღია, ერთ სურათზე ვაშლი კიდევ მნიფს და კიდევ ყვავის, მაგრამ ეს

ნამდვილი მხატვრობაა, გრძნობის სინრფელით, უშუალობით, სინათლითა და სიყვარულით. ეს ოქროს სანმისის აღმოჩენას ჰგავს მღვიმეში. ამ აღმოჩენით გახარებული და ალტაცებული მთხრობელი სინანულით ტოვებს გურიის ამ პატარა სოფელს და მხატვარს დაბრუნებას ჰპირდება, მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, ვერ ახერხებს ამ საოცარი, ათობით, ასობით ადამიანით დასახლებული, ფანტასტიკური, უცხო სამყაროს ხელახლა ხილვას. რამდენიმე წლის შემდეგ იგი კოლოსალურ ფასად გაყიდული ნახატების „ცხელ“ ათეულს ათვალეირებს ინტერნეტში, მეექვსე ნომრად გამოტანილი ნახატი სწორედ იმ გურულ სოფელში მიკარგულ, ყველასაგან მიტოვებულ მხატვარს ეკუთვნის. „ლხინი სოფლად“ — უცნობი ავტორი, უცნობი კოლექციონერის კუთვნილება“. აქაც გამორჩეული, მხოლოდ მხატვრისეული სამყარო ჩანს, ქალი ტილოზე საკუთარი თავსაც ამოცნობს. ეს ყველაფერი ვულკანის ამოფრქვევას, მზეზე აფეთქებას ჰგავს. მხატვრის შვილს მამის გარდაცვალების შემდეგ ყველა ნახატი ერთი უცხოელისათვის მიუყვლიდა, რომელიც ახლა ამ შედეგებში მილიონებს იგებდა... ასეთია ამ ნოველის ტრაგიკული დასასრული, რაც ჩვენ ვერ დავაფასეთ, ვერ დავინახეთ, ვერ მოვუარეთ, სხვამ დააფასა და შეაფასა. ამ ამბის ანტითეზად ლია მოლარიშვილი გონიოში დიასახლისის ვაჟიშვილის მდიდრულ სახელოსნოს აღგვიწერს, კეთილმოწყობისა და ულტრათანამედროვეობის მიუხედა-

ვად, უნიჭობის ჭაობში რომ იხრჩობა... ნამდვილ ხელოვნებას არ სჭირდება განსაკუთრებული პირობა, ის ღვინის სარდაფებსა და საბიჯებმორყეულ ოდებშიც იქმნება.

ნოველაში კონფორმიზმსა და უნიჭობას, მოუწყობელი ყოფა და ნიჭიერება უპირისპირდება, წარმავალსა და დროებითს — მარადიულს. ლია მოლარიშვილი გრძნობს, რომ ამ გლობალურ, უზარმაზარ სამყაროში ძალიან იშვიათია ნამდვილი, გულწრფელი, ცოტა არ იყოს, მიაბიჭური ხე-

ლოვნება და შესაბამისად დიდია მასზე მოთხოვნაც. ეს განწყობა ნოველის ნაკითხვის შემდეგ კარგა ხანს არ სცილდება მკითხველს, აწვალებს, ჩააფიქრებს, რაც არის კიდევ ლიტერატურის მიზანი და დანიშნულება.

ამ ნოველებში იკვეთება ავტორის ორეული, ერთგვარი ალტერ ეგო — მგრძნობიარე, გულჩვილი, ემოციური, სიყვარულით აღსავსე ქალი, რომლისგანაც სამყაროს განსხვავებული აღქმა სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია.

ლორდ ბაირონი

# მეკობრა ნადიმზე

(„ღონ ჟუანის“ მესამე თავი)

სალამ-ქალამი, მუზავ! და ამისთანანი...

ჟუანი მძინარი დავტოვეთ, ბალიშად მშვენიერი და ბედნიერი მკერდი ემოვნა, დასცქეროდა თვალები, რომელთაც ჯერ არა იცოდნენ რა ტირილისა, უყვარდა ყმანვილ გულს, მეტად მადლიერს, რათა ეგრძნო, შხამი შეიძლება შემეპაროს სულშიო, ანდა სცოდნოდა, თუ ვინ შეიძლება ჩაბუდებულიყო იქ, რომელი მტერი მიპარებოდა მის უმანკო ასაკს, და ვის გადაექცია მისი უწმინდესი სისხლი ცრემლებად!

ო, სიყვარულო! რა სჭირს ამ ჩვენს ნუთისოფელს, რომ საბედისწეროდ გავგვხდომია — უყვარდე და გიყვარდეს? რატომ შემოგობურავს კვიპაროსის ტოტებით შენი სამყოფელი, და რატომ უხშირებ ოხვრას შენს საუკეთესო განმარტებელს? იმათსავით, სურნელება რომ შეჰყვარებიათ გაგიჟებით და ყვავილებს ჰკრეფენ და მკერდზე იბნევენ და ამით ჰკლავენ ყვავილებს; სწორედ ასევე განწირულან დასაღუპად ნაზი ქმნილებანი, გულში რომ ვუნანავებდით.

პირველი ვნებით ქალს თავისი სატრფო უყვარს, მერე და მერე კი თვით სიყვარული.

ეს ჩვეულებად გადაექცევა და თავს ველარ აღწევს, ისე შემობლანდვია, თითქოს მსუბუქი ხელთათმანიო, და დაინახავთ, თუკი მის შეცნობას მოისურვებთ, რომ მხოლოდ ერთი კაცი შეუძრავს გულს და... შემდეგ უკვე ბევრეულს ეტანება და ველარ ამჩნევს, მეტისმეტი დამგროვებიაო.

არ ვიცი, მათი ბრალა თუ კაცისა, მაგრამ ერთში დარწმუნებული ვარ; ზრდასრული ქალი ცხოვრებას თვისას ლოცვებში არ ატარებს, დრო მოდის და ტრფობის საგანი ხდება; და ისიც უეჭველია, რომ პირველი სიყვარული გაუთანგავს გულს. თუმცა არიან ისეთნიც, ვისაც ეს არ განუცდია, და ისეთნიც, ვინც ერთს არ დასჯერებია.

ნაღვლიანი და შიშისმომგვრელი ნიშანია ადამიანური ამაოებისა და დაუდევრობისა, და დანაშაულისაც, რომ სიყვარული და ქორწინება იშვიათად ერწყმიან ერთურთს, თუმც ერთსა და იმავე კლიმატში დაბადებულან; სიყვარული და ქორწინება განსხვავდებიან, როგორც ღვინო და ძმარი, უგემური, მჟავე, შემაფხიზლებელი სითხე — დრომ იცის ასე, გადააქცევს ამაღლებულ, ზეციურ გემოს საოჯახო უგემურობად.

არის რაღაც ანტიპათია, როგორც ადრეც ყოფილა, მათ ახლანდელსა და მომავალ ყოფას შორის; და ვიდრე სიმართლე გაირკვეოდა, მლიქვნელობა იკავებს ადგილს, და რა უნდა ილონოს ადამიანმა, იმედგაცრუება რომ არ ეწვიოს?

ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა სახელს ატარებს ამგვარ ვითარებაში; მაგალითად — ვნება აღფრთოვანებაა საყვარლისათვის, ხოლო ქმრისათვის ცოლისადმი ერთგულებას ნიშნავს.

კაცებს სცხვენიათ ნაზ გრძნობათა გამოხატვა; ხანდახან ცოტაც იღლებიან (თუმც ეს იშვიათად ხდება) და სულითაც ეცემიან: ერთი და იგივე ყოველთვის არ არის მოსაწონი, „თუნდაც მეტად დაფასებული იყოს ცოლ-ქმრობაში“ ის, რომ ორივენი დაბმულნი არიან, ვიდრე ერთი გამოეცლებოდეს. სავალალოა! დაკარგო მეუღლე, შენს დღეებს რომ ამშვენებდა, და დაამწუხრო სახლეულნი.

უსათუოდ არის საოჯახო საქმეებში რაღაც, არსებითად რაც განსაზღვრავს ჭეშმარიტი სიყვარულის ანტითეზას; სარაინდო რომანები თავგამოდებით ლამობენ აღწერონ ადამიანთა სიყვარული, მაგრამ ჩაშლილი ქორწინების აღწერალა გამოსდით; არავის აღელვებს ოჯახური ღულუნი, არავის აინტერესებს ცოლ-ქმრული კოცნა; დაფიქრდით, ლაურა რომ პეტრარკას ცოლი ყოფილიყო, სონეტებს მიუძღვნიდა მთელი სიცოცხლე?

ყველა ტრაგედია სიკვდილით ბოლოვდება, ყველა კომედია ქორწინებით მთავრდება. ორივეგან მომავალი ბედისწერას მინდობია, რადგანაც ავტორები შიშობენ, შემდგომმა აღწერამ არ ნახდინოს ორივე სამყარო ანუ არ დაამდაბლოს და ამ ორივე სამყარომ სასჯელი არ გვარგუნოს შეცდომისათვისო. ასე რომ, მზადა ჰყავთ მღვდელი და მზად აქვთ ლოცვანი და სიტყვასაც არ ძრავენ სიკვდილსა თუ ქალბატონზე.<sup>1</sup>

რამდენადაც მახსოვს, მხოლოდ ორმა უმღერა ზეცასა და ჯოჯოხეთს ანუ ქორწინებას, დანტემ<sup>2</sup> და მილტონმა<sup>3</sup> და ორივესთან სიყვარული უბედურების მომტანი აღმოჩნდა ქორწინებისა გამო, რადგან რაღაც ზღვარმა დანაშაულისა თუ ზნეობისა დაარღვია მათი კავშირი (ასეთი ამბები, კაცმა რომ თქვას, საკითხავი არცაა): მაგრამ დანტეს ბეატრიჩე და მილტონის ევა, როგორც მოგეხსენებათ, ქმრებს არ გაჰქცევიათ.<sup>4</sup>

ზოგნი ამბობენ, დანტე თეოლოგიას გულისხმობდა ბეატრიჩეში და არა ქალბატონსო, მე კი ეგებ უნდა მოვიბოდიშო საკუთარი აზრისათვის, მაგრამ ეს კომენტატორთა ფანტაზია მგონია, საკუთარი ცოდნა რომ გამოამჟღავნეს და საამისო მიზეზიც ჰქონდათ; ვფიქრობ, დანტე ღრმავაროვანი ცოდნით გულისხმობდა პერსონიფიცირებულ მათემატიკას.

ჰაიდე და ჟუანი არ დაქორწინებულან და ეს მათი ბრალია და არა ჩემი; სამართლიანი არ იქნებოდა, კეთილგონიერო მკითხველო, რომ ჩემთვის დაგებრალებინათ, თუ ასე გნებავთ, რომ დაქორწინებულნი ყოფილიყვნენ; და თუ დაიყინებთ, დაქორწინებულთა ხილვა მერჩივნაო, მაშინ დახურეთ წიგნი, სადაც ეს დამნაშავე წყვილი წარმოგისახეთ, მანამ, სანამ უარეს შედეგებამდე მივიდოდეთ.

სახიფათოა უკანონო სიყვარულის ამბის კითხვა.

და მაინც, ისინი ბედნიერნი იყვნენ, ბედნიერნი — უკანონო, მაგრამ უმანკო ვნებას რომ ეძლეოდნენ; და სულ უფრო დაუფიქრებლად იქცეოდნენ ყოველი შეხვედრისას; ჰაიდეს დაავინყდა, რომ კუნძული მამამისისა იყო; როცა გვაქვს სასურველი რამ, ძნელია ხელიდან გაშვება, თავიდან მაინც, ვიდრე მოგვბეზრდებოდეს; ამიტომაც დროს არა ჰკარგავდა და ხშირად მოდიოდა, როგორც კი მეობრე მამა ზღვაში გადიოდა.

ნუ მოგეჩვენებათ ფულის შოვნის მისეული ჩვევა უცნაურად, თუმც კი ყველა სახელმწიფოს დროშებსაც იპარავდა, თითქოს პრემიერ-მინისტრობაში გაეცვალოს თავისი წოდება, და ეს სხვა არა ყოფილა რა, თუ არა გადასახადთა შეწერა; მაგრამ იგი თავმდაბალი გახლდათ და უფრო მოკრძალებულ ადგილსაც სჯერდებოდა ცხოვრებაში და უფრო პატიოსნადაც მისდევდა თავის საზღვაო ხელობას, და საქმიანობისას ზღვის პროკურორის უფლებებს არ ამეტებდა.

მოხუცი კეთილი ჯენტლმენი შთაფლულიყო ქარებსა და ტალღებში და მნიშვნელოვან დატყვევებაში; და რადგანაც მეტი სურდა, რჩებოდა ზღვაზე, თუმც წივილ-კივილი აგრილებდა მის აღფრთოვანებასა თუ მოგებით გამოწვეულ სიხარულს; შეკრავდა ტყვეებს, ახარისხებდა პარტიებად, ხუნდებში ჭედავდა და აფასებდა ათიდან ას დოლარამდე.

ზოგს მატაპანის კონცხზე მიუჩინდა ადგილს, თავის მეგობარ მეონიტებთან; ზოგსაც ტუნისელ მეკავშირეთა მემკვიდრეობით ჰყიდდა, იმათ გარდა, სიბერის გამო გემიდან რომ ჰყრიდა; დანარჩენი — ზოგიერთი მდიდრის თვინიერ, მოსალოდნელი გამოსასყიდისათვის რომ ინახავდა — უბრალო ხალხისათვის კი დიდი შეკვეთები მოსდიოდა ტრიპოლიდან.

სანჯრილმანოც ასევე საღებოდა, ლევანტის სხვადასხვა ბაზრებზე მიედინებოდა; გარდა დავლის ნაწილისა, იმ კლასიკური ნივთებისა, ქალებს რომ მოსწონთ, ფრანგული ნაწარმისა, თასმებისა, პინცეტებისა, კბილის საჩიჩქნისა, ჩაიდნებისა, ლანგრებისა, გიტარებისა და კასტანეტებისა ალიკანტედან; ამ ყველაფერს გამოარჩევდა ნადავლიდან და ქალიშვილისათვის მოჰქონდა, საუკეთესო მამას ვითარც შეჰყვრის.



მხატვარი ნოდარ ბაღურაშვილი

მაიმუნი ამოარჩია ცხოველთაგან, ჰოლანდიური მასტიფი, თუთიყუში მაკაუ, კიდევ ორი თუთიყუში, სპარსული კატა კნუტებიანად, და ტერიერიც, ადრე ნაყოლი ვილაც ბრიტანელისა, ითაკის ნაპირებთან რომ დალუპულიყო, და ეს კი იქაურ გლეხკაცებს გამოეკვებათ; და რათა ავდარში არაფერი დამართნოდათ, ერთ დიდ კალათაში მოაქცია.

მერე საზღვაო საქმეებიც მოაგვარა, აქეთ-იქით დაგზავნა კრეისერები, და რადგან მის ხომალდს მცირეოდენი შეკეთება სჭირდებოდა, იქით დაადგა, სად მისი მშვენიერი ქალიშვილი აგრძელებდა თავის მასპინძლურ მოვალეობას; მაგრამ რადგანაც ის ნაპირი თავთხელი გახლდათ და მოშიშველებული და რამდენიმე მილის მანძილზე გასდევდა რიფები, პორტი კუნძულის მეორე მხარეს ეკრა.

და იქ ნაპირზე გადავიდა დაუყოვნებლივ, რადგან იქ არც საბაჟო მოიძებნებოდა და არც კარანტინი, უხერხულ კითხვებს რომ დაუსვამდნენ, სად ყოფილხარო, როდის ყოფილხარო; მეორე დღეს გადავიდა გემიდან და ეკიპაჟს დაუბარა, ლუზაზე მდგარიყვნენ და ყველას რალაც საქმე ეკეთებინა, გადმოეტირათთ საქონელი, ბალასტი, თოფები და განძეული.

მთის წვერს რომ მიაღწია, რომელიც მისი სახლის თეთრ კედლებს გადაჰყურებდა, შედგა — ნეტა რა განცდა ეუფლებათ, ვინც იძულებულნი არიან იხეტილონ! ყოყმანი, ეჭვი, ყველა კარგადაა თუ ავად, სიყვარული მრავალთადმი და შიში ზოგიერთისა გამო; გრძნობები, რომელნიც ხანგრძლივ წლებს გადაფარავენ და გულს სანყის ნერტილში გვიბრუნებენ.

შინ დაბრუნებისას ქმარსა თუ ბატონს, ხანგრძლივი მოგზაურობის შემდგომ, ხმელეთით იქნება თუ ზღვით, ბუნებრივად ეწვევა ხოლმე ეჭვები — ქალი ოჯახში საკმაო თავსატეხია (ალარავის სჯერა სქესისა, ალარც ისე იხიბლებიან — მაგრამ მლიქვნელობა სძულთ და მეც არასოდეს ვმლიქვნელობ); ქმრების არყოფნისას ცოლები ნახდებიან, ხოლო ქალიშვილები ხანდახან მსახურთუფროსთან ერთად გარბიან.

ყველა პატიოსან ჯენტლმენს შინ დაბრუნებისას არა სდევს თან ისეთი კარგი ილბალი, როგორც ულისეს; ყველა მარტოხელა დიასახლისი არა დარდობს თავის ქმარზე, და არც თავყვანისმცემლის კოცნაზე იმრიზება; უცნაური ისაა, რომ ეს ჯენტლმენი უეცრად წაანყდება მის მოსაგონებლად დადგმულ მშვენიერ თასს და სამიოდე გოგონას, რომელიც მეგობარს რომ შესძენია, ვისაც მისი მეუღლეც და სიმდიდრეც უგდია ხელთ. და მისი საკუთარი არგუსიც საკებნად წაეტანება.

თუ მარტოხელაა, მისი ნაოფლარი ეგებ რომელიმე მდიდარ ნუნურაქსაც ჩაუფარდეს ხელთ; კიდევ უკეთესი, ბედ-

ნიერმა წყვილმა წაიჩხუბოს და ქალბატონი უფრო დაბრძენდეს, მერე კაცმა განაახლოს მზრუნველობა, როგორც კეთილშობილ რაინდს ეკადრება ან შეიძულოს ცოლი; და უდრტვიწველად და ხმაამოუღებლივ კი არ იტანჯოს, არამედ ოდები შეთხზას ქალთა მერყევ ხასიათზე.

და ეჰ! თქვენ, ჯენტლმენებო, ვისაც უკვე გაქვთ ცოტა-ოდნავი უმანკო ურთიერთობა — ვგულისხმობ უცოდველ კავშირს გათხოვილ ქალთან — ეს ერთადერთი რამაა, რაც დიდხანს ძლებს, ხოლო ჭეშმარიტი ჰიმენე კი (მხოლოდ საფარველია) დიდხანს სულაც არა ძლებს და, მსმენია, დღეში ოთხჯერაც უღალატიათ შინიდან წასულისთვის.

ლამბრომ, ზღვის პროკურორმა, ვისაც ხმელეთზე ნაკლები გამოცდილება ჰქონდა, ვიდრე ზღვაზე, კმაყოფილება იგრძნო, როცა თავისი ბუხრიდან ამომავალი კვამლი იხილა; მაგრამ რაკი მეტაფიზიკა არ გაეგებოდა, ვერ გაიაზრა თუ რა იყო ნამდვილი მიზეზი სევდის უკუყრისა ან სხვა მძაფრი ემოციისა; მას უყვარდა შვილი და იგლოვებდა მის დაკარგვას, მაგრამ ფილოსოფოსივით ვერ წვდებოდა არსს.

ხედავდა თავისი სახლის თეთრ კედლებს, მზეზე რომ ბრწყინავდა, თავისი ბალის ხეხილს — მწვანესა და ჩრდილოვანს; ესმოდა თავისი ნაკადულის ჩუხჩუხი, ძაღლის ყეფის ხმაც შორიდან; და ხშირი ტყის მიუხედავად, მოძრავ ფიგურებსაც არჩევდა, იარაღის ლაპლაპსაც (აღმოსავლეთში ყველა შეიარაღებულია), და პეპელასავით ჭრელი სამოსის კაშკაშა ფერებსაც.

და რაც უფრო უახლოვდება ამ ადგილს, მით უკვირს უსაქმურობის ნიშნები და ესმის — ვაგლახ! არა ზეციური მუსიკის ხმა, არამედ ამქვეყნიური უქმი ჭყვიტინი!

ყურს არ დაუჯერა, ეს მელოდია რომ მოესმა.

მიზეზს ვერ ხედავდა.

ვერ აეხსნა.

სტივრის ხმაც ისმოდა, დოლისაც და, ამას გარდა, მეტად არააღმოსავლური ხარხარისაც.

და რაც უფრო უახლოვდებოდა ადგილს, აჩქარებით ჩადიოდა დაღმართზე, მოქანავე ტოტებს მიღმა დღესასწაულის სხვა ნიშნებს შორის ჭვრეტდა შინამოსამსახურეთ, დერვიშებივით აცეკვებულთ, ციბრუტივით რომ ბრუნავენ, მიხვდა რომ პირპიქულ ცეკვას ასრულებდნენ,<sup>5</sup> გამარჯვებისას, ასე ძალიან რომ მოსწონთ ლევანტელებს.

მოსორებით ბერძენ გოგონათა ჯგუფი ჩამსკრივებულყო — მარგალიტთა აცმულასავით, მათ შორის პირველი და ყველაზე მაღალი თეთრ მანდილს აფრიალებდა; ხელი ხელს ჩაეკიდათ და ცეკვავდნენ; თვითუღს თეთრ ყელზე ჩამოშლოდა ჩალისფერი კულულები (მათგან ყველაზე უარესი ათ პოეტს მაინც გადარევდა); მათი წინამძღოლი მღეროდა და მის სიმღერას როკვითა და გალობით ასდევდა ქალწულთა წყება.

იქვე ფეხებმორთხმულნი შემოსხდომოდნენ თავთავიანთ ტაბლებს მცირე ჯგუფები და ის-ის იყო იწყებდნენ შექცევას; ათასნაირად შეკმაზული ფლავი და ხორცი ატკბობდა მზერას, თავს იწონებდნენ სამოსური და ქოსისური ღვინით სავსე ბოთლები, თიხის ფორებიან თასებში გრილდებოდა შარბათი; თავს დაჰყურებდათ მსხმოიარე ხილეული, ფორთოხალი და ბროწეული ირხეოდა და უცვიოდათ კალთაში ერთი შერხევისთანავე.

ბავშვების გუნდი შემოხვეოდა თოვლივით თეთრ ბატკანს და მის პატივსაცემ რქებს ყვავილებით რთავდნენ;

ისიც ხან გატრუნულიყო დედის ძუძუს მოუწყვეტელი კრავივით, საზვიამოდ მშვიდად ეჭირა მატყლით შემოსილი თავი, ან მათი ხელიდან ჭამდა ან ოინბაზურად შეკრავდა წარბებს და თავს დახრიდა, თითქოს საბუჯაოდ ემზადებოდა, და მერე ისევ მიენდობოდა პანია ხელებს.

საამო იყო ამ პატარა ბერძენთა ხილვა: მათ კლასიკურ პროფილთა, მზინიანი სამოსისა, დიდი შავი თვალებისა, ნაზი ანგელოსური ლოყებისა, გახლენილი ბროწეულისფრად შეფერილის, გრძელი კულულებისა, მომხიბვლელი მიხვრამოხვრისა და მეტყველი თვალებისა, ბედნიერი ბავშვობის კურთხეული უმანკოებისა, იმდენად საამოსი, რომ მათი მნახველი ფილოსოფოსი ამოიოხრებდა — ნეტა კი არ გაიზარდონო.

მოსორებით ჯუჯა მასხარა ჰყვებოდა ამბებს დინჯ, ჭალაროსან ჩიბუხის მწვევლთა შორის ჩამდგარი, ჰყვებოდა მიკარგულ ხეობებში დამალული განძეულისას, არაბ მასხარათა მოსწრებული ნართაულებისას, ჰყვებოდა ჯადოსნობისას — თუ როგორ მოიპოვო ოქრო და როგორ განკურნო სნეულები, მოჯადოებულ კლდეზე დაკაკუნებით რომ იღებდა, ჯადოქარი ქალებისას, ერთი შლოკვით ქმრებს მხეცებად რომ გადააქცევენ (ეს ხომ ამჟკარაა).

ეს იყო უმანკო დროსტარება, გრძნობისა და წარმოსახვის გალაღება, სიმღერა, ცეკვა, ღვინო, მუსიკა, სპარსული ამბები, მშვენიერი შექცევა, რაშიც ვერ მოიძიებ დანაშაულს; მაგრამ ლამბრო ზიზლით უყურებდა ყოველივე ამას, წარმოიდგენდა თუ რამდენი გაიფლანგა მის არყოფნაში, შიშით ცახცახებდა ადამიანური უბედურების წარმოდგენისას თუ როგორ იწვოდა მისი ყოველკვირეული ვექსილები.

ეჰ, რა არის კაცი? რაოდენი საფრთხე ჩასაფრებია უბედნიერეს მოკვდავთაც კი ნასადილევს, ოქროს დღე შეიძლება რკინის ხანას მოჰყვეს და სულ ეს არის, რასაც ცხოვრება უბოძებს უიღბლიანეს ცოდვილს; ტკბობა (როცა აგალობდება) სირინოზია, რომ მიიტყუებს, რათა გაატყაოს დამწყები ყმანვილი; ლამბროს მასპინძლობა ამ ბანკეტზე ისეთი იყო, აი, ცეცხლი რომ შეეხამება სველ საბანს.

იგი ხომ უპირველესად სიტყვაძენნი კაცი გახლდათ და განცვიფრება უყვარდა (საერთოდ, კაცებს მახვილით აცვიფრებდა ხოლმე) თავისი ქალიშვილისა; ამიტომაც არ შეუტყობინებია წინასწარ, რომ ბრუნდებოდა, რათა ზედმეტად არავის ელელვა; დიდხანს შეყოვნდა, რათა კარგად დაერწმუნებინა საკუთარი თვალები, უფრო გაოცებულნი რომ იყვნენ, ვიდრე ნასიამოვნებნი, ამდენი კარგი სტუმარის ხილვით. მაგრამ მან არ იცოდა (ეჰ! როგორ ცრუობენ ადამიანები), რომ ამბავი მოვიდა (განსაკუთრებით ბერძნები ცრუობენ) — მაუწყებელი მისი სიკვდილისა (აბა, როდის კვდება ასეთი ხალხი), და რამდენიმე კვირა გლოვა გამეფებულიყო მის სახლში; ახლა კი თვალებიც სველი ჰქონდათ და ტუჩებიც.

ფერი დაბრუნებოდა ჰაინდის ლოყებს, ცრემლებიც უკან გაბრუნებულიყვნენ თავიანთი სათავისაკენ, და ახლა სახლს უკვე თვითონ უძღვებოდა.

ამიტომაც მოეტანათ ამდენი ბრინჯი, ხორცი, ღვინო, ცეკვავდნენ და დროს ატარებდნენ, და ეს კუნძული განცხრომის ადგილად გადაექციათ; მსახურები უსაქმურობდნენ, დამთვრალიყვნენ და უსაზღვროდ ბედნიერად გრძნობდნენ თავს. იმასთან შედარებით, ჰაიდერ როგორც ექცეოდა ქონებას, მამამისის სტუმართმასპინძლობა მოსატანი არ იყო; რა სასიამოვნოდ შემობრუნდა ცხოვრება მას შემდეგ,

რაც ეს გოგონა ველარაფრისათვის იცლიდა სიყვარულში გადავარდნილი.

ალბათ იფიქრებთ, ამ ქეიფს რომ წაადგა, ლამბრო გამ-მაგდებოდაო, და მართლაც არა ჰქონდა მტკიცე მიზეზი, რომ გახარებოდა.

ალბათ რაიმე უეცარ ქმედებას წარმოიდგენთ, მათ-რახს, წამებას ან საკანს, ბოლოს და ბოლოს, რათა ჭკუა ეს-წავლებინა თავისი ხალხისათვის, როგორც საჭირო იყო, ისე ეჩვენებინა მეფური მიდრეკილებანი მეკობრისა.

ცდებით.

იგი უმშვიდესი ბუნების კაცი გახლდათ მათ შორის, ვი-საც გემით უთარეშია ან ყელი გამოუჭრია ვინმესთვის; ჭეშმარიტი ჯენტლმენის თვისებანი მომადლებოდა, ვერა-სოდეს გამოიცნობდი მის გულისწინადაც; ვერა კარისკაცი ვერ შეძლებდა და ვერა ქალი ვერ დამალავდა ტყუილს ქვე-დატანში მასავით; სამწუხაროა, რომ ხიფათიანი ცხოვრე-ბის მრავალფეროვნება უყვარდა; და დიდი დანაკარგიც გახლდათ საზოგადოებისათვის.

უახლოეს ტაბლას მიადგა, მხარზე ხელი დაჰკრა იქვე მდგომ სტუმარს და თავისებური ღიმილით, რაც, სხვათა შორის, კარგს არას მოასწავებდა, როგორც არ უნდა ყო-ფილიყო კარგეგნულად, ჰკითხა, რისი აღსანიშნავი წვეულე-ბააო; მთვრალმა ბერძენმა, ვისაც მიმართა, შემკითხველის პატივსაცემად ჭიქა აავსო ღვინით.

და მხიარული, ბახუსით სავსე თავი არც კი მოუბრუნე-ბია, ისე მიაწოდა გალიპლიპებული სასმისი და უთხრა:

- მშრალად ლაპარაკისათვის სადა მცალია.
- მოხუცი ბატონი მოკვდა, — ამოასლოკინა მეორემ, — უმჯობესია ჩვენს ქალბატონს ჰკითხო, მის ქვეკიდრეს.
- ქალბატონს! — ამოლერლა მესამემ, — ქალბატონს! ფუჰ! ბატონს გულისხმობ, ძველს კი არა, ახალს.

ეს არამზადები ახალმოსულები იყვნენ და არ იცოდნენ თუ ვის მიმართავდნენ; სახე შეეცვალა ლამბროს, თვალები წამიერად ჩაუბნელდა, მაგრამ თავი შეიმაგრა, თავაზიანად გაიღიმა და ერთ-ერთ მოსაუბრეს შეევედრა, ეთქვა სახელი და მდგომარეობა ახალი ბატონისა, ვისაც, როგორც ჩანს, გათხოვილ ქალად ექცია ჰაიდე.

— არ ვიცი, — მიუგო ყმანვილკაცმა, — ვინაა ან რას წარმოადგენს ან საიდან მოსულა, და არც მადარდებს; ის კი ვიცი, რომ ეს ყვერული მსუქანია, და ეს ჩინებული ღვინოც მშვენივრად მორაკრავებს, და თუ ეს პასუხი არ გაკმაყო-ფილებს, აგერ იმას მიმართე, ჩვენს მეზობლად; იგი მოგი-გებს ავად თუ კარგად, რადგან მასავით არავის უყვარს სა-კუთარი თავის მოსმენა.

მოგახსენეთ, ლამბრო მომთმენი კაცი გახლდათ, და მართლაც რომ საუკეთესო თვისებები გამოამჟღავნა, რო-გორც თვით საფრანგეთშიც, ამ სამაგალითო ქვეყანაშიც, და მის საუკეთესო შვილებს შორისაც კი არ უნახავთ.

აიტანა გარშემომყოფთა დაცინვა, ჩაიკლა ფულში მღელვარება, არადა, სისხლი სდიოდა გულიდან ამ მდაბიო ღორმუცელათა შემხედვარეს, ვინც მის ცხვრის ხორცს შე-ექცეოდნენ.

კაცისაგან, ვინც მიჩვეულია ბრძანების გაცემას, ხალ-ხის აქეთ-იქით გაგზავნას, ნაბრძანების შემოწმებას — და-უყოვნებლივ სიკვდილის მისჯას ან ბორკილებისას, უცნა-ური იყო ასეთი უსაზური ქცევა, თუმც არის მოვლენები, რასაც ვერ ახსნი.

და ესეც თუმც უდავოა, ვისაც საკუთარი თავის მართვა შეუძლია, შეძლებს მბრძნებლობას — თითქმის ისე, რო-გორც გუელფი.<sup>6</sup>

ხანდახან ლამბროც კი განრისხდებოდა, მაგრამ არასო-დეს ლალატობდა გონიერება და სერიოზულობა; მშვიდი იყო, თავშეკავებული, დინჯი და აუჩქარებელი, ტყის მახრ-ჩობელასავით დახვეული იწვა; დარტყმისას თუ სისხლისლ-ვრისას ხმას არასოდეს იღებდა, და მდუმარებაში სჩადიო-და შემზარავ საქმეს და მისი ერთი დარტყმა სხვას საქმეს აღარ უტოვებდა.

მეტი აღარაფერი უკითხავს, შინისაკენ გაეშურა, ოლ-ონდ თავისი გზით, და ორიოდე კაცს, ვინც გზად შეხვდა, ყურადღება არ მიუქცევია, ისე არ მოელოდნენ იმ დღეს; თუმც მამობრივი გრძნობა მიტევებას ევედრებოდა ჰაიდე-სათვის, მაგრამ თუ ვინმე მიცვალებულად მიაჩნდათ, ეს ღრეობა უცნაური გლოვა გამოდიოდა.

ყველა მიცვალებული რომ გაცოცხლდეს ახლა (რისგა-ნაც, ღმერთო, დაგვიფარე!), ან ზოგიერთი, ანდა ბევრი, მა-გალითად, ქმარი ან მისი ცოლი (ცოლ-ქმრული მაგალითე-ბი ბევრიცაა და კარგიც), უეჭველია, როგორც უნდა ყო-ფილიყო მათი უთანხმოება წარსულში, ანმყო უფრო გაავ-დრიანდებდა, ერთობის საფლავზე დაღვრილ ცრემლებს გა-დააჭარბებს აღდგომის შემდგომი ცრემლები.

შევიდა სახლში, რომელიც მისი აღარ იყო, რაც ადამია-ნურ განცდათაგან ყველაზე მძიმეა და მეტად უჭირს გულს ამის გადატანა, ალბათ იმ ტკივილზე მეტადაც, სიკვდილს რომ ვგრძნობთ; ვხედავთ, რომ ჩვენი ბუხარი სამარედ ქცე-ულა, და მის გარშემო ოდესღაც თბილი პატარა ლობე ჩვენს იმედთა ფერფლს დამგვანებია, ისეთი ღრმა დარდია, რომ ერთი კეთილშობილი კაცი ვერც წარმოიდგენს.

შევიდა სახლში, მისი რომ აღარ იყო, რადგანაც უგუ-ლოდ არ არსებობს სახლი; მარტოსულობა იგრძნო, საკუ-თარი კარში რომ შეაბიჯა და არავინ მისალმებია; დიდხანს ცხოვრობდა აქ. ის ცოტაოდენი მშვიდობიანი დღეები დრომ წაიღო, აქ ისვენებდა მისი დალილი სხეული და გამ-ჭრიახი თვალი იმ უმანკო ბავშვის შემხედვარე, უმანკო გრძნობათა ერთადერთი ტაძარი რომაა.

უცნაური ბუნების კაცი იყო, მშვიდი ქცევისა და ველუ-რი გუნება-განწყობილებისა, ზომიერი ჩვეულებებში, და თავშეკავებული ტკბობისას თუ ჭამა-სმისას; სწრაფად მო-ისაზრებდა და ბევრს აიტანდა და გაუმჯობესებას ეწნრა-ფოდა თუ მთლად სიკეთეს არა; სამშობლოს ჭირ-ვარამმა და მისი ხსნის იმედის გადანურვამ მონიდან მონათმფლობ-ლად გადააქცია.

ძალაუფლების სიყვარულმა და ოქროს სწრაფად მოხ-ვეჭამ, ჭირთა შიგან მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბებამ, ხი-ფათიან ცხოვრებაში დაბერებამ, შეწყალებულთა ხშირმა უმადურებამ, ყოველივეს ნახვამ და შეჩვევამ, მშფოთვარე ზღვებმა, სასტიკ ადამიანთა გვერდით ცურვამ ისე გამოან-რთო, მტრებს ძვირად უჯდებოდათ; მეგობრად კარგი იყო და გასაცნობად — საშიში.

მაგრამ ძველი საბერძნეთის სულის ნაწილი ანთებდა მასში მცირეოდენ გამირულ სხივებს, ისეთივეს, ოქროს სან-მისისაკენ რომ მიუძღოდა მის წინამორბედთ კოლხურ ხა-ნაში; ისიც მართალია, რომ მშვიდობისმოყვარეობას ვერ შესწამებდით. ეჰ, მის სამშობლოში აღარსად იყო დიდები-საკენ მიმავალი ბილიკი და მთელ მსოფლიოზე გაგულისე-



ბული და ყველა ერთან ომში ჩაბმული, მდიდრდებოდა, რათა შური ეძია საკუთარი გადაგვარებისა გამო.

და მაინც, მასზე გავლენა მოეხდინა კლიმატს და მიენიჭებინა იონიური დახვეწილობა, რაც მთელ თავის ძალ-ღონეს ხშირად აჩენდა გაუცნობიერებლად, ეს გახლდათ გემოვნება, რამაც საცხოვრებელი შეარჩევინა, სიყვარული მუსიკისა და მომხიბვლელი ხედებისა, ტკბობა ანკარა ნაკადულებით და ალტაცება ფერად-ფერადი ყვავილებით, მშვიდ საათებში მის სულს რომ ეპკურებოდა.

მაგრამ რაც უნდა ჰყვარებოდა, თავისი ქალიშვილასათვის ემეტებოდა.

იგი გახლდათ ერთადერთი ქმნილება, ვისაც მისი გულის კარი ეღებოდა, და მოქცეულიყო იმ ველურ და სასტიკ ქმედებათა შორის, თვითონ რომ ჩაედინა და ეხილა; ეს იყო მისთვის მისაღები ერთადერთი წმინდა გრძნობა; და ამ უმანკო ქმნილების მკერდიდან მოგლეჯა აკარგვინებდა ყველანაირ სიკეთეს, რაც ადამიანური სიკეთის რძისაგან შეეთვისებინა, და გადააქცევდა სიბრძნით გადარეულ ციკლოპად.

ბოკვერდაკარგული ძუ ვეფხვი გამძვინვარებული რომ დაეხეტება ჯუნგლებში, საშიშია მწყემსისა და მისი ფარისათვის; ალღელებული და აქაფებული ოკეანე შემზარავია კლდის ახლოს მოცურავე ხომალდისათვის; მაგრამ სასტიკი მოვლენები უფრო მალე შეიძლება დამშვიდდნენ, ვიდრე ღრმა, სასტიკი, მარტოსული, უტყვი მრისხანება ძლიერი, მბრძანებელი ადამიანის გულისა.

ასე კი ხდება, მაგრამ ძალზე ძნელია შვილების თავნებობის ხილვა, მათი, ვისაც შევნიშნეთ საუკეთესო დღენი, ჩვენი თავი განვაახლეთ უფრო ლაზათიან თიხაში, და სწორედ მაშინ, როცა სიბერე სწრაფად გვიახლოვდება და მწუხრის ღრუბლები გვანვება თავზე, ისინი გულთბილად გვტოვებენ, და მარტოს კი არა, კარგ საზოგადოებაში, წითელ ქართან ან სულაც ქვასთან.

და მაინც, კარგი ოჯახი ერთ რამედა ღირს (თუნდაც ნასადილეს ვერც თანხმდებოდნენ); მშვენიერია იმის ცქერა თუ როგორ ზრდის დასახლისი შვილებს (თუკი მათზე ზრუნვა წონას მეტისმეტად არ დააკარგვინებს); საკურთხეველს შემოხვეული ქერუბიმებივით რომ გროვდებიან ბუხრის პირას (ეს სანახაობა ბოროტ კაცსაც კი შეძრავს). და ქალბატონი და მისი ქალიშვილები და დისშვილები ბრწყინავენ ვითარცა გინეა და შვიდშლინგეიანი მონეტები.

ბებერმა ლამპრომ შეუმჩნევლად გაიარა საიდუმლო კარი და საღამოს პირზე შევიდა თავის დარბაზში; ამ დროს ქალბატონი და მისი სატრფო ისხდნენ და ქეიფობდნენ თავიანთი სილამაზისა და სიამაყის ამარა: სპილოს ძვლის, მოვარაყებულის, გაშლილი მაგიდა ედგათ წინ, აქეთ-იქიდან მოხდენილი მონები ემსახურებოდნენ; თვალმარგალიტით, ოქროთი და ვერცხლით გაწყობილი მაგიდა, არც უფრო იაფი სადაფი და მარჯანი აკლდა.

სადილად ათასი კერძი მაინც ჩამოედგათ; ცხვრის ხორცი, ფისტაჩოს კაკლები, სხვა ყველანაირი ხორცი, ზაფრანას წვნიანები, ტკბილი კვარები; თევზეული, ყველაზე საუკეთესო, რაც კი ბადეში მოხვედრილა ოდესმე და სიბრელთაც არ ღირსებიათ; სასმელად ედგათ სხვადასხვანაირი შარბათები, ყურძნისა, ფორთოხლისა თუ ბროწეულის წვენისა, კანიანად გამოწურულის, რაც კიდევ უფრო გამერიღია.

ირგვლივ ჩამწკრივებულიყო მინის გამჭვირვალე სურბეში ჩასხმული ღვინო; ხილი და დედას პურებიც იქვე მიმობნეულიყო სუფრაზე, და მოკას ყავაც არაბეთიდან მოტანილი, ციცქნა, ჩინურ ფინჯნებით მოართვეს ბოლოს, ფილიგრანულად დამუშავებულ ოქროს ლანგრებზე დაწყობილი, რათა ხელი არ დასწვოდათ, მიხაკის, ცინამონისა და ზაფრანის ნაზავით მოედუღებინათ ეს ყავა, და ამით (ჩემი აზრით) გაეზედაპირულებინათ.

ოთახი სხვადასხვა ფერის ხავერდის ჩარჩოში ჩასმული გობელენებით მოერთოთ, ზედ უხვად ამოქარგულიყო ყვავილები დამასკური აბრეშუმით; და გარშემოვლებოდა ყვითელი ზოლი; ზემოთ დიდი ხელოვნებით ლურჯად მოერთოთ და სპარსული შეგონებანი ამოქარგათ იასამნისფერი ასოებით, მათი საუკეთესო პოეტებისა თუ მორალისტებისა.

ეს აღმოსავლური წარწერები კედელზე, საკმაოდ გავრცელებული იმ ქვეყნებში, ერთგვარი შეგონებანია, მუდამ რომ შეგვახსენებენ, ისევე როგორც თავის ქალები მეფისურ ნადიმზე, ან სიტყვები, ბალთაზარის კედელზე რომ დაენერა და სამეფოც გამოსწირა: თუმც იცოდეთ, რომ რამდენი სიბრძნეც უნდა აფრქვიონ ბრძენკაცებმა, ტკბობა კიდევ უფრო დამაჯერებელი მორალისტია.

სილამაზე — დაისის ჟამს დაუშნოვებული, გენიოსი — სმით სიკვდილის პირას რომ მიიყვანს თავს, მეთოდისტად გარდაქმნილი გარყვნილი ან ეკლექტიკოსი<sup>7</sup> (ამ სახელზე უყვართ ლოცვა), მაგრამ ყველაზე მეტად აპოპლექსიადარტყმული ოლდერმენი ისეთი რამეებია, რაც მართლაც რომ სუნთქვას შეგვიკრავს და გვიჩვენებს, რომ სიცოცხლის მიმწუხრის საათები, ღვინო და სიყვარული ისე ვერ დაგვაზიანებს, როგორც სუფრა.

ჰაიდესა და ჟუანს ფეხი მოერთხათ მენამულ ატლასზე, ღია ცისფერი არშია რომ შემოვლებოდა, მათი ტახტი მთელი ოთახის მესამედს იკავებდა და სავსებით ახალი ჩანდა; ხავერდის ბალიშები (სამეფო ტახტს რომ შეჰფეროდა) ალისფერი გახლდათ და ზედ ოქრომკედით გამოსახულიყო მზე და სხივები — მერიდიანივით აქეთ-იქით განოლილი.

მარმარილო და კრისტალები, ფაიფურის ჭურჭელი ბრწყინავდა; ინდური საფენები და გულისშემძვრელი სპარსული ხალიჩები იატაკზე გაფენილიყო; ქურციკები და კატები, ჯუჯები და ზანგები და სხვა მისთანანი ლუკმას ლაქიობითა (მინისტრობით) და ფავორიტობით (ანუ გადაგვარებით) რომ შოულობენ, ისე მრავლად ირეოდნენ იქ, როგორც სამეფო კარსა ან ბაზრობაზე.

ვერ მოისაკლისებდი ვერც დიდებულ სარკეებს და ვერც შავი ხის მოხარატებულ, მარგალიტითა და სპილოს ძვლით გაწყობილ, კუს ბაკნითა თუ ძვირფასი ხით დამზადებულ, ოქროთი და ვერცხლით მორთულ მაგიდებს, რომლებზეც ელაგა საკვები, შარბათები და ღვინო ყინულითურთ, გამზადებული მომსვლელთათვის, როცა კი უნდა მობრძანებულიყოყვინ სასადილოდ.

ყველა სამოსს შორის ჰაიდესას გამოვარჩევ: ორი ჯელიკი ეცვა — ერთი ღია ყვითელი; პერანგი — ცისფერი, ვარდისფერი და თეთრი — რომლის შიგნითაც ეზვირთებოდა მკერდი; მუხუდოსხელა მარგალიტის ღილები ესხა; ჯელიკის ამხანაგი ოქროსფრად და ჟოლოსფრად ბზინავდა, ზოლიანი თეთრი გაზის ბარაქანი შემოეხვია, ხავერდოვანი ღრუბელი ვითარც შემოეხვევა მთვარეს.

თვითუღმკლავზე თითო ოქროს სამაჯური ეკეთა, უსაკეტო, ბაჯალლო ოქროსი, უმტკივნეულოდ რომ ერტყმოდა ხელზე, ღვთაებრივად ჩამოსხმულ კიდურზე, ისე მშვენიერზე, მისი თვითუღმკლავზე მოგაჯადოებდათ; და ისე ეჭიდებოდა მკლავს, თითქოს არა სურს მისი მიტოვებაო; უძვირფასესი ლითონი შემოვლებოდა უთეთრეს კანს.<sup>8</sup>

და როგორც პრინცესას მამის მინაზე, ასეთივე ოქროს სარტყელი შემორტყმოდა წვივზე,<sup>9</sup> მის ნოდებას ადასტურებდა თორმეტი სამაჯური, თმა — მორთული ძვირფასი ქვებით, ვითარც ვარსკვლავებით; მისი მანდილის მშვენიერ ნაკეცი მკერდთან შეკრულიყო ძვირფას მარგალიტთა ასხმულით, რომელთა ფასის დადგენაც გაძნელებულია, ნარინჯისფერი აბრეშუმის თურქული შარვალი დაშვებულყოფილი მსოფლიოში ულამაზეს კოჭამდე.

მისი თმის მონათალო ხორბლისფერი ტალღები კოჭებამდე ეშვებოდა, ვითარცა ალპური ჩანჩქერი, მზე რომ შეფერავს დილის ნათელით, და შეეძლო ერთიანად გახვეულიყო მათში<sup>10</sup> და თმის ღერები თითქოს უკმაყოფილებას გამოხატავდნენ, აბრეშუმის ბაფთით შეკრულნი, და თავის დარწმუნებას ცდილობდნენ, როგორც კი ნიავე გაეთამაშებოდათ და შეარხევდათ.

გარშემო სიცოცხლეს აფრქვევდა, ჰაერი კიდევ უფრო მსუბუქი ჩანდა მის თვალთაგან, რომელიც ისეთი ნაზი და მშვენიერი ჰქონდა, ისეთი, რომ მხოლოდ ზეცაში შეიძლება წარმოვიდგინოთ; ფსიქეასავით უმანკო გახლდათ, ვიდრე ცოლი შეიქნებოდა, ისეთი უმანკო, რომ ადამიანური კავშირისათვის დაგენანებოდა.

მასთან ახლოს ყოფნისას იფიქრებდი, კერპთაყვანისმცემლობა არ იქნება, მუხლი რომ მოვიყარო.

ნამწამები ისედაც ღამესავით მუქი, შეღებილი ჰქონდა (ქვეყნის ტრადიციის კვალბაზე) და სრულიად ამაოდ; რადგან შავი თვალები ისე შავად უბზინავდა, რომ ეს მოკაშკაშე მემამბოხენი დასცინოდნენ მათი ზღუდის შეფერილობას და შურს იძიებდნენ მათი ბუნებრივი ფერისა გამო.

ფრჩხილები ინით დაეფარა, მაგრამ აქაც გაცრუებულიყო ხელოვნება, რადგან უფრო მეტად ველარ გავარდისფერებულიყვნენ.

ინა უხვად უნდა მოიხმარო, კანი რომ უფრო მშვენიერი გამოჩნდეს; მას არ სჭირდებოდა ასე მოქცევა, რადგან დილით განათებული მთის მწვერვალებიც კი არა ქათქათებს ისერივად, ვითარცა ჰაიდე, თვალი ვერც კი დაიჯერებდა მის ხორციელებას, ისე ჰგავდა ხილვას, ეგება ვცდები, მაგრამ შექსპირიც ხომ ამბობს, სისულელეა „მოაოქროვო ბაჯალლო ოქრო ან შეღებო შრომანი“.

ჟუანს შავი, ოქროთი მოსირმული მოსასხამი მოესხა, თეთრი შალის სამოსი ეცვა, ისეთი გამჭვირვალე, რომ მის მიღმა მბზინავი ძვირფასი ქვები შეგეძლოთ დაგენახათ, ირმის ნახტომის მცირე ვარსკვლავებს მოჰგავდნენ; ჩაღმა ეხურა მოხდენილად დახვეული და ზედ ჯილა ზურმუხტებით მორთული და ჰაიდეს თმით შეკრული, და ზედ მოკაშკაშე მთვარე, რომლის სხივებიც თრთოდა, მაგრამ არა ქრებოდა.

მათი ყურადღება მიპყრობილიყო ამაღლისაკენ, ჯუჯების, მოცეკვავე გოგონების, შავკანიან საჭურისთა და პოეტისაგან რომ შედგებოდა.

პოეტი სახელგანთქმული გახლდათ და თავის გამოჩენა სურდა: მის ლექსებს იშვიათად აკლდათ შესაფერისი ტერფი, ხოლო, აი, თემას კი აროდეს გადაუხვევდა, რადგანაც

სატირისა და ხოტბის შესხმისათვის უხდინდნენ, როგორც ფსალმუნე ამბობს, „თხზავდა კეთილად“.

აქებდა ანმეოს და აძაგებდა ნამეოს, აქიაქებდა ნარსულ დღეთა კეთილ ჩვეულებებს, ეს აღმოსავლელი ანტი-აკობინელი,<sup>11</sup> როგორც იქნა მორჯულდა, კი შეჭამანდი ამჯობინა, გამოიარა ავბედითი დღეები, როცა იმას თხზავდა, რასაც ფიქრობდა, ახლა სულთანს აქებდა და ფაშას, საუთის მსგავსი სიმართლითა და ქრემოუს დარი ლექსით.

ეს იყო კაცი, ვისაც ენახა მრავალი ცვლილება, და მათ კვალბაზე იცვლებოდა თვითონაც, თითქოს ნემსი ეყრებოდა ქსოვილში, მისი პოლარული ვარსკვლავი უძრავად არ იდგა, ადგილს იცვლიდა; ლიქნაც იცოდა და ამით უსხლტებოდა მრავალ განსაცდელს, ენაც უჭრიდა (როცა შეუძლოდ არ იყო) და ისე მგზნებარედ ცრუობდა, უსათუოდ ლაურეატის პენსიას მიაღწევდა.

მაგრამ სულიც ჰქონდა, მოღალატეთაც კი აქეთ სული, და „Vates irritabilis“<sup>12</sup> თადარიგს იჭერენ, შეუმჩნევლად გაერიდონ სავსე მთვარეობას; რაც შეეხება საჯარო ყურადღებას, კარგ კაცებსაც კი სიამოვნებთ...

მაგრამ რას ვამბობდი, მოიცა ვნახო, სად შეგჩერდი? ჰო, მესამე ქება, მშვენიერი წყვილი, სიყვარული, ნადიმი, სახლი, სამოსი და მათი სახლი კუნძულზე და იქ ცხოვრება.

მათი პოეტი, სევდიანი მკრეჭავი, მაგრამ არიფებში კაი ჯველი, ცნობილი მრავალთათვის და მათთვის ტკბილ-ტკბილ ამბავთა მთხველი, და თუმცა მისი იშვიათად ესმოდათ, მაინც ასლოკინებდათ და ღმუროდნენ ალტაცების ნიშნად, თუმც არცერთმა არ უწყოდა, მეორე რას ალტაცებინა.

ახლა კი მაღალ საზოგადოებაში მოხვედრილი, სხვადასხვა თავგადასავლებამოვლილი, ხეირნანახი აქეთ-იქით ხეტიალის დროს და თავისუფლებაზე ნაფიქრი, ამ გემარტობულ კუნძულზე მოხვედრილი მეგობრებს შორის, ვარაუდობდა, რომ დიდი არეულობა არ მოჰყვებოდა თუ, ბევრი ტყუილის შემდეგ, ძველის ამოგებას შეეცდებოდა და იმღერებდა, კეთილ წარსულში ვითარ სჩვეოდა, და მცირე ხნით დაუზავდებოდა სიმართლეს.

ემოგზაურა არაბეთში, თურქეთში, ფრანკებში, და გაცნო თავმოყვარეობა განსხვავებული ერებისა; ეცხოვრა ყველანაირ ხალხში, ამიტომაც მუდამ მზად ჰქონდა რალაც ყოველი შემთხვევისათვის; რისთვისაც საჩუქრებსაც ღებულბოდა მცირეოდენს და მადლობასაც, ლიქნის სხვადასხვა ხერხიც იცოდა, და „რომში ისე იქცეოდა, ვითარც რომაელთ სჩვეოდათ“.

ქცევის ეს წესი საბერძნეთში შეეთვისებინა.

და ყოველთვის, როცა სთხოვდნენ რალაც ემღერა, სხვადასხვა ერებს რალაც თავისას, ეროვნულს უმღეროდა; მისთვის სულერთი იყო „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა“, თუ „Ca ira“,<sup>13</sup> როდის რა იყო საჭირო; მისი მუზა ყველაფერს ერგებოდა, უმაღლესი ლირიკიდან მდაბალ ყოფიერებამდე: თუ პინდარე ცხენთა შეჯიბრს უმღეროდა, ამ ჩვენს პოეტსაც ხელს რა შეუმლიდა, ყოფილიყო პინდარესავით მოქნილი.

საფრანგეთში, მაგალითად, შანსონს დაწერდა; ინგლისში ექვსსიმღერიან კვარტო ზღაპარს; ესპანეთში ბალადას შეთხზავდა ან რომანსს უკანასკნელი ომის თაობაზე, იმავს იქმოდა პორტუგალიაში; გერმანიაში მისი პეგასი მოხუცი გოეთეს მიბაძვით აყრიდა ტლინკებს (ნახეთ, რას ამბობს დე სტალი); იტალიაში Trecentisti-ს<sup>14</sup> მიბაძვდა მაიმუნით; საბერძნეთში კი რალაც ასეთ ჰიმნს გიმღერებდათ:

საბერძნეთის კუნძულები<sup>15</sup>

საბერძნეთისა კუნძულნი, საბერძნეთისა კუნძულნი! სად მგზნებარე საფო დაღვრილა სიყვარულად და სიმღერად, სად ამოზრდილა ხელოვნება ომისა და მშვიდობის, სად დელოსი გადაიდებულა და ფებუსი ამობრწყინებულა! მარადიული გაზაფხული ავარაყებს მათ ოქროთი, მაგრამ ყოველივე, გარდა მათი მზისა, ჩასვენებულა.

სკიანური და ტიანური მუზა, გმირის ჩანგი, სატრფოს სალამური ჰპოვებენ იმ სახელს, რაც შენმა ნაპირებმა უარჰყევს; მხოლოდ მათი დაბადების ადგილია მუნჯი იმ ხმათათვის, რამაც უფრო დასავლეთით უნდა გამოიწვიოს ექო, ვიდრე თქვენ, უფალო „დალოცვილო კუნძულნი“.<sup>16</sup>

მთანი გადაჰყურებენ მართონს, მართონი კი — ზღვას; და საათობით იქ განმარტობით მჯდომი, ვოცნებობდი საბერძნეთის თავისუფლებაზე; რადგან სპარსელთა საფლავზე მდგომს, ჩემი თავი მონად ვერ წარმომედგინა.

ჯდა მეფე კლდის კიდვე, ზღვაში აღმოცენებულ სალამისს რომ გადაჰყურებს; და ათასობით გემი მოჩანდა ქვემოთ, და ხალხი სხვადასხვა ჯურის; — ყველაფერი მისი გახლდათ! დღის ბოლომდე ითვლიდა, და ოდეს მზე ჩაესვენა, სადღა იყვნენ?<sup>17</sup>

და სადღა არიან ისინი? და სადა ხარ შენ, ჩემო ქვეყანავ? შენს მიჩუმებულ სანაპიროზე აღარ გაისმის გმირული სიმღერები, გმირული გული აღარ ძვერს! და შენი ჩანგი, ხანგრძლივ ასერიგ ღვთაებრივი, ჩემი გადაგვარებული ხელით უნდა უღერდეს?

ესეც რამეა, როცა დიდებას მოვისაკლისებთ, და ესმაურება ბორკილადებულ ერს, პატრიოტული სირცხვილი რომ მაინც იგრძნოთ, აი, ჩემსავით, სიმღერისას სახეს რომ ვმალავ; და რაღა დაბთენია პოეტს აქ? ბერძენთა განზილება და საბერძნეთის ცრემლები.

მხოლოდ ის დალოცვილზე დალოცვილი დღეები უნდა ვიგლოვოთ? უნდა ვნითლდებოდეთ? დედამინავ! უკან დაგვიბრუნე შენი მკერდიდან ჩვენს მიცვალებულ სპარტელთა ნაშთები! სამასიდან სამი მაინც გვიბოძე, რათა ახალი თერმოპილე გავმართოთ!

როგორ, კვლავ გაგჩუმდეთ? და ყველა გაგჩუმდეთ? ოჰ! არა, მიცვალებულთა ხმა ჩანჩქერის ხმიანობასავით მოისმის, და გვპასუხობს, “დაე თუნდაც ერთი ცოცხალმა ასნიოს თავი, ჩვენ მოვალთ, მოვალთ!” დამუნჯებულნი კი მხოლოდ ცოცხლები არიან.

მაგრამ ამაოა, სხვა აკორდი ავიღოთ, ავავსოთ თასები სამოსური ღვინით,<sup>18</sup> ბრძოლა თურქულ ურდოებს დავუთმოთ, და მხოლოდ ქიოსური ღვინის სისხლი დავღვაროთ, ისმინეთ! თუ როგორ აღსდგებიან ხმამაღალ ძახილზე ბახუსის გაბედული მიმდევრები!

პირიქული საომარი ცეკვა რომ შემოგინახავთ, პირიქული საომარი ფალანგა სად წასულა? ორი ასეთი გაკვეთილიდან რატომ დაივიწყეთ უფრო ვაჟკაცური და კეთილშობილური? თქვენ ფლობთ კადმოსის ბოძებულ ანბანს, როგორ გგონიათ, მონებისათვის შეჰქმნა?

პირთამდე აავსეთ თასი სამოსური ღვინით! ნუ ვიფიქრებთ ამგვარ ამბებზე! ასე მღეროდა ანაკრეონტი ღვთაებრივ სიმღერებს: ემსახურებოდა პოლიკრატეს, ტირანს, მაგრამ მაშინდელი მბრძანებელნი ბოლო-ბოლო ჩვენი თანამემამულენი მაინც იყვნენ.

ხერსონესის ტირანი იყო თავისუფლების საუკეთესო და უმამაცესი მეგობარი; ეს გახლდათ ტირანი მილტიადესი! ოჰ, ნეტა ანწყო დროშიც ვეღირსებოდეთ ამგვარ დესპოტს! უთუოდ დავიდებდით მის ბორკილებს.

პირთამდე აავსეთ თასი სამოსური ღვინით! სულის კლდესა და პარგას ნაპირებთან შემორჩენილია ნაშთი ისეთი ხაზისა, დორიული დედები რომ ატარებდნენ; და ალბათ იქ არის დათესილი მარცვალნი ჰერაკლიდური სისხლისა.

ნუ მიენდობით ფრანკებს, თავისუფლებას რომ გპირდებიან, მათი მეფე ყიდის და ყიდულობს; მშობლიურ მახვილებს და მშობლიურ მებრძოლებს დაეყრდენით, ერთადერთი იმედი გაბედულებაშია; მაგრამ თურქული ძალადობა და ლათინური თაღლითობა გააპობს შენს ფარს, რაც უნდა ფართო იყოს.

პირთამდე აავსეთ თასი სამოსური ღვინით! ჩვენი ქალწულები ჩრდილებში ცეკვავენ, ვხედავ, როგორ ანათებს მათი შავი თვალები; მაგრამ თვითუფლები მშვენიერი ქალწული ცქერი-სას შეუპრობლად მდის ცრემლი, რომ მათმა ძუძუებმა მონები უნდა გამოკვებონ.

სუნიუმის მარმარილოს საფეხურებზე დამასვენეთ, სად მხოლოდ მე და ტალღები ვიქნებით, რომ მხოლოდ ჩვენი ბუტბუტი ისმოდეს; რათა ვიმღერო გედვიით და მოკვდე; <sup>19</sup> მონების მინას ვერ შევეთვისები, დაამსხვრიეთ სამოსური ღვინის თასები.

ასე მღეროდა, ან იმღერებდა, ან შეეძლო ემღერა, ან უნდა ემღერა თანამედროვე ბერძნულის შესატყვისი ლექსით; და თუ მთლად ისე არა, ვითარც ორფეოსი მაშინ, ოდეს საბერძნეთი ახალგაზრდა იყო, ამ დროებამი გაცილებით უარესად გამოდის; დაძაბულობა წარმოშობს განცდას, სწორს ან მრუდს, და განცდა პოეტისა წყაროა სხვათა განცდათა; მაგრამ განცდანი ცრუობენ და ფერებს იცვლიან, მღებავის ხელებისა არ იყოს.

მაგრამ სიტყვები საგნებია და ერთი წვეთი მელანი, ცვარვიით დადენილი ფიქრებიდან, წარმოშობს ათასობით და ალბათ მილიონობით ფიქრს; უცნაურია, უმცირესმა, ციცქნა ასომ, კაცი რომ იყენებს მეტყველების ნაცვლად, შესაძლოა წარმოშვას ხანგრძლივი ჯაჭვი საუკუნეთა; რაც უნდა შეავინროვოს დრომ მყიფე კაცი, ფურცელი, თუნდაც ამისთანა ნაგლეჯი, გადაარჩენს მასაც, მის საფლავსაც და ყოველივეს, რაც მისია.

და როცა ძვლები მტვრად ექცევა, მისი საფლავი იავარიქმნება, მისი საცხოვრისი, თაობა, თვით ერი მისი არარად გადაიქცევა, მხოლოდ ქრონოლოგიურ მეხსიერებას შემორჩება საზეიმო მოხსენებისათვის — რომელიღაცა უნდობა მაგისტრმა დავიწყებას მიცემულ სიძველეთა კვლევისას, საფლავის ქვათა ძიებისას ძველ ნანგრევებში, საიდუმლო სამალავის თხრისას შესაძლოა ამოატივტივოს სახელი, ვითარცა იმეიათი განძი.

ხოლო დიდება კარგახანია ბრძენკაცთა ღიმოლს იწვევს. რა არის ეს? არაფერი, სიტყვები, ილუზია, ქარი — დამოკიდებული უფრო ისტორიკოსის სტილზე, ვიდრე იმ სახელზე, პიროვნება რომ ტოვებს; ტროა უმადლის ჰომეროსს იმავეს, რასაც ვისტი უმადლის ჰოილს; ანწყომ დაივიწყა დიად მარლბოროს გამარჯვებანი, ვიდრე არქიდიაკვანი კოქსი გამოაქვეყნებდა ნიგნს მის ცხოვრებაზე.

ვამბობთ, მილტონი პოეზიის პრინცი; ცოტა მძიმე, მაგრამ მაინც ღვთაებრივი; დამოუკიდებელი კაცი გახლდათ, განათლებული, ღვთისმოსავი, თავშეკავებული ღვინოსა თუ სიყვარულში; მაგრამ მისი ცხოვრება ისევე წარმართა, როგორც ჯონსონისა; ამბობენ, მილტონი, ეს დიადი ქურუმი, კოლეჯში გაუნკეპლავთ, უხეში ბატონი ყოფილა, ახირებული ქმარი და მისის მილტონი ამიტომაც წასულა შინიდანო.<sup>20</sup>

ყოველივე ეს უთუოდ გასართობი რეალიებია, ისეთივე, შექსპირმა რომ ირემი მოკლა, და ლორდ ბეკონი ქრთამს რომ იღებდა; ისეთივე, როგორიც ტიტუსის სიყმანვილე, კეისარის ახალგაზრდული თავქარიანობა; ბერნისის ამბები [ვისაც კარგად აგვიწერს დოქტორი ქიური]; ისეთივე, როგორიც კრომველის სიცილქენი; და თუმც სი-

მართლედ ადასტურებს, რომ ეს შინაურული ამბები არსებითაა გმირის ბიოგრაფიაში, ისინი ბევრს ვერაფერს მატებენ გმირის დიდებას.

ყველა საუთის მსგავსი მორალისტები ხომ არა ვართ,<sup>21</sup> „პანტისოკრატიაზე“ რომ ლაქლაქებს, ან უორდსუორთის მსგავსნი, უაქციზოდა და უსამსახუროდ დარჩენილი სეზონურად რომ აცხობს თავის სანვრილმანო ლექსებს დემოკრატიაზე, ან კოლრიჯის მსგავსნი, რომლის თავქარიანმა კალამმა არისტოკრატულობა განუმტკიცა „მორნინგ პოსტს“;<sup>22</sup> როცა იგი და საუთი ერთ ბილიკზე შემდგარნი შეამხანაგდნენ (ბათელი პრანჭიები).

ასეთი სახელები დღეისათვის დამნაშავეზე მიანიშნებს, ბოტანი ბეის ტუსალებზე ზნეობრივ გეოგრაფიაში; მიანიშნებს მათ შეთქმულებაზე, ერთგულება რომ დაუმტკიცეს ხელისუფლებას ამ მტკიცე რენეგატებმა, რითაც კარგი მანევრი გამოუვიდათ თავიანთი ფშუტე ბიოგრაფიისათვის.

უორდსუორთის ბოლო ლექსი უფრო გრძელია, ვიდრე აქამდე მიუერთმევია ტიპოგრაფიისათვის; მძინარა, უნდელი ლექსია და ჰქვია „ექსკურსია“, და ისეა დაწერილი, ზიზლსა მგერის.

აქ მას დიდი თხრილი გაჰყავს თავისსა და სხვათა ინტელექტს შორის; მაგრამ უორდსუორთის ლექსი და მისი მიმდევარნი, ჯოანა საუთქოთის შილოსა<sup>23</sup> და მისი სექტის მსგავსნი, საზოგადოების ყურადღებას ვერ იქცევენ ამ საუკუნეში, სადაც მცირედნი არიან რჩეულნი; და მათი გაცვეთილი ამბავი ქალწულის მიერ შობისა მარტოდენ შარდის მუხუთვაა ზეციდან მოვლენილი.

მაგრამ მოდი ჩემს ამბავს დავუბრუნდები. თუ რაიმე დავაშავე, გადახვევაა, ჩემს ხალხს მარტო რომ ვტოვებ და მე კი მონოლოგებს გავედევნები ხოლმე შორს; მაგრამ ეს ხომ ჩემი მიმართვანია, ტახტზე მჯდომი რომ გავცემ, და საქმეს გადავდებ მომავლისათვის.

თვითუფილი ამ გადახვევის დავინყება დანაკარგი იქნება მსოფლიოსათვის, თუმც არც ისე დიდი, როგორც არიოსტოა.<sup>24</sup>

ვიცი, რასაც ჩვენი მეზობლები „Longueurs“ უწოდებენ (საამისოდ შესაფერისი სიტყვა ჩვენ არ გავგანჩნია, მაგრამ თვით საგანი კი მოგვეპოვება მთელი თავისი სრულყოფილებით, ბობ საუთისაგან რომ მოედინება ყოველ გაზაფხულზე), სრულებითაც არ წარმოშობს ნამდვილ ცთუნებას, მკითხველს რომ თავბრუს დაახვევს; მაგრამ ძნელი არ იქნებოდა მოგვეტანა კობტა მაგალითები *epopée*-დან, რათა დაგვემტკიცებინა, რომ მისი მთავარი არსი გულისგანვრილებაა.

ჰორაციუსისაგან ვიცი, რომ „ჰომეროსი ხანდახან ჩათვლემს“; და ამას ჩვენც ვგრძნობთ; უორდსუორთი ხანდახან იღვიძებს, რათა გვიჩვენოს თვითკმაყოფილება, მისი ტბის გარშემო მეეტლეთა დანახვისას აღძრული; და ნატრობს „ნავს“, რათა გადაცუროს ღრმა ოკეანე? არა ჰაერი; და მერე კიდევ აღმოხდება ოხვრა „პატარა ნავისა“ გამო, რათა ზღვებზე იცუროს.

თუკი სურს ილივილივოს ეთერულ სივრცეებში, და პეგასმა ბეჯითად უნდა ზიდოს თავისი „ეტლი“, განა არ უნდა სთხოვოს სესხი შარლის ურიკას ან ცალი ურჩხულის ჩუქებას შეხვეწნოს მედას? ან, ძალზე კლასიკური თუ არ იქნება მისი ვულგარული გონებისათვის, კისრის მოტეხვას არ მოერიდოს ასეთი ურა კვიცისაგან, და რომ გასწიოს მთვა-

რისაკენ, ბრიყვისაგან საჰაერო ბურთის მოთხოვნას რომ დაემგვანება.

„მეწერილმანები“, „ნავეები“ და „ეტლები“! ასე ხომ პოუპისა და დრადენის აჩრდილებთან მივიფარო? ამგვარი ნაგავი არა მხოლოდ დაუსლტება გაკიცხვას, არამედ სიღრმიდან ზედაპირზეც კი ამოცურდება და გრძნობათა და სიმღერათა ამ ჯეკ ქეიდსმა შესაძლოა შენს საფლავზეც კი დაუსტვინოს „პატარა მენავე“ და „პიტერ ბელი“ და ქირქილი დაინყოს „აქიტოფელის“ დამხატვავზე.<sup>25</sup>

ჩვენს ამბავში კი ლხინი დამთავრდა, მონები გაიკრიფნენ, ჯუჯებმა და მოცეკვავე გოგონებმა მოსვენეს; არაბული ზღაპრები და პოეტის სიმღერა დასრულდა და ღრეობის ხმები მიწყდა; ქალბატონი და მისი სატრფო მარტო დარჩნენ, მწუხრის ცა ვარდისფრად შეიფერა; ავე მარია, მიწასა და ზღვაზე ამ ზეციური საათის დადგომა შენი შესაფერია.

ავე მარია!<sup>26</sup>

დაილოცოს ეს საათი!

დრო, ამინდი, ადგილი, სადაც ასე ხშირად მიგრძენია ყოველივე ეს მთელი საცებით, თუ როგორ ეშვება დედამიწაზე მშვენიერი და ნაზი, სწორედ იმ დროს, როცა ზარი ჩამოჰკრავს შორეულ კოშკზე, ან მინურული დღის ჰიმნი გაინიშნება და სუნთქვაც კი ისმის ამ ვარდისფერ ჰაერში, და ტყის ფოთლები თითქოს შრიალით ლოცულობენ.

ავე მარია!

ლოცვის საათია!

ავე მარია!

სიყვარულის საათია!

ავე მარია!

ნება უბოძე ჩვენს სულებს, ამოგხედონ შენ და ყრმას შენსა!

ავე მარია!

ო, რა მშვენიერია სახე, თვალები რომ დაუხრია ყოვლისშემძლე მტრედის წინაშე!

მერედა რა, თუ დახატულია?

არა, ეს ნახატი კერპი არ გახლავთ, ისე ძალიანა ჰგავს. ზოგიერთი კაზუსტი სიამოვნებით იმეორებს მრავალ გამოცემაში, რომ მე სასოება არ გამაჩნია.

მოიყვანეთ ის ხალხი, ჩემთან ერთად დააჩოქეთ ლოცვაზე და ნახავთ, ვისი რწმენაა ძლიერი და რომელი უფრო მალე მიაღწევს ზეცამდე.

ჩემი საკურთხეველები მთები და ოკეანეა, დედამიწა, ჰაერი, ვარსკვლავები, ყველაფერი, რაც დიადი მთლიანობიდან მოედინება, ვინც გამოავლენს და დაიბრუნებს სულს.

ტუბილი საათი მწუხრისა! განმარტოებით ფიჭვნარში, მდუმარ ნაპირზე რავენას უძველეს ტყეს რომ აკრავს, ფესვებგადგმულს იქ, სად ოდესღაც ადრიანეს ნაკადი მოედინა, სად კეისრის სიმაგრე იდგა, მარადმწვანე ტყეში! სად ბოკაჩოს სიბრძნე და დრადენის სიმღერები მწვეოდა ხოლმე, ვითარ მიყვარდა მწუხრის საათი და ვითარ მიყვარდი შენ! ჭრიჭინების გამყვანის ხმაური ფიჭვნარის ხალხს ზაფხულს ერთ დაუსრულებელ სიმღერად უქცევს, სად მხოლოდ ჩემი ცხენისა და ჩემი ხმის ექო გახმიანდება, და მწუხრის ზარებისა, ოდნავ რომ შეარხვეს რტოებს.

ონესტის გვარის მონადირის აჩრდილი, მისი ჯოჯოხეთური ძალები და მათი დევნა, და მშვენიერთა გუნდი, რომელმაც ამ მაგალითით ისწავლა, რომ არ უნდა გაეცქე ქეშმარიტ სიყვარულს, მოელანდა ჩემი გონების თვალს.

ო, ჰესპერუს, შენ მოგვივლენ ყოველივე სიკეთეს, დაქანცულს — ბინას, მშიერს — სუფრას, ბარტყს — მშობლის მფარველ ფრთებს, დაქანცულ ცხენს — სადგომს; რაოდენი მშვიდობა მოედინება ბუხრის პირიდან და რაოდენ დაცულად ვგრძნობთ თავს შინ დაბრუნებულნი, შენი მფარველი თვალი არა გვმორდება; შენ იფარავ დედის მკერდს ჩაკრულ ბავშვს.

ნაზი საათი! სურვილს რომ აღვიძებს და აჩქროლებს გულს მათსას, ვინც ზღვებში შეცურავენ, განსაკუთრებით პირველ დღეს, როცა თავიანთ ტკბილ მეგობარს დაშორდებიან; ან პილიგრიმისას, ცაზე ვენერას გამოჩენა რომ სიყვარულს გაუღვივებს და ააჩქარებს, თითქოს მინურული დღე უნდა გამოიტიროსო; ნუთუ ეს მოჩვენებაა, ჩვენი გონება რომ აითვალწუნებს?

ეჰ! მართლაც რომ არაფერი კვდება დაუტირებლად! <sup>27</sup>

როცა ნერონი დაიღუპა სამართლიანი ბედისწერით განგმირული, რომელიც ანადგურებს გამნადგურებელს, ხმაურში გათავისუფლებული რომისა, გათავისუფლებული ერებისა და მსოფლიოს ზეიმში, მანაც ვილაციუს უხილავმა ხელმა ყვავილები მოაბნია მის საფლავზე; <sup>28</sup> ალბათ გული მთლად არ დაცლილიყო სიკეთისაგან, და იმ უგვანოს შეურყვნელი საათი აჩუქა.

მაგრამ მე კვლავ გადავუხევი, რა შუაშია ნერონი, ან ამგვარი გვირგვინოსანი ტიკინები ჩემი გმირის თავგადასავალთან, რა შუაშია ამგვარი მთვარეულები?

ამან ხომ ჩემი წამოწყება შეიძლება გააქარწყლოს, და სხვა მრავალივით მაჩანჩალად გადავიქცე ლექსის მწერალთა შორის (კანტაბის <sup>29</sup> სახელმოხვეჭილთა შორის, ყველაზე დაბალი ხარისხი რომ მიიღეს).

ვგრძნობ, მოწყენილობა არ გამოგვადგება, მეტისმეტად ეპიკური ხდება, და ამიტომაც ეს გრძელი ქება (გადანერისას) ორ ნაწილად უნდა გავყო; და ვერავინ ვერაფერს მიხვდება, გარდა ორიოდ გამოცდილი კაცისა; და ამას წარმოვაჩინ გაუმჯობესებად, და დავამტკიცებ, რომ არისტოტელეს passim-იდან მოდის, თუკი იხილავთ „პოეტიკას“.

**ინგლისურიდან თარგმნეს  
ჰაბატა და როსტომ ჩხაიძეებმა**

**შენიშვნები:**

1. პოპულარული ბალადა, პირველად გამოქვეყნდა 1736 წელს. მარჩანდი პირქუშს უწოდებს.

2. დანტე „ჯოჯოხეთში“ თავის ცოლს მტაცებელს უწოდებს.

3. მილტონის პირველი ცოლი შინიდან გაიქცა ქორწინებიდან პირველივე თვეში. ასე რომ არ მოქცეულიყო, რა უნდა ექნა მილტონს?

4. მილტონსა და დანტეს — შექსპირსა და დრადენით და უთუოდ ბაირონივით — ქორწინებამ არ გაუმართლათ. თამამად შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ჰაიდეს ხასიათი ლედი ბაირონის თარგზეა დახატული.

5. დერვიშთა ცეკვა თურქეთში თავანწყვეტილი და ორგიასტული იყო. ბერძნებსა და ალბანელებს ჰქონდათ საკუთარი მძვინვარი „საომარი“ ცეკვები, რაშიც ასახიერებდნენ დარტყმასა და მოგერიებას.

6. ირიბი მინიშნება ინგლისის სამეფო სახლზე, ჰანოვერთა ოჯახზე. ისინი გერმანული გველფების ტომის შთამომავლებად ითვლებიან. ბაირონი არ ყოფილა ჰანოვერთა დინასტიის თავყვანისმცემელი, მაგრამ საკმარისი ჭკუა ჰქონდა, რომ პირდაპირ ბრალი არ დაედო მეფე ჯორჯებისათვის. შემდგომდროინდელი პოეტები ნაკლებ ფრთხილობდნენ. უინთროპ მა-

კუორთ პრედი წერდა ლექსში „ეპიტაფია სენდვიჩის კუნძულების მეფისა“, სადაც იგულისხმებოდა ჯორჯ IV, ცნობილი ლოთობისა და დებოშის სიყვარულით. ჯორჯ III-ც დიდად არაფრით დახსომებია შთამომავლობას.

7. „ეკლეტიკ რევიუ“ ერქვა ჟურნალს, რომელიც არ იწონებდა ბაირონის ზნეობასა და პოეზიას.

8. კაბა მავრულია და სამაჯურების და საკეტებიც შესაფერისი. ამით მკითხველი მიხვდება, რომ რაკილა ჰაიდეს დედა ფესიდან (მაროკო) იყო, მისი ქალიშვილი დედის სამშობლოს სამოსს ატარებს.

9. ოქროს სარტყელი წვივზე მინიშნებს ქალის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე ოჯახში, და მის ნათესავ ქალებსაც უფლება აქვთ ატარონ ეს სამკაული.

10. ბაირონისათვის ეს არ არის გადაჭარბება: სულ ოთხი ქალი ახსოვდა ასეთი თმით; აქედან სამი ინგლისელი გახლდათ, ერთი კი — ლევანტიდან. ისეთი გრძელი და სქელი თმა ჰქონდათ, ჩამოშლილი მთლიანად ფარავდათ და თითქოს სამოსი აღარც სჭირდებოდათ. მათგან მხოლოდ ერთს ჰქონდა მუქი ფერის თმა; აღმოსავლელს ალბათ ყველაზე ღია ფერისა ექნებოდა.

11. ანტიაკობინელთა პარტია არსებობდა ინგლისში, უპირისპირდებოდა საფრანგეთის რევოლუციის პოლიტიკას და ქადაგებდა ძველი, ნაცადი და ჭეშმარიტი ინგლისური კონსტიტუციის ერთგულებას.

12. სიტყვა-სიტყვით, „გალიზიანებული პოეტი“. მურის აზრით, აქ ნაგულისხმევაა კოლრიჯის „ბიოგრაფია ლიტერარისა“ მეორე თავი, რომელიც შეეხება „სავარაუდო გალიზიანებულობას გენიოსებისა“.

13. პოპულარული სიმღერა საფრანგეთის რევოლუციის დროს, სიტყვა-სიტყვით, „ნავა“.

14. იტალიელი პოეტები მე-14 საუკუნისა, ვოქვათ, დანტე.

15. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ ბაირონის გატაცება ცხოვრების უკანასკნელ წლებში — საბერძნეთის გათავისუფლება თურქთა მონობიდან. იგი ადარებს ძველ და ახალ ბერძნებს და სთხოვს თანამედროვეთ, მიბაძონ წინაპრებს. ამ თემას ეხება ბაირონი „ჩაილდ ჰაროლდის“ მეორე სიმღერაშიც.

16. დალოცვილად ბერძენი პოეტები მოიხსენიებდნენ ქეიპ დე ვერდეს ან კანარის კუნძულებს. პრეტი აღნიშნავს, ეს სტრიქონები ჰესიოდეს შრომიდანაა ამოღებული.

17. განადგურება; თავისი ტახტიდან, ბორცვზე რომ დაედგათ მწუხარე ღრიალით შემოიხია მეფური სამოსი, და თავის ჯარებს მიმოფანტულს ნაპირზე, ნიშანი მისცა უკანდახვეის; და ისინიც უნესრიგოდ მიმოფანტნენ (ესქელი).

18. კუნძულ სამოსზე ღვინო მოჰყავთ. პრეტი მიუთითებს, რომ სამოსელთა ღალატმა განაპირობა ბერძენთა მარცხი ლადეს ბრძოლაში 494 წელს ქრისტემდე, და ამბობს, ეს ღალატი მეორდება და ბერძნებმა უნდა შეწყვიტონ თავიანთი მიწის მიყიდვა თურქებისთვის.

19. სოფოკლე, აიაქსი, V.1217

20. იხ. ჯონსონის „მილტონის ცხოვრება“.

21. კვლავ საუთის, კოლრიჯისა და უორდსუორთის შეურაცხყოფა. 1794 წელს პირველმა ორმა დაგეგმეს უტოპიური თემის „პანტისოკრატია“, დაარსება მდინარე სასქუეჰანას ნაპირზე (ტერმინი „პანტისოკრატია“ შემდეგ საზოგადოდ მოერგო ლეიკისტებს ანუ ტბის სკოლის პოეტებს). ადრეული ლექსები უორდსუორთისა (რასაც ბაირონი „სანვრილმანოს“ უწოდებს) და კოლრიჯისა (ვიდრე იგი „მორწინე პოსტის“ მსგავს ტიტრების პერიოდულ გამოცემებისათვის დაიწყებდა წერას) მიჩნეულია საუკეთესოდ მათ შემოქმედებაში. „ბათე-დი მოდური მკერავები“ გულისხმობს დებს, გვარად ფრიკეებს, სარას (კოლრიჯს გაჰყვა ცოლად) და ედითს (საუთის გაჰყვა ცოლად). თუმცა კეთილშობილ ოჯახში აღზარდნენ, ლა-

რიბები იყვნენ, მაგრამ არ არსებობს არავითარი ცნობა, რომ მკერავები ან მოდისტები ყოფილიყვნენ. მარჩანდის მიხედვით, მოდისტები მაშინ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებად იყვნენ მიჩნეული.

22. საუთი წერდა ტორების გაზეთ „მორნიგ პოსტისათვის“ კვირაში ერთ ლექსს თითო გინეად, 1798 წლიდან 1803 წლამდე.

23. ჯოანა საუთქოთი (1750-1814) აცხადებდა, ქალწული ვარო, და ბავშვი ჩამესახა ახალი მესიისაგან — „შილოსაგანო“. ბევრი ფანატიკოსი მომხრე გაიჩინა. წლების განმავლობაში რჩებოდა „ფეხმძიმედ“. ექიმებმა მას წყალმანკის დიაგნოზი დაუსვეს.

24. არიოსტო, ლუდოვიკო (1474-1533) ბაირონის საყვარელი „შმაგი ორლანდოს“ ავტორი.

25. „დრაიდენის ლექსები, ერთ დროს დიდად განთქმული, დავიწყებულია“. მრ. უორდსუორთის წინასიტყვაობიდან.

26. ნანყვეტები „ავე მარიადან“ და ორი დანარჩენი სტროფი ალბათ არ მიიჩნეოდა თანამედროვეთა მიერ ბაირონის ურწმუნოების დასამტკიცებლად. ჯერაც მოდაში იყო ქირქილი კათოლიკურ რწმენასა და რიტუალებზე. და მაინც, ბაირონმა საჭიროდ მიიჩნია დაეცვა თავისი რწმენა 104 სტროფში: „ჩემი საკურთხევლები მთები და ოკეანეა, დედამინა, ჰაერი, ვარსკვლავები.

27. ეს ბოლო სტრიქონი გრეის ელეგიიდანაა, მიუთითებლად რომ აუღია დანტედან.

28. იხ. სვეტონიუსი ამის შესახებ.

29. კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტები (კანტაბრიჯიელები). თუ უმაღლესი მიღწევა არ ჰქონდათ, ხის კოვზებით აჯილდოვებდნენ.

ნანა კუცია

# ფერადი ბურთი და შავ-თეთრი ყოფა

ლია(ნა) ელიავას „კინო უეკრანოდ“ (ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, 2011) უაღრესად საგულისხმო ესეების კრებულია, მეტიც, კონტრაპუნქტში გაერთიანებული ესეები რომანივით იკითხება — გაუნელებელი ინტერესით, სულმოუთქმელად, და აღიქმება მონუმენტურ ტილოდ, რომელზეც XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულთა და XXI-ის დასაწყისის ერთდროულად ტრაგიკული და საინტერესო სურათი არეკლილა ნიჭიერი, გემოვნებიანი და დახვეწილი ქალბატონის ძალისხმევით.

ერთ-ერთ ლექსში ლია სტურუა წერს, „სინატიფე მომესაჯაო“. ერთი სიტყვით რომ იყოს საჭირო ქალბატონი ლია(ნა) ელიავას სულიერ-პიროვნული პორტრეტის წარმოჩენა, ალბათ, შევარჩევდით განსაზღვრებას „სინატიფემისჯილი“ — ეს კარგი „მისჯაა“, როცა უფალი ირჩევს თავისი მაღალი ნების დამტყვესა და გამტარს (გამტარებელს) — ვისაც ადამიანების გაუტანლობა, დაუნდობლობა, სიხისტე და, სამწუხაროდ, ხშირად ვერაგობაც ვერ გაუხეხებებს ნატიფ სულს — ასე იშვიათს სამყაროში და ასე მონყვლადს.

გიმორჩილებს, წიაღში ვითრევეს პარადოქსული სათაურიც — „კინო უეკრანოდ“. საერთოდ, ამ ნათელ და ტკივილიან ნიგნში ყველაფერს პარადოქსი და ბედისწერა ქსოვს — პირველ განცდათა ამბებიდან ვიდრე ულამაზეს ფილმთა უცნაურ-საცნაურ ბედამდის, ეროვნული მოძრაობის დვრიტის წვდომიდან — ვიდრე ემიგრანტის ყოფამდის.

„კინო უეკრანოდ“ დასტურია იმისა, რომ სული ანუ „შინაარსი“ ყოველთვის იპოვის ფორმას, აკრძალვისა თუ ცინიკური

გულგრილობის მიუხედავად, რადგან სული — „ფორმის ფორმა“ — მარადისა, ჟამის უამიანობას აღმატებული.

საცნაურია, რომ წიგნში მრავალგზის მეორდება სახელი გოდერძი ჩოხელისა — უცნაურად მსგავსია ორი შემოქმედის ბედი. დახვეწილი რეჟისორები ფილმებისათვის აღარ სცხვლათ „ხროვის ხალისობას“ (ოთარ ჩხეიძე) მიცემულთ, „ლაუნჯბარებში“ მოძიგძიგეთ, რადგან რეჟისორები, მწერლები — ჩვეულებრივ მოკვდავთ ერთი ცრემლით აღმატებულნი — მაღალი ფიქრისთვის განაწყობენ კაცთ, ფიქრი კი ძნელია და ხშირად — „უჩვევი“.

როცა კინოკამერა, ასე რომ გაშინაურებიან მავანნი, იქცევა ფუფუნებად, სამყაროს მთავარ ფუფუნებას, მთავარ ორლესურს — ს ი ტ ყ ვ ა ს შეეფარებიან უნიჭიერესი რეჟისორები და თანამემოქმედად იქცევენ არა მაყურებელს, არამედ მკითხველს. გულისმომწყვლელია შავ-თეთრ ყდაზე მინანური — „სიზმრად ნანახი ფილმები“. იქნებ ოდესმე სიზმრებსაც დაეუფლონ ამა ქვეყნის ძლიერნი, ჟამიერ ალალეებულნი?! მაგრამ მანამდის რეჟისორი ლია(ნა) ელიავა „ხედავს სიზმრებს არაჩვენებურს“ (გალაკტიონის რემინისცენციით), ხედავს და გვიყვება...

რაც ფილმდაა, ისიც სიზმარივით მსუბუქი, ზმანებასავით გამჭვირვალე და უწონადოა ლია(ნა) ელიავასთან — „სინემას“

სიფრიფანება, ყოფის სიმძიმეს ფერადი საჰაერო ბურთით განრიდება მარადი იგავია, ათასგზის სახილველ-გასააზრებელი მეტაფორა, ყოველი ხილვა-გააზრებისას რომ ბურთსა გრის ყელში და თვალცრემლიანს გტოვებს (უნდა გტოვებდეს), სულის სხეულზე აღმატებულობას გიდასტურებს პერსონაჟთა ჰაბიტუსიც და ძუნწი რემარკებიც, რადგან აქ მთავარი თვალეზია — მაღალ ოცნებას ადევნებული სულის მზიური მზერა, ყოფიერების მთავარი ტკივილის დამმარხველი, დარდისა, ასე ლაკონიურად და დიდებულად რომ იტყვის რუსთველი: „...რაცა მინდა, არა მაქვს, მაქვს რაცა — არ მომინდების“

რუსთველისეულ ულამაზეს სიტყვას — „შეფრფინვას“ მომაგონებს „ბზიანეთის“ პერსონაჟთა მზერაც — გუნდის უმ-



შვენიერესი ხელმძღვანელის — ბრწყინვალე რეჟისორის დიდებული სეხნიის — ლია ელიავას პერსონაჟისადმი. „შეჭფრფინიდიან ავთანდილს“, — იტყვის რუსთველი და იგივე რამ, ოღონდ მზერით, კადრით დაჭერილია „ბზიანეთში“, რადგან შეუძლებელია, უმზერდე მშვენიერებას და არ „შეჭფრფინიდე“ (ის, რაც კადრია „ბზიანეთში“, ჩინებულ ესეი-ნოველად იქცევა ნიგნაბი — „გულგატეხილ მშვენიერებაში“, უმშვენიერესი ლია ელიავასადმი რომ მიუძღვნია, ავტორი ნატრობს: „იქნებ ოდესმე მომავალი თაობები მაინც მეტი სიფაქიზით მოეპყრან ზენაარ ნიჭს მშვენიერებისას!“), „მშვენიერების ზენაარი ნიჭის“ ფაქიზი დამფასებელია ლია(ნა) ელიავა.

ხელოვნურად დაძველებული კადრები „სინემასი“ თუ შენაქოს მკაცრი სილამაზით აღბეჭდილი ხედები იმ საოცარი სისადავის ანარეკლია, რითაც გამოირჩევა დახვეწილი რეჟისორის კინოსამყარო და ასევე დახვეწილი სიტყვის ოსტატის ესეი-ნოველები. მათი ნაღველიანი, სევდიანი უბრალოება, შეგნებულ უარისთქმა გარეგნულ ბრწყინვალეობაზე, კონტექსტის დომინირება ტექსტზე, ნიგნაბის დართული შავ-თეთრი ფოტოები, ორიგინალური ყდა — ამოჭრილი, „შეჩერებული“ კადრით, თხრობის სადა, ლაკონური, დანურული, თავშეკავებული, ტკივილის მიუხედავად, უაღრესად ტაქტიან მანერასთან ერთად (არსად გესლი და ნიშნისმოგება!) ხაზგასმით წარმოაჩენს ავტორის ღირსებებს.

ეროვნული მოძრაობის თუ, ზოგადად, უკანასკნელ ათწლეულთა შუქ-ჩრდილები („პატარა საქართველოში“ თუ „დიდ საბჭოეთში“, „გაგანია ევროპაში“ — ნიცასა და პარიზში მომხდარი ამბებიც) ჟამთააღმწერლის პირობით ნელობით, ჩუმი ნაღველითაა არეკლილი, არც არავინაა გაკერპებული, არავის მისხლისოდეანიც არ დაჰკარგავია მაღლი — არც „ჩინიანთ“, არც „უჩინო-უჩინართ“, არც აქაურთ, არც უცხოთ, მომხიბლავია მთხრობელის ტრაგიკული თვითრონიაც — მაღალი ინტელექტისა და მრავალგზის ხაზგასმული გემოვნების ანარეკლი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „ვგვიკი“, ქართული და მსოფლიო ლიტერატურული თუ კინოკლასიკის უზადო ცოდნა, არნოდ ჩიქობავასა და მიხაილ რომის შეგირდობა, თენგიზ აბულაძის ასისტენტობა, ელდარ რიაზანოვის ოპონენტობა (ათასი განსაცდელის მიუხედავად), ღვთისმშობლებზე ნიჭთან ერთად, ბედისწერის ის ბედნიერი საჩუქარია, რამაც შვა ლია(ნა) ელიავას პიროვნული ფენომენი, ნათელი დასტური იმისა, რომ კამერას თუ ფუფუნებად გიქცევენ, კალამი — „ნა რხეული“ — შენია, სიზმრების ფერად მელანში ამოანობ და შავ-თეთრ ყოფას ზმანებისეული „უთვალავი ფერით“ გაიფერადებ, რადგან, უფლის ნებით (ქალბატონი ლია(ნა)ს მეუღლის ლექსის პერიფრაზირებას მოვახდენთ), არსებობს ფუფუნება წერისა, ყველაფრით — ყველაფერზე: „...вилами - по воде, ... на всякой пустыне - речкой, на голой скале - сосной!...“

ქვეყნის „ფარაჯანირების“ მოსურნენი რელსით მიაკრავენ კედელს მავანს (შეგეცოდება კიდევ უცხო რეჟისორი!), რათა ფრენის ილუზია შექმნან, მაგრამ სადღაც, სხვა სივრცეებში დიდი ხანია დალივლივებს ფერადი ბურთი მეოცნებეთა — კამერიდან სიტყვისკენ, ყოფითობიდან უფლისკენ გაფრენილი.

### ჩვენი ფოსტა

ძვირფასო რედაქცია!

აგურ უკვე რამდენიმე წელია აქტიურად ვადევნებ თვალს თქვენს ჟურნალს და, რომ იტყვიან, ერთგულ მკითხველადაც შეგადილია ჩამთვალთ. ხშირად დიდი ინტერესით ვეცნობი გამოხმაურებებსაც, რადგან მე თვითონ ვერა და ვერ მოვახერხე მომენერა, მთლად უდროობისა და მოუცლელობის — არა, უფრო — მორიდების გამო. ახლა კი, სწორედ ერთგული მკითხველის უფლებით, გადავწყვიტე ერთი ნაგვიანვეი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ.

ამას წინათ „ჩვენი მწერლობის“ ძველ ნომრებს ვფურცლავდი და კიდევ ერთხელ ნავიკითხე გურამ ქართველიშვილის „აიშე“.

ნიჭიერი მწერალია ბატონი გურამი, ყოველთვის დიდი ინტერესით ვეცნობი ხოლმე მის შემოქმედებას, ამ მოთხრობამ კი კიდევ ერთხელ განმიმტკიცა შთაბეჭდილება. აქ იმდენი რამ იკითხება, ისეთი ღრმა შრეებია, სტრიქონსა და სტრიქონს შორის იმდენი რამ იხსნება და იხატება, კიდევ ერთხელ იკვებება გურამ ქართველიშვილის მწერლური ოსტატობა — როგორ სახიერად აგვიწერს აღმოსავლურ გარემოს, „ობიუმით გაჟღენთილი ტვინებით დაგეგმილ ქუჩებს, კონტრაბანდის, იარაღსამზადებელი გამცილებლების, ჰიჯაბში გამოწყობილი მეძავეებისა და ნარკომოვაჭრეების ბუნავს“, რომელიც თავისი დაუნერული კანონით ცხოვრობს და ამ ცოდვის ქალაქში, ყოფიერების ფსკერზე — ერთადერთ ნათელ წერტილს, ყვავილების გამყიდველ ულამაზეს აიშეს.

მე წამიკითხავს გახმაურებული რომანები აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეპირისპირებაზე (თუნდაც **ორჰან ფამუქის „მე ნითელი მქვია“**), მაგრამ საოცარი ის არის, რომ ბატონი გურამი ამ პატარა მოთხრობაში აღწევს ამას; ცნობიერების ნაკადში, რომელიც შემოდის ნაწარმოებში, სულ რამდენიმე სტრიქონით, ღრმა, ნიუანსობრივი ცოდნითა და მწერლური აღლოთი ისე ოსტატურად ახერხებს ამ ორი დიდი სამყაროს შეპირისპირებას, ურუანტელსაც კი გვერის სიმძაფრე დაუფლებული განცდისა. მოთხრობის მოულოდნელი ფინალი კი კიდევ უფრო ამძაფრებს შთაბეჭდილებას.

ასე მგონია, მთავარი გმირი — ლევანი — თავისი ფიქრებით, დამოკიდებულებით სამყაროსადმი, თავისი ღირებულებებით, იმ დაუნდობელი შეფასებითაც კი, როგორითაც ის თავის სამშობლოს ხატავს, ძალიან ჰგავს ავტორს.

ისიც მგონია, რომ გურამ ქართველიშვილისათვისაც ძნელია „ხარაკირით დაკავებულ სამშობლოში“ ცხოვრება. ამის დასტურია მისი მრავალმხრივი შემოქმედება — თუნდაც მისი ბოლოდროინდელი სატელევიზიო პროექტი **„გააგრძელე საქართველოს ისტორია“** — რომელიც ნიჭიერების გარდა, უპირველესად სწორედ ეროვნულობის ნიშნითაა დაბეჭდილი.

მიხარია, რომ ასეთი მწერლები, ასეთი შემოქმედნი არიან ჩვენ გვერდით. წერენ, ქმნიან და, რაც მთავარია, გავლენაც აქვთ საზოგადოებრიობაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე (ამის დასტური იყო თუნდაც სპექტაკლი **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი“**, ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეული, დიდი ინტერესი რომ მოჰყვა და დღემდე ანშლავს მის მიმდინარეობას).

და კიდევ:

არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ გითხრათ ილუსტრაციებზე, ნაწარმოებს რომ ახლავს — **იანა ზაალიშვილის** ნახატზე აიშე ისეთია, გგონია ახლა შეირხვას, ყვავილების სურნელს შემოგაფრქვევს და გააგრძელებს გზას.

იანა ზაალიშვილის ნახატებსაც არაერთხელ მოუხდენია ჩემზე შთაბეჭდილება, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა — გურამ ქართველიშვილი რომ არ იცოდებ — ნახატი ნაგაკითხებს ნაწარმოებს.

ნანი ნაკაშიძე

ხმა უული

თავისებური ემში და გემო აქვთ ძველ-სახლად გაზეთებს. თუნდაც უბრალო მასალა, ღვინისა არ იყოს, რაც უფრო ძველდება, უფრო და უფრო ძვირი ხდება. ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ინფორმაციაც კი ძალუმად აცოცხლებს ნარსულს და საამური ნოსტალგიის ბურუსში გაგხვევს. მაგრამ საზარელი ფურცლებიც რომ გხვდება, რა უნდა ილონო?! შემოგაღამებს მზერას წყვილი და ეგოისტურად მაღლობას უძღვნი განგებას, რომ იმ უღმერთო ჟამს არ მოსწრებიხარ. ნაკითხული ყურსა გჭრის, თვალში გჩხვლევს, გულსა გტკენს. ვაგლახ, იმათ გვარებსაც წაანყდები, უდროოდ რომ გამოეხალმნენ წუთისოფელს, კარგა ხნით რომ აიკრძალა სახელი და ხსენება მათი და ნანერს მათსას მალვით ვკითხულობდით სკოლის მერხის ქვეშ. ვაი რომ, ისინიც გარეულან მარაქაში, თითქოსდა თავისი თავი გამოიტყრესო.

გაზეთი გვაუწყებს: 1937 წლის 31 იანვარს, ნაშუადღევს ორ საათზე შედგა ქართველ საბჭოთა მწერალთა სასწრაფო მიტინგი, სადაც გამოეხმურნენ მოსკოვში ჩატარებულ სასამართლო პროცესს.

ციტატები — უკომენტაროდ, უავტოროდ, მხოლოდ ციტატები: „სასამართლოს განაჩენი — განაჩენია ხალხისა, რომელიც დაუნდობელია თავისი მოსისხლე მტრების, სოციალისტური სამშობლოს გამცემლებისა და გამყიდველების მიმართ. ასეთივე სისასტიკით უნდა დაისაჯონ კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ქართველი ნაბოლარები, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიუღიათ გასამართლებულ კონტრრევოლუციონერთა ბნელ საქმეებში“.

„ხალხის მტრებს, სამშობლოს საზიზღარ მოღალატეებს, ადამიანთა სიცოცხლით მოვაჭრეებს, ომის გამჩალებლებს, სისხლიანი ფაშიზმის ცოფიან ძალებს მხოლოდ სამარე გაასწორებს. აქეთკენ მიდის გზა ქართველი კონტრრევოლუციონერი ტროცკისტებისა“.

„გასაგებია გულმინწრომა და აღშფოთება ქართველი მშრომელი ხალხისა იმ მოღალატეებისადმი, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენი ქვეყანა წყეული წარსულისაკენ, ნაციონალური მონობისაკენ შემოებრუნებინათ“.

„დეე იცოდნენ ფაშიზტებმა, დეე კარგად დაიმახსოვრონ ჩვენი ხალხის დაუძინებელი მტრებმა, ომის გამჩალებლებმა, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელი შეკავშირებულნი და შედეულაბებულნი არიან ერთი ნებისყოფით, ერთი მისწრაფებით — განაგრძონ სოციალიზმის ძლევა მოსილი მშენებლობა“.

წარსულის გმობა იოლი საქმეა. დიახაც იოლია, თბილი კლოზეტებიდან განსჯა ოცდაჩვიდმეტის სუსხიან ზამთარში გათოშილთა და დაზაფრულთა. სხვათა შორის, ერთ სუპერინტელექტუალად შერაცხულ მოღვაწეს კალამმა აშკარად უმტყუნა, როდესაც ერთგვარი ნიშნისმოგებით მიმართა ღირსეული შემოქმედისა და ნამებული კაცის სულს: ვისაც ემსახურებოდი, სწორედ იმათ ხომ ჩაგაძაღლესო.

იმპულსები ცენტრიდან მოდიოდა. მეტროპოლია კარნახობდა პროვინციას.

მიხეილ ბულგაკოვის მკვლევარ ანატოლი სმელიანსკის სიტყვით, იმ სახელდახელო მიტინგებზე არათუ არ შეიძლებოდა გამოუსვლელიობა, არამედ წაყრუებაც კი არ შეიძლებოდა. 30-იანი წლების პოლიტიკურ სასამართლო პროცესთა შესახებ კოლექტიურ თუ ინდივიდუალურ გამომხაურებებს თურმე ხელს აწერენ უპატიოსნესი მწერლები — ბ. პასტერნაკის, ა. პლატონოვის, ი. ბაბულის, ბ. პილნიაკის, ი. ტინიანოვის და მრავალთა სხვათა ჩათვლით. მკვლევარი დასძენს, გამონაკლისი ბულგაკოვი არისო (მაგრამ მისი გამონაკლისობაც, ეგებ, უფრო იმას უნდა უმადლოდეს, რომ ბულგაკოვი ე.წ. „საპატიო მჭიდი“ არ იჯდა. ცნობილ სახელთა გვერდიგვერდ ხელმწიფერა რა სათქმელია, საბჭოთა მწერალთა პირველ ყრილობაზე, 1934 წელს რომ ჩატარდა, სტუმრის სტატუსითაც კი არ მიუწვევიათ).

ა. სმელიანსკი ჩივის: ჩვენ მარტოოდენ ორად ორი ფერი, შავი და თეთრი, ვიცით, არა გვსურს შევიცნოთ ელფერი, შუქ-ჩრდილები, ძალზე ხშირად, ადამიანთა ისტორიის

მთელ არსს რომ გამოხატავსო. ამასთან დაკავშირებით, მკვლევარს მოჰყავს ერთი ძალზე საინტერესო მასალა, გამოქვეყნებული რუს ემიგრანტთა პარიზულ გაზეთში „Последние новости“ (1937 წლის თებერვალი) და წერს: „მოსკოვურ სასამართლო პროცესთა გარედამკვირვებელი, ვგონებ, მიხვდა რალაც ისეთს, რაც ჩვენ ნახევარი საუკუნის შემდეგაც კი ბოლომდე არ გვესმის“.

ახლა მთლიანად დავიმოწმით ა. სმელიანსკის მიერ მოძიებული მასალა, უფრო ზუსტად — ფრაგმენტი სტატიისა, რომელიც 1937 წელს დაუბეჭდავს ემიგრაციაში მყოფ რუს პოეტს გიორგი ადამოვიჩს:

„აი, ჩვენს თვალწინაა სია იმ ადამიანთა, რომლებიც მოითხოვენ „დაუნდობელ ანგარიშსწორებას გველებთან“: პროფესორი მავანი და მავანი, პოეტი მავანი და მავანი, მთელს რუსეთში სახელგანთქმული დამსახურებული არტისტი-ქალი მავანი და მავანი... რაო, ისინი ჩვენზე უარესნი არიან, უფრო სუსტები, უფრო ბილწნი, უფრო სულელნი? რა თქმა უნდა, არა! რუსული ინტელიგენციის საპასპორტო გაყოფა, სულ ცოტა სანახევროდ მაინც, შემთხვევით მოხდა. ერთნი შესაძლოა აქ აღმოჩენილიყვნენ, მეორენი შესაძლოა იქ დარჩენილიყვნენ. საზღვარგარეთ მართლაცდა მარტოოდენ ესენი, აბოლოტურად შეუგუებელნი და უარბონი, ხომ არ ვადმობარგებულან და მარტოოდენ იმათ, ვისაც ბოლშევიზმში თავიდან რალაც სიმართლი ელანდებოდათ, გადაუწყვეტიათ ადგილზე დარჩენა უკეთეს დღეთა მოლოდინით?! არა და არა, თუკი ყველა არა, ძალიან ბევრი შემთხვევით დანანილდა. და, კაცმა რომ თქვას, საფუძველი აკლია იმ ვარაუდს, თითქოსდა ინტელიგენციის ხარისხოვანი, მორალური შემაღვლებობა იქ სხვაგვარია, ვიდრე ჩვენთან. მაშასადამე, სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენ, ახლა მოსკოვში რომ ვიმყოფებოდეთ, ხელს მოვანერდით იმავე მოწოდებებს. მაშასადამე, სიმძიმე ჩვენც გვანებება მხრებზე და არ შეიძლება თავი მოიწონო სა-მოსლის სისპეტაკით, სანამ არ დამტკიცდება, რომ იგი სპეტაკი დაგრჩებოდა ყოველთვის, ყველგან, ყველა ვითარებაში. იგრძნო ეს, აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ გქონდეს უფლება ილაპარაკო იმ ხელმომწერთა შესახებ, ჩვენგან განსხვავებულ ატ-მოსფეროში რომ ცხოვრობენ. ისინი უბედურნი არიან სხვა უბედურებით — ჩვენი ემიგრანტული, უსაგნო, უნიადაგო თავისუფლებისგან რომ განსხვავდება. მაგრამ სიმძიმე, რომელსაც ყველა იზიარებს, მაინც სიმძიმედ რჩება. და ძნელი სათქმელია, სად უფრო მტანჯველია იგი. განა აბსურდი არ იქნებოდა ჩაგვეთვადა, რომ მოსკოვში თავი მოიყარეს ვილაც გარეუბრებმა, სულით მახინჯებმა, ადამიანის იერი რომ დაუკარგავთ და რალაც მანიაკური სიჯიუტით მოითხოვენ: „სისხლი სისხლისა ნილ“ და სიყვარულს უხსნიან „ჩვენს ძვირფას ამხანაგ ვიშნისკის“; არა და არა! ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ისეთივენი, როგორებიც ჩვენ. და მაშასადამე, აი, რას ნიშნავს ჩვეულებრივი ადამიანი, აი რით შეიძლება აიძულო ის, დამოკიდებული გახდეს გარემოსა და გარემოცვაზე, ანდა ასე მოგაჩვენოს თავი“.

როგორც გენებოთ, ისე განსაჯეთ! გინდ შერისხეთ და თავს-ლაფი დაასხით, გინდაც მოწონების ნიშნად ტაში დაუკარით. მაგრამ, ასე იქნება თუ ისე, ორიგინალობას ვერ წაართმევთ. და მოქალაქეობრივი გამბედაობითაც გამოირჩევა. ოლონდ თამამად შეიძლება მოეხატოთ, ვითარცა ხმა მლალადებელი უდაბნოსა შინა.

ესოდენ იშვიათი შემწყნარებლობა ადამოვიჩს, ალბათ, ქრისტიანული რჯულის მეოხებით მოსდგამს. და რწმენა, სარწმუნოება მისთვის რიტუალთა სისტემა კი არ გახლავთ, არამედ — სულისკვეთება და აზროვნების წესი.

ამაოდ როდი გვმოძღვრავდა მაცხოვარი: პირველი ქვა თქვენს შორის უცოდველმა ესროლოსო...



მოყვანის ბაღზე დაფიქრებული

ნილია იმ რჯულშემწყნარებლობით პოლიტიკაზე, მეფე რომ ახორციელებდა საქართველოში. ხაზგასმულია მისი დიდსულოვნება, სხვა ხალხთა და სარწმუნოებათა პატივისცემა. ილიას მოწყაეს სომეხი მემბატინის სიტყვები: „დავითს არავითარი სიძულვილი არა ჰქონდა სომხური წირვა-ლოცვისა და ეკლესიისა. იგი ხშირად იდრეკდა თავს ჩვენს ხელქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას“.

გერონტი ქიქოძის სიტყვით, ილია ჭაჭავაძემ თავისი მეცნიერულ-პოლემიკური ნერილებით დამტკიცა, რომ მეცნიერების მრავალ დარგში, მათ შორის ისტორიაში, ის არ ყოფილა დილტანტი. ამას ცხადლოვ ადასტურებს „აი ისტორია“ და „ქვათა ღალადი“. მაგრამ სულ სხვა დანიშნულება და, შესაბამისად, იერი ახასიათებს ილია ჭაჭავაძის ისტორიულ ეტიუდებს „დავით აღმაშენებელი“ და „ლუარსაბ ნამებული“, რომლებიც არ აცხადებენ პრეტენზიას სამეცნიერო ნაშრომებად აღიარებაზე. ეს გახლავთ დიდი მწერლის კალმით მოხაზული კონტურები. მაგრამ მიუხედავად ამისა, უაღრესად ზუსტად არის გამოხატული ავტორის კონცეფციაც და პიროვნების პორტრეტის ძირითადი არსიც.

ილია ჭაჭავაძის კრიტიკულ დამოკიდებულებას „ქართლის ცხოვრების“ მიმართ, რომელიც, მისი აზრით, მხოლოდ ომებისა და მეფეების ისტორიაა, ხოლო ხალხი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული, მედლის ერთი მხარე შეიძლება ვუწოდოთ, მაგრამ ზემოთქმული, თვით ილიას თვალში, სრულიადაც არ გამოირიცხავდა საქართველოს ისტორიაში მრავალთავან გემორჩეულ მეფეთა ღვაწლის გახსენებას და სათანადო შეფასებას.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ სწორედ დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ ეტიუდში ილია ჭაჭავაძე შთაგონებით ამტკიცებდა: „უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის უფლის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამინის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდგია თავი. დავინყება ამათი — საკუთარის ვინაობის დავინყება, და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რილას მაქნისა?“

და შემდეგ: „გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა მნიშვნელობაცა აქვთ ერისათვის. ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ ბუნებოვანობის შარავანდედითა, და თავყვანსაცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა“.

ილია ჭაჭავაძე ორიოდე სიტყვით აღნიშნავს დავით აღმაშენებლის უბადლო დამსახურებას — საქართველოს სამეფოს ტერიტორიიდან დამპყრობელთა საბოლოო განდევნას და ქვეყნის აღდგენა-მოშენებას, მაგრამ დანვრილებით აღარ მისდევს ამ საკითხს. მის ეტიუდში, სხვას რომ თავი დავახეობთ, არც არის ნახსენები დიდგორის ომი, საამაყო ფურცელი ქართველი ხალხის გმირული წარსულისა, „ძღვეთა საკვირველი“ რომ ეწოდა. დიახ, ილიას ყურადღების მიღმა დარჩა ის გამარჯვება, რომელიც დანვრილებით არის აღწერილი აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებში, რომელიც, ქართველი მემბატინის სიტყვით, მეტი ქებისა და დიდების ღირსია, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელისა თუ წარსულის სხვა სახელოვან გმირთა მიერ მოხვეჭილი გამარჯვებანი.

ილია ჭაჭავაძეს სულ სხვა რამ აინტერესებდა და იზიდავდა დავით აღმაშენებლის მოღვაწეობაში. მისი გულისყური გადატა-

ვრცლად არის დამოწმებული არაბული წყაროს ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ დავითი, თავის შვილ დემეტრესთან ერთად, ხშირად დადიოდა მეჩეთში, ისმენდა ლოცვას და ყურანის კითხვას; გულუხვად ასაჩუქრებდა მაჰმადიანური კულტის მსახურთ, მფარველობდა მაჰმადიან პოეტებს (ეს ქრესტომათიული მაგალითები, დღეს, ქართულმა ტელევიზორებმაც კი იციან, მაგრამ იმდროინდელ თბილისში ავდრის შემდეგ ცისარტყელის გამოზრცივნებას ჰგავდა).

ილია ჭაჭავაძე მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმ ღირსშესანიშნავ გარემოებაზე, რომ კეთილშობილება და სულგრძელობა დავითისა ვლინდებოდა მაშინ, როდესაც მას უკვე დამთავრებული ჰქონდა საქართველოს გამოსხნა დამპყრობელთა უღლიდან და, მასასადამე, ეს იყო გამარჯვებული მეფის პოლიტიკა. ილია ასკვნის: „ამისთანა სხვა ერის ღირსების თავყვანისმცემელი იმ დროში, რომ კაცი კაცს შესაქმელადაც არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნობისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან?“

მას შემდეგ სხვა აღმოსავლური წყაროებიც იქნა გამოვლენილი და ახალი დეტალებით შეივსო დავით აღმაშენებლის რჯულშემწყნარებლობითი პოლიტიკა. გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს მეფის ტოლერანტობა ნაკარნახევი იყო არა მარტო ჰუმანური მოტივებით. მას განაპირობებდა აგრეთვე საგარეო პოლიტიკის მიზნები, საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობა და მეზობელ მაჰმადიანურ ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის აუცილებლობა.

ილია ჭაჭავაძეს, დავით აღმაშენებლის დახასიათებისას, საგანგებოდ აღუნიშნავს, რომ მან სწულთა და საყართთავის სამკურნალო ააშენა და თავადაც ხშირად დადიოდა მათ სანახავად და მოსაკითხად.

აი, ამგვარ ფაქტებს ანიჭებდა უპირატესობას ბრძენკაცი. პორტრეტის ხაზგასასმელ შტრიხებად ესახებოდა მეფის დაულაღვი ზრუნვა თავის სამწყსოზე, მისი ადამიანური უბრალოება. რჩეულთა შორის რჩეულს ხედავდა არა მარტო სარდლად და გმირად, არამედ მოყვასის ბედზე დაფიქრებულ, მოყვასის გასაჭირით შეწუხებულ ხელმწიფედ. მოყვასი კი ერქვა ყველას: დიდებულსა და მდაბიორს, ქართველსა და არაქართველს, ქრისტიანსა და ქვეშევრდომ მაჰმადიანსაც. ქრისტიანული ქვეყნის წინამძღოლი ერთგულად მისდევდა ქრისტიანული სათნოების უპირველეს მცნებას და რა გასაკვირია, რომ სწორედ ამით მოეხიბლა ილიას გული, ვინც „ქართველის დედას“ ასეთი მონოდეობით მიმართავდა: „აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს, საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, — შთააგონებდე კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“.

სამების ახალგაზრდულ ცენტრში მეუფე თადეოზის (მირიან იორამაშვილის) 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემული წიგნის „იციანს სოფელმანა...“ წარდგინება გაიმართა. წიგნი თავს უყრის მეუფე თადეოზისადმი მიძღვნილ ლექსებს, ჩანაწერებსა თუ საგანგებოდ ამ პროექტისათვის შექმნილ სასულიერო თუ საზოგადო მოღვაწეთა მოსაზრებებს. ერთვის ლევან გორგიჯანიძის, ბაბუა ალუდაურის, ზაზა მამულაშვილის მიერ გადაღებული ფოტომასალა. ლონისძიება გახსნა მამა პეტრემ (კვარაცხელია), რომელმაც მეუფეს, უწმინდესთან ერთად, „ქართული ეკლესიის მემბატინანე და მესაძირკველ უწოდა“.

სიტყვით გამოვიდნენ: სერგი ვარდოსანიძე, თინათინ მღვდლი-აშვილი, ვახტანგ გურული, გიორგი ფარეშიშვილი, ტარიელ ხარხილაური, დავით შემოქმედელი, ავთო ჩხაიძე, ერეკლე საღლიანი, ია ბაგრატიონ-მუხრანელი, დავით ტიგინაშვილი, ლადო კახაძე, გუჯა ბურდული, მამა თავმასი (ჩოხელი). აღინიშნა, რომ ეს შინაარსიანი და საჭირო წიგნი ყველა ქართველს შეახსენებს იმ დიდ ღვაწლს, რომელიც ქართული ეკლესიის გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის გაუწევია მღვდელმთავარს. საღამო მუსიკალურად გააფორმეს ასანამბლებმა: „ინანამ“ და „გორდელამ“, ნიკო ბაგრატიონის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ანსამბლმა, დებმა ზვიადაურებმა, ნიკოლოზ მოთანაძემ.